ეროვნული ბიბლიოთეკა

[redacted] საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის

Обмен

1921 XXV წელი 1946

501
1946

შრომები

30 501

XXVI

ТРУДЫ
ГРУЗ. СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ИНСТИТУТА [redacted]
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS OF THE
GEORGIAN AGRICULTURAL
INSTITUTE NAMED [redacted]
[redacted]. TBILISI

[redacted]ბ. საქართველოს სასოფ.-სამეურ. ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი—1946

[redacted] საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1921 **XXV წელი** 1946

შრომები

S 381

XXVI

ТРУДЫ
ГРУЗ. СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ИНСТИТУТА [redacted]
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS OF THE
GEORGIAN AGRICULTURAL
INSTITUTE NAMED [redacted]
[redacted]. TBILISI

[redacted]. საქართველოს სასოფ.-სამეურ. ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი—1946

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

დოც. გ. ყ. ურუშაძე (პ/მგ. რედაქტორი), პროფ. ლ. პ. კალანდაძე,
აკად. ტ. ყ. კვარაცხელია, პროფ. ი. ნ. ლომოური, პროფ. კ. ბ. მოდებაძე,
პროფ. ლ. ლ. დეკაპრელევიჩი, დოც. ი. ლ. ჯაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენერალისიმუსი ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83
1. [redacted]. საქ. სასოფ-სამ. ინსტიტუტის 25 წელი	13
2. ზოგადი მიწათმოქმედების კათედრა	55
3. მემცენარეობის კათედრა	60
4. სელექცია-მეთესლეობის კათედრა	69
5. ნიადაგმცოდნეობის კათედრა	75
6. მიკრობიოლოგიის კათედრა	81
7. სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის კათედრა	84
8. სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის კათედრა	88
9. მეცხოველეობის კათედრა	91
10. ცხოველთა ფიზიოლოგიისკათედრა	97
11. მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრა	99
12. აგროქიმიის კათედრა	105
13. მეაბრეშუმეობის კათედრა	111
14. აბრეშუმის ტექნოლოგიის კათედრა	115
15. კონტინენტური მეხილეობის კათედრა	117
16. მებოსტნეობის კათედრა	121
17. მევენახეობის კათედრა	124
18. ფიტოპათოლოგიის კათედრა	128
19. ზოგადი ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრა	132
20. სპეციალური ენტომოლოგიის კათედრა	139
21. სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის კათედრა	142
22. სუბტროპიკული მეხილეობის კათედრა	145
23. ჩაისა და სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კათედრა	149
24. ბოტანიკის კათედრა	152
25. სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრა	158
26. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა	163
27. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრა	168
28 სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრა.	171
29. ლითონის, ხის და სათბობ-საპოხ მასალათა ტექნოლოგიის კათედრა	173
30. გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათა ნაწილების კათედრა	175

31. მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრა 177
32. სარემონტო საქმის კათედრა 181
33. ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრა 183
34. ფიზიკის კათედრა 185
35. მათემატიკის კათედრა 188
36. მხაზველობითი გეომეტრიისა და გრაფიკის კათედრა 190
37. მელვინეობის კათედრა 192
38. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრა 198
39. ბიო-ორგანული ქიმიის კათედრა 203
40. ზოგადი ქიმიის კათედრა 208
41. მანქანათმცოდნეობის და სპეც. მანქანების კათედრა 211
42. გეოდეზიის კათედრა 213
43. სატყეო ტაქსაციის და სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრა 216
44. ზოგადი მეტყეობის კათედრა 219
45 ხის ტექნოლოგიის კათედრა. 223
46. ტყის კულტურისა და სატყეო მელიორაციის კათედრა 226
47. ფიზკულტურის კათედრა 228

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ:

კ. მ. ამირაჯიბი, პ. გ. მელიქიშვილი, გ. ნ. გეხტმანი.

მეორე რიგში: დ. პ. გედევანიშვილი, ს. მ. ჩოლოყაშვილი, ი. ნ. ლომოური.

მესამე რიგში: ა. მ. ბენაშვილი, გ. ტ. რცხილაძე.

აგრონომიული ფაკულტეტის ორგანიზაციის ინიციატორთა ჯგუფი



[redacted] სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთავარი სასწავლო კორპუსი

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში
პროფ. ლ. პ. კალანდაძე

ინსტიტუტის დირექტორი
დოც. გ. ყ. ურუშაძე

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო-საკვლევ ნაწილში დოც. ი. ლ. ჯაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[redacted] საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 25 წელი

1918 წ. 26 იანვარს (ძვ. სტილით) გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, ე. წ. სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტით. ეს უკანასკნელი, პროფესორთა საბჭოს წინასწარი პროექტით, შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან: ჰუმანიტარული, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო. მეცადინეობა დაიწყო 1 თებერვლიდან ჰუმანიტარულ დისციპლინათა ციკლით. იმავე წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ორი დანარჩენი დარგიც, მაგრამ არა განყოფილებების, არამედ ფაკულტეტების სახით.

ქართულ ენაზე სასოფლო-სამეურნეო განათლების დიდი ხნის ოცნება ბუნებრივად დაუკავშირდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას. ჯერ კიდევ 1918 წ. 25 იანვარს პროფესორთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება (ოქმი № 15, მუხ. 1) „ეცნობოს მთავრობას, რომ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან შეიძლება გაიხსნას სამეურნეო განყოფილება“[1].

ამ დადგენილების გამოტანასა და მის განხორციელებას შორის გავიდა თითქმის წელიწადნახევარი.

1919 წ. 3 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ კვლავ იმსჯელა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან „სამეურნეო ნაწილის“ გახსნის შესახებ და, გამოსთქვა რა თავისი პრინციპული თანხმობა, საკითხის დაწვრილებით გარკვევა დაავალა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს.

ამ დროისათვის თბილისში უკვე არსებობს ინიციატორთა პატარა ჯგუფი (ქართული სას.-სამ. საზოგადოების გამგეობის წევრი აგრონომი ს. ყაზახიშვილი, ცნობილი აგრონომ-პედაგოგი ბ. ზაალიშვილი, აგრონომები ა. კორინთელი, ი. ქურდიანი, გ. რცხილაძე და სხვ.), რომელმაც იკისრა მოსამზადებელი მუშაობის წარმოება. ამ ჯგუფის მიერ დამუშავებული პროექტი, უნივერსიტეტთან სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის დაარსების შესახებ წარედგინა პროფესორთა საბჭოს 1919 წ. 14 იანვარს. მაგრამ საბჭომ არ გაიზიარა ეს წინადადება და დაადგინა: „გაიხსნას არა ცალკე სამეურნეო ფაკულტეტი, არამედ სამეურნეო განყოფილება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა ამა წლის ენკენისთვიდან და საჭირო ხარჯთაღრიცხვა დამატებით წარედგინოს განათლების სამინისტროს“.

---

[1] პროფესორთა საბჭოს ამ და ყველა სხვა დადგენილებაში „სამეურნეო“ განყოფილების ან „სამეურნეო ნაწილის“ სახელწოდებით იგულისხმება სასოფლო-სამეურნეო განყოფილება ან დარგი.

საქართველოში უმაღლესი აგრონომიული განათლების საჭიროებას მკაფიოდ ღაღადებდა ჩვენი ქვეყნის ინტერესები. საზოგადოებრივი აზრიც დაჟინებით მოითხოვდა ამას. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს არ შეეძლო ამისათვის არ გაეწია ანგარიში, მაგრამ საკითხის გადაწყვეტას ის ლამობდა იმ გზით, რომელიც უკვე განხორციელებული იყო როგორც ზოგიერთ საზღვარგარეთულ, ისე რუსეთის უნივერსიტეტებში (მაგ., პეტერბურგის, ნოვოროსიის უნივერსიტეტებში და სხვ.), სადაც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებთან განხრების სახით არსებობდა „აგრონომიული განყოფილებანი", წარმოდგენილნი სულ რამდენიმე, უფრო ზოგად-თეორიული დისციპლინებით (მაგ., ნიადაგმცოდნეობა, აგროქიმია, ზოგადი აგრონომია და სხვ.).

თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელ მოღვაწეთა მიერ დაახლოებით ასეთივე შინაარსით იგულისხმებოდა „სამეურნეო" განყოფილება, როგორც განხრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა, ისიც სწავლების უკანასკნელ კურსებზე.

1919 წ. 18 მაისს, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გადაწყვიტა, იმავე წლის შემოდგომიდან საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან „სააგრონომიო" განყოფილების დაარსება პირველი სამი კურსის გახსნით იმ ვარაუდით, რომ განყოფილებას სპეციალური სახე მისცემოდა მე-3 კურსიდან.

ამ დადგენილებას გამოეხმაურა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, განსაკუთრებით კი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ის სტუდენტობაც, რომელიც იმთავითვე ახალგაზრდული გატაცებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული უმაღლესი აგრონომიული სასწავლებლის დაარსების ირგვლივ წარმოებულ მუშაობაში.

30 მაისს გამართულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებიც (ივ. ჩხენკელი და ნიკოლოზ-ჯვებე იოსელიანი), ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ პროფესორთა საბჭოს 18 მაისის დადგენილების მიხედვით აგრონომიული განყოფილების ფაქტიურად გახსნა უნდა გადადებულიყო კიდევ ერთი წლით, რადგან საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე იმ დროისათვის არსებობდა მხოლოდ პირველი ორი კურსი. თათბირმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1. ეთხოვოს უნივერსიტეტის საბჭოს, რათა 1919 წელსვე გაიხსნას აგრონომიული განყოფილების მესამე კურსიც.
2. პედაგოგებად სპეციალურ საგნებში მოწვეულ იქნენ საქართველოში არსებული ძალები—ქართველი სპეციალისტები, ხოლო საჭიროების მიხედვით შესაძლებლად ჩაითვალოს დროებით სხვა ქვეყნების სპეციალისტთა მოწვევაც.
3. მესამე კურსი დაკომპლექტებულ იქნეს ძირითადად თბ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის იმავე კურსის სტუდენტებით. ამ საქმის მოგვარება იკისრეს სტუდ. ივ. ჩხენკელმა და ნ. იოსელიანმა.

უნივერსიტეტის საბჭომ 1919 წ. 4 ივნისს მოისმინა აღნიშნული თათბირის დადგენილება და საინიციატივო ჯგუფის შუამდგომლობა და შესაძლებლად

სცნო ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება. მან გადასწყვიტა იმავე წლის შემოდგომიდან გახსნილიყო აგრონომიული განყოფილების სამივე კურსი იმ პირობით კი, რომ მესამე კურსზე სტუდენტთა რაოდენობა იქნებოდა არანაკლებ 15 კაცისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით სტუდენტობის ენერგიული მუშაობის და მხურვალე აგიტაციის შედეგად 1 ოქტომბრისათვის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გადმორიცხულმა სტუდენტთა რაოდენობამ მიაღწია 15 კაცს, ხოლო ნოემბერში ავიდა 19-მდე.

მაშასადამე ამ მხრივ საკითხი მოგვარებული იყო.

ამასთან პარალელურად მიმდინარეობდა განყოფილების დაკომპლექტება პედაგოგიური ძალებით. პირველი ორი კურსის საკითხი ამ მხრივ არ იდგა ისე მწვავედ იმ სასწავლო გეგმის თანახმად, რომელიც შემუშავებული იყო ამ განყოფილებისათვის 1919 წ. გაზაფხულზე სპეციალისტთა თათბირის მიერ და დამტკიცებული საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მიერ. ამ კურსებზე ძირითადი საგნები სტუდენტებს უნდა მოესმინათ ბუნებისმეტყველებასთან ერთად, აგრონომიული განყოფილების მოსწავლეთ კი დამატებით უნდა განევლოთ პირველ კურსზე გეოდეზია, პოლიტეკონომია და ზოგადი სტატისტიკა, ხოლო მეორე კურსზე—მეტეოროლოგია, ენტომოლოგია და ფიტოპათოლოგია.

ამ საგნების და აგრეთვე მესამე კურსის სპეციალურ დისციპლინათა სწავლების უზრუნველსაყოფად 1919 წ. ზაფხულ-შემოდგომაზე მოწვეულ იყვნენ: ინჟ.-აგრონომი კ. მ. ამირაჯიბი (სასოფლო-სამეურნეო მექანიკა), აგრ. დ. პ. გედევანიშვილი (ნიადაგმცოდნეობა და ზოგადი მიწათმოქმედება), ი. ფიგუროვსკი (მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია), ბ. უვაროვი (ზოოლოგია და ენტომოლოგია). გეოდეზიის კურსის წაკითხვა და ხელმძღვანელობა იკისრა პროფ. ა. ბენაშვილმა.

1919—20 აკად. წლის მანძილზე, ზემოაღნიშნულ საგნებში მუშაობის უზრუნველსაყოფად მოწვეულ იყვნენ ასისტენტებად: ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრასთან ალ. ილინსკი (1919/XI), მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრასთან აკ. ნაფეტვარიძე (1920/III), ზოგადი მიწათმოქმედების კათედრასთან გ. ტ. რცხილაძე (1920) და სასოფლო-სამეურნეო მექანიკის კათედრასთან ი. ნ. ლომოური (1920).

ამრიგად, მასწავლებელთა კადრების მხრივაც განყოფილების მესამე (არსებითად აგრონომიული) კურსი ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ძირითადად დაკომპლექტებული იყო და შესაძლებელი გახდა მეცადინეობის დაწყებაც.

მართლაც 1919 წ. 2 ოქტომბერს უნივერსიტეტის შენობაში შესდგა მესამე კურსის პირველი ლექცია (სატყეო ენციკლოპედიაში).

ამის შემდეგ 1920 წლის მანძილზე მორიგ საკითხად იდგა უკვე მეოთხე კურსის უზრუნველყოფა ლექტორებით. ასე, ასისტენტი ი. ნ. ლომოური ოქტომბრიდან დაინიშნა „კერძო მიწათმოქმედების“ კურსის ლექტორად და მასვე დაეკისრა ამავე სახელწოდების კათედრის გამგებლობა; იმავე თვეს მოწვეული იყვნენ ს. მ. ჩოლაყაშვილი მევენახეობის საგნის ლექტორად და კათედრის

გამგედ, ალ. თამამშევი ზოგადი და კერძო ზოოტექნიკის ლექტორად და კათედრის გამგედ. ნოემბრიდან მათ მიემატა სილ. ფილატოვი—მეღვინეობისა და სას.-სამ. ტექნოლოგიის ლექტორად, ინჟ. გრ. ქურდიანი—ბიოლოგიურ-ტექნიკისა და საინჟენერო ხელოვნების ლექტორად. ამავე წლის დეკემბრიდან დოც. გ. ნ. გეხტმანს დაევალა სას.-სამ. ეკონომიკის კურსის გაძღოლა, მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიაში ლექტორად მოწვეული იყო ვ. ალექსანდროვი, ხოლო 1921 წ. აპრილიდან მებაღეობა-მეხილეობის ლექტორად—ად. როლოვი.

ამრიგად, 1920—21 სასწავლო წლის განმავლობაში ძირითადად დამთავრდა აგრონომიული განყოფილების ჩამოყალიბება. ამ წელს იგი უკვე წარმოდგენილი იყო ოთხივე კურსით და მათზე იკითხებოდა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითქმის ყველა საგანი.

მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო, რომ ასეთი სტრუქტურა დიდხანს ვერ იარსებებდა. მართლაც და აგრონომიულ განყოფილებაზე მე-3 და მე-4 კურსის გახსნას ბუნებრივად მოჰყვა მთელ რიგ აუცილებლად საჭირო, მისთვის სპეციფიკურ, დაწესებულებათა შექმნაზე ზრუნვა. ასეთები იყო პირველ რიგში სასწავლო მეურნეობა, როგორც საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო, ისე მეტყეობის დარგისათვის, ღვინის სარდაფი, მეცხოველეობის ფერმა, საფუტკრე და სხვ. რაც უფრო იზრდებოდა განყოფილება, რაც უფრო მკაფიოდ ყალიბდებოდა იგი ორგანიზაციულად თავისი სასწავლო მიზნების შესაბამისად, მით უფრო გადაუდებელი ხდებოდა ამ დამხმარე დაწესებულებათა მოწყობაზე ზრუნვა. მაგრამ არსებული სტრუქტურა მარტო ამ მხრივ არ იყო შემბორკველი აგრონომიული დარგის განვითარებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განყოფილების სახით მისი არსებობა თავიდანვე გულისხმობდა პირველი ორი კურსის სასწავლო გეგმის იგივეობას საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან. ამის მიხედვით ძირითადი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება სწარმოებდა ერთი და იმავე შინაარსით და მოცულობით. იგი იწვევდა განყოფილების სასწავლო გეგმის გადატვირთვას, რადგან აგრონომიული განხრის სტუდენტებისათვის საჭირო გახდა დამატებით რამდენიმე საგნის შეტანა როგორც პირველ, ისე მეორე კურსზე.

ამას ზედ დაერთო კიდევ ერთი, ფრიად საყურადღებო გარემოება: აგრონომიული განყოფილების დაარსების პირველი წლიდანვე, ნათლად აღინიშნა ახალგაზრდობის ძლიერი ლტოლვა ამ დარგის მიმართ. მესამე წლის დასაწყისში სტუდენტთა რაოდენობა განყოფილებაზე ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე საკუთრივ საბუნებისმეტყველო დარგზე.

ყველაფერი ეს აშკარად მოწმობდა, რომ საქმის ამგვარ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლებოდა, რომ საჭირო იყო ღონისძიებები აგრონომიული დარგის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის.

ეს საკითხი არაერთხელ ყოფილა როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მსჯელობის საგნად.

1920 წ. 29 მაისს პროფესორთა საბჭომ მოისმინა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოხსენება საერთოდ ფაკულტეტის და კერძოდ „სამეურნეო“ გან-

ყოფილების შესახებ და დაადგინა: „სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან დაარსდეს ცალკე ინსტიტუტი, რომლის მიზანია თეორიული კვლევა-ძიება სამეურნეო საკითხებისა და სწავლულ აგრონომთა მომზადება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დადგენილებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია და „ინსტიტუტის“ იდეა კიდევ არაერთხელ ყოფილა სჯა-ბაასის საგნად.

მაგრამ ამავე პერიოდში შეიქმნა ვითარება, რომელმაც ახალი მიმართულება მისცა აგრონომიული განათლების საკითხს.

1921 წლის თებერვლიდან იწყება საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა. საქართველოს მშრომელებმა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, სამუდამოდ დაამხეს მენშევიკების ბატონობა. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ მტკიცე ხელით აღკვეთა კაპიტალისტური სახელმწიფოების თავდასხმა, მძიმე სამოქალაქო ბრძოლაში გაანადგურა ინტერვენტები და შინაური კონტრრევოლუცია. იწყებოდა ძველი წესწყობილების ნანგრევებზე ახალი ცხოვრების აღორძინება. საბჭოთა ქვეყანა გამოვიდა მშვიდობიანი მშენებლობის, მთელი სახალხო მეურნეობის ახალ საფუძველზე აღდგენის გზაზე. გრანდიოზული მასშტაბით დაწყებულ მუშაობას სჭირდებოდა უამრავი კულტურული ძალა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში. საჭირო იყო დიდი ეპოქის შესაფერისი ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდა და ამ ახალი კადრების უმთავრესი სამჭედლოს—უმაღლესი სასწავლებლის შინაარსისა და ორგანიზაციული წყობის საფუძვლიანი გარდაქმნაც ამ დიდი ამოცანების შესაფერისად.

5381

თავიდანვე ნათელი იყო, რომ ახალი, საბჭოთა აგრონომის მომზადება არ შეეძლო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფარგლებში მოქცეულ აგრონომიულ განყოფილებას, რომ ნამდვილი აგრონომიული უმაღლესი სკოლა ვერ დარჩებოდა სხვა რომელიმე ფაკულტეტის დანამატ ნაწილად.

1921 წ. 25 ივლისს უნივერსიტეტმა მიიღო განათლების კომისარიატისაგან ოფიციალური ცნობა უნივერსიტეტის სტრუქტურის შეცვლის შესახებ, რომლის მიხედვით იგი ამიერიდან უნდა შეიცავდეს 5 ფაკულტეტს: პოლიტექნიკურს, სამკურნალოს, სოციალ-ეკონომიურს, პედაგოგიურს და სასოფლო-სამეურნეოს.

1921 წ. 30 სექტემბერს შესდგა აგრონომიული ფაკულტეტის პირველი სხდომა, რომელზედაც ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი პ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი და ფაკულტეტის მდივნად ასისტენტი გ. ტ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე.

1921 წ. 30 სექტემბერი ითვლება აგრონომიული ფაკულტეტის ფაქტიური ჩამოყალიბების დატად. ამ ხნიდან იწყება ფაკულტეტის სისტემატური აღმშენებლობა და მისი მოწყობის ფართო გეგმების თანდათანობით განხორციელება.

უკვე 1921 წ. შემოდგომიდან ფაკულტეტის საბჭომ მიიღო და უნივერსიტეტის საბჭომ დაამტკიცა ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით ფა-

კულტეტი შესდგებოდა 3 განყოფილებისაგან: აგრონომიული, სატყეო და სავეტერინარო. სწავლის ხანგრძლიობა განისაზღვრა 3 წლით, რის შემდეგ, სწავლული აგრონომის, სწავლული მეტყევის და ვეტერინარის წოდების მისაღებად კურსდამთავრებულს უნდა წარედგინა და დაეცვა სპეციალურ თემაზე ფაკულტეტში სადიპლომო შრომა.

უნდა აღინიშნოს, რომ სავეტერინარო განყოფილების გახსნა ვერ მოხერხდა ვერც მაშინ და ვერც შემდეგ წლებში და იმ პერიოდში 1924 წლამდე ფაკულტეტთან ფაქტიურად არსებობდა ორი განყოფილება: აგრონომიული და სატყეო.

სასწავლო გეგმამ კიდევ ერთხელ განიცადა მნიშვნელოვანი შეცვლა, როდესაც 1924/25 სასწავლო წლიდან იგი გაიყო სამ დარგად: სოფლის მეურნეობის (იგულისხმებოდა მემინდვრეობა-მესაქონლეობა), მებაღეობა-მეღვინეობის და ტყის მეურნეობის.

სამეცნიერო-პედაგოგიური ძალებით უზრუნველყოფის საკითხი ყოველთვის შეადგენდა მუდმივი ზრუნვის საგანს, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ დადგა იგი ფაკულტეტის დაარსების ხნიდან. მართალია, პირველი და ნაწილობრივ მეორე კურსის საგნების პედაგოგიური პერსონალით უზრუნველყოფა არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს, რადგან აქ წინანდებურად ძირითად ბირთვს შეადგენდა საერთოდ უნივერსიტეტის მეცნიერულ-პედაგოგიური ძალები, მაგრამ სპეციალურ აგრონომიული დისციპლინების გაძღოლა მოითხოვდა შეუნელებელ ყურადღებას.

ფაკულტეტი ამ მხრივ ღებულობდა ყოველნაირ ზომას: იზიდავდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ქართველ მეცნიერ პედაგოგებს, ცალკე კურსების წასაკითხავად იწვევდა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდანაც კი ცნობილ პროფესორებს, ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს, მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს მხოლოდ დროებითი ზომაა, რომ უმაღლესი აგრონომიული განათლების საქმე ვერ დადგებოდა მკვიდრ ნიადაგზე საკუთარი, მუდმივი ძალების გარეშე და საჭირო იყო ამ ახალი ძალების შექმნაზე ზრუნვა.

უნივერსიტეტმა და კერძოდ აგრონომიულმა ჯერ განყოფილებამ და შემდეგ ფაკულტეტმა გამოიყენა საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში სწავლის გასაგრძელებლად და ცოდნის გასაღრმავებლად საკმაოდ ხანგრძლივი მივლინებების შესაძლებლობა. მარტო საზღვარგარეთ ამ მიზნით წარგზავნილთა რიცხვი აღწევდა 10 კაცს. თანდათან დაიწყო მათი უკან დაბრუნება (ნ. იოსელიანი, ლ. პ. კალანდაძე, დ. გ. აგლაძე, ნ. მ. ხომიზურაშვილი, ბ. კანდელაკი და სხ.) და მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა ცალკეულ დისციპლინებში არსებული ხარვეზების შევსება. ამასთან პარალელურად დიდი მუშაობა იყო ჩატარებული ახალგაზრდა კადრების ადგილობრივ მომზადებისათვის აქაურ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში (თბილისის ბოტანიკური ბაღი, მეაბრეშუმეობის სადგური, მიწსახკომის ცენტრალური სას.-სამ. ლაბორატორია, კახეთის მევენახეობის სადგური და სხ.) და თვით ფაკულტეტის ფარგლებში ბევრ, ორგანი-

ზაციულად უკვე საკმაოდ მომაგრებულ კათედრაზე (ნ. ნ. კეცხოველი, ი. ლ. ჯაში, ნ. ს. იაშვილი, ა. მაყაშვილი, ქ. ცხაკაია, ბ. ვარდოსანიძე და სხ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაკულტეტის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა, მისი კათედრებისა და მათი სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მოწყობის პერსპექტივა ორგანულად დაკავშირებული იყო ბინის—შენობის საკითხთან. ამ მხრივ ფაკულტეტი საკმაოდ გრძელი პერიოდის მანძილზე მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იყო. ჯერ კიდევ 1919 წ. 18 იანვარს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ყოფ. სასულიერო სემინარიის შენობის (ვაკეში) მისთვის გადმოცემის შესახებ და ეს შუამდგომლობა იმავე წლის იანვარში დაკმაყოფილებული იყო. 1920 წ. ნოემბერში პროფესორთა საბჭომ დააკმაყოფილა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შუამდგომლობა აღნიშნული შენობის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისათვის გადმოცემის შესახებ. განყოფილებაც დაუყოვნებლივ შეუდგა ამ შენობის ათვისებას და წესრიგში მოყვანას, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა მას აღარ დასცალდა. მდგომარეობა შეიცვალა, შენობა გადაეცა სამხედრო უწყებას და აგრონომიული ფაკულტეტი ექვსი წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა მის უკან დაბრუნებას.

ასეთ ვითარებაში უნივერსიტეტი იძულებული იყო მთავარ შენობაში გამოეყო ახლად დაარსებულ „სამეურნეო“ განყოფილებისათვის და შემდეგ აგრონომიული ფაკულტეტისათვის მცირე ფართობი. 1919 წ. ამ მიზნით განყოფილებამ მიიღო 4 ოთახი, 1920 წ. მიემატა კიდევ რამდენიმე, ხოლო 1923 წ. ფაკულტეტს ეჭირა მთავარ შენობაში უკვე მესამე სართულის ერთი ფრთა მთლიანად და მეორე სართულში კი 5 ოთახი.

მაგრამ ამ ღონისძიებას არ შეეძლო საკითხის საბოლოოდ გადაჭრა. აგრონომიული ფაკულტეტისათვის საკმაოდ დიდი ფართობის გადაცემამ უაღრესად შეავიწროვა დანარჩენი ფაკულტეტები და შეაფერხა მათი ზრდა-განვითარება, ხოლო თვით აგრონომიული ფაკულტეტი მაინც რჩებოდა დაუკმაყოფილებელი. მდგომარეობა რამდენადმე შემსუბუქდა მას შემდეგ, როდესაც 1924 წ. ოქტომბერში შესაძლებელი გახდა ყოფ. ქალთა მეოთხე გიმნაზიის შენობაში (პეროვის ქ.) 13 ოთახისა და 1925 წ. კამოს ქუჩაზე სას.-სამ. ტექნიკუმის ერთი სართულის (10 ოთახის) მიღება. ამ ორ შენობაში მოათავსა ფაკულტეტმა კათედრების უმეტესი ნაწილი, მაგრამ საკუთრივ უნივერსიტეტის შენობაშიაც დარჩა ნაწილი კათედრებისა და მანქანა-იარაღების მოსათავსებელი ბინა (ვესტიბიულის ქვეშ). ამრიგად, აგრონომიული ფაკულტეტი ნაწილობრივ დაიქსაქსა, შესუსტდა კათედრების ურთიერთთან კავშირი, გართულდა ფაკულტეტის მართვა-გამგებლობა და გაძნელდა მოსწავლე-სტუდენტობის მდგომარეობაც.

1927 წელს უნივერსიტეტს დაუბრუნდა აგრონომიული ფაკულტეტისათვის ყოფ. სასულიერო სემინარიის შენობა. იმავე 1927 წ. შემოდგომიდან აგრონომიული ფაკულტეტი მთლიანად მოთავსდა ახალ ბინაზე და უკვე შეეძლო ინტენსიური მუშაობის წარმოება კათედრებისა და სხვა დამხმარე დაწესებულებათა მოწყობა-გაფართოების მიზნით.

რათქმა უნდა, საკუთარი ძალებით და თანხებით, ფაკულტეტი ვერასდროს ვერ შესძლებდა თავისი კათედრების იმ სახით მოწყობას, როგორც ეს შესაძლებელი გახდა მისი არსებობის შედარებით ხანმოკლე პერიოდში, რომ ამ საქმეში მას, პარტიისა და ხელისუფლების ფართო დახმარების შედეგად არ მიეღო სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ უკვე მზა-მზარეული ქონება—ავეჯის, ექსპონატების, კოლექციების, ხელსაწყოების და ზოგჯერ კი მთელი დაწესებულებების გადმოცემით.

შესანიშნავი განძი შეეძინა ფაკულტეტის სატყეო განყოფილების კათედრებს 1923 წ. ლიკანის სასახლიდან (ბორჯომიდან) გადმოტანილი სატყეო მუზეუმის სახით. 1924 წ. ოქტომბერში საქ. მიწსახკომმა აგრონომიულ ფაკულტეტს გადასცა საუცხოოდ მოწყობილი ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორია.

1925 წ. საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა აგრონომიული ფაკულტეტისათვის შეიძინა ყოფ. „ჩრდილოეთის სას.-სამ. საზოგადოების“ (ლენინგრადში) მთელი ქონება და ბიბლიოთეკა.

1925 წელსვე მუხრანის სასწავლო მეურნეობაში ცხოველთმომშენებლობის კათედრამ მოაწყო საცდელი ფარეხი, რომელიც შეიცავდა საქართველოს, კავკასიის და შუა აზიის ცხვრის ჯიშებისა და აგრეთვე მიწსახკომის მიერ გადმოცემულ მერინოსის ჯიშის მდიდარ კოლექციას. ეს ფარეხი საფუძვლად დაედო ცხოველთმომშენებლობის კათედრის მიერ წარმოებულ ფართო სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას.

დიდი დახმარება გაუწია სას.-სამ. მექანიკის კათედრის მოწყობას იმავე 1925 წ. საკავშირო სას.-სამ. გამოფენიდან ფაკულტეტისათვის გადმოცემულმა დიდძალმა სას.-სამ. მანქანა-იარაღებმა, ხოლო ზოგადი და კერძო მიწათმოქმედების, მევენახეობის, მებაღეობის და სხ. კათედრებს იმავე გამოფენიდან დაბრუნებულმა მდიდარმა კოლექციებმა და ექსპონატებმა, რომლებიც ამ გამოფენისათვის დამზადებული იყო სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ.

1926 წ. ენტომოლოგიის კათედრას გადაეცა თბილისის ბოტანიკურ ბაღში გაუქმებული ენტომოლოგიის განყოფილების მთელი ქონება.

1920 წელს ფაკულტეტმა მიიღო ამ დროისათვის ლიკვიდირებული „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების (წინათ—„კავკასიის სას.-სამ. საზოგადოება“) ბიბლიოთეკა, მეტად მდიდარი კოლექციები, აპარატურა, მანქანა-იარაღები, ავეჯეულობა და სხვა მოწყობილობა.

სასწავლო მეურნეობის გარეშე წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, სულერთია რომელი საფეხურისაც არ უნდა იყოს ის. მით უფრო აუცილებელია იგი უმაღლესი აგრონომიული სკოლისათვის, რომლისათვისაც სასწავლო მეურნეობა საჭიროა არა მარტო ახალგაზრდა სპეციალისტების მოსამზადებლად, როგორც სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ბაზა, არამედ პედაგოგიური პერსონალის სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვისაც. მთელ საბჭოთა კავშირში არ არსებობს არც ერთი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც არ გააჩნდეს თავისი სასწავლო მეურნეობა. საკუთარი

მეურნეობის გარეშე აგრონომიული სასწავლებელი ისევე წარმოუდგენელია, როგორც მაგალითად, სამედიცინო უმაღლესი სკოლა უკლინიკებოდ.

ეს კარგად ჰქონდა შეგნებული უნივერსიტეტის პროფესორთა იმდროინდელ საბჭოსაც, რომლის დიდი უმეტესობა თავისი საქმიანობითაც ძალიან შორს იყო სოფლის მეურნეობისაგან, მაგრამ ნათლად ხედავდა აგრონომიული სასწავლებლისათვის სასწავლო მეურნეობის გარდაუვალ აუცილებლობას.

ამიტომ იყო, რომ ჯერ ისევ 1919 წ., როდესაც პირველად დაისვა კონკრეტულად საკითხი უნივერსიტეტთან სასოფლო-სამეურნეო დარგის ორგანიზაციის შესახებ, ბუნებრივად და მთელი თავისი მნიშვნელობით წამოიჭრა ამ დარგის სათანადო მეურნეობით და სხვა დამხმარე დაწესებულებებით უზრუნველყოფის საკითხიც.

თავისთავად ცხადია, რომ აგრონომიული ფაკულტეტის დაარსება უფრო მეტად გაზრდიდა ამ საქმის მიმართ ყურადღებას და გააცხოველებდა მის მოგვარებაზე ზრუნვას.

ფაკულტეტის უკვე პირველ და მეორე სხდომაზე (1921 წ. 30 სექტემბერი და 7 ოქტომბერი) საჭიროდ იყო ცნობილი სათანადო შუამდგომლობის აღძვრა ფაკულტეტის განკარგულებაში სოფ. მუხრანთან მდებარე, ე. წ. „ქართლის სახალხო მეურნეობის“ გადმოცემის შესახებ. ამ მეურნეობაში ფაკულტეტს და მასზე ადრე—სას.-სამ. განყოფილებას ფაქტიურად უკვე ჰქონდა ფეხი შედგმური, რადგან ამ განყოფილების დაარსების პირველ წლიდანვე მუხრანის მეურნეობის კარი ფართოდ იყო გაღებული სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისათვის.

მუხრანის მეურნეობისათვის შემთხვევით არ მიუპყრია ყურადღება ფაკულტეტს. მთელ საქართველოში ძნელად თუ მოიძებნებოდა მეორე ისეთი მეურნეობა, რომელიც თავისი მდებარეობითდა დარგების მრავალფეროვნებით ასე ზედმიწევნით შეეფერებოდეს უმაღლესი აგრონომიული სასწავლებლის მიზნებს. მუხრანის მეურნეობაში წარმოდგენილი იყო: მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა; მასზე იყო მიწერილი 500 ჰა-მდე ე. წ. „ძალისის ტყე“. მეურნეობას ჰქონდა საუცხოოდ მოწყობილი ღვინის სარდაფი ყველა დამხმარე შენობით, სასახლე—მთავარი საცხოვრებელი, მრავალი სახლი-ბინები, საწყობები და სხ. მეურნეობის როგორც ცენტრალურ ნაწილში (მუხრანში), ისე მისი მევენახეობის განყოფილებებში (დამპალოში—აღაიანში), ფართოდ გაშლილი კარ-მიდამო, რომლის ნაწილზე გაშენებული „პარკი“, ყოველგვარ შესაძლებლობას იძლეოდა ახალი საბინაო მშენებლობისას ფაკულტეტის სასწავლო და საგამოკვლევო მიზნებისათვის.

თუ ამას დავუმატებთ, რომ ეს მეურნეობა ახლოა თბილისთან და ადვილად მისასვლელი, როგორც რკინიგზით, ისე გზატკეცილითაც, გასაგები გახდება, თუ რატომ ისწრაფოდა ასე დაჟინებით აგრონომიული ფაკულტეტი ამ მეურნეობის მიღებას. ამ კომპლექსური ტიპის მეურნეობაში ნაწილობრივ უკვე იყო და შედარებით ადვილად მოიწყობოდა სოფლის მეურნეობის ყველა ის დარგი, რომელიც დამახასიათებელია საქართველოსათვის, გარდა, რა თქმა უნდა, სუბტროპიკული კულტურებისა.

ბოლოს, როგორც იყო, ეს საქმე წარმატებით დამთავრდა. 1924 წ. 1 ივ-
ლისიდან მუხრანის მეურნეობა ჩაიბარა უნივერსიტეტმა და მით — აგრონომიულ-
მა ფაკულტეტმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი მნიშვნელობისა იყო ეს ფაქტი ფაკულტეტის ცხოვრებაში. ამიერიდან აგრონომიულმა ფაკულტეტმა მიიღო თავისი ნორმალური სახე; მას გაუჩნდა საკუთარი საწარმოო ბაზა ახალგაზრდა კადრების, აგრონომ-სპეციალისტების არა მარტო თეორიული, არამედ წარმოების პირობებში პრაქტიკულად გაწვრთნა-მომზადებისათვის. მეურნეობის ტერიტორია, მისი ყოველი დარგი ამ ხნიდან გახდა სპეციალური კათედრების მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ასპარეზად, სადაც იზრდებოდა და ეუფლებოდა ექსპერიმენტული მუშაობის მეთოდებს და ხერხებს კათედრების ახალგაზრდა ძალები.

ყველა ამ მხრივ ის ხანმოკლე, სულ 6—7 წლიანი პერიოდი, როდესაც აგრონომიულ ფაკულტეტს გააჩნდა ეს სასწავლო მეურნეობა, სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ამ ფაკულტეტის ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო ხანად.

მაგრამ, ამასთან ერთად, მუხრანის სასწავლო მეურნეობის პატრონობა, მისი შენახვა და გაძღოლა მძიმე ტვირთად დააწვა უნივერსიტეტს. მდგომარეობის გართულების მიზეზი ერთი და ორი არ იყო, მაგრამ მთავარი, რაც ძირს უთხრიდა ამ სახის მეურნეობის არსებობას, ეს იყო მისი ფინანსიური მხარის სრული მოუწესრიგებლობა. სასწავლო და საგამოკვლევო მიზნების განხორციელება მოითხოვდა ყოველწლიურად მნიშვნელოვან დოტაციას. მის საარსებო წყაროს ძირითადად წარმოადგენდა მოკლევადიანი სესხი შექმნილ პროდუქციაზე, უმთავრესად ღვინოზე.

მდგომარეობა ვეღარ გამოასწორა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1927 წ. 1 ივლისის დადგენილებამაც, რომლის თანახმად მუხრანის მეურნეობის შენახვა უნდა გადასულიყო სამეურნეო ანგარიშზე, ხოლო სასწავლო დამხმარე ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფილიყო სახელმწიფო ბიუჯეტით. ამ დადგენილებამ რამდენადმე შეამსუბუქა მეურნეობის გასაჭირი, მაგრამ მაინც ვერ იქნა მიღწეული მისი ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორება, რადგან მძიმე ტვირთად აწვა წინა წლების დავალიანება და საქ. განსახკომის ხაზით მიღებული საბიუჯეტო დახმარებაც იმდენად მცირე იყო, რომ ვერ ფარავდა თვით საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ მიმდინარე ხარჯებსაც კი.

ამ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ფაკულტეტი მაინც ახერხებდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე მიღებული თანხებით მთელ რიგ მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებას.

ასე, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ 1926—1927 წ.წ. მუხრანის მეურნეობაში მოეწყო ჰიდრო-მოდულის სადგური, რისთვისაც საჭირო გახდა მთელი მინდვრის ტერიტორიის აგეგმა, დაპროექტებული თესლბრუნვის მიხედვით საროტაციო მინდვრების ხელახლად დაყოფა, სარწყავი ქსელისა და გზების რეორგანიზაცია. ამ მუშაობამ საფუძველი ჩაუყარა მუხრანის მეურნეობაში მემინდვრეობის მომავალ საცდელ სადგურს.

იმავ წლებში ასეთნაირად რეორგანიზებულ მინდვრის ტერიტორიაზე „შაქრის ტრესტთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად, ფართო მასშტაბით სწარმოებდა ცდები სარწყავ პირობებში შაქრის ჭარხლის აგროტექნიკის [illegible] ხებზე.

1927 წ. საქართველოს აბრეშუმის ტრესტთან მუხრანის მეურნეობაში 5 ჰექტარზე თუთის ხის სანერგის მოწყობაზე დადებულმა ხელშეკრულებამ, შესაძლებელი გახადა ამდენსავე ფართობზე ხილის ახალი ბაღის გაშენებაც.

როგორც წინათაც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ორგანიზაციის დახმარებით, ცხოველთმომშენებლობის კათედრამ მეურნეობაში მოაწყო სხვადასხვა ჯიშის ცხვრის საცდელი ფარეხი, რომელიც დაარსების პირველი დღეებიდანვე გადაიქცა მეცხოველეობის კათედრების საცდელ და საგამოკვლევო საქმიანობის ერთ უმთავრეს ობიექტად.

თვით მეურნეობის და მევენახეობის კათედრის ძალებით და შინაური რესურსებით, დამპალოში გაშენდა ახლად ჩაყრილი ვაზის 3 ჰექტარიანი საცდელი ვენახი.

ცენტრალურ მეურნეობაში ხელახლად მოეწყო და შეივსო სპეციალური აპარატურით მეტეოროლოგიური სადგური და მის ახლოს, ერთ ჰექტარიან ფართობზე, მინდვრის მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთი, ხოლო მინდვრის საერთო ტერიტორიიდან გამოყოფილ ნაწილზე—საცდელი ნაკვეთი, რომელზედაც სისტემატურად აწარმოებდნენ ექსპერიმენტულ მუშაობას ზოგადი და კერძო მიწათმოქმედების კათედრები და თბილ. ბოტანიკური ბაღის სელექციის განყოფილება.

ასეთი იყო სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლის ის თითქმის ათწლიანი პერიოდი, როდესაც იგი ჯერ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის განყოფილების და შემდეგ აგრონომიული ფაკულტეტის სახით ორგანიზაციულად დაკავშირებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

ძნელია მეხსიერებაში აღვადგინოთ სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლის ამ პირველი პერიოდის ყოველი დეტალი. მეხსიერება ველარ აღადგენს ქართული ეროვნული კულტურის ამ დიდი საქმის მესვეურთა და მოღვაწეთა სრულ სიას; მაგრამ ამ პირთა შორის არიან ისეთები, რომელთა ღვაწლი დაკავშირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ცხოვრებასთან, ასეთებია: თბილისის უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორი პროფ. ი. ჯავახიშვილი, აგრონომიული ფაკულტეტის პირველი დეკანი პროფ. პ. მელიქიშვილი, პროფ. ა. ბენაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. ამირაჯიბი, გ. გეხტმანი, დ. გედევანიშვილი, ი. ლომოური, ს. ჩოლაყაშვილი, გ. რცხილაძე, ნ. იოსელიანი, ზ. ყანჩაველი, ა. როლოვი, ა. თამამშევი და ცოტა უფრო გვიან კ. მოდებაძე, ი. გაჩეჩილაძე და სხ.

ყურადღებით აღსავსე იყო იმთავითვე საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და ყველა მისი სამმართველოს და განყოფილების დამოკიდებულება ამ ახლად დაარსებული აგრონომიული უმაღლესი სასწავლებლისადმი, თუმცა ეს

უკანასკნელი ფორმალურად არ შედიოდა მიწსახკომის გამგებლობაში. მუზეუმის სასწავლო მეურნეობის შესანიშნავად მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიის, მანქანა-იარაღების სრული კომპლექსის, სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნებული უამრავი ექსპონატის გადმოცემამ, და ხშირ შემთხვევაში ფულადი სახსრებით დახმარებამაც, სულ მოკლე ხანში ფეხზე დააყენა ფაკულტეტი და დააჩქარა მისი ორგანიზაციის დამთავრება. იმ დროს მიწსახკომის უშუალო გამგებლობაში მყოფმა საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ გაუღეს კარი აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტობას სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მისაღებად და გამოცდილი სპეციალისტების ხალისიანი მონაწილეობით უზრუნველყოფდნენ აგრონომ-სპეციალისტთა მომზადების ამ მნიშვნელოვან მხარეს.

არ შეიძლება მადლობით არ მოვიგონოთ აგრეთვე მთელ რიგ სამეურნეო და საზოგადოებრივ-კოოპერატიულ ორგანიზაციათა აქტიური თანაგრძნობაც, ხშირად ის გულუხვი დახმარება, რომელსაც არ იშურებდნენ ისინი საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტებისათვის, რასაც იმ პერიოდში განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ის თვალსაჩინო როლი, რომელიც შეასრულა მაშინდელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ უნივერსიტეტთან სას.-სამ. განყოფილების დაარსების საქმეში. მაგრამ მისი საქმიანობა ამით არ განსაზღვრულა. იმდროინდელმა სტუდენტობამ დიდი მუშაობა ჩაატარა ამ განყოფილების და შემდეგ ფაკულტეტის პედაგოგიური ძალებით უზრუნველსაყოფად.

მოსწავლე ახალგაზრდობა კარგად ხედავდა, რომ მარტოოდენ ოფიციალური, განყოფილების თუ ფაკულტეტის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინათა ათვისება, მეტადრე ჯერ კიდევ მოუწყობელ და პედაგოგიური ძალებითაც შედარებით სუსტ სასწავლებელში, არ იყო საკმარისი იმ ხარისხის აგრონომ-სპეციალისტების მოსამზადებლად, რომლებიც საჭირო იყვნენ ქვეყნისათვის. მომავალ სამოღვაწეო ასპარეზზე მუშაობის დიდი პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებამ, ამ მუშაობისათვის იმთავითვე სერიოზული მზადების აუცილებლობამ, ამ მიზნით საკუთარი ინიციატივით და თვითმოქმედებით უმაღლეს სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავება გაფართოებისა და პრაქტიკულ ჩვევათა განმტკიცების საჭიროებამ, ბუნებრივად გაშალა სტუდენტთა თვითმოქმედებისა და თვითმზადების ორგანიზაციის იდეა. მოსწავლე ახალგაზრდობაში ამ იდეის დამნერგავი და მისი განხორციელების პირველი ინიციატორი იყო ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის ასისტენტი და ცოტა ხნის შემდეგ კი აგრონომიული ფაკულტეტის პირველი მდივანი გ. რცხილაძე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო „სტუდენტთა აგრონომიული წრის“ შექმნას.

სტუდენტთა აგრონომიული წრე ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1920 წლის შემოდგომაზე. მალე მან, საერთო კრების ერთსულოვანი დადგენილებით, მიიღო დიდი მეცნიერის, უნივერსიტეტის პირველი რექტორის და აგრონომიული ფაკულტეტის პირველი დეკანის, დამსახურებული პროფესორის პ. გ. მელიქიშვილის სახელწოდება.

სულ მოკლე ხანში სტუდენტთა აგრონომიულმა წრემ მოიზიდა არა მარტო აგრონომიული ფაკულტეტის ყველა კურსის სტუდენტობა, არამედ სხვა ფაკულტეტების მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო წრის პირველი ხელმძღვანელები იყვნენ: გ. აბესაძე, ნ. კეცხოველი, ნ. იაშვილი და სხ.

უკვე დაარსების პირველი დღიდანვე დაიწყო წრის სისტემატური მუშაობა ჯერ მოხსენებების წაკითხვით და შემდეგ აგრეთვე საკუთარი ბიბლიოთეკისა და სას.-სამ. მუზეუმის შექმნაზე ზრუნვით. ერთსაც და მეორესაც, სხვადასხვა ორგანიზაციის გულუხვი დახმარების და განსაკუთრებით კი თვით სტუდენტთა ენერგიისა და საქმისადმი სიყვარულის მეოხებით, საფუძველი ჩაეყარა წრის არსებობის პირველი წლიდანვე და მისი დაარსების წლისთავზე, 1921 წლის 19 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტის სამ დიდ აუდიტორიაში მოხდა წრის მუშაობის საზეიმო გახსნა. ეს იყო მართლაც საზეიმო დღე არა მარტო თვით წრისა და აგრონომიული ფაკულტეტის, არამედ მთელი უნივერსიტეტის ცხოვრებაში, რადგან აქ განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა, თუ რამდენი შემოქმედებითი ძალა, ინიციატივა, ენერგია და საქმისადმი სიყვარული იყო დაგროვილი ამ ახალგაზრდობაში. გამოფენაზე წარმოდგენილი რამდენიმე ასეული ექსპონატიდან, არც ერთი არ იყო ისეთი, რომელიც თვით სტუდენტების მიერ არ ყოფილიყო შეგროვილი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ყურადღებით და ზრუნვით ჩამოტანილი, დამუშავებული და გაფორმებული. ეს მუშაობა შემდეგ წლებშიაც არ შეჩერებულა. წრის მუშაობის მეოთხე წლისათვის (1924 წ.) ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობა ავიდა—1.000 ცალამდე, მუზეუმში ექსპონატების რიცხვმა გადააჭარბა—1.500 ცალს და წაკითხული იყო 46 მოხსენება.

ასევე განუწყვეტლივ იზრდებოდა წრის წევრთა რიცხვი: 1921 წ.—40 კაცი, 1922 წ.—85, 1923 წ.—106, 1924 წ.—215 კაცი.

წრე იზრდებოდა რიცხობრივადაც, ხარისხობრივადაც და თავისი ძალების შეგნებითაც. მისი იდეური ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია საკუთარი ინიციატივით და ძალებით მეცნიერული ხასიათის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის „აგრონომიული კრებულის“ გამოშვება (პირველი № 1925 წ., მეორე—1926 წ.), რომელიც დაარსებულ იქნა მე-4 კურსის სტუდ. ი. ჯაშის ინიციატივით. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ—ი. ჯაში (თავ-რე), ივ. ბახტაძე და ნ. იაშვილი.

20 წელმა განვლო მას შემდეგ. ამ ჟურნალში მოთავსებული წერილების ბევრი ავტორი, დღეს მეცნიერულ მუშაობაში გაწრთვნილი, კვალიფიცირებული, შეიძლება ღიმილით ფურცლავდეს თავისი ახალგაზრდობის დროს დაწერილ შრომას, ხედავდეს შიგ აზრის მოუმწიფებლობას და გამოთქმის სისუსტეს, მაგრამ რანაირადაც არ უნდა შევაფასოთ ამ „კრებულის“ შინაარსი და ღირებულება, ერთი რამ მაინც ეჭვს გარეშეა—საქართველოში ეს იყო პირველი სასოფლო-სამეურნეო დარგის მეცნიერული ხასიათის სპეციალური ჟურნალი.

1925 და 1926 წ. აგრონომიული წრის მუშაობამ მიაღწია უმაღლეს წერტილს. ამის შემდეგ მისმა საქმიანობამ თანდათან იკლო, შეეტყო მოდუნება.

ამ სახით მიაღწია მან 1929 წელს. წრე დაიშალა, მუზეუმი და ბიბლიოთეკა თეკა გაუქმდა, ქონება, პატრონის თვალს მოკლებული, ნაწილობრივ დაიქსაქსა, ექსპონატების უმეტესობა კი დანაწილდა კათედრებს შორის და დღესაც აქა-იქ ცალკე ეგზემპლარებად შეგვხდება ის მასალა, ნივთები, საგნები, რომლებიც 20—25 წლის წინათ საკუთარი ხელით (და ზოგჯერ ზურგითაც) ჩამოტანილი ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებს თავისი წრის მუზეუმისათვის.

პერიოდი—სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჩამოყალიბებიდან—1946 წლამდე. მრავალი და ღრმა ცვლილება განიცადა საქართველოში უმაღლესმა აგრონომიულმა განათლებამ, როგორც ორგანიზაციული ფორმის, ისე აკადემიური მეცადინეობის შინაარსისა და სწავლების სისტემის მხრივ. ამ ცვლილებათა სიმრავლით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ისტორიას თავისებური, მეტად განსხვავებული ადგილი უჭირავს საქართველოში არსებულ სხვა უმაღლეს სასწავლებელთა შორის. თუ 1929 წლამდე ის არსებობდა ჯერ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის განყოფილებისა, ხოლო შემდეგ ფაკულტეტის სახით, 1929 წლიდან დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის—სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახით არსებობს. 7—8 წლის განმავლობაში ინსტიტუტის სისტემაში შემავალი ფაკულტეტებისა და კათედრების ბაზაზე რამდენიმე ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და შემდგომ ისევ შეუერთდა მას. ეს გამოყოფა-შეერთების ფაქტი გავლენას ახდენდა გარდა სწავლების ორგანიზაციული მხარისა, სპეციალისტების პროფილზე, რითაც არსებითად განისაზღვრებოდა აკადემიური მეცადინეობის შინაარსი და ხანგრძლიობა.

1929 წლის ბოლომდე უნივერსიტეტთან არსებული აგრონომიული ფაკულტეტი წარმოდგენილი იყო სამი განყოფილების სახით: სოფლის მეურნეობის, მებაღეობა-მევენახეობისა და სატყეოს. ამის შესაბამისად აგრონომიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების ან სადიპლომო შრომის დაცვის შემდეგ, იღებდა—აგრონომ მემინდვრის, აგრონომ მებაღე-მევენახის და მეტყევის კვალიფიკაციას. სახელმწიფო გამოცდების და სადიპლომო შრომის შერჩევა დამოკიდებული იყო სტუდენტთა სურვილზე.

სპეციალობის აღნიშნულ დაჯგუფებასთან დაკავშირებული იყო თვით სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მომზადების 4,5—5 წლიან პერიოდს, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ჩათვლით. თვით სპეციალისტის პროფილი უფრო გამსხვილებული იყო: სოფლის მეურნეობის სპეციალისტები 2 ძირითადი პროფილის სახით იყო წარმოდგენილი, სატყეო ერთი პროფილის სახით, ხოლო აღნიშნული პროფილების ფარგლებში სპეციალიზაცია არსებითად უკანასკნელ კურსზე იწყებოდა. პირველ, მეორე და ძირითადად მესამე კურსებზე საერთო ხასიათის და ზოგადტექნიკური ციკლის საგნები იკითხებოდა.

1929 წელს საქ. განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით (ოქმი № 6, 1929 წ. 30 ნოემბერი), აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამავე ოქმში აღნიშნულია: „ამასთან

დაკავშირებით საჭიროდ იქნას ცნობილი 1-ლი, მე-2 და მე-3 კურსის სტუდენ-ტების დიფერენციაცია ფაკულტეტებისა და სპეციალობათა მიხედვით".

ამ პერიოდიდან ინსტიტუტის სტრუქტურაში მომხდარი გარდატეხა ნათლად ასახავდა ჩვენი სოფლის მეურნეობის საერთო წყობაში არსებულ ცვლილებებს. სოფლად სოციალისტური მშენებლობის ფართო გაშლა, კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება, საბჭოთა მეურნეობების და მანქანა-ტრაქტორების ქსელის ძლიერ გაფართოება, სუბტროპიკულ კულტურათა არნახული ტემპით განვითარება, აყენებდა უმაღლესი სკოლის, ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო განათლების წინაშე ახალ, ფართო ამოცანებს. მაღალკვალიფიციური კადრების მიმართ დიდმა საჭიროებამ გამოიწვია მრავალი პროფილის დაარსება და შემდეგ ცალკე ინსტიტუტების ჩამოყალიბება. პირველ სტალინურ ხუთწლედში დაყენებული უდიდესი ამოცანა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით, აქტუალურად ხდიდა საკითხს სხვადასხვა სპეციალობისა და პროფილის მრავალრიცხოვანი კადრის მომზადების აუცილებლობის შესახებ. ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ინსტიტუტის ფაკულტეტებსა და პროფილებში.

1930 წლის დასაწყისს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შემდეგი ფაკულტეტები და განხრა ჰქონდა:

1. მემინდვრეობის ფაკულტეტი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განყოფილებით
2. მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი სუბტროპიკული განყოფილებით
3. ზოოტექნიკური ფაკულტეტი მეაბრეშუმეობის განყოფილებით
4. სატყეო ფაკულტეტი
5. კოლექტიური მიწათმოქმედების ფაკულტეტი.

ეს უკანასკნელი ფაკულტეტი, დაარსებული 1929 წ. 12 დეკემბრიდან, გაუქმებულ იქნა 1930 წ. 1 მარტიდან (იხ. სას.-სამ. ინსტიტუტის დირექციის სხდომის ოქმი № 8, 1930 წ. 9 მარტის). ამრიგად, დარჩა 4 ფაკულტეტი გამსხვილებული პროფილით.

საქართველოში სუბტროპიკულ კულტურათა განვითარების გრანდიოზულ ამოცანებთან დაკავშირებით, მთელი აქტუალობით იქნა წამოჭრილი საკითხი, სუბტროპიკულ დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების შესახებ. როგორც სამეცნიერო-საკვლევი, ისე პრაქტიკული მუშაობა არსებითად ებჯინებოდა კვალიფიციური სპეციალისტების სიმცირეს.

მეორე მხრივ, ჩვენი მეურნეობის შეიარაღება გაუმჯობესებული მანქანა-იარაღებით და სამუშაოთა მექანიზაციის ზრდა, ისევე აქტუალურად აყენებდა საკითხს სოფლის მეურნეობის მექანიზატორების მომზადების შესახებ. აღნიშნული გარემოებით იყო გამოწვეული საქ. სახკომსაბჭოს 1930 წ. 9 აგვისტოს დადგენილება,—სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტიდან სუბტროპიკული განყოფილების გამოყოფა სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტის სახით (თბილისში), ხოლო მემინდვრეობის ფაკულტეტს გამოეყო მექანიზაციის განყოფილება და ის წარმოდგენილ იქნა მექანიზაცია-ინდუსტრიალიზაციის ფაკულტეტის სახელწოდებით. იმავე

დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ა/კ. სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ზემოაღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად 1930 წ. 1 სექტემბრისათვის შემდეგი ფაკულტეტები იყო:

I. მემინდვრეობის ფაკულტეტი:
   1. მარცვლოვან კულტურათა და
   2. ტექნიკურ კულტურათა განყოფილებებით

II. მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი:
   1. მებაღეობა-მებოსტნეობის და
   2. მევენახეობა-მეღვინეობის განხრით.

III. ზოოტექნიკური ფაკულტეტი:
   1. მეძროხეობის
   2. მეცხვარეობის
   3. მეცხენეობის
   4. მეღორეობის
   5. მეფრინველეობის და
   6. მეაბრეშუმეობის განხრებით.

IV. მექანიზაცია-ინდუსტრიალიზაციის ფაკულტეტი:
   1. მარცვლეულ კულტურათა მექანიზაციის
   2. მებაღეობა-მევენახეობის მექანიზაციის და
   3. ტექნიკურ კულტურათა მექანიზაციის განხრებით (იხ. სას.-სამ. ინსტიტუტის სხდომის ოქმი № 14, 1930 წ. 31 მაისის).

რეორგანიზაციის პროცესი ამით არ დამთავრებულა და 1931 წლიდან საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით (1931 წ. 9 მაისის), ზოოტექნიკური ფაკულტეტიდან გამოყოფილ იქნა მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი, შემდეგი განხრებით: მეთუთეობის, მეაბრეშუმეობის და საგრენაჟო (იხ. ინსტიტუტის დირექციის სხდომის ოქმი № 17, 1931 წ. 23 ივნისის).

როგორც დასახელებული სპეციალობისა და პროფილების ნომენკლატურიდან ჩანს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისათვის კადრების მომზადების მხრივ მეტად ვიწრო სპეციალიზაცია იყო დამახასიათებელი. სტუდენტის დასპეციალება სათანადო პროფილის მიხედვით მე-3 კურსიდან იწყებოდა და ზოგად-ტექნიკური ციკლის საგანთა გავლაც მოცემული პროფილის ხასიათისადმი იყო დაქვემდებარებული. სწავლების პერიოდი 3, 5—4 წლით განისაზღვრებოდა. 1930—1935 წლებში არსებული სასწავლო გეგმით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ეკონომიურ-ორგანიზაციული ციკლის საგნებს. ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იკითხებოდა: პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიური გეოგრაფია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, აგრარული პოლიტიკა, სას.-სამ. დარაიონება, სას.-სამეურნეო სტატისტიკა, აგროდახმარება, საორგანიზაციო გეგმის შედგენის მეთოდიკა (ეს უკანასკნელი საგანი, როგორც ცალკე კურსი იკითხებოდა 1929 და 1930 წელს).

1930 სასწ. წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში არსებობდა შემდეგი კათედრები:

1. ბოტანიკის	გამგე	პროფ. ზ. ყანჩაველი
2. ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის	„	„ ბ. კანდელაკი
3. ფიზიკისა და თეორიული მექანიკის	„	„ ა. დიდებულიძე
4. არაორგანული და ანალიზური ქიმიის	„	„ ა. ცაგარელი
5. ნიადაგმცოდნეობის და ზოგადი მიწათმოქმედების	„	„ დ. გედევანიშვილი
6. გეოლოგია-მინერალოგიის	„	„ ნ. ყიფიანი
7. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის	„	„ გ. გეხტმანი
8. სას.-სამ. მანქანა-იარაღების	„	„ კ. ამირაჯიბი
9. მეღვინეობის	„	„ კ. მოდებაძე
10. კერძო მიწათმოქმედების	„	„ ნ. ლომოური
11. მევენახეობის	„	„ ს. ჩოლაყაშვილი
12. მებაღეობის	„	პროფ. მოვ. აღმსრ.
	„	ნ. ხომიზურაშვილი
13. კერძო ზოოტექნიკის და გენეტიკის		პროფ. დ. აგლაძე.

აღნიშნული კათედრების გარდა, ამ პერიოდში ინსტიტუტში იყო: ზოგადი ზოოტექნიკის, ზოოლოგიის, ცხოველთა ანატომია-ფიზიოლოგიის, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, საკოლმეურნეო მშენებლობის და საზოგადო დისციპლინათა კათედრები.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა ზემოაღნიშნულით არ დამთავრებულა; შემდეგ წლებშიაც ჰქონდა ადგილი როგორც ახალი ფაკულტეტების დაარსებას, ისე ცალკე ინსტიტუტების გამოყოფას. მაგალითად, 1930 წლ. დასაწყისს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან დაარსდა ა/კ. მცენარეთა დაცვის ფაკულტეტი (დეკანი ენტომოლოგი ნ. ხაჭაპურიძე), ხოლო იმავე წლის ივნისში ა/კ. მიწსახკომის კოლეგიის დადგენილებით (1930 წ. 24 ივნისის, № 37, §—3) აღნიშნული ფაკულტეტი რეორგანიზებულ იქნას სოფლის და ტყის მავნებლებთან ბრძოლის ინსტიტუტად სამი განხრით: მემინდვრეობის, მეტყეობის და მებაღეობის (ქართული, რუსული, თურქული და სომხური სექტორებით). ტერიტორიულად აღნიშნული ინსტიტუტი არსებობდა სას.-სამეურნეო ინსტიტუტთან და, ბუნებრივია, სარგებლობდა მისი კაბინეტ-ლაბორატორიებით და აუდიტორიებით. ამ სახით სოფლისა და ტყის მავნებლებთან ბრძოლის ინსტიტუტი მოღვაწეობდა 1934 წლამდე, ხოლო 1934 წ. 1 სექტემბრიდან ის რეორგანიზებულ იქნა და ისევ ფაკულტეტის სახით შეუერთდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, ქართული და რუსული სექტორებით (თურქული და სომხური სექტორები გადაეცა სათანადო რესპუბლიკათა ინსტიტუტებს).

1932 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს გამოეყო ზოოვეტერინარული ინსტიტუტი.

ამით დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან ფაკულტეტების გამოყოფა ცალკე ინსტიტუტების სახით და ამიერიდან მცენარეთა დაცვის

ინსტიტუტის მსგავსად იწყება ცალკე ინსტიტუტების ლიკვიდაცია და მათი ისევ სას.-სამ. ინსტიტუტთან შემოერთება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1931 და 1932 წლებიდან საქართველოში არსებობს:

1. სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი თბილისში (სას.-სამ. ინსტიტუტის შენობაში).

2. ჩაის საკავშირო ინსტიტუტი ქ. მახარაძეში.

3. საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტი სოხუმში (ფაკულტეტებით: სუბტროპიკული მეხილეობის, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების და დეკორაციული).

4. ახალ სართავ კულტურათა ინსტიტუტი თბილისში.[1]

თბილისში არსებული საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტი 1934 წელს რეორგანიზებულ იქნა და შემოუერთდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, სუბტროპიკულ კულტურათა ფაკულტეტის სახით ორი განყოფილებით:

1. ჩაისა და სუპტროპიკულ კულტურათა და
2. ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგიის განყოფილებით (იხ. საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ბრძანება № 356, 1934 წ. 31 დეკემბრის და სას.-სამ. ინსტიტუტის ბრძანება № 122, 1934 წ. 1 ნოემბრის).

ასევე ლიკვიდირებულ იქნა მახარაძეში არსებული ჩაის საკავშირო ინსტიტუტი და თბილისში ახალ სართავ კულტურათა ინსტიტუტი.

საკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით 1937 წლის 1 სექტემბრიდან ლიკვიდირებულ იქნა საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტი სოხუმში (საკ. სახკომსაბჭოს 1937 წ. 28 მაისის № 857 დადგენილება).

მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის სათანადო პროფილის სპეციალისტების მომზადების მიზნით წარმოადგენს აგრო-ეკონომიური ფაკულტეტის ჩამოყალიბება 1934 წლის 1 სექტემბრიდან (იხ. სას.-სამ. ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის სხდომის ოქმი №8, 1934 წ. 20 თებერვლის).

1938 წელს უმაღლეს სკოლათა კომიტეტის მიერ გაუქმებულ იქნა თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი და ის სატყეო-სამეურნეო ფაკულტე-

---

[1] აღნიშნული სუბტროპიკული ხასიათის ინსტიტუტებისაგან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და უზრუნველყოფის მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკ. სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტი სოხუმში ქართული და რუსული სექტორებით. ინსტიტუტს გააჩნდა საკუთარი შენობა (სოხუმში) და სასწავლო მეურნეობა კელასურში. საკმაოდ დიდი მუშაობა იყო ჩატარებული კაბინეტ-ლაბორატორიებით მოწყობის ხაზით. როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან ჩასული პროფესორ-პედაგოგიური პერსონალით ინსტიტუტი ძირითადად უზრუნველყოფილი იყო. მომავლისათვის ინსტიტუტის დირექცია ითვალისწინებდა თვით ინსტიტუტის გადატანას კელასურის სასწავლო მეურნეობაში და სათანადო სასწავლო-საცხოვრებელი კომუნალური დანიშნულების შენობების აგებას.

1936 და 1937 წლებში დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ამ მიზანდასახულებიდან გამომდინარე კელასურის მეურნეობის გაშლილ საორგანიზაციო გეგმის შესადგენად, რომელშიაც ინსტიტუტის მთელი პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი იყო ჩაბმული.

ტის სახით დატოვებულ იქნა სას.-სამეურნეო ინსტიტუტთან, ხოლო ხის მექანიკური დამუშავებისა და მშრალი ტრანსპორტის ფაკულტეტის მე-4 და მე-5 კურსები დატოვებულ იქნა, როგორც სალიკვიდაციო (იხ. უმაღლესი სკოლების საქმეთა კომიტეტის ბრძანება № 2675, 1938 წ. 28 ოქტომბრის). ამჟამად ინსტიტუტის სისტემაში წარმოდგენილია სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს ტყის მეურნეობის სპეციალისტებს.

ამრიგად, აღნიშნული პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ძირითადი სპეციალობა და პროფილი, რაც უშუალოდ გამომდინარეობდა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე დაყენებული ამოცანებიდან. ამ მიმართულებით გადაუწყვეტელ საკითხთა შორის აღსანიშნავია მეაბრეშუმის და ტექნოლოგის საკითხი. 1930—1934 წლებში საკმაოდ კარგად მოწყობილი მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი 1938 წელს გაუქმებულ იქნა და მხოლოდ 1941 წლიდან იქნა აღდგენილი.

ასევე აქტუალურია ტექნოლოგების მომზადების საქმე. ჯერ კიდევ მეორე სტალინურ ხუთწლედში ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანა—მოსახლეობის კვების 2—3-ჯერ გაუმჯობესებისა, თავის გარკვეულ ნაწილში კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს ებჯინებოდა. ამ დარგში საქართველოში კადრების დიდ სიმცირეს ჰქონდა და აქვს ადგილი. კვების მრეწველობის გიგანტური მასშტაბით განვითარება აყენებდა საკითხს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ამ პროფილის გაძლიერების შესახებ. ამიტომ, სუბტროპიკულ ფაკულტეტთან არსებულ ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგიის განყოფილება გამოყოფილ იქნა დამოუკიდებელი—ტექნოლოგიური ფაკულტეტის სახით ორი განყოფილებით:

ა) ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგიისა და

ბ) ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების (უმაღლეს სკოლათა კომიტეტის 1939 წ. 22 აპრილის № 466 ბრძანების საფუძველზე).

ამით დამთავრდა საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ჩამოყალიბების მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი. ინსტიტუტში არსებული დღევანდელი მდგომარეობის შექმნამდე, მეტად დიდი მუშაობის ჩატარება შეიქნა საჭირო. ეს პერიოდი—მეოთხედი საუკუნე,—მთელი ეპოქაა საქართველოს კულტურის ისტორიაში. ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი დარგის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა წილად ხვდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, რომელიც 1938 წლის 16 ნოემბრიდან ქართველი ხალხის **საამაყო შვილის** [redacted]ს სახელს ატარებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე ამხ. [redacted] მოხსენებამ „ღონისძიებანი საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის“ ახალი ამოცანები დააყენა ჩვენი ინსტიტუტის წინაშე სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესების დარგში.

ამასთანავე სას.-სამ. ინსტიტუტის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე 1937 წ. აპრილში ამხ. ლ. პ. ბერიას მიერ მოცემული მითითება ინსტიტუტის შემდგომი მუშაობის პროგრამად გადაიქცა, რომელსაც მთელი კოლექტივი, მისი პროფესურა და სტუდენტობა დიდი ენთუზიაზმით და დავალების სრული პასუხისმგებლობის შეგნებით შეხვდა.

ჩვენში უმაღლეს სას.-სამეურნეო განათლების ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მდიდარი პერიოდის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, შევეხოთ ინსტიტუტის მუშაობის ძირითად მომენტებს, დაწყებული ამ უკანასკნელის ინსტიტუტად ჩამოყალიბების პერიოდიდან. პირველად ყოვლისა აღვნიშნოთ ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის საკითხი. ეს იმ თავითვე სპეციალური ზრუნვის საგნად იყო გადაქცეული. პარტიისა და ხელისუფლების სისტემატური ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის შედეგად, მნიშვნელოვნად განმტკიცდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოცემულ იქნა ყველა ძირითადი პირობა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველად ყოვლისა, აღსანიშნავია, შენობის, კერძოდ სასწავლო ფართობის საკითხი.

თუ ფაკულტეტის ორგანიზაციის პირველ ხანებში, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, შენობის საკითხი გამახვილებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, ყოფილი სემინარიის შენობის გადმოცემის შემდეგ, ამ მხრივ ნორმალური პირობები შეიქმნა, როგორც სასწავლო აუდიტორიებით უზრუნველყოფის, ისე კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის მხრივ. გაიშალა ფართო მუშაობა კაბინეტ-ლაბორატორიების ორგანიზაციის მიმართულებით.

1930 წლისათვის ინსტიტუტს აქვს—მთავარი კორპუსი, თავის დამხმარე, კომუნალური შენობებით. შემდეგ წლებში მას შეემატა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობი პასტერის ქუჩაზე და ახლანდელი მექანიზაციის საცდელი სადგურის შენობა (აგებული 1930 წელს) იმთავითვე ინსტიტუტის ბაზას წარმოადგენდა.

წლების მიხედვით ინსტიტუტის სასწავლო ფართობი უდრიდა:

1921 წელს	1.200	კვ. მეტ.
1937 „	7.000	„ „
1945 „	10.615	„ „

აქედან 6.000 კვ. მეტრზე მეტი კაბინეტ-ლაბორატორიებს უჭირავს. კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის, შევსებისა და ამ მიმართულებით მუშაობის ინტენსიურად წარმოების მხრივ, უსათუოდ აღსანიშნავია პერიოდი 1930 წლიდან 1935 წლამდე და შემდეგ 1937 წლიდან 1941 წლამდე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპლექსური ლაბორატორია (ძირითადად ბიოქიმიის მიმართულებით), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ლაბორატორიას (ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩაატარეს აწ განსვენებულმა პროფესორებმა ფ. ა. ცაგარელმა და ზ. ღვალაძემ); ასევე დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ბოტანიკის კაბინეტის მოსაწყობად (კათ. გამგე აკად. ნ. ნ. კეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიას სახ. საქ. სახ.-სამ. ინსტიტუტის აგრონომიულ, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის, სუბტროპიკულ კულტურების, მცენარეთა დაცვის, მეაბრეშუმეობისა და სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭო

ხოველი), ნიადაგმცოდნეობის (კათ. გამგე პროფ. დ. პ. გედევანიშვილი), ენტომოლოგიის (კათ. გამგე პროფ. ლ. პ. კალანდაძე), მემცენარეობის (კათ. გამგე პროფ. ი. ნ. ლომოური), ზოგადი მეტყეობის (პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი), კონტინენტალური მეხილეობის (კათ. გამგე პროფ. ნ. მ. ხომიზურაშვილი), მევენახეობის (კათ. გამგე აკად. ს. ჩოლაყაშვილი), ფიზიკის (კათ. გამგე პროფ. ი. გაჩეჩილაძე), სატყეო მუზეუმის და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს, უნდა ითქვას, რომ 1921 წელს ინსტიტუტს ასეთი სრულიად არ გააჩნდა; ამჟამად სტუდენტთა ქალაქში სას.-სამ. ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ფართობი—2.439 კვ. მეტრს უდრის.

კაბინეტ-ლაბორატორიებით ინსტიტუტის უზრუნველყოფის რიცხობრივ მაჩვენებლებს შემდეგი მონაცემები იძლევა:

წლები	კაბინეტების რაოდენ.	ლაბორატორიების რაოდენ.	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1921	3	—	კაბინეტ-ლაბორატორიების სახით იყო წარმოდგენილი.
1925	5	—	
1930	16	8	
1935	24	21	
1945	43	28	

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ისტორიაში კაბინეტ-ლაბორატორიების შექმნისა და მთლიანად აღებული სასწავლო-პედაგოგიური და კვლევითი-სამეცნიერო მუშაობის გაშლის მხრივ, შეიძლება გამოყოფილ იქნას შემდეგი მთავარი პერიოდები:

I **პერიოდი**—აგრონომიული ფაკულტეტის ჩამოყალიბებიდან სას.-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებამდე, ე. ი. ფაკულტეტის, როგორც უნივერსიტეტის შემადგენელი ერთეულის ფორმირების სტადია—როდესაც მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული პროფ. პ. მელიქიშვილის, პროფ. ს. ჩოლოყაშვილის, პროფ. ი. ლომოურის, პროფ. გ. რცხილაძის, პროფ. დ. გედევანიშვილის, დოც. ნ. იოსელიანის და სხვათა მიერ.

II **პერიოდი**—გრძელდება 1929/30 წლიდან—1941 წლამდე (სამამულო ომის დაწყებამდე). როგორც მასშტაბის, ისე შემოქმედებითი მუშაობისა და ორგანიზაციული მშენებლობის მხრივ, ეს პერიოდი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ეს პერიოდი შეიცავს ორ საყურადღებო ქვეპერიოდს:

ა) **1930—1935 წლები.** ამ ხანას წინ უძღოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სას.-სამ. ფაკულტეტის შემოერთება სას.-სამ. ინსტიტუტთან და ქართულ-რუსული სექტორების დაარსება. დაახლოებით ამავე წლებში ეყრება საფუძველი სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტს.

1930 წლიდან ადგილი აქვს სასწავლო-პედაგოგიური და გარკვეულ ნაწილში სამეცნიერო-საკვლევი საქმიანობის აღმავლობას: მუშავდება და ყალიბ-

დება სასწავლო მუშაობის ტრადიცია. საკ. ცაკის 1932 წლის ისტორიული დადგენილება უმაღლესი სკოლის შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. მიერ გამოტანილი დადგენილება ვორონეჟის ინსტიტუტის შესახებ და ზემდგომი ორგანოების ინსტრუქციულ-მეთოდური მითითებანი საფუძვლად დაედვა ინსტიტუტის მუშაობას. მოეწყო 8 ახალი კაბინეტი და 11 ლაბორატორია. მნიშვნელოვნად შეივსო ძველი კაბინეტ-ლაბორატორიებიც. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და სანიმუშოდ მოეწყო მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი. ამავე პერიოდს ეკუთვნის ფუნდამენტალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაარსება. გარეგნულადაც—ჩატარებული რემონტისა და ეზოს გამწვანების შედეგად ინსტიტუტს მეტი კულტურული სახე მიეცა.

კათედრებზე წარმოებული სამეცნიერო მუშაობის შედეგად, შეიქმნა რეალური საჭიროება ინსტიტუტის ბეჭდვითი ორგანოს დაარსებისა. 1932 წელს საფუძველი ჩაეყარა ინსტიტუტის „მოამბეს". ყოველგვარი მოსამზადებელი, მრავალ დაბრკოლებასთან დაკავშირებული მუშაობის ჩატარებისას, მხოლოდ 1933 წელს გახდა შესაძლებელი „მოამბის" პირველი ნომრის გამოშვება (იხ. სასწავლო ნაწილში დირექტ. მოადგილის, დოც. ი. ჯაშის მოხსენება დირექციის სხდომაზე 1933 წ. 4 მარტის № 1 „მოამბის" გამოცემის შესახებ და მოხსენებითი ბარათი ამ საკითხზე).

1933 წლიდან აღნიშნული მუდმივი ბეჭდვითი ორგანო სისტემატურად გამოდის.

როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო ორგანოების მიერ სპეციალურად ჩატარებული შესწავლის შედეგად, რასაც წინ უძღოდა საბჭ. კავშირის უმაღლეს სას.-სამ. სასწავლებელთა სოც. შეჯიბრებაში ჩაბმის მაჩვენებელთა ანალიზი, საქართველოს სას.-სამ. ინსტიტუტი ცნობილ იქნა, როგორც მოწინავე ინსტიტუტი და მან მეორე ადგილი დაიკავა საბჭ. კავშირის სას.-სამეურნეო ინსტიტუტთა შორის, ხოლო რესპუბლიკურ უმაღლეს სას.-სამ. ინსტიტუტებს შორის პირველი ადგილი. ამის შედეგად ინსტიტუტი დაჯილდოებულ იქნა—სტამბით და ერთი ვაგონი ქაღალდით.მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სახელმძღვანელოების დამზადების და გამოცემის მიმართულებით.

ბ) **1937—1941 წლები**—შემოქმედებითი მუშაობის ფართოდ გაშლით ხასიათდება. ამ ხნის განმავლობაში მოეწყო 9 ახალი კაბინეტი და 7 ლაბორატორია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არსებული კაბინეტ ლაბორატორიები. სრულიად ახლად მოეწყო ტექნოლოგიური ფაკულტეტი, გაძლიერდა მექანიზაციის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ფართოდ გაიშალა მუშაობა ახალი სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად და არსებული კადრის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ყველაზე მეტი რაოდენობით დისერტაციების დაცვა ამ პერიოდზე მოდის, დიდი რაოდენობით გამოიცა სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა. ფართო დახმარება გაეწია სამეურნეო ორგანიზაციებს როგორც ცენტრში, ისე რაიონებში (კონსულტაციების, უშუალო დახმარების, რაიონული გაზეთებისათვის წერილების მიწოდების, კურსების ჩატარების და

სხვა სახით). აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების საქმეში, უდიდესი როლი შეასრულა ინსტიტუტის მაშინდელმა სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელმა პროფ. ნ. ნ. კეცხოველმა. ჩატარებულ იქნა სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, გაიზარდა პედაგოგიური კადრი რიცხობრივად და ხარისხობრივად.

III **პერიოდი**—ეს დიდი სამამულო ომის ხანაა, როდესაც ინსტიტუტმა, ისე როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, თავისი საქმიანობა ომით გამოწვეულ ამოცანებს დაუქვემდებარა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი კორპუსი, რომელშიაც მოთავსებული იყო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და აუდიტორიების დიდი უმრავლესობა, გადავიდა სამხედრო უწყების განკარგულებაში, ინსტიტუტს არ შეუჩერებია მუშაობა სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევ დარგში. ინსტიტუტის კოლექტივმა გამოამჟღავნა მთელი თავისი შესაძლებლობანი იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება უყენებდა მას, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-საკვლევ დარგში.

გასაგებია, რომ ამ პერიოდში გამორიცხული იყო ახალი კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა ან არსებულთა დაკომპლექტება. ამდენადვე გასაგებია ისიც, რომ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ყველა კაბინეტ-ლაბორატორია საჭიროებს შევსებას, განახლებას, ხოლო ზოგიერთი თითქმის ახლად მოწყობას, აღდგენას.

ამ კოლოსალური მოცულობის მუშაობას შეუდგა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კოლექტივი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად არსებული კაბინეტ-ლაბორატორიები და ინსტიტუტის საერთო ფართობი არ უპასუხებს გაზრდილ მოთხოვნილებას. ამით არის ნაკარნახევი ინსტიტუტის 5 წლიან გეგმაში ახალი შენობების აგების საჭიროება.

სტამბა-ლითოგრაფიის დაარსებამ ინსტიტუტთან დიდად შეუწყო ხელი როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-საკვლევი ამოცანების გადაჭრას. პროგრამების, სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურის, ინსტიტუტის „შრომების“, თეზისების და სხვათა ბეჭდვა შეიქნა მძლავრი სტიმული მუშაობის შემდგომი გაცხოველების თვალსაზრისით.

უახლოეს მომავალში, გამომცემლობის გაფართოებასთან დაკავშირებით, ისახება ამოცანა სტამბის მოწყობილობის გაუმჯობესების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს, ერთიორად გავზარდოთ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და უზრუნველვყოთ საგამომცემლო გეგმის შესრულება.

ეს მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანაა, თუ მივიღებთ მხედველობაში სახელმძღვანელოების მხრივ არსებულ მდგომარეობას.

ბიბლიოთეკა. კაბინეტ ლაბორატორიებთან ერთად, სასწავლო-სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტას წარმატებით ემსახურება ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსდა 1931 წელს. მისი წიგნების ფონდი შეიქმნა ჩვენი ქვეყნის უძველესი და უდიდესი წიგნთსაცავებიდან. მათ შორის აღსანიშნავია ბიბლიოთეკები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კავკასიის სას.-სამ. საზ-ბის
2. საქ. სას.-სამ. საზ-ბის
3. მიწათმოქმედების სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის
4. საქ. მიწათმოქმედების სამინისტროს
5. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრობიბლიოთეკა
6. სახ. უნივერსიტეტის აგრობიბლიოთეკა
7. საქ. ექსპერიმენტალური აგრონომიის ინსტიტუტის
8. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის
9. ა/კ. სატყეო ინსტიტუტის და სხვ.

განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი კავკასიისმცოდნეობის აგრონომიული ლიტერატურა, რომელიც წარმოადგენს იშვიათ და ძვირფას წყაროს ჩვენი ქვეყნის აგრო-ეკონომიური შესწავლისათვის.

ბიბლიოთეკის პირველი ხელმძღვანელი, ამ საქმის დიდი სპეციალისტი და ენთუზიასტი იყო აწ განსვენებული ი. ბ. ციციშვილი, რომლის ინიციატივით ბიბლიოთეკას ფაქტიურად მიეცა საქართველოს ცენტრალური სას.-სამეურნეო სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი ბიბლიოთეკის ხასიათი, ვინაიდან ის ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალისა და სტუდენტობის გარდა ემსახურება რესპუბლიკაში არსებულ სამეცნიერო აგრონომიულ დაწესებულებებს. ბიბლიოთეკა მოთავსებულ იქნა ცალკე, ახალ შენობაში, რომლის ფართობი 515 კვ. მეტრს უდრის. თუ დაარსების პირველ წელს ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი შეადგენდა—70.000 ეგზემპლარს, 1946 წლისათვის ის—500.000-მდე აღწევს.

ამჟამად სას.-სამ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა არის ერთადერთი ბიბლიოთეკა საქართველოში, სადაც თავმოყრილია მთელი სისრულით სასწავლო, სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და სხვა საკითხებზე.

წიგნებისა და ბროშურების მთლიან ბიბლიოგრაფიულ აღწერილობასთან ერთად, ბიბლიოთეკა აწარმოებს მიმდინარე პერიოდიკის ანალიზურ ბიბლიოგრაფიას, ანოტაციებს, თემატიკური ცნობების შედგენას და თარგმნებს კათედრების შეკვეთით.

ბიბლიოთეკის დაარსებიდანვე არსებობს საბიბლიოთეკო საბჭო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ბიბლიოთეკას კათედრების მოთხოვნილებათა და საჭიროების გათვალისწინებაში.

ბიბლიოთეკის მიერ მკითხველთა მომსახურება, ამ უკანასკნელ წლებში, შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

წლები	მკითხველთა დასწრება	წიგნების გაცემა	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1940	43.764	55.464	
1941	41.023	54.321	
1942	25.457	30.579	შემცირება სამამულო ომთან დაკავშირებული პირობებით აიხსნება.
1943	24.466	31.875	
1944	29.628	33.681	
1945	54,616	57.790	

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომის პერიოდში ბიბლიოთეკამ დიდი დახმარება გაუწია დაჭრილ მებრძოლებს მხატვრული ლიტერატურის შერჩევისა და მომარაგების საქმეში.

ამჟამად ბიბლიოთეკა შეიცავს შემდეგ განყოფილებებს:

1. ბიბლიოგრაფიისა და საბიბლიოთეკათმორისო
2. წიგნის დამუშავების
3. პერიოდიკის
4. დაკომპლექტების
5. სამეცადინო დარბაზს
6. ფუნდამენტალურ წიგნთსაცავს
7. აბონემენტსა და სტუდფონდს
8. გაცვლის ფონდს (როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან).

სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციას, რომელსაც სპეციალისტების მომზადებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრონომიული ფაკულტეტის და შემდეგ სას.-სამ. ინსტიტუტის დაარსების პირველი დღეებიდან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას ინსტიტუტის ცხოვრებაში წარმოადგენდა მისთვის მუხრანის მეურნეობის გადაცემა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენი კადრების მომზადებაში მუხრანის მეურნეობამ დიდი როლი შეასრულა. 1932 წლამდე მეურნეობა ინსტიტუტს ექვემდებარებოდა. ამ ხნის განმავლობაში დიდი მოცულობის და შინაარსის მუშაობა იქნა ჩატარებული როგორც სტუდენტთა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის, ისე გარკვეულ ნაწილში სამეცნიერო-საკვლევი ხაზითაც. იმ პერიოდში გამოშვებულ სპეციალისტთა მომზადების განსხვავებული, შედარებით მაღალი დონე შეიძლება აიხსნას მუხრანის საკუთარი სასწავლო-საწარმოო ბაზის არსებობითაც. 1933 წლიდან აღნიშნული მეურნეობა, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, გადავიდა სამტრესტის სისტემაში, რომელსაც უნდა უზრუნველეყო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის შესრულება სას.-სამ. ინსტიტუტის სასწავლო გეგმიდან გამომდინარე და ინსტიტუტის მოთხოვნილების მიხედვით. მაგრამ თუ პირველ წლებში ეს შეთანხმება სრულდებოდა, თუმცა არა მთლიანად, შემდგომ, განსაკუთრებით მეურნეობის შამპანკომბინატის სისტემაში გადასვლის პერიოდიდან, მუხრანის მეურნეობის გამოყენება ინსტიტუტის სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისათვის მეტად შეზღუდული და უმნიშვნელო შეიქნა. ინსტიტუტის მხოლოდ ერთი ფაკულტეტი—მებაღეობა-მევენახეობის, და ისიც ნაწილობრივ, ატარებს საწარმოო პრაქტიკას აღნიშნულ მეურნეობაში. საცხოვრებელი ბინების სიმცირე, მეურნეობის შედარებით ვიწრო სპეციალიზაცია და მისი წმინდა საწარმოო ხასიათი, მეტად აძნელებს მის საწარმოო-სასწავლო პრაქტიკის ბაზად გამოყენებას მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტისათვისაც კი, მით უფრო ზედმეტია ლაპარაკი სხვა ფაკულტეტების მიმართ.

1936 წლიდან მუხრანის მეურნეობის „საკომპენსაციოდ“ ინსტიტუტს გადაეცა სკრის მეურნეობა, საღაც მხოლოდ მეხილეობაა წარმოდგენილი და, გა-

საგებია, ის ინსტიტუტის მოთხოვნილების უმნიშვნელო ნაწილს აკმაყოფილებდა. აღნიშნული მეურნეობა 1945 წ. გადავიდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. 1944/45 წელს ინსტიტუტის წინაშე ახალი შესაძლებლობა წარმოიშვა საკუთარი სასწავლო მეურნეობის შექმნის მხრივ. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით, ინსტიტუტს სასწავლო მეურნეობის ორგანიზაციის მიზნით გადაეცა დიღომში—275 ჰექტარი ფართობი. ამ მიზნით შედგენილ იქნა მეურნეობის საორგანიზაციო გეგმა, რომელშიაც ინსტიტუტის ყველა ძირითადი კათედრა იღებდა მონაწილეობას. საორგანიზაციო გეგმით გათვალისწინებული მშენებლობის განხორციელების და კულტურათა გაშენების შემთხვევაში, დიღომის მეურნეობა ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო მეურნეობა იქნებოდა, რაც ფართო პერსპექტივებს აყენებდა ინსტიტუტის წინაშე როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-საკვლევ დარგში. მაგრამ მისი ათვისება, ცხადია, ინსტიტუტის ძალებს აღემატებოდა და ის ისევ სამტრესტს გადაეცა.

ამრიგად, ინსტიტუტს დარჩა მხოლოდ მცირე მეურნეობა 6,5 ჰექტარის ფართობით, რომელიც, რასაკვირველია, მრავალ ფაკულტეტთან და მაშასადამე მრავალ პროფილთან, ინსტიტუტის მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. ამის გამო ინსტიტუტი ამჟამად იძულებულია სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მრავალი ბაზა გაიჩინოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების სახით. ინსტიტუტის წინაშე კარდინალური ამოცანა დგას საკუთარი მძლავრი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ბაზის შექმნის შესახებ, რომელიც სასწავლო ამოცანების გადაწყვეტის გარდა, სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას მოგვცემს. ასეთი სასწავლო მეურნეობის სახით ჩვენ ისევ მუხრანის მეურნეობა გვესახება, რომლის სათანადოდ მოწყობის პირობებში შესაძლებელი გახდება სავსებით იქნას დაკმაყოფილებული ინსტიტუტი. წარმოდგენილ ძირითად სპეციალობათა მოთხოვნილება, ამ მეურნეობის გეოგრაფიული მდებარეობა—მისი თბილისთან სიახლოვე, აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. აღნიშნული ძირითადი ბაზის გარდა, ინსტიტუტის წინაშე დგას ამოცანა—სუბტროპიკული, სატყეო და ტექნოლოგიური ფაკულტეტებისთვის,—საკუთარი მუდმივი ბაზების შექმნის შესახებ.

სასწავლო გეგმები. ინსტიტუტში არსებული ცვლილებანი თავის კონკრეტულ გამოხატულებას სასწავლო გეგმებში ნახულობდნენ. ახალი ფაკულტეტებისა და პროფილების ჩამოყალიბება, ამ უკანასკნელთა წინაშე დასმული ამოცანები გავლენას ახდენენ როგორც მომზადების პერიოდის ხანგრძლიობაზე, ისე სწავლების შინაარსზე და სასწავლო პროცესის ხასიათზე. შესასწავლი დისციპლინების რაოდენობა, მათი დაჯგუფება ზოგად საგანმანათლებლო, ზოგად ტექნიკურ და სპეციალურ ციკლებად განსხვავებული იყო როგორც წლების, ისე ფაკულტეტების (სპეციალობის) მიხედვით.

მაგალითისათვის აღვნიშნავთ მებაღეობისა და მემინდვრეობის ფაკ-ების სასწავლო გეგმის რამდენიმე მაჩვენებელს. 1922 და 1923 წლებში მებაღეობის ფაკულტეტზე იკითხებოდა—37 საგანი, 1930 წელს—28 საგანი, ხოლო

საგებია, ის ინსტიტუტის მოთხოვნილების უმნიშვნელო ნაწილს აკმაყოფილებდა. აღნიშნული მეურნეობა 1945 წ. გადავიდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. 1944/45 წელს ინსტიტუტის წინაშე ახალი შესაძლებლობა წარმოიშვა საკუთარი სასწავლო მეურნეობის შექმნის მხრივ. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით, ინსტიტუტს სასწავლო მეურნეობის ორგანიზაციის მიზნით გადაეცა დიღომში—275 ჰექტარი ფართობი. ამ მიზნით შედგენილ იქნა მეურნეობის საორგანიზაციო გეგმა, რომელშიაც ინსტიტუტის ყველა ძირითადი კათედრა იღებდა მონაწილეობას. საორგანიზაციო გეგმით გათვალისწინებული მშენებლობის განხორციელების და კულტურათა გაშენების შემთხვევაში, დიღომის მეურნეობა ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო მეურნეობა იქნებოდა, რაც ფართო პერსპექტივებს აყენებდა ინსტიტუტის წინაშე როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-საკვლევ დარგში. მაგრამ მისი ათვისება, ცხადია, ინსტიტუტის ძალებს აღემატებოდა და ის ისევ სამტრესტს გადაეცა.

ამრიგად, ინსტიტუტს დარჩა მხოლოდ მცირე მეურნეობა 6,5 ჰექტარის ფართობით, რომელიც, რასაკვირველია, მრავალ ფაკულტეტთან და მაშასადამე მრავალ პროფილთან, ინსტიტუტის მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. ამის გამო ინსტიტუტი ამჟამად იძულებულია სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მრავალი ბაზა გაიჩინოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების სახით. ინსტიტუტის წინაშე კარდინალური ამოცანა დგას საკუთარი მძლავრი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ბაზის შექმნის შესახებ, რომელიც სასწავლო ამოცანების გადაწყვეტის გარდა, სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას მოგვცემს. ასეთი სასწავლო მეურნეობის სახით ჩვენ ისევ მუხრანის მეურნეობა გვესახება, რომლის სათანადოდ მოწყობის პირობებში შესაძლებელი გახდება სავსებით იქნას დაკმაყოფილებული ინსტიტუტი. წარმოდგენილ ძირითად სპეციალობათა მოთხოვნილება, ამ მეურნეობის გეოგრაფიული მდებარეობა—მისი თბილისთან სიახლოვე, აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. აღნიშნული ძირითადი ბაზის გარდა, ინსტიტუტის წინაშე დგას ამოცანა—სუბტროპიკული, სატყეო და ტექნოლოგიური ფაკულტეტებისთვის,—საკუთარი მუდმივი ბაზების შექმნის შესახებ.

სასწავლო გეგმები. ინსტიტუტში არსებული ცვლილებანი თავის კონკრეტულ გამოხატულებას სასწავლო გეგმებში ნახულობდნენ. ახალი ფაკულტეტებისა და პროფილების ჩამოყალიბება, ამ უკანასკნელთა წინაშე დასმული ამოცანები გავლენას ახდენენ როგორც მომზადების პერიოდის ხანგრძლიობაზე, ისე სწავლების შინაარსზე და სასწავლო პროცესის ხასიათზე. შესასწავლი დისციპლინების რაოდენობა, მათი დაჯგუფება ზოგად საგანმანათლებლო, ზოგად ტექნიკურ და სპეციალურ ციკლებად განსხვავებული იყო როგორც წლების, ისე ფაკულტეტების (სპეციალობის) მიხედვით.

მაგალითისათვის აღვნიშნავთ მეცხოველეობისა და მემინდვრეობის ფაკ-ების სასწავლო გეგმის რამდენიმე მაჩვენებელს. 1922 და 1923 წლებში მეცხოველეობის ფაკულტეტზე იკითხებოდა—37 საგანი, 1930 წელს—28 საგანი, ხოლო

1939 წელს—46 საგანი; მემინდვრეობის ფაკულტეტზე 1922 წელს—33 საგანი, 1930 წელს—29 საგანი, 1939 წელს—35 საგანი. ანალოგიური სურათია დანარჩენ ფაკულტეტებზე. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტების ორგანიზაციის პირველ პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი სასწავლო გეგმაში საერთო საგანმანათლებლო და ეკონომიურ-ორგანიზაციული ციკლის საგნები. მაგრამ შემდგომ, მიუხედავად მრავალსაგნიანობის წინააღმდეგ არსებული მისწრაფებისა, ფაქტიურად საწინააღმდეგო შედეგებს აქვს ადგილი (1930 წელს 28 საგანი, ხოლო 1939 წელს—46 საგანი). ეს იმ დროს, როდესაც ეკოლოგიურ-ორგანიზაციული ციკლის საგნების კუთრი წონა მნიშვნელოვნად შემცირდა.

სტაბილურ სასწავლო გეგმებზე გადასვლის სიძნელე და გარდამავალი გეგმების არსებობა მეტად აფერხებდა სასწავლო მუშაობის ორგანიზაციას მრავალი წლის მანძილზე.

პროფესორ-პედაგოგიური პერსონალით უზრუნველყოფის დონე, როგორც ცნობილია, სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის წარმოების ძირითად პირობას წარმოადგენს. ეს საკითხი იმთავითვე შეადგენდა ინსტიტუტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს. თუ აგრონომიული ფაკულტეტის არსებობის პირველ წლებში პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის სიმცირე მეტად მწვავედ იგრძნობოდა, რის გამო მთელ რიგ დისციპლინებში ლექციები რუსულ ენაზე იკითხებოდა, მდგომარეობა ამ მხრივ მომდევნო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. როგორც რუსეთსა და უცხოეთში ახალგაზრდობის მივლინების, ისე უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში კათედრებთან დატოვების შედეგად, ინტიტუტის ძირითადი კათედრები და დისციპლინები უზრუნველყოფილი იქნენ მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრით. საკმაოდ მრავალრიცხოვანი პედაგოგიური კადრი მომზადდა კათედრებზე—ლაბორანტის და ასისტენტის საფეხურის გავლის შედეგად.

სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების მეორე უფრო სწრაფსა და ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა ასპირანტურის შექმნა. ეს უკანასკნელი დაარსებულ იქნა სას.-სამ. ინსტიტუტთან 1930 წლიდან.

ამ პერიოდიდან დღევანდლამდე ასპირანტურის კურსი დაამთავრა 45 კაცმა, რომელთა შორის დისერტაცია კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა—32 კაცმა. ასპირანტების მომზადების დროს ინსტიტუტი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ თავისი კათედრების მოთხოვნილებით, არამედ სხვა სასწავლო ინსტიტუტებს და სამეცნიერო დაწესებულებებსაც უმზადებდა სპეციალისტებს.

პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით აიხსნება ახალი კადრების ფართო მასშტაბით მომზადება და არსებულთა სამეცნიერო-პედაგოგიური კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება.

ინსტიტუტის სამეცნიერო კადრების რიცხობრივი და თვისობრივი ზრდის მჭერმეტყველი სურათი ასახულია ქვემოთ მოცემულ ტაბულაში.

წლები	საქ. მეცნ. აკადემიის ნამდ. წევრი	წევრი კორეს-პონდენტი	პროფესორი		დოცენტი		დოქტორი	ასისტენტი	
			სულ	მათ შორის დოქტ.	სულ	მათ შორ. კანდ.		სულ	მათ შორის კანდ.
1921	—	—	3	1	—	—	12	6	—
1925	—	—	3	1	2	—	16	8	—
1930	—	—	10	1	30	—	8	39	—
1945	3	3	22	14	127	71	32	73	9

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორ-პედაგოგიური პერსონალით უზრუნველყოფის მხრივ, ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ერთი მოწინავეთაგანია საბჭოთა კავშირში. პროფესორ-დოცენტების საერთო რაოდენობიდან 60%-ზე მეტს დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ განსხვავებით მთელი რიგი სხვა უმაღლესი სასწავლებლებისაგან, ჩვენს ინსტიტუტს უმაღლეს სკოლათა კომიტეტის მიერ მინიჭებული აქვს სათანადო მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხზე დისერტაციების დაცვის უფლება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ **ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგები როგორც სამეცნიერო ხარისხის მქონენი, ისე უხარისხონიც საბჭოთა ეპოქის პროდუქციაა.** ამდენადვე თავისი არსებობის მეოთხედი საუკუნის თავზე ჩვენი ინსტიტუტი ამაყობს არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი სპეციალისტების მომზადებით და მათი ფართო გამოყენებით სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, არამედ მაღალკვალიფიციური მეცნიერული ძალების აღზრდითაც. თუ სათანადო კათედრათა პედაგოგიური პერსონალით უზრუნველყოფა წარმოადგენდა იმთავითვე განსაკუთრებული და სისტემატური ზრუნვის საგანს და ამ მხრივ 1930 წლიდან მნიშვნელოვან მიღწევებს აქვს ადგილი, უფრო თვალსაჩინოა ეს პროცესი 1935 წლის შემდეგ. ამ პერიოდიდან ამხ. ლ. პ. ბერიას მზრუნველობისა და მითითებათა შედეგად ინტენსიურად სწარმოებდა სამეცნიერო-პედაგოგიური ძალების კვალიფიკაციის ზრდა, ახალი ძალების მომზადება. ფაქტიურად სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად მუშაობა ფართო მასშტაბით 1936 წლიდან გაიშალა. ამ ხნის განმავლობაში 1946 წლამდე ჩვენი ინსტიტუტის კათედრებზე—134 სადისერტაციო თემა დამუშავდა და საკუთრივ ინსტიტუტის კადრებიდან დაიცვა დისერტაცია—78 კაცმა, მათ შორის დოქტორის სამეცნიერო ხარისხზე 8 კაცმა და კანდიდატის—71 კაცმა.[1]

[1] ამის გარდა, თითქმის ამდენივე დისერტაცია იქნა დაცული ჩვენს ინსტიტუტში როგორც საქართველოში არსებულ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების მიერ, ისე შორეული და მეზობელი მოძმე რესპუბლიკებიდან, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში.

ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის სოფ. მეურნეობის მექანიზაციისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭო

ინსტიტუტმა იმთავითვე სწორი ხაზი აიღო სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის მომზადებაში და შედეგებიც მეტად თვალსაჩინო გახდა. ყოველივე ამან უზრუნველყო როგორც პედაგოგიური პროცესის მაღალ დონეზე აყვანა, ისე მასთან დაკავშირებით სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაშლა. სწორედ ამ უკანასკნელის შედეგია სამეცნიერო ხარისხების მოპოვება. ზემოაღნიშნული მონაცემები ამის საუკეთესო ილუსტრაციას იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადმე შევჩერდეთ ჩვენს ინტიტუტში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის საკითხებზე.

სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის წარმოება და გაშლა ინსტიტუტის საერთო განვითარება-განმტკიცებასთან იყო დაკავშირებული. დიდი ხანია განვვლეთ ის ეტაპი, როდესაც ჩვენს აზროვნებასა და შეგნებაში კითხვის ქვეშ იყო დასმული უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის წარმოების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა. სტალინურ ხუთწლედებში, განსაკუთრებით უკანასკნელ ხუთწლედში, ძალზე გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ამჟამად უდავო დებულებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაუშლელად შეუძლებელია სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე აყვანა და მაღალხარისხოვანი სასწავლო და სამეცნიერო პროდუქციის მიღება. აქედან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის სწორი ორგანიზაცია კათედრაზე პედაგოგიური მუშაობის საფუძველს წარმოადგენს, ხოლო თავის მხრივ, სათანადოდ ორგანიზებული პედაგოგიური პროცესი სამეცნიერო-საკვლევი საქმიანობის გაშლის მძლავრ სტიმულს იძლევა.

ჩვენი ინსტიტუტი სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას თავის დაარსების დღიდანვე ეწევა. მაგრამ პირველ წლებში ის მეტად განსაზღვრულ ფარგლებში სწარმოებდა და მომეტებულად ცალკეული კათედრების თუ მეცნიერი მუშაკების ინიციატივის შედეგი იყო.

1930/31 წლიდან მუშაობის ამ სფეროს მეტი ყურადღება ექცევა. საკვლევი მუშაობის წარმოებამ თანდათანობით მოიპოვა ერთგვარი მოქალაქეობრივი უფლებაც ჩვენი ინსტიტუტის ფარგლებში; მუხრანის სასწავლო მეურნეობაში, სკრაში, ინსტიტუტის საბოსტნე მეურნეობაში და ზოგიერთ სხვა პუნქტში ცალკეული კათედრების მიერ (მევენახობის, ცხოველთმომშენებლობის, გენეტიკის, მეხილეობის, კერძო მიწათმოქმედების, ნიადაგმცოდნეობის და სხ.) ჩატარებულ იქნა საკმაოდ ფართო მუშაობა. 1933 წელს დაარსებული იყო სამეცნიერო-საკვლევი სექტორი (გამგე პროფ. დ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, მდივანი დოც. ა. კ ი ზ ი რ ი ა). მაგრამ ამ სექტორის მუშაობა ხანგრძლივი არ ყოფილა და სულ რამდენიმე თვე არსებობდა. შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი 1936/37 წლებიდან სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ინსტიტუტში ფართო, გეგმაშეწონილი ხასიათი ეძლევა.

უმაღლეს სასწავლებლებში გარდატეხა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის დარგში საკავშირო ორგანოების სპეციალურმა დადგენილებებმა გამოიწვია, რამაც თავისი საბოლოო გამოხატულება საკ. სახკომსაბჭოს 1943 წლის 13 თებერვალს დამტკიცებულ დებულებაში ჰპოვა („დებულება უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შესახებ“).

პირველ ხანებში მისწრაფებამ იმისაკენ, რომ თითოეულ მეცნიერულ მუშაკს ჰქონოდა სამეცნიერო თემა, გამოიწვია მრავალთემიანობა, რაც ერთიანი მიზანსწრაფვით არ ყოფილა დაკავშირებული ერთმანეთთან მთლიან კომპლექსში ძირითადი პრობლემებიდან გამომდინარე. ამით აიხსნება, რომ 1937—1941 წლების პერიოდი ხასიათდება თემების დიდი რაოდენობით. შემდგომ წლებში კათედრებისა და კათედრის წევრთა მეტი რაოდენობით ჩაბმასთან ერთად ადგილი აქვს თემების რიცხვის შემცირებას, კომპლექსურობის ზრდას და მათ დაქვემდებარებას სახალხო-სამეურნეო ძირითადი ამოცანებისადმი.

საკვლევ მუშაობაში პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის ჩაბმის სურათს შემდეგი მაჩვენებლები იძლევა: თუ სათანადო წლის აღნიშნული პერსონალის რიცხვს 100%-ად მივიღებთ, მათი საკვლევ მუშაობაში ჩაბმის პროცენტი ასეთი იქნება: 1930 წელს—9%, 1933 წელს—24%, 1937 წელს—75%, 1941 წელს—78%; 1942 წელს—76%, 1943 წელს—87%, 1944 წელს—90%, 1945 წელს—94,6%.

თავისი ხასიათით კათედრებზე დამუშავებული თემების დაჯგუფება შემდეგნაირად შეიძლება:

1. ზოგადი ხასიათის თეორიული გამოკვლევანი
2. მეცნიერულ-ტექნიკური და ძირითადი ექსპერიმენტალური ხასიათის თემები
3. სასწავლო-მეთოდური ხასიათის:

ა) სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები

ბ) მონოგრაფიები.

თემების დასახელებული ჯგუფიდან გამოყოფილია ის თემები, რომლებიც სპეციალურად სადისერტაციოდ არიან განკუთვნილი (დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების მიზნით) და რომლებიც თავისი შინაარსით დაჯგუფებაში მოყვანილი თემის ხასიათისაა.

უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო-საკვლევი ხაზითაც ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის მიერ ჩატარებულია, პირველის შეხედვით ნაკლებად ხელშესახები და ძნელად აღსარიცხავი, მაგრამ არსებითად მეტად დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობის მუშაობა; სახელდობრ: მთელი რიგი მეტად აქტუალური თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების დამუშავებასთან და პრაქტიკულად გამოყენებასთან ერთად აღიზარდა ახალი მეცნიერული კადრები, ამაღლდა არსებული კადრების კვალიფიკაცია, გაშინაარსიანდა თვით პედაგოგიური პროცესი, სისტემატური დახმარება გაეწია ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს როგორც ცენტრში, ისე რაიონებში. არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, საკითხი, იქნება ის მეცნიერულ-მეთოდური, თუ პრაქტიკული ხასიათისა, არ წყდება სახ.-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის მონაწილეობის გარეშე. ინსტიტუტმა თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე კოლოსალური მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით. არ ყოფილა არც ერთი დირექტიული

ხასიათის მითითება მოცემული პარტიისა და ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის დარგში: ჩაისა და ციტრუსების განვითარების შესახებ, მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის, მეხილეობის, მეაბრეშუმეობის, საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობისა და სხ., რომლებსაც თავისი გამოხატულება არ ენახოს ინსტიტუტის თემატიურ გეგმაში და უახლოესი მონაწილეობა არ მიეღოს მის შემუშავებაში.

ინსტიტუტის კათედრების მიერ დამუშავებული მრავალი თემიდან, რომელთა მონაცემები გამოყენებულია, როგორც პედპერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტუდენტობასთან მეცადინეობის დროს, ისე წარმოებაში დასანერგავად, აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს. უფრო სრული ცნობები დამუშავებული თემების შესახებ მოყვანილია კათედრების ისტორიაში.

1. მეთილ-აცეტილ-კარბინოლის წარმოშობა ღვინოში, როგორც დიაგნოსტიკური საშუალება ძმრის მჟავა დუღილით დაავადების აღმოჩენისა (პროფ. ვ. ზ. ღ ვ ა ლ ა ძ ე).

თემას, თეორიული ინტერესის გარდა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და მისი მონაცემები გამოყენებულია მეღვინეობაში.

2. აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეები და მათი აღდგენის საკითხი (საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფ. ნ. ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი).

აღნიშნული ნაშრომის შედეგად გარკვეული პრაქტიკული ღონისძიებანია დასახული სადირექტივო ორგანოების მიერ ჭალის ტყეების აღდგენის მიზნით. თემა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მასში მოცემულია წინათ ჩვენში არსებული ტყის მეურნეობის ექსპლოატაციის გარკვეული წესის საფუძვლიანი ანალიზი.

3. დიფერენცირებული აგროტექნიკა (საქ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი პროფ. ტ. ყ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა).

სუბტროპიკულ საბჭოთა მეურნეობების საწარმოო პირობათა ღრმად შესწავლის საფუძველზე შრომაში მოცემულია დიფერენცირებული აგროტექნიკა, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურ პირობათა ნაირსახეობას ცალკე მეურნეობებში. თემის შედეგები გადაცემული აქვს წარმოებას.

3. საქართველოს ხორბლეულის ეკოტიპების და ფორმების შესწავლა და მათი სელექციური დამუშავება (საქ. მეცნ. აკად. წ./კ., პროფ. ლ. ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი).

თემის დამუშავების საფუძველზე გამოქვეყნდა მეტად საყურადღებო 7 შრომა. გამოყვანილია ხორბლის 4 ახალი ხაზი წარმოებისათვის გადასაცემად. დამუშავებულია მეტად მდიდარი ატლასი--„საქართველოს ხორბლეული“.

5. ალპური, სუბალპური და ტყის სარტყლების ნიადაგის ფიზიკური თვისებები და მათი ჰიდროლოგიური მნიშვნელობა (საქ. მეც. აკად. წ./კ., პროფ. ვ. ზ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი).

შრომას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

6. მასალები Pterochloroides persicae-ს ბიოლოგია-ეკოლოგიის შესწავლისათვის (მეცნ. დამსახ. მოღვ., პროფ. ლ. პ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე).

შრომას ახალი გაგება შეაქვს ამ საკითხში. დანერგილია წარმოებაში.

7. ვერცხლისფერი ტკიბის ბიოლოგია-ეკოლოგია საქართველოს შავ ზღვის სანაპიროს პირობებში (პროფ. ი. დ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი).

8. საქართველოს სსრ-ის ჩაის რაიონების ნიადაგები (მეცნ. დამსახ. მოღვ., პროფ. დ. პ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი).

თემის დამუშავებას დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს ჩაის კულტურის გაადგილების თვალსაზრისით.

9. ლეღვის კულტურის მონოგრაფია (მეცნ. დამსახ. მოღვ., პროფ. ნ. ხ ო მ ი ზ ურ ა შ ვ ი ლ ი), სადოქტორო დისერტაცია. შესწავლილია დამტვერიანების პირობები და ხასიათი. გამოვლინებულია სამეურნეო მნიშვნელობის ჯიშები და დამუშავებულია ღონისძიებათა სათანადო სისტემა.

10. საქართველოს სსრ-ის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები (დოც. ი. ლ. ჯ ა შ ი), სადოქტორო დისერტაცია. ძირითადად პრინციპულ-მეთოდოლოგიური ხასიათისაა. შრომაში მთელი რიგი საკითხები ახალ სიბრტყეშია განხილული. თეორიულ ინტერესთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

საორგანიზაციო გეგმების შედგენის მეთოდიკა და წარმოებაში დანერგვა. კომპლექსური თემა დამუშავებულია სოც. სოფლის მეურნეობის კათედრის მიერ (დოც. ი. ჯ ა შ ი, დოც. ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, დოც. პ. ჟ ღ ე ნ ტ ი). შედეგები გამოყენებულია მრავალ საბჭოთა მეურნეობაში და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ.

11. შამპანური ღვინოების ამღვრევის მიზეზები და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი (პროფ. კ. დ. მ ო დ ე ბ ა ძ ე და პროფ. ვ. ხ. ღ ვ ა ლ ა ძ ე).

თემის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო წარმოებამ, შამპანური ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, რამდენიმე მილიონი მანეთის ეკონომია მიიღო. დანერგილია წარმოებაში.

12. წითელმიწა ნიადაგების ქიმიური მელიორაცია (დოც. ი. ფ. ს ა რ ი-შ ვ ი ლ ი).

ჩატარებული ექსპერიმენტალური მონაცემების საფუძველზე წამოყენებულია ახალი დებულებანი, რომლებსაც მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

13. ტორფოფეკალური სასუქების მომზადების ახალი წესი და მისი გამოყენების ეფექტურობა სუბტროპიკული კულტურების მიმართ (დოც. ა. ჯ. მ ე ნ ა ღ ა რ ი შ ვ ი ლ ი).

ამ სასუქების დიდი ეფექტურობის გამო შენდება სპეციალური ტორფოფეკალური სასუქების დამამზადებელი ქარხანა ფოთსა და ბათომში.

14. ვაზის ქირურგიის თეორია და პრაქტიკა (დოც. ვ. ქ ა ნ თ ა რ ი ა).

წამოყენებული და გადაჭრილია ახალი საკითხები, რომლებსაც დიდ თეორიულ ინტერესთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. წარმოდგენილია როგორც სადოქტორო დისერტაცია.

15. თამბაქოს კულტურის ისტორია საქართველოში და მისი აღდგენის პერსპექტივები მეთამბაქოობის ძველ რაიონებში (დოც. ი. ბ ა ხ ტ ა ძ ე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემას მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გამოყოფილია თამბაქოს გავრცელების რაიონები.

16. ტრაქტორების ფერდობებზე გამოცდისათვის საზომი აპარატურის კონსტრუქციების დამუშავება (დოც. ვ. მ ა ხ ა ლ დ ი ა ნ ი, ვ. ბ ე ლ ე ც კ ი).

იმ ფართო პრობლემის შესწავლის მიზნით, რომელიც მექანიზაციის ფაკულტეტზე არის გათვალისწინებული (ფერდობების მექანიზაცია), ამ შრომას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

17. სათიბი მანქანების გადაკეთება პურეულის ასაღებად (დოც. გ. შ ხ ვ ა ც ა ბ ა ი ა).

დანერგილია კოლმეურნეობებში. საკ. მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ, დოც. შ ხ ვ ა ც ა ბ ა ი ა ს წინადადების საფუძველზე, დამუშავებულია ინსტრუქცია.

სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. ინსტიტუტში წარმოებულ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმას და შეიძლება ითქვას, მისი რეალიზაციის ერთ-ერთ სახეს, სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების მოწყობა წარმოადგენს. სამეცნიერო სესიის მოწყობის პრაქტიკა ჩვენს ინსტიტუტში 1938 წლიდან იწყება.

მეორე სესია—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის დამყარებასთან დაკავშირებით იქნა ჩატარებული.

მესამე სესია—1945 წ. 16—21 აპრილს; მოსმენილ იქნა 33 მოხსენება.

მეოთხე სესია—1946 წლის 14—20 თებერვალს; მოსმენილ იქნა 14 მოხსენება. სამეცნიერო სესია მიძღვნილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის თავისადმი.

სახელმძღვანელოები და „შრომები.“ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან პროდუქციას წარმოადგენს სახელმძღვანელოები და „შრომები“, რომელთა საფუძველზე აღიზარდა ჩვენი ინსტიტუტის მრავალი ათასი სტუდენტი. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან აგრონომიული განყოფილების და შემდგომ აგრონომიული ფაკულტეტის ჩამოყალიბების დროს არავითარი მეცნიერული ლიტერატურა არ არსებობდა ქართულ ენაზე, რომ არაფერი ვთქვათ სახელმძღვანელოების შესახებ. პირველი სახელმძღვანელოები ქართული უმაღლესი სას.-სამეურნეო სასწავლებლისათვის დამუშავებულ და გამოცემულ იქნა 1919—21 წლებში, სახელდობრ, ბოტანიკის კათედრის ასისტენტის ზ. ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი ს წიგნი—„გვიმრანაირ და ყვავილოვან მცენარეთა სარკვევი“ 1919 წელს იქნა გამოცემული ლითოგრაფიული წესით; 1921 წელს ა. თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ი ს—კრისტალოგრაფია; 1922 წელს უ ვ ა რ ო ვ ი ს—სას.-სამ. ენტომოლოგია და ა. შ. ამავე წელს ეკუთვნის ლექტორ ა. რ ო ლ ო ვ ი ს შრომის გამოცემა მეხილეობაში.

უნდა ითქვას, რომ პირველ წლებში წიგნების გამოცემის საქმეში დიდ მონაწილეობას თვით სტუდენტობა იღებდა როგორც ამ საქმის ორგანიზაციის, ისე თარგმნების შესრულებისა და კორექტირების მხრივაც. იმთავითვე დღევანდლამდე ამ საქმეში ჩაბმული იყო იმ დროს სტუდენტი, ამჟამად დოც. გ. ა ბ ე ს ა ძ ე, რომლის მიერ თარგმნილ, რედაქტირებულ და კორექტირებულ იქნა მრავალი სახელმძღვანელო და პერიოდული გამოცემა.

სახელმძღვანელოები არ მოიპოვებოდა არა მარტო სპეციალურ აგრონომიულ დარგში, არამედ ზოგად ტექნიკურ დისციპლინებშიაც. ფაკულტეტის და შემდეგ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას კარგად ჰქონდა შეგნებული, ქართულ ენაზე გამართულ სახელმძღვანელოს და დამხმარე ლიტერატურის შექმნის მნიშვნელობა. ამ მიმართულებით ინსტიტუტის მეცნიერულმა ძალებმა ბევრი რამ გააკეთეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ პერიოდი 1932 წლის შემდეგ. ამ დროიდან იწყება ჩვენი ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალის გამოცდილი ნაწილის ინტენსიური მუშაობა, როგორც ორიგინალური სახელმძღვანელოების დამუშავებაზე, ისე სხვა ენებზე არსებული კლასიკური შრომების თარგმნაზე. სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროდუქტიულობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია პერიოდი 1936 წლიდან 1941 წლამდე, როდესაც გამოცემულ იქნა 48 სახელმძღვანელო.

დიდი სამამულო ომის პერიოდში, მთელი რიგი კათედრების საგამოკვლევო თემატიკურ გეგმაში შეტანილ იქნა სახელმძღვანელოებზე მუშაობა და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული, თუმცა გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. ინსტიტუტის არსებობის განმავლობაში დამუშავებულია 120-ზე მეტი სახელწოდების სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურა გამოცემული როგორც სახელგამის, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის“, ისე საკუთარი გამომცემლობის მიერ (112 სახელმძღვანელო ქართულ ენაზე). დასახელებულ გამოცემათა რიცხვში შედის მეხილეობის კათედრის (პროფ. ნ. ხ ო მ ი ზ ო ო ა შ ვ ი ლ ი ს და დოც. ე. ე რ ი ს თ ა ვ ი ს) შესანიშნავი შრომა „საქართველოს ხილი“, პირველი და მეორე ტომი, პროფ. ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ს რედაქციით, მშვენივრად გაფორმებული ატლასის სახით.

ამჟამად დიდი მუშაობაა გაშლილი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შექმნის დარგში, განსაკუთრებით იმ დისციპლინათა ხაზით, სადაც სახელმძღვანელოების სიმცირე უფრო მწვავედ იგრძნობა. მეოთხე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 52 სახელმძღვანელოს დამუშავება და გამოცემა.

ინსტიტუტის „შრომები“. სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის წარმოების და გაშლის მძლავრ მამოძრავებელ ფაქტორს „შრომების“ გამოცემა წარმოადგენს. საქმის სიყვარულით და დიდი ენთუზიაზმით იქნა დაწყებული მუშაობა, ინსტიტუტის მუდმივი მეცნიერული ხასიათის კრებულის „შრომების“ გამოცემის *ირგვლივ. პირველი ასეთი კრებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „მოამბის“ სახელწოდებით 1933 წელს გამოვიდა. თავდაპირველად* გათვალისწინებული იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „მოამბის“ ყოველ

ორ თვეში გამოცემა 8—10 სასტამბო თაბახის მოცულობით 2.000 ტირაჟით. სარედაქციო კოლეგიის პირველი შემადგენლობიდან, ხანგრძლივი მუშაობის წარმოება წილად ხვდა პროფ. ი. ლომოურს, პროფ. მოდებაძეს და დოც. ვ. ჯაშს. მთელ რიგ ტექნიკურ ორგანიზაციულ და უმთავრესად ქაღალდის სიმცირით გამოწვეულ დაბრკოლებათა მიუხედავად, ინსტიტუტმა შესძლო აქამდე გამოქვეყნება „შრომების“ 34 ტომისა, რომლებშიაც 316 მეცნიერული ხასიათის წერილი არის მოთავსებული. ამდენადვე ინსტიტუტში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შედეგების რეალიზაციის ერთ-ერთ ფორმას აღნიშნული „შრომების“ გამოცემა წარმოადგენს, ვინაიდან ის არსებითად ჩვენი კათედრების სამეცნიერო მუშაობის პროდუქციაა. „შრომების“ საშუალებით ჩვენს ინსტიტუტში წარმოებულ სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას გაეცნო გარკვეულ ნაწილში მეცნიერული საზოგადოებრიობა როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში, რომლებთანაც ინსტიტუტს კავშირი აქვს მეცნიერული ლიტერატურის გაცვლის სახით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ „შრომებმა“ თვალსაჩინო როლი შეასრულა საკავშირო მიწსახკომის მიერ ჩვენი ინსტიტუტის სტამბით და ქაღალდით დაჯილდოების საქმეში.

მომავლისათვის გათვალისწინებულია წელიწადში „შრომების“ 4 ტომის გამოცემა. ამის რეალური შესაძლებლობა ინსტიტუტში ამჟამად არსებობს. თანაც მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერული საზოგადოებრიობა უკეთ გაეცნოს ინსტიტუტის კათედრების მიერ წარმოებულ კვლევითს მუშაობას.

სტუდენტთა სამეცნიერო წრეები და კონფერენციები. სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას და მათში კვლევითი ჩვევების გამომუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ ასპარეზზე გამოსული სპეციალისტების მოღვაწეობაში. ინსტიტუტის, უფრო ადრე კი აგრონომიული ფაკ-ის, ხელმძღვანელობა მაქსიმალურად უწყობდა ხელს ყოველგვარი ისეთი ფორმის გამოყენებას, რომელიც მიმართული იყო სტუდენტობაში შემოქმედებითი ინიციატივის გაშლისკენ; ასეთ რთულსა და მრავალწახნაგოვან სამეურნეო სფეროში მოღვაწეობა, როგორიც არის სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის სინამდვილე, საჭიროებს სპეციალისტის საფუძვლიან მომზადებას არა მხოლოდ პრაქტიკულ საკითხებში, არამედ სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში გაწაფვასაც. სოფლის მეურნეობაში არსებულ პირობათა რთულ კომპლექსში გარკვევა და ეფექტური მუშაობა დიდად არის დაკავშირებული მოვლენათა შესწავლასა და ანალიზთან. სპეციალისტი, რომელ დარგშიაც არ უნდა მუშაობდეს იგი, თავის გარკვეულ ნაწილში, ამავე დროს მკვლევარიც უნდა იყოს, მომავალი მეცნიერული მუშაკი, გამიზნული უმაღლესი სასწავლებლისათვის თუ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებისათვის, წარმატებით შეირჩევა საგამოკვლევო მუშაობაში ჩაბმულ სტუდენტთა წრიდან. ამდენადვე უმაღლესი სკოლის, და კერძოდ ჩვენს უმაღლეს სას.-სამ. სასწავლებელში იმთავითვე, როგორც ეს ზემოთ არის აღნიშნული, გამახვილებული იყო ყურადღება სტუდენტობაში ასეთი ჩვევების გამომუშავებისა და დანერგვისათვის.

საგნის მოყვარულთა წრეები, სტუდენტთა სამეცნიერო წრეები (საფაკულტეტო და საინსტიტუტო), სამეცნიერო კონფერენციები,—აი ის ფორმა, რომელიც საშუალებით უნდა იქნას გამოვლინებული სტუდენტთა დამოუკიდებელი და კვლევითი მუშაობა. უნდა ითქვას, რომ თუ ჩვენი უმაღლესი სას.-სამ. განათლების განვითარების პირველ პერიოდში—მისი ფაკულტეტობის სტადიაში, მეტად ფართო, ნაყოფიერი მუშაობა იქნა ჩატარებული სტუდენტთა აგრონომიული წრის მიერ და მან საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცა, სამწუხაროდ, ეს მუშაობა მეტად შენელდა ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ.

1929 წ. სტუდენტთა წრის მუზეუმის და შემდეგ ფაქტიურად თვით სამეცნიერო წრის გაუქმების შემდეგ, თითქმის ორი წლის განმავლობაში შეჩერებული იყო ამგვარი მუშაობა, და მხოლოდ 1931 წლიდან იწყება მათი ჩამოყალიბება ფაკულტეტების მიხედვით. 1931 წლიდან 1935 წლამდე ეწყობოდა (მართალია არასისტემატურად), არსებული არასრული ცნობარის მიხედვით, წელიწადში საშუალოდ 10—12 მოხსენება-რეფერატი. 1935 და 1936 წლებში სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობა თითქმის შეწყდა და მხოლოდ 1937 წლიდან ეტყობა მას გამოცოცხლება. ამ მუშაობაში წარმმართველი როლი მაშინდელ სასწავლო ნაწილის გამგეს პროფ. ნ. კეცხოველს ეკუთვნის, რომელმაც ენერგიულად მოკიდა ხელი მუშაობის ამ ჩამორჩენილი უბნის გამოსწორების საქმეს. ჩამოყალიბდა საგნის მოყვარული წრეები, ფაკულტეტებზე აგრონომიული წრეები, რომლებიც გაერთიანებულ იქნენ მთლიან საინსტიტუტო წრეში. სისტემატურად ტარდებოდა მოხსენებები, სხდომები.

1940 წელს მოეწყო სტუდენტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომელზედაც გამოტანილი იყო სტუდენტთა მიერ დამუშავებული თემები, სულ —16 მოხსენება; სამამულო ომის პერიოდში, მთავარი კორპუსის სამხედრო უწყების განკარგულებაში გადასვლისა და საერთო სამოსწავლო ფართობის შემცირების გამო, მეტად გაძნელდა და შეიზღუდა მუშაობა ამ მიმართულებით, თუმცა ცალკეულ ფაკულტეტებზე, მაგ., სატყეო ფაკულტეტზე, მემინდვრეობის, მეაბრეშუმეობის და სხვ. საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა საგანთა მოყვარული წრეები. 1944 წელს ეს მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდა და 1945 წელს უკვე შესაძლებელი შეიქნა ჩატარება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისა, რომელზედაც მოსმენილ იქნა 16 მოხსენება. ამათგან 6 მოხსენება იმდენად მაღალხარისხოვანი აღმოჩნდა, რომ ცნობილ იქნა მათი გამოქვეყნების საჭიროება.

სტუდენტთა მესამე კონფერენცია ჩატარდა 1946 წ. მაისის 10—11 რიცხვებში. სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში ჩაბმული 54 სტუდენტიდან შეირჩა რამდენიმე და კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 14 მოხსენება, რომელთა უმრავლესობა (9 მოხსენება) სტუდენტთა საკუთარი კვლევის შედეგს წარმოადგენდა, ხოლო ნაწილი—ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე დამუშავებულს.

ინსტიტუტის დირექციას დამუშავებული აქვს ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლის გატარება სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის საერთო განვითარებასთან ერთად, სტუდენტთა ამ მუშაობაში ფართოდ ჩაბმას ითვალისწინებს.

სპეციალისტთა გამოშვება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში თითო-ოროლა აგრონომი მუშაობდა. სოფლის მეურნეობის განვითარების მოდუნებული ტემპი და, მასთან ერთად, უმაღლესი სას.-სამეურნეო სასწავლებლის უქონლობა, გამორიცხავდა მათ ფართო გამოყენებას ჩვენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრონომიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1922 წელს მოხდა. ფაკულტეტი დაამთავრა სულ 23 კაცმა. ეს იყო პირველი ნაციონალური უმაღლესი სკოლის პირველი პროდუქცია სოფლის მეურნეობის დარგში. შემდეგ წლებში გამოშვებულ სპეციალისტთა რაოდენობა თანდათანობით იზრდება; 1928 წლიდან მეტად გადიდდა ახლად გამოშვებულ სპეციალისტთა რაოდენობა (მაგ., 1927 წელს 207 სპეციალისტი იქნა გამოშვებული, ხოლო 1928 წელს—577). კულმინაციურ რიცხვებს ის აღწევს 1932 წელს, როდესაც ჩვენი სოფლის მეურნეობას—940 სპეციალისტი შეემატა. ეს ის პერიოდია, როდესაც ვიწრო სპეციალიზაციას ჰქონდა ადგილი და, მაშასადამე, პროფილების სიმრავლით ხასიათდებოდა. აღსანიშნავია, რომ 1928 წლამდე მზადდებოდა, ე. წ. უნივერსალისტი—აგრონომები. არსებული ცნობების მიხედვით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში 1922—1946 წლამდე, სას.-სამეურნეო ინსტიტუტის ხაზით მომზადებულ იქნა—8.740 სპეციალისტი. სას.-სამ. ინსტიტუტის მიერ გამოშვებულ იქნა 11 სხვადასხვა პროფილის სპეციალისტი, სახელდობრ.

1. **აგრონომი**—ე. წ. უნივერსალისტი, პროფილებად დანაწილების გარეშე, სულ, მთელი პერიოდის განმავლობაში, ასეთი ნომენკლატურით გამოშვებულ იქნა 1935.

2. **მებაღე**—რომელშიაც იგულისხმება აგრონომი მეხილეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის დარგის ცოდნით, გამოშვებულია 1.249.

3. **სუბტროპიკი**—პირველი გამოშვება 1930 წელს მოხდა და ამ ხნის განმავლობაში მომზადებულ იქნა 1.659 სპეციალისტი.

4. **მემინდვრე**—664 კაცი.

5. **ზოოტექნიკოსი**—287 კაცი (სას.-სამ. ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის ხაზით).

6 **მეაბრეშუმე**—პირველი გამოშვება 1931 წ. მოხდა და სულ მომზადებულ იქნა—417 სპეციალისტი.

7. **აგრონომი მცენარეთა დაცვაში.**

8. **მეტყევე**—ტყის კულტურის და ექსპლოატაციის დარგში.

9. **მექანიზატორი**,—რომელსაც ამჟამად ინჟენერ მექანიზატორს უწოდებენ.

10. **ტექნოლოგი**—გამოშვება 1937 წელს იწყება და შეიცავს 2 პროფილს.

11. **აგრონომი-ეკონომისტი**—ამ პროფილის სპეციალისტები გამოშვებული იყვნენ 1930 წელს, რომლის შემდეგ აღნიშნული სპეციალობა გაუქმებულ იქნა.

როგორც აგრონომიული ფაკულტეტის, ისე სას.-სამ. ინსტიტუტის მიერ აღნიშნული პროფილების სპეციალისტთა გამოშვება წლების მიხედვით, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი (იხ. ცხრილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. პ. ბერიას სახ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიერ სპეციალისტთა გამოშვება (1922 – 1946 წ. წ.)

სპეციალობის დასახელება \ წლები	1922	1923	1924	1925	1926	1927	1928	1929	1930	1931	1932	1933	1934	1935	1936	1937	1938	1939	1940	1941	1942	1943	1944	1945	სულ:
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
აგრონომ-ეკონომისტი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	56	—	—	—	—	—	—	56
აგრონომი (პროფილებად დანაწილების გარეშე)	23	29	69	76	184	186	362	277	129	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1.335
მებაღე-მევენახე	—	—	—	—	—	—	156	65	162	115	92	147	—	—	114	66	48	53	55	41	64	23	23	25	1.249
სუბტროპიკი	—	—	—	—	—	—	—	—	117[1]	133[1]	472	46	197	167	—	94	56	135	41	66	62	34	27	12	1.659
ტექნოლოგიკ	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	45	21	35	51	—	18	49	22	20	261
მ ეტყევე	—	—	5	8	20	21	59	40	90	71	111	4[1]	186[1]	223[1]	208	136	22	115	195	27	35	7	8	8	1.800
მექანიზატორი	—	—	—	—	—	—	—	—	23	105	46	—	104	—	80	—	48	28	30	52	32	—	18	5	571
მემინდვრე	—	—	—	—	—	—	—	—	58	77	27	129	—	—	54	49	47	40	51	35	40	22	19	16	664
ზოოტექნიკოსი	—	—	—	—	—	—	—	—	—	152	135	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	287
მეაბრეშუმე	—	—	—	—	—	—	—	—	—	35	57	123	—	—	76	34	19	13	—	—	—	32	19	9	417
აგრონომი მცენარეთა დაცვაში	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	96[1]	—	106	93	—	63	43	—	—	12	9	10	9	441
ს უ ლ	23	29	74	84	204	207	577	382	579	688	940	545	487	496	625	424	520	518	418	221	263	176	146	104	8,740

აღნიშნულ წლებში დასახელებული სპეციალობანი წარმოდგენილი არიან ცალკე ინსტიტუტების სახით (სუბტროპიკული, სატყეო და მც. დაცვის, რომლებიც შემდეგ შეერთებულ იქნენ სახ.-სამ. ინსტიტუტთან).

მუშაობის ამ საერთო სისტემაში აღსანიშნავია ის თვალსაჩინო როლი, რომელიც ითამაშა ინსტიტუტის საზოგადოებრიობამ—მისმა პროფესიონალურმა ორგანიზაციამ პროფესორ-მასწავლებელთა და ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის მობილიზების საქმეში და რომელმაც დიდად შეუწყო ხელი სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გაშლას; ამასთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით იმ განსაკუთრებულ მუშაობას, რომელიც ამ მიმართულებით იყო ჩატარებული ადგილკომის თავ-რის, ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულის, მეც. მუშაკის ამხ. ნ. თ. ბ ე რ ი ა ს მიერ. მისი ხელმძღვანელობით გაშლილმა მუშაობამ და მათ შორის მეცნიერ მუშაკთა ცოლების საბჭოს ჩამოყალიბებამ და მუშაობამ ახალი სხივი შეიტანა ინსტიტუტის საერთო საქმიანობაში.

ინსტიტუტს გარეთ მუშაობა. აგრონომიული ფაკულტეტის და შემდეგ ინსტიტუტის დაარსების მომენტიდან, პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის მოღვაწეობა არ განისაზღვრება სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობით ინსტიტუტის ფარგლებში. ცალკეული კათედრების მუშაკთა დროის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ზოგჯერ 50% და მეტიც ინსტიტუტის გარეთ მუშაობაზე მოდის. ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი უშუალო მონაწილეობას იღებდა ყველა მნიშვნელოვანი პრაქტიკული და მეცნიერული ხასიათის საკითხის გადაწყვეტაში.

ინსტიტუტს გარეთ პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის მიერ ჩატარებულ მუშაობათაგან, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

1. კონსულტაციები ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ გაწეულ დახმარებათა შორის როგორც სამუშაოთა მოცულობის, ისე მისი მნიშვნელობის მხრივ. სამეურნეო ორგანიზაციებს (ცენტრსა და რაიონებში), კოლმეურნეობებს, მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებს, სას.-სამეურნეო ტექნიკუმებს და სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს სისტემატურად უწევენ კონსულტაციას ჩვენი ინსტიტუტის კათედრები. ამ მუშაობას აწარმოებს ინსტიტუტის ყველა ძირითადი კათედრა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: მეღვინეობის კათედრა (გამგე პროფ. კ. მ ო დ ე ბ ა ძ ე), ბიოორგანული ქიმიის (კათ. გამგე განსვენებ. პროფ. ვ. ღ ვ ა ლ ა ძ ე), ზოოლოგიისა და ზოგადი ენტომოლოგიის კათედრა (პროფ. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე), სპეც. ენტომოლოგიის კათედრა (პროფ. ირ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი), ნიადაგმცოდნეობის (პროფ. დ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი), სუბტროპიკული მეხილეობის (აკად. ტ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა), მემცენარეობის (პროფ. ი. ლ ო მ ო უ რ ი), სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (დოც. ი. ჯ ა შ ი), მებოსტნეობის (დოც. გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე), ზოგადი მეტყეობის (პროფ. ვ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი), მანქანა-იარაღების (დოც. დ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი), სარემონტო საქმის (დოც. გ. უ შ ვ ე რ ი ძ ე) და სხ.

2. წარმოება-დაწესებულებათათვის უშუალო დახმარება მთელი რიგი ძირითადი და უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში როგორც ოპერატიული, ისე ორგანიზაციული ხასიათისა.

საკითხთა ამ ციკლს ეკუთვნის საორგანიზაციო-საწარმოო გეგმების შედგენა სოც. სას.-სამ. საწარმოთათვის; განსაკუთრებით აღსანიშნავია მექანიზაციის ფაკულტეტის და მასთან ერთად მექანიზაციის საცდელი სადგურის დიდი მუშაობა მტს-ებისათვის დახმარების გაწევის მხრივ (რემონტი, მანქანათა დეტალების დამზადება, ინსტრუქტაჟი და სხვა).

3. კურსების ჩატარება. განსაკუთრებით 1930 წლიდან აქვს მას სისტემატური ხასიათი. უფრო ადრე მოწყობილ კურსებზე ინსტიტუტის პედპერსონალი უშუალო მონაწილეობას იღებდა, ხოლო 1930—31 წლიდან თვით ინსტიტუტში ეწყობა სხვადასხვა ხასიათის კურსები, უმთავრესად სპეციალისტთა

კვალიფიკაციის ასამაღლებელი; რაიონებში მომუშავე სხვადასხვა პროფილის აგრონომებისათვის ჩატარებულ იქნა როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი კურსები. აგრეთვე რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთათვის: საბჭოთა მეურნეობის, მტს-ების დირექტორების, მექანიკოსების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისათვის. 1930 წლიდან სულ ჩატარებულ იქნა 17 სხვადასხვა ხასიათის და მიმართულების კურსები. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი სამამულო ომის პერიოდში პირველად ასე ფართო მასშტაბით მოწყობილი კურსები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისათვის. გადამზადებულ იქნა—1.900-ზე მეტი თავმჯდომარე. ამ მუშაობაში ჩაბმული იყო ჩვენი ინსტიტუტის ძირითადი კათედრები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კათედრა, რომელიც გარდა კურსებზე ჩატარებული მეცადინეობისა, სისტემატურად ეწეოდა კონსულტაციას (ძირითადად წერილობით) კოლმეურნეობის თავმჯდომარეებთან სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ცალკეული საკითხების შესახებ.

4. წარმოებათათვის გაწეული დახმარების სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია ლექციებისა და საუბრების ჩატარება კოლმეურნეობებში, მტს-ებში და საბჭოთა მეურნეობებში. მხოლოდ სამამულო ომის პერიოდში ჩატარებულ იქნა 550-ზე მეტი ლექცია. გარდა ამისა, 1936 წლიდან სისტემატურად თავსდება ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალის წერილები ცენტრალურ და უფრო მეტად რაიონულ გაზეთებში სოფლის მეურნეობის ცალკეული აქტუალური საკითხების შესახებ. არასრული ცნობების მიხედვით 6.000-ზე მეტი წერილი იქნა გამოქვეყნებული ინსტიტუტის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში.

* * *

ასეთია ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუშაობის მთავარი მომენტები, საქართველოში უმაღლესი სას.-სამ. კერის შექმნიდან დღემდე.

1946 წლისათვის ინსტიტუტში წარმოდგენილი სპეციალობანი და პროფილები უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებიდან, მისი სპეციალიზაციის ხასიათიდან, მასთან არის შეფარდებული თვით ინსტიტუტის საერთო სტრუქტურა, რომლის ძირითად სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევ ერთეულებს, შემდეგი რგოლები წარმოადგენენ:

1. ინსტიტუტის დირექტორი—დოც. გ. ყ. ურუშაძე
2. დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში, მეცნ. დამსახ. მოღ., პროფესორი ლ. პ. კალანდაძე
3. დირექტორის მოადგილე სამეცნიერო-საკვლევ ნაწილში დოც. ი. ლ. ჯაში.

ფაკულტეტები

1. აგრონომიული ფაკ. დეკანი. — დოც. ნ. კ. ლაჭყეპიანი
2. სუბტროპიკული ფაკ. დეკანი, საქ. მეცნ. აკადემიის წევრი — პროფ. ტ. ყ. კვარაცხელია
3. **ბებალეობა-მევენახეობის** დეკანი — **დოც. ვ. ა. ქანთარია**

4. სატყეო-სამეურნეო ფაკ. დეკანი — დოც. ი. ი. ჩხუბიანიშვილი
5. მცენარეთა დაცვის „ „ — პროფ. ირ. დ. ბათიაშვილი
6. მეაბრეშუმეობის „ „ — დოც. ი. მ. დოლიძე
7. ტექნოლოგიური „ „ — დოც. ხ. ბ. შალამბერიძე
8. მექანიზაციის „ „ — დოც. დ. დ. ციციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1921—1946 წლები—მეოთხედი საუკუნე—მთელი ეპოქაა კაცობრიობის განვითარების თვალუწვდენელ ისტორიაში. ეს პერიოდი ხასიათდება უმდიდრესი შინაარსით, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებანით დიდი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში. გმირული შრომის გუგუნით განვლეს სტალინურმა ხუთწლედებმა, მშობლიურ ქვეყანას გადაუარა მრისხანე გრიგალმა, ძმურ კავშირში გაერთიანებულმა საბჭოთა ხალხებმა განიცადეს თანამედროვე ომის მთელი საშინელება, მთელი მისი გამანადგურებელი ძალა, სიმწვავე და დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალური ხელმძღვანელობით მოპოვებული სიტკბოება. დღეს, მთელი ჩვენი მატერიალური შესაძლებლობანი და სულიერი ძალა მიმართულია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი გრანდიოზული გეგმის განხორციელებისაკენ. 1946 წლისათვის—დიდი სამამულო ომის ბრწყინვალედ დამთავრების მეორე წელს, ხოლო მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს, ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა, მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, ფართო შემოქმედებითი მუშაობა გაშალა როგორც სასწავლო-პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო-საკვლევ დარგში. თავისი არსებობის 25 წლისთავზე ის მძლავრ ჩამოყალიბებულ სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ტრადიციის მქონე ნაციონალურ უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ არის უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური პროფესორ-პედაგოგიური ძალებით და დამხმარე სასწავლო პერსონალით.

მაგრამ არსებული მდგომარეობა, როგორი მიღწევებითაც არ უნდა ხასიათდებოდეს იგი, არ აკმაყოფილებს საბჭოთა მზიურ ეპოქაში მომუშავე სამეცნიერო ძალებს.

დიდი ბელადის, ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ, ა. წ. 9 თებერვალს ქვეყნის წინაშე დაყენებული გრანდიოზული ამოცანები იძლევა ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და განვითარების სამოქმედო პროგრამას, რომლის კონკრეტიზაციას დღევანდელ ეტაპზე წარმოადგენს, მეოთხე ხუთწლედში, და კერძოდ, კადრების მომზადების დარგში დასმული საკითხები. ახალი სამინისტროების ჩამოყალიბება, კერძოდ უმაღლესი განათლების სამინისტროს შექმნა მიმართულია მუშაობის როგორც მასშტაბის, ისე ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებისაკენ.

თავის მხრივ, ეს ამოცანები [illegible]ს სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, მის პროფესორ-პედაგოგიურ პერსონალს და ხელმძღვანელობას ახალ ვალდებულებებს აკისრებს. ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი, აღფრთოვანებული პარტიისა და ხელისუფლების უდიდესი მზრუნველობით და ყურადღებით, აქტიურად ჩაება სამამულო ომით

გამოწვეული ჭრილობის განკურნებისა და ახალი აღმავლობითი გზით განვითარების მიზნით გაშლილ სამუშაოებში. ამის საუკეთესო გამომხატველია ის ახალი, დამატებითი ვალდებულებანი, რომლებიც ჩვენი ინსტიტუტის ძირითადმა ბირთვმა აიღო თავზე პედაგოგიური და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაშინაარსიანებისა და გაშლის მიმართულებით. მეოთხედი საუკუნის მანძილზე განვლილი გზა და ჩატარებული მუშაობა გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ სრული რწმენა, რომ მძიმე, მრავალ დაბრკოლებასთან დაკავშირებულ, მაგრამ საპატიო ტვირთს მომავალშიაც—საუკუნის მეორე მეოთხედშიაც წარმატებით ატარებს ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, მასზე დაკისრებული დიადი მოვალეობის სრული შეგნების გრძნობით, რათა თავისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შექმნილი პროდუქციის მაღალი ხარისხით გაამართლოს ჩვენი ინსტიტუტისათვის მიკუთვნებული, საქართველოს საუკეთესო შვილის—ამხანაგ ლ. პ. ბ ე რ ი ა ს სახელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგადი მიწათმოქმედების კათედრა

კათედრის სტრუქტურა. ზოგადი მიწათმოქმედების კათედრა 1938 წლამდე როგორც ცალკე, დამოუკიდებელი კათედრა, არ არსებობდა. იგი გაერთიანებული იყო ნიადაგმცოდნეობასთან „ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების" კათედრის სახელწოდებით. გარდა ზემოაღნიშნული ორი დისციპლინისა, მასში შედიოდა აგრეთვე გეოლოგია-მინერალოგია, აგროქიმია და სას.-სამ. მელიორაცია.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1938 წლამდე. 1938 წლის იანვრიდან, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის ბრძანების საფუძველზე, ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრა გაიყო სამ კათედრად: 1. ნიადაგმცოდნეობის კათედრა (გეოლოგია-მინერალოგიის ჩათვლით), 2. აგროქიმიისა და 3. ზოგადი მიწათმოქმედების კათედრა, რომლის ფარგლებში შედიოდა აგრეთვე სას.-სამ. მელიორაცია.

1939 წ. პირველი სექტემბრიდან ზოგადი მიწათმოქმედების კათედრას გამოეყო, როგორც დამოუკიდებელი კათედრა, სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის კათედრა. ამით დამთავრდა ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის სტრუქტურული ჩამოყალიბების პროცესი და ამ სახით იგი არსებობს ამჟამადაც (1946/47 აკად. წლის დასაწყისში).

გაერთიანებული—ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის დაარსების პირველი წლიდანვე (ე. ი. 1919 წლიდან) საფუძველი ჩაეყარა ზოგადი მიწათმოქმედების კაბინეტს; შემდეგ პერიოდში იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუმჯობესდა: შეივსო კოლექციებით, ჰერბარიუმებით. გამდიდრდა სასწავლო-სადემონსტრაციო მოწყობილობით, სპეციალური ხელსაწყოებით და სხვა აპარატურით, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი საზღვარგარეთიდან იყო მიღებული. მაგრამ თუ სასწავლო კაბინეტის მდგომარეობა და მუშაობა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი იყო, იგივე არ ითქმის კათედრის ლაბორატორიის შესახებ. კათედრის ამა თუ იმ სახით არსებობის ოცი წლის განმავლობაში (1919—1939 წ.) ვერასგზით ვერ მოხერხდა ლაბორატორიის დაარსება. ამიტომ იყო, რომ ამ ხანგრძლივ პერიოდში ზოგადი მიწათმოქმედების საგანში პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობას ახასიათებდა ცალმხრივობა: იგი უმთავრესად განისაზღვრებოდა კულტურულ და სარეველა მცენარეთა რაობის გარკვევით და თესლმცოდნეობის ძირითადი ელემენტების გაცნობა-შეთვისებით, რაც რა თქმა უნდა, სრულიად არ შეეფერებოდა ზოგადი

მიწათმოქმედების, როგორც გარკვეული მეცნიერული დისციპლინის, თანამედროვე გაგებას და აქედან გამომდინარე ამოცანებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითად შეიცვალა ამ მხრივ მდგომარეობა 1940 წლიდან, როდესაც კათედრას მიეცა შესაძლებლობა ხელი მიეყო სპეციალური ლაბორატორიის მოწყობისათვის. 1941 წლისათვის კათედრის განკარგულებაში უკვე იყო კარგად მოწყობილი ლაბორატორია, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ამუშავება და სასწავლო-საგამოკვლევო მიზნებისათვის გამოყენება კათედრას არ დასცალდა. სამამულო ომის პერიოდში ინსტიტუტის ძირითადი შენობა, სადაც მოთავსებული იყო ეს ლაბორატორიაც, გადავიდა სამხედრო უწყების განკარგულებაში და ინსტიტუტს დაუბრუნდა მხოლოდ 1945 წ.

კათედრის შტატი. კათედრის დაარსების პირველ წელს ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების გაერთიანებული კათედრის მთელი შტატი განისაზღვრებოდა ორი პირით. ესენი იყვნენ: დოც. დ. პ. გედევანიშვილი—ორივე საგნის ხელმძღვანელი და ლექტორი და გ. ტ. რცხილაძე, ასისტენტი ზოგადი მიწათმოქმედების საგანში.

1925 წ. მათ მიემატა ლაბორანტის თანამდებობით ა. კ. მაყაშვილი.

ამ ხნიდან, ვიდრე 1929 წლამდე, როდესაც აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა სას.-სამ. ინსტიტუტი, კათედრის პირად შემადგენლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებები: ა. კ. მაყაშვილი დაინიშნა ზოგადი მიწათმოქმედების საგნის ასისტენტად (1926 წ.) და მის ნაცვლად ლაბორანტად ნ. რევიშვილი. 1928 წ. გ. ტ. რცხილაძე განთავისუფლებულ იქნა ფაკულტეტზე და ამით, კათედრაზედაც მუშაობისაგან და კვლავ დაუბრუნდა მას მხოლოდ 11 წლის შემდეგ 1939 წ.

1935 წლისათვის კათედრასთან, ზოგადი მიწათმოქმედების ხაზით, ითვლებოდნენ პროფ. დ. პ. გედევანიშვილი, დოც. ა. კ. მაყაშვილი და ასისტენტი გ. ნ. ქეშელაშვილი. მომდევნო სამ წელს ცვლილება გამოიხატა იმაში, რომ 1936 წ. დოც. ა. მაყაშვილი, მისივე თხოვნით, განთავისუფლდა ინსტიტუტში მუშაობისაგან, ხოლო გ. ქეშელაშვილი, რომელმაც 1937 წ. დაიცვა დისერტაცია და მიიღო სას.-სამ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, დაინიშნა დოცენტად.

1940 წლისათვის, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ზოგადი მიწათმოქმედების კათედრა, მისი პირადი შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: 1. კათედრის გამგის მ/ა. დოც. გ. ქეშელაშვილი, 2. კათედრის პროფესორის მ/ა. გ. ტ. რცხილაძე, 3. ასისტ. ი. სეფაშვილი, 4. ასისტ. ნ. ბაწელაშვილი, 5. ლაბ. ვ. გელდიაშვილი, 6. უფრ. პრეპარატ. ნ. მეტრეველი, 7. პრეპარატორი ნ. ბუჯიაშვილი და ორი ასპირანტი—ა. ბუჯიაშვილი და დ. ცხომარია.

სამამულო ომის პერიოდში წითელი არმიის რიგებში გაწვეული იყვნენ ი. სეფაშვილი და დ. ცხომარია. ეს უკანასკნელი დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა კათედრას და მოკლე ხანში ამთავრებს ასპირანტურას.

ამავე პერიოდში კათედრასთან დაკავშირებული იყვნენ ევაკუაციის წესით თბილისში ჩამოსული ლენინის სახელ. სას.-სამ. აკადემიის წევრი ბ. ნ. როჟესტვენსკი (გარდაიცვალა თბილისშივე 1943 წ. 15 იანვარს) და ... სას.-სამ. ინსტიტუტის პროფესორი ს. კ. ჩაიანოვი, რომელიც 1944 წ. ნოემბრიდან კვლავ დაუბრუნდა თავის ინსტიტუტს.

1946/47 აკად. წლის დასაწყისში კათედრის პირადი შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

№№ ბ.	გვარი სახელი მამის სახელი	თანამდებობა, წოდება	ხარისხი	რომელი წლიდან მუშაობს კათედრაზე
1	ქეშელაშვილი გრიგოლ ნიკოლ.-ძე	კათედრის გამგე, დოცენტი.	სოფ. მეურნეობის მეცნიერ. კანდიდატი	1931 წლიდან.
2	რცხილაძე გიორგი ტარ-ძე	პროფესორის მ/ა	—	1919—1928 წ. და 1939 წლიდან
3	ჭანიშვილი შალვა თომას-ძე	დოცენტის მ/ა	სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი	1932—33 წლამდე და 1946 წლიდან.
4	ბაწელაშვილი ნადეჟდა ბ.	ასისტენტი	—	1940 წლიდან
5	ბუჯიაშვილი არჩილი ლ.	„	—	1937 წლიდან.
6	ტეტლიაშვილი-ლოლაძისა ე. თ.	უფრ. ლაბორანტი	—	1939—1940 წლამდე 1943 წლიდან
7	მეტრეველი ნ.	ლაბორანტი	—	1938 წლიდან
8	ხომასურიძე ქ.	„	—	1944 წლიდან
9	ცხომარია დ.	ასპირანტი	—	1939—1941 წლ. და 1945 წლიდან

კათედრის წევრთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშაობამ საკმაოდ თვალსაჩინო შედეგი მოგვცა. ასე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვეს: 1937 წ. გ. ნ. ქეშელაშვილმა, 1939 წ. ი. ა. ჩხენკელმა და 1941 წ. ი. მ. სეფაშვილმა. ამჟამად სადისერტაციო შრომა მზადა აქვს ასისტენტ ა. ლ. ბუჯიაშვილს და მასზე მუშაობენ აგრეთვე ასისტენტი ნ. ბ. ბაწელაშვილი და ასპ. დ. ბ. ცხომარია.

სახელმძღვანელოები. 1932 წ. სახელგამმა გამოსცა ა. მაყაშვილის მიერ შედგენილი კომპილაციური სახელმძღვანელო „ზოგადი მიწათმოქმედების მოკლე კურსი.“ 1934 წ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა იმავე ავტორის წიგნი—დამხმარე სახელმძღვანელო, „საქართველოს სარეველა მცენარეები“ (სარკვევი). 1939 წ. გამოვიდა ი. ა. ჩხენკელის სახელმძღვანელო „სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია“. ამჟამად კათედრას გამოსაცემად დამზადებული აქვს პროფ. ა. სოკოლოვის „ზოგადი მიწათმოქმედება“ (დოც. გ. აბესაძის თარგმანი) და შედგენილია დოც. გ. ქეშელაშვილის მიერ

„ზოგადი მიწათმოქმედების პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის სახელმძღვანელო“. სახელმძღვანელოს, სათაურით „აგრონომიის შესავალი“, ამზადებს აგრეთვე პროფ. გ. ტ. რცხილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრის საგამოკვლევო მუშაობა. მისი დაარსების პირველი წლებიდანვე კათედრამ ფართოდ დაიწყო შესწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ სარეველა მცენარეებისა და გამოკვლევები ნათესების დასარეველიანებისა. ამ გამოკვლევების შედეგი იყო შრომები:

1. „Caucalis hordeicarpo“ — ა. მაყაშვილი, ექსპერიმენტ. აგრონომ. ინსტიტუტის „მოამბე“, № 4—5, 1930 წ.

2. „К вопросу о происхождении, составе и характере сорной растительности чайных плантаций Западной Грузии и Аджаристана“— А. А. Гроссгейм и А. К. Макашвили. „Труды по прикладной ботанике, генетике и селекции“, т. 2 (1929), №4.

3. „საქართველოს სარეველა მცენარეები“, სარკვევი—ა. მაყაშვილი, 1934 წ.

4. „მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში გავრცელებული სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლა“—გ. ქეშელაშვილი (სადისერტაციო ნაშრომი), ხელნაწერი, 1937 წ.

5. „ნიადაგის დასარეველიანება“—გ. ქეშელაშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XIX, 1943 წ.

6. „მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში გავრცელებულ უმთავრეს სარეველა მცენარეთა ბიოლოგიური ტიპები“—გ. რ. ქეშელაშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, №1, 1940 წ.

7. „კახეთის საშემოდგომო ხორბლის სათესლე მასალის ღირსება და მისი ხარჯიანობა“—ი. სეფაშვილი (სადისერტაციო ნაშრომი), ხელნაწერი, 1940 წ.

8. „შვრიუკები კახეთში“—ი. სეფაშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XII, 1940 წ.

9. „აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში გავრცელებული სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლის საშუალებანი“—გ. ქეშელაშვილი (სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენება, 1940 წ.).

არსებობის პირველი წლიდანვე კათედრა უკავშირდება მექანიზაციის საცდელ სადგურს, ყარაიას მემინდვრეობის რესპუბლიკურ საცდელ სადგურს (ამჟამად საქ. მეცნ. აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტი), აჯამეთის მემინდვრეობის საცდელ სადგურს და სხ. გაიშალა მუშაობა, რომლის შედეგადაც შეიქმნა შრომები:

1. „ნაწვერვლის დამუშავების საკითხისათვის“—გ. ქეშელაშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XXI, 1944 წ.

2. „სკრაში გავრცელებული სარეველა მცენარეები და არსებული აგროტექნიკა“—გ. ქეშელაშვილი, ხელნაწერი, 1944 წ.

3. „აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის მინდვრების სარეველია

ნობის გამომწვევი მიზეზები და აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი“—გ. ქეშელაშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XXIII—XXIV, 1945 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „კარტოფილის გაადრეულების ცდის შედეგები თბილისის მიდამოებში“—ი. სეფაშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე“ №3, 1939 წ.

5. „შაქრის ჭარხლის და თამბაქოს მორწყვის რეჟიმის შესწავლა“—ი. ჩხენკელი (ხელნაწერი), 1938/39 წ.

6. „ერწოს ვაკის მინდვრების სარეველიანობა და მარცვლეულ კულტურათა არსებული აგროტექნიკა“—ა. ბუჯიაშვილი (სადისერტაციო შრომა), 1946 წ.

7. „მინდვრის სარეველიანობის დინამიკა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან დაკავშირებით“ — ნ. ბაწელაშვილი (მზადდება სადისერტაციოდ), 1946 წ.

8. „საბრუნფრთიანი გუთნების გამოცდის შედეგები დასავლეთ საქ. პირობებში“—გ. ქეშელაშვილი (დოც. დ. ციციშვილთან და ვ. მანველიძესთან ერთად), 1946 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მემცენარეობის კათედრა

კათედრის ორგანიზაცია და სტრუქტურა. მემცენარეობის კათედრის დაარსების თარიღის შესახებ პირდაპირი ცნობები საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივში არ მოიპოვება, მაგრამ ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს, როგორც ოფიციალურ მიწერ-მოწერაში, ისე საბჭოს სხდომათა ოქმებში ხშირად იხსენიებენ კათედრებს, გვაფიქრებინებს, რომ უნივერსიტეტის არსებობის პირველი წლებიდანვე კათედრები იგულისხმებოდა როგორც გარკვეული ერთეული, ზოგჯერ გაიგივებული გარკვეული დისციპლინის ცნებასთან.

ამიტომ გვაქვს უფლება დავასკვნათ, რომ დღევანდელი მემცენარეობის კათედრის ისტორია იწყება იმ ხნიდან, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით 1920 წლის სექტემბერში მოწვეული იყო, ლექტორის თანამდებობით, „კერძო მიწათმოქმედების" კურსის ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა ამავე სახელწოდების კათედრის გამგეს.

1929 წლამდე მინდვრის ცალკეული კულტურები გაერთიანებული იყვნენ ერთ მთლიან, „კერძო მიწათმოქმედების" კურსში. ამ წლიდან კი, აგრონომიული ფაკულტეტის ცალკე ინსტიტუტად გამოყოფისა და მასთან დაკავშირებული რეორგანიზაციის შედეგად, კერძო მიწათმოქმედების მთლიანი კურსი გაიყო ორ ჯგუფად: ა) მინდვრის კულტურები, რომლებშიაც იგულისხმებოდა პურეული მცენარეები, პარკოსნები და საკვები ბალახები; ბ) ტექნიკური კულტურები—ძირხვენები, სართავები, ზეთოვანები და თამბაქო.

თვით კათედრა კი ამ პერიოდშიაც ატარებდა „კერძო მიწათმოქმედების კათედრის" სახელწოდებას.

მაგრამ იმავე 1929 წლის 28 ივნისის დადგენილების საფუძველზე მოხდა ინსტიტუტში არსებული კათედრების გამსხვილება. ამის შედეგად წარმოიქმნა ე. წ. „მიწათმოქმედების კათედრა", რომელიც აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: 1. ზოგად მიწათმოქმედებას, 2. სასუთქმცოდნეობას, 3. სელექციას, 4. საცდელ საქმეს, 5. სას.-სამ. ენციკლოპედიას, 6. მემინდვრეობას, 7. ტექნიკურ მცენარეთა კულტურას, 8. მემინდვრეობის შემოკლებულ კურსს და 9. საძოვრებსა და მდელოსნობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთნაირად „შეკოწიწებულმა" კათედრამ დიდხანს ვერ იარსება. უკვე 1930 წლის დასაწყისიდან ჩაისახა ახალი მისწრაფება სპეციალიზაციისაკენ, რომელმაც საფუძვლიანად შესცვალა იმდროინდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტრუქტურაც და მისი კათედრების ხასიათიც.

საბჭოთა კავშირის სხვა სას.-სამ ინსტიტუტების ანალოგიით ჩვენშიაც ტრიალებდა აზრი ცალკე სპეციალური დისციპლინების არა მარტო კათედრებად გადაქცევის, არამედ ფაკულტეტებად გამოყოფის შესახებაც კი.

საბედნიეროდ, ჩვენი ინსტიტუტი ასე შორს არ წასულა, მაგრამ ამ პერიოდის გავლენა გამოიხატა იმაში, რომ წინანდელი „კერძო მიწათმოქმედების“ კათედრა ორი წლის (1930/31 და 1931/32) განმავლობაში გაყოფილი იყო ორ კათედრად: მინდვრის მცენარეებისა და ტექნიკურ კულტურათა კათედრებად.

1933 წლიდან ეს ორი კათედრა კვლავ გაერთიანდა და 1937 წლამდე ეწოდებოდა წინანდელი სახელი. ამ ხნიდან დღევანდლამდე კი კათედრა ატარებს „მემცენარეობის“ კათედრის სახელწოდებას იმ ნომენკლატურის თანახმად, რომელიც მიცემულია ამჟამად (თუმცა არ სავსებით საბუთიანად) მთელ საბჭოთა კავშირში.

კათედრის სტრუქტურის მრავალჯერადი ცვლილების მიხედვით იცვლებოდა აგრეთვე მასში გაერთიანებულ დისციპლინათა და ცალკეული კურსების რაობაც და რაოდენობაც, მაგრამ ძირითადი ბირთვი მაინც ყოველთვის რჩებოდა. წელთა მანძილზე კათედრა ამ მხრივაც დაიხვეწა და ამჟამად (1946 წლისათვის) მასზე წარმოდგენილია შემდეგი დისციპლინები, რომლებიც ცალკე კურსების სახით პროგრამულად შესული არიან ერთ მთლიან „მემცენარეობის“ საგანში აგრონომიული ფაკულტეტისათვის:

1. პურეული მცენარეები, 2. პარკოსნები, 3. ზეთოვანი კულტურები, 4. ძირხვენები, 5. სართავი კულტურები, 6. მეთამბაქოობა, 7. საკვები ბალახები და 8. სათიბ-საძოვრები.

მათ გარდა, მთელი რიგი სხვა ფაკულტეტებისათვის (მებაღეობა-მევენახეობის, სუბტროპიკულ კულტურათა, მცენარეთა დაცვისა და მეაბრეშუმეობის) შემოღებულია მემცენარეობის მოკლე კურსი, რომლის მოცულობა, შინაარსი და ცალკეულ კულტურათა კუთრი წონა ერთგვარად იცვლება ამ ფაკულტეტების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

კაბინეტის დაარსებისა და მისი მოწყობის დასაწყისი ემთხვევა კათედრის დაარსების ხანას, ე. ი. 1920 წელს. საჭირო სასწავლო მასალა კოლექციებისა და ჰერბარიუმების სახით თავდაპირველად მიღებული იყო თბილისის ბოტანიკური ბაღიდან; შემდეგში კი იგი თანდათანობით ივსებოდა როგორც საბჭოთა კავშირის სხვა დაწესებულებებიდან გამოწერილი ან ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გადმოცემული, ისე საკუთარი ექსპედიციებით შეგროვილი და აგრეთვე სასწავლო მეურნეობის საკოლექციო ნაკვეთებიდან მიღებული მასალით.

პალალელურად სწარმოებდა კაბინეტის მოწყობა სათანადო ხელსაწყოებით და იარაღებით. კათედრას აქვს თავისი სპეციალური ბიბლიოთეკაც.

კათედრის შტატი. მისი დაარსების პირველ ორ წელს კათედრა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი პირით, ი. ნ. ლ ო მ ო ს ო ვ ი თ, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1920 წლიდან ჯერ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრის ასისტენტად და შემდეგ თანმიმდევრობით განვლო ჯერ კერძო მიწათმოქმედების, შემდეგ კი მემცენარეობის კათედრის ლექტორის, დოცენტის და პროფესორის წოდება. 1920 წლიდანვე ითვლება კათედრის გამგედ და ამ მოვალეობას ასრულებს დღესაც.

1922 წელს მას პრეპარატორის თანამდებობაზე მიემატა ვ. მ. სუპატაშვილი, ხოლო 1926 წლიდან—გ. ი. აბესაძე, მოწვეული კათედრის თანამშრომლად ჯერ პრეპარატორის და შემდგ ასისტენტის თანამდებობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ პერიოდებში კათედრის პირადი შემადგენლობა, დროგამოშვებით შევსებული ახალი თანამშრომლებით, განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს და საშტატო ერთეულების ზრდა ხდებოდა ძირითადად თვით ინსტიტუტის ასპირანტურა გავლილი ახალგაზრდობით.

პირველი ასპირანტი კათედრაზე დაინიშნა 1930 წელს. მომდევნო 1931 წელს ასპირანტად დატოვებული იყო კიდევ 5 კაცი, მაგრამ მათგან მხოლოდ ორმა (მ. დალაქიშვილმა და გ. ბადრიშვილმა) მიიყვანა ბოლომდე საასპირანტო მეცადინეობა და თუმცა მოგვიანებით (სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო), ორივემ წარმოადგინა სადისერტაციო ნაშრომი და დაიცვა კიდეც სას.-სამ. მეცნიერებათა კანდიტატის ხარისხზე.

1946 აკადემიური წლის დასაწყისს მემცენარეობის კათედრის შემადგენლობაში შედიოდნენ შემდეგი პირები:

№№ ბ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	თანამდებობა, წოდება	ხარისხი	რომელი წლიდან მუშაობს კათედრაზე
1	ლომოური ი. ნ.	კათედრის გამგე, პროფესორი, საქ. მეც. დამსახ. მოღვაწე.	—	1920 წ.
2	აბესაძე გ. ი.	დოცენტი	სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ.	1926 „
3	დალაქიშვილი მ. ს.	დოცენტი	სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ.	1938 „
4	სუპატაშვილი ვ. მ.	დოცენტი	სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ.	1922 „
5	ჯაფარიძე ა. ს.	დოცენტი	სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ,	
6	ბადრიშვილი გ. მ.	დოცენტი	სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ.	1934 „
7	ჩხენკელი ნ. ი.	ასისტენტი	სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ.	1941 „
8	გაბუნია კ. ა.	ასისტენტი	—	1946 „
9	კვანჭახაძე ო. ვ.	უფრ. ლაბორანტი	—	1931 „

მათ გარდა სადღეისოდ კათედრასთან მუშაობს ორი ასპირანტი, რომელთაგან პირველი—გვარამაძე პ. იმყოფება ასპირანტურის მესამე კურსზე, ხოლო მეორე—კახაძე სვ.—მეორე კურსზე.

1945 წლის მიწურულებში კათედრამ განიცადა მძიმე დანაკლისი, სოფლის მეურნეობის კანდიდატის, დოცენტ ი. გ. ბახტაძის გარდაცვალებით. იგი კათედრის შემადგენლობაში შევიდა 1930 წლიდან, როგორც უკვე სავსებით ჩამოყალიბებული მეცნიერი მუშაკი, ავტორიტეტი საცდელი საქმის მეთოდიკის დარგში და მეთამბაქოობის ცნობილი სპეციალისტი.

კათედრის სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა. მემცენარეობის კათედრამ საკვლევი მუშაობა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, დაიწყო უკვე 1923 წლიდან, როდესაც მან მუხრანის სასწავლო მეურნეობაში პირველად დაიწყო ცდები საშემოდგომო ხორბლისა და ქერის მიერ საკვებ ნივთიერებათა შეთვისების გამორკვევაზე ამინდის სხვადასხვა პირობებში.

ამ ხნიდან მოყოლებული, კათედრა დღევანდლამდე აწარმოებს საკვლევ მუშაობას, თუმცა მის ცხოვრებაში იყო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი (1930—1935 წ. წ.), როდესაც საკვლევი მუშაობა არამც თუ მემცენარეობის კათედრაზე, არამედ მთელ ინსტიტუტში და საერთოდ საბჭოთა კავშირის ყველა აგრონომიულ უმაღლეს სასწავლებელში, გამორიცხული იყო როგორც აუცილებლად საჭირო და სავალდებულო საქმიანობა.

ამრიგად, 25 წლის განმავლობაში მემცენარეობის კათედრა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ფაქტიურად აწარმოებს 18—19 წლის მანძილზე.

ამ პერიოდში კათედრის მიერ დამუშავებულია 32 საკითხი—თემა. ყველა ეს თემა, შესასწავლი საკითხების, მათი შინაარსისა და ხასიათის მიხედვით, შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად:

1. საკითხები აგრობოტანიკური შინაარსით
2. „ აგრობიოლოგიური ხასიათით
3. „ აგროტექნიკური ხასიათით.

პირველი ჯგუფის საკითხებს ეხება 12 თემა.

1. „ახალქალაქის მაზრის პურეული“, 1925 წ. შემსრულებელი ვ. სუპატაშვილი.

2. „ახალციხის მაზრის მინდვრის კულტურები“, 1927 წ.— გ. აბესაძე.

3. „ლეჩხუმის მაზრის პურეული“, 1929 წ.—ვ. სუპატაშვილი.

4. „ჯიშ „კოოპერატორკას“ ბოტანიკურ-მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებათა ცვლილება აღმ. საქართველოს ძირითად რაიონებში“, 1937 წ. —ი. ლომოური, ვ. სუპატაშვილი, ო. კვანჭახაძე.

5. „აღმ. საქართველოს საგაზაფხულო ხორბალი“, 1935 წ.—ი. ლომოური, ვ. სუპატაშვილი.

6. „ახალციხის და ბორჯომ-ბაკურიანის კარტოფილის ჯიშური შემადგენლობა“, 1937—1938 წ. წ.—გ. ბადრიშვილი.

7. „კახური თამბაქოს ჯიშური შემადგენლობა“, 1937—1939 წ.—ი. ბახტაძე.

8. „კახური თამბაქოს ეკოტიპები“, 1939 წ.—ი. ბახტაძე, სვ. კახაძე.

9. „საკადრისას რაობა“, 1944—45 წ.—გ. აბესაძე.

10. „დას. საქართველოს უფხო ხორბალი“, 1941—1944 წ. წ.—ვ. სუპატაშვილი.

11. „აჭარული თამბაქოს ჯიშური შემადგენლობა“, 1941—48 წ. წ.— ი. ბახტაძე.

12. „გაუმჯობესებული დოლის-პურის 2 №-ის: 35—4 და 18—46 შედარებითი შესწავლა სამეურნეო და მორფოლოგიური ხასიათის მხრივ

მისი კულტურის მთავარ რაიონებში", დამუშავების პროცესშია — პ. გვარამაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე—აგრობიოლოგიური ჯგუფის საკითხებიდან 8 თემა:

13. „ამინდის გავლენა საშემოდგომო ხორბლის მოსავალზე 1923—25 და 1927—28 წ. წ. პირობებში"—ი. ლომოური და ეკ. ზოლოტორიოვა.

14. „საშემოდგომო ხორბლის მიერ საკვებ ნივთიერებათა შეთვისების მსვლელობა"—ი. ლომოური და ეკ. ზოლოტორიოვა.

15. „სიმინდის მიერ საკვებ ნივთიერებათა შეთვისების პროცესი", 1930 წ. —ი. ლომოური და ეკ. ზოლოტორიოვა.

16. „პურეულ მცენარეთა გვარებისა და სახეობათა ნარევში კომპონენტთა ურთიერთთან შეფარდების ცვლილება", 1927 და 1928 წ.—ი. ლომოური და ვ. სუპატაშვილი.

17. „ხორბლის ნათესში სახესხვაობათა ურთიერთშორის კონკურენციის შედეგად პოპულაციის შემადგენლობის შეცვლა", 1928 და 1929 წ.—ი. ლომოური, გ. აბესაძე და ვ. სუპატაშვილი.

18. „სოიას ჯიშთა გამოცდა მუხრანის პირობებში" 1928—29 წ.—ი. ლომოური, გ. აბესაძე, ვ. სუპატაშვილი.

19. „ბარდის კულტურის საკითხი მუხრანის პირობებში", 1930 წ.— ი. ლომოური, გ. აბესაძე, ვ. სუპატაშვილი.

20. „ლაგოდეხის რაიონის მიკროდარაიონება თამბაქოს ნედლეულის საწარმოო თვისებების მიხედვით." დამუშავების პროცესშია—სვ. კახაძე.

მესამე—ჯგუფის აგროტექნიკურ საკითხებზე კათედრამ მუშაობა დაიწყო მხოლოდ 1940 წლიდან, როდესაც მას შესაძლებლობა მიეცა გაეჩინა ამგვარი საკითხების დასამუშავებლად ტერიტორიული ბაზა ჯერ ქვემო სკრის III ინტერნაციონალის სახელ. კოლმეურნეობაში და შემდეგ 1942 წლიდან ყარაიას და აჯამეთის საცდელ სადგურებზე.

ამ კატეგორიის თემებიდან კათედრამ დაამუშავა 12 თემა:

21. „ფარცხვის გავლენა საშემოდგომო ხორბალზე", 1940 და 1941 წ.— გ. ბადრიშვილი.

22. „საგაზაფხულო ქერის ჯვარედინად თესვა," 1940—1941—გ. ბადრიშვილი.

23. „სიმინდის მოსავალზე თესვის სიხშირისა და თესვის ვადების გავლენა", 1940—1941 წ.—გ. აბესაძე.

24. „სხვადასხვა სახის ანეულის აგროტექნიკური შეფასება, 1940—1942 წ. —მ. დალაქიშვილი.

25. „ბალახების ნარევთა შესწავლა" 1941—42 წ.—მ. დალაქიშვილი.

26. „სანაწვერალო კულტურა ქვემო სკრის პირობებში", 1940—ი. ლომოური, პ. გვარამაძე.

27. „სანაწვერალო კულტურათა აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი", 1941—1944 წ.წ.—ი. ლომოური, ა. ჯაფარიძე.

28. „სასუქების გავლენა სანაწვერალო კულტურებზე და მომდევნო მცენარეებზე“, 1945—46 წ.—ი. ლომოური, ა. ჯაფარიძე.

29. „სიმინდის აგროტექნიკის ზოგიერი საკითხი“, 1943-45 წ.წ.—ვ. გორდაძე.

30. „საგაზაფხულო ქერის სათესი ნორმები ქართლის დაბლობი ზოლისათვის“, 1942—1945 წ. წ.—ნ. ჩხენკელი.

31. „საშემოდგომო ხორბალი, როგორც სიმინდის წინამორბედი იმერეთის საშუალო ზოლისათვის“, 1944—1946 წ. წ.—ი. ბახტაძე და მ. დალაქიშვილი.

32. „თამბაქოს კულტურის პერსპექტივები საქართველოს მეთამბაქოობის ძველ რაიონებში“, 1944—1945 წ.—ი. ბახტაძე.

ზემოაღნიშნულ 32 საგამოკვლევო თემიდან ბევრი იყო ისეთი, რომელთა დასამუშავებლად საჭირო გახდა სხვადასხვა რაიონში სათანადო მასალის შეგროვება. ამ მიზნით კათედრა აწყობდა სპეციალურ **ექპედიციებს.** პირველი ასეთი ექსპედიცია ჩატარდა 1924 წ. ჯავახეთში (ვ. სუპატაშვილი), მეორე —1925 წ.—ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (ვ. სუპატაშვილი), 1928 წ. ყოფ. ახალციხის მაზრაში (გ. აბესაძე), უფრო მოგვიანებით—1928 და 1939 წ. წ. ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში (გ. ბადრიშვილი), ხოლო 1942 წ. რაჭა-ლეჩხუმში და ზემო იმერეთში (ვ. სუპატაშვილი). გარდა ამისა, სადისერტაციო თემის დასამუშავებლად საჭირო მასალის შესაძენად ასპირანტ პ. გვარამაძეს მოუხდა ორჯერად—1940 წ. და 1946 წ. გამგზავრება ახალქალაქის, ახალციხის, გორის, სტალინირის, ბორჩალოს, საგარეჯოს, თეთრ-წყაროს, წითელ-წყაროს, თელავისა და თიანეთის რაიონებში, ხოლო თითოჯერ საჩხერის, ამბროლაურისა და დუშეთის რაიონებში.

გამოქვეყნებული შრომები. საკვლევი მუშაობის შედეგები, გაფორმებული წლიური ანგარიშების ან ცალკე წერილების სახით, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გამოქვეყნებული სხვადასხვა პერიოდულ სპეციალურ გამოცემაში:

1. „ლეჩხუმის მაზრის ასლები“—ვ. სუპატაშვილი. ექსპერიმენტალური აგრონომიის „მოამბე“, №1, 1929 წ.

2. „ხორბლის ახალი სახის Tr. Timopheevi და საქართველოში მისი გავრცელების შესახებ“—გ. აბესაძე. ე. ა. „მოამბე“, №2, 1929 წ.

3. „1923 და 1927 წ.წ. ამინდის გავლენა საშემოდგომო ხორბლის მოსავალზე“—ი. ლომოური და ეკ. ზოლოტორიოვა. ე. ა. „მოამბე“, №3, 1929 წ.

4. „საშემოდგომო ხორბლის მიერ საკვებ ნივთიერებათა შეთვისების პროცესი“—ი. ლომოური და ეკ. ზოლოტორიოვა. ე. ა. „მოამბე“, №5, 1930 წ.

5. „ახალციხის მაზრის ხორბალი“,—გ. აბესაძე, ექსპერ. აგრ. „მოამბე“ №6. 1930 წ.

6. „ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ხორბალი“—ი. ლომოური და ვ. სუპატაშვილი. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე“, №3, 1935 წ.

7. „საშემოდგომო ხორბლის ჯიში“ „კოოპერატორკის“ სამეურნეო და მორფოლოგიურ ნიშან-თვისებათა ცვალებადობა აღმ. საქართველოს ძირითად რაიონებში“—ი. ლომოური, ვ. სუპატაშვილი, ო. კვანჭახაძე. საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე“ №4, 1939 წ.

8. „კარტოფილის კულტურის ისტორია საქართველოში“—გ. ბადრიშვილი. საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბე“, № 4, 1939 წ.

9. „ახალციხის და ბორჯომის რაიონებში კარტოფილის ჯიშური მუშაობა მადგენლობა“—გ. ბადრიშვილი, საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბე“, 1940 წ.

10. „სხვადასხვა კულტურის თესვა ნაწვერალზე ორი მოსავლის მიღების მიზნით“—ი. ლომოური. პ. გვარამაძე. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XVIII, 1942 წ.

11. „სიმინდის თესვის ვადა და სათესი ნორმები ზემო ქართლის პირობებში“—გ. აბესაძე. საქ.-სას. სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XX, 1943 წ.

12. „კახური თამბაქოს ძირითადი ტიპები“—ი. ბახტაძე. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XX, 1943 წ.

13. „სიმინდი, როგორც სანაწვერალო კულტურა“—ი. ლომოური და ალ. ჯაფარიძე. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, ტ. XXIII—XXIV, 1945 წ.

14. „თამბაქოს კულტურის ისტორია საქართველოში და მისი აღდგენის პერსპექტივები მეთამბაქოობის ძველ რაიონებში“—ი. ბახტაძე, „ტექნიკა და შრომა“, 1945 წ.

აქ მოყვანილია მხოლოდ იმ შრომების სია, რომლებიც კათედრის წევრებს დაწერილი აქვთ კათედრის სამეცნიერო-საკვლევი მუშაობით მიღებული მასალების საფუძველზე და არ არის მოხსენებული ის მრავალრიცხოვანი (რამდენიმე ათეული) ნაშრომი, რომლებიც მათ მიერ შედგენილია სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში მოღვაწეობის შედეგად ანდა ეხებიან ისეთ საკითხებს, რომელნიც არ ყოფილან შესული კათედრის საკვლევი მუშაობის თემატიკაში.

სახელმძღვანელოებიდან ი. ლომოურის მიერ ჯერ კიდევ 1930 წელს შედგენილი იყო პურეულ მცენარეთა, ხოლო 1933 წ. კარტოფილის და ჭარხლის კულტურის კურსი, რომლებიც იმავე პერიოდებში დაიბეჭდა ლითოგრაფიულად და თითქმის ათი წლის განმავლობაში წარმოადგენდნენ ძირითად სახელმძღვანელოებს აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის აღნიშნულ დისციპლინებში.

1938 წ. სახელგამის ხაზით დაიბეჭდა დოც. ი. ბახტაძის წიგნი „მეთამბაქოობის მოკლე კურსი“. 7,5 სასტამბო თაბახის მოცულობით.

1940 წ. დამზადდა და 1946 წ. სას-სამ. ინსტიტუტის გამომცემლობამ გამოსცა პროფ. ი. ლომოურის მიერ ახლად შედგენილი პურეულ მცენარეთა კულტურის კურსის I ნაწილი (თავთავიანი კულტურები) 22 სასტამბო თაბახის მოცულობით. დასაბეჭდად მომზადების პროცესშია ამ კურსის II ნაწილი (ფეტვნაირი პურეული) დაახლ. 10—12 თაბახამდე. მზადდება დასაბეჭდად აგრეთვე დოც. გ. აბესაძის მიერ შედგენილი „პარკოსან მცენარეთა კულტურის კურსი“ 10 თაბახამდე და ასისტ. ნ. ჩხენკელის „პურეულ მცენარეთა სარკვევი“ 2 თაბახის მოცულობით.

დამხმარე ლიტერატურიდან კათედრის წევრთა მიერ დაწერილია შემდეგი: გ. აბესაძის — „სიმინდი“, მისივე — „უგრეხელის შესწავლისათვის

საქართველოში"; ი. ბახტაძის—„სიმინდის ჯიშთა გამოცდის შედეგები საქართველოში", „საშემოდგომო ხორბლის ჯიშთა გამოცდის შედეგები," „თამბაქოს დარგვა"; გ. ბადრიშვილის — „თესლბრუნვა", მის მიერვე თარგმნილი „კარტოფილის ჯიშებისა და ავადმყოფობათა აღწერა"; მ. დალაქიშვილის: „ძიძო-ბალახი", „ბალახები თესვა საფარი კულტურის ქვეშ", ბალახთ თესვის ოპ ტიმალური ვადები ქართლის დაბლობ ნაწილში", ალ. ჯაფარიძის: „სიმინდის აგროტექნიკა", „არაქისის კულტურა", ლობიოს კვების არე და თესვის ვადები".

ყველა ზემოხსენებული ნაწარმოები დაბეჭდილია საქ. სას--სამ. ინსტიტუტის „შრომებში" ან გამოცემულია სახელგამისა და „ტექნიკა და შრომის" მიერ.

გარდა ამისა, საქ. მიწსახკომის (მიწათმოქმედების სამინისტროს) დავალებით დოც. გ. აბესაძის მიერ თარგმნილია, ხოლო პროფ. ი. ლომოურის მიერ საქართველოს პირობების შესაბამისად გადამუშავებულია პროფ. ა. სმირნოვის სახელმძღვანელო „Растениеводство", რომლის პირველი ნაწილი—მარცვლეული კულტურები (პურეული და პარკოსანი მცენარეები) გადაცემულია დასაბეჭდად, ხოლო დანარჩენი იმყოფება საბოლოო დამუშავების პროცესში.

კათედრის ღია სხდომები შედარებით ახალი მოვლენაა სას.-სამ. ინსტიტუტის და, კერძოდ მემცენარეობის კათედრის ცხოვრებაში. ამ სახის მუშაობაში კათედრა იმთავითვე ცდილობდა ჩაება არა მარტო სას.-სამ. ინსტიტუტის კოლექტივის წევრები, არამედ სხვა ორგანიზაციებში და საგამოკვლევო დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტებიც. პირველი ასეთი სხდომა შესდგა 1935 წ. 28 დეკემბერს და ამის შემდეგ იმართებოდა სისტემატურად. დღევანდლამდე კათედრას ჩატარებული აქვს სულ 17 ღია სხდომა, რომლებზედაც მოსმენილია კათედრის წევრთა 12 (დოც. ა. ჯაფარიძის—6, დოც. ი. ბახტაძის—2, პროფ. ი. ლომოურის, დოც. მ. დალაქიშვილის, დოც. ვ. სუპატაშვილის და ასისტ. ნ. ჩხენკელის—თითო), ხოლო გარეშე პირთა (ი. ქურდიანი, ვ. მენაბდე, გ. კოვალევსკი, ნ. ავალიშვილი და შ. ჭანიშვილი) 5 მოხსენება.

სხვა დაწესებულებებთან და სას.-სამ. ხასიათის ორგანიზაციებთან კავშირი. კათედრა თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე არასდროს არ ყოფილა კარჩაკეტილი და ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებისაგან განზე გამდგარი. თუ კონკრეტულად რა დახმარება გაუწია კათედრამ წარმოებას მთელი ამ ხნის განმავლობაში, ყველა ამის გახსენება და აღნუსხვა მეტად ძნელია. კათედრა სისტემატურ დახმარებას უწევდა სამიწათმოქმედო ორგანოებს მინდვრის მცენარეთა აგროწესების შედგენაში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და დღესაც ღებულობს მთელი რიგი ძირითადი საკითხების და ღონისძიებათა დამუშავებაში. მისი უშუალო მონაწილეობით სწარმოებდა წლების განმავლობაში თესლბრუნვის საკითხების დამუშავება. კათედრა მუდმივად მონაწილეობს საქართველოს საცდელ და საგამოკვლევო დაწესებულებათა სამუშაო თემატიკის

და პროგრამების დამუშავებაში, მათი ცხოვრების მოწესრიგებაში. აწარმებს ლექციებს და კონსულტაციებს კოლმეურნეობებში, გლეხთა სახლში, ფანამშ-რომლობს რაიონულ პრესაში და მუდმივ კონტაქტში იმყოფება ინსტიტუტის კურსდამთავრებულ აგრონომებთან სიტყვიერი და წერილობითი ურთიერთობის საფუძველზე.

წარმოებაში მომუშავე ამხანაგებთან მჭიდრო კავშირს და საქმიან ურთიერთობას კიდევ უფრო აძლიერებს კათედრის წევრთა და მთლიანად კათედრის სისტემატური, ყოველწლიური მონაწილეობა სხვადასხვა ხანგრძლიობის სპეციალური და ზოგად-აგრონომიული განათლების კურსებზე, სადაც უშუალოდ წარმოებიდან მოსულ ხალხთან პირისპირ შეხვედრას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს თვით მასწავლებელთათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სელექცია-მეთესლეობის კათედრა

სელექცია-მეთესლეობის კათედრა თავის საწყისს ღებულობს შინაურ ცხოველთა მომშენებლობის კათედრიდან, რომელიც 1923 წ. იყო დაარსებული.

ამ ხნიდან მოყოლებული, ვიდრე 1933 წლამდე, როდესაც ზოოტექნიკური დარგი გამოეყო სას.-სამეურნეო ინსტიტუტს და მთლიანად შევიდა ამ წელს ახლად დაარსებულ საქ. ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ ინსტიტუტში, ეს კათედრა როგორც თავისი შემადგენლობით, ისე მუშაობის შინაარსითაც თითქმის წმინდა ზოოტექნიკურ ხასიათს ატარებდა.

კათედრის პირველ გამგედ 1923 წელს არჩეული იყო დოც. ნ. იოსელიანი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ 1928 წლიდან დაინიშნა დ. გ. აგლაძე, რომელმაც კათედრაზე მუშაობა დაიწყო 1925 წელს.

მემცენარეობის დარგი ამ პერიოდში არსებითად წარმოდგენილი იყო მარტო ერთი პირით, სახელდობრ გ. აბესაძით, რომელმაც ამ კათედრაზე მუშაობა დაიწყო, ისიც შეთავსებით, 1929 წლიდან.

მკვეთრად შეიცვალა აღნიშნული კათედრის ხასიათიც და შემადგენლობაც 1933 წლიდან, როდესაც არსებითად ჩამოყალიბდა დღევანდელი სელექცია-მეთესლეობის კათედრა. ამ დროს კათედრის შემადგენლობაში შედიოდა:

1. ხომიზურაშვილი ნ. მ.—ამჟამად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კათედრის გამგე (1933/34 წ-დან 1937/1938 წ-მდე).

2. აბესაძე გ. ი.—სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი, დოცენტი (1929—30 წლიდან დღემდე შეთავსებით).

3. ფხაკაძე გრ. მ.—ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1930 წლიდან დღემდე).

4. აროშიძე პ. ი., უფროსი ლაბორანტი (1931—1939 წლამდე).

5. სააკოვა მ. გ., ლაბორანტი (1933 წ-დან 1934 წ-მდე).

კათედრის აღნიშნულ შემადგენლობას 1935 წელს შეემატა:

1. დეკაპრელევიჩი ლ. ლ.—ამჟამად საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი (1936 წლიდან აქამდე).

2. იაკობაშვილი ბ. ა.—დოცენტი (1935 წ-დან 1937 წ-მდე და 1943 წ-დან 1945 წ-მდე).

3. ჩიგოგიძე ნ. ლ.—ლექტორი (1936—37 წლიდან 1940 წლამდე).

1937—38 წლიდან კათედრის გამგედ დაინიშნა პროფესორი ლეონარდ ლეონარდის-ძე დეკაპრელევიჩი.

ამჟამად (1946 წ.) კათედრის შემადგენლობაში შედიან:

1. კათედრის გამგე პროფ. დეკაპრელევიჩი ლ. ლ.

2. დოცენტი ფხაკაძე გრ. მ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

3. დოცენტი აბესაძე გ. ი., სოფლის მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატი, შეთავსებით.

4. დოცენტი თოფურიძე ე. მ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

5. დოცენტი მამფორია ფ. დ., ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

6. დოცენტი სიხარულიძე მ. ა., სოფლის მეურ. მეცნ. კანდიდატი.

7. ასისტენტი ჩერნიში ვ. ს.

8. უფრ. ლაბორანტი ნინუა ვ. კ.

9. უმცრ. ლაბორანტი ოყროშიძე ე. ი.

კათედრის არსებობის 23 წლიან პერიოდში მისი სახელწოდება რამდენიმეჯერ შეიცვალა: ასე, 1923 წ. მას ეწოდებოდა „შინაურ ცხოველთა მომშენებლობის კათედრა"; 1928 წ. „გენეტიკისა და შინაურ ცხოველთა მომშენებლობის კათედრა" 1933—34 სას. წლიდან მან მიიღო სახელწოდება: „სელექციისა და გენეტიკის კათედრა";

1938 წ. სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის ბრძანების თანახმად კათედრამ მიიღო სახელწოდება: „სელექციის, გენეტიკისა და მეთესლეობის კათედრა", 1941 წლიდან კი მას ეწოდა „სელექცია-მეთესლეობის კათედრა".

კათედრა აერთიანებს შემდეგ დისციპლინებს:

1. მინდვრის კულტურათა სელექცია—პროფ. დეკაპრელევიჩი, დოც. მამფორია, დოც. აბესაძე, დოც. სიხარულიძე და ასისტენტი ჩერნიში.

2. ხეხილოვან კულტურათა სელექცია—პროფ. ხომიზურაშვილი.

3. სუბტროპიკულ კულტურათა სელექცია—დოც. თოფურიძე.

4. ბოსტნეულ კულტურათა მეთესლეობა—დოც. მამფორია.

5. ტყის მერქნიან მცენარეთა სელექცია—დოც. მამფორია.

6. თუთის ხის სელექცია—დოც. თოფურიძე.

7. სას.-სამ. მცენარეთა სელექცია—დოც. სიხარულიძე.

8. ვარიაციული სტატისტიკა—დოც. ფხაკაძე.

9. აბრეშუმის ჭიის სელექცია—დოც. ფხაკაძე.

ამჟამად კათედრას გააჩნია: 1) ციტოლოგიური და 2) სელექციის ლაბორატორია.

ასპირანტურა და დისერტაციების დაცვა. კათედრასთან დატოვებული იყვნენ ასპირანტები:

1. ორაგველიძე ი.

2. მამფორია ფ., დაიცვა დისერტაცია თემაზე: „Poncirus trifoliata-ს ციტოემბრიოლოგიური გამოკვლევა".

3. ესიტაშვილი გ., დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ალექსანდრეული მუსკატის ნაყოფიერებისათვის".

4. ჩხენკელი ნ. (1938 წლიდან), დაიცვა დისერტაცია—„Triticum durum"—თავთუხი, როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის.

5. რობაქიძე თ. (1945 წლიდან).

6. მაისურაძე ნ. (1946 წლიდან).

კათედრის წევრებიდან დისერტაცია დაიცვეს: 1. გ. მ. ფხაკაძემ—„Trichoptera-ს კარიოლოგიური გამოკვლევა“ (1937 წ. ლენინგრადის უნივერსიტეტში).

2. მ. ა. სიხარულიძემ—„დიკა, როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის (1942 წ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტში).

სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა. 1933—34 წლიდან კათედრის თემატიკაში შედიოდა შემდეგი საკითხები:

ა) დამთავრებული:

1. „ხელოვნური შერჩევა მანდარინის ჯიშ „უნშიუს“ ფარგლებში“—პროფ. ნ. ხომიზურაშვილი. თემა გადაეცა სუბტროპიკული მეხილეობის კათედრას.

2. „ჩაის მორფოლოგიურ ნიშან-თვისებათა ცვალებადობა გეოგრაფიული გავრცელების მიხედვით“—დოც. ბ. იაკობაშვილი.

3. „პოლიემბრიონია Poncirus trifoliata-ში“—დოც. ფ. მამფორია.

4. „საქართველოს ხორბლის უმნიშვნელოვანესი ეკოტიპები“—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი.

5. „დიკა ხორბალი, როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის“—მ. სიხარულიძე.

6. „თავთუხი, როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის“—ასპ. ჩხენკელი.

7. „საქართველოს ხორბლები“. მონოგრაფია „საქართველოს კულტურული ფლორის“ ატლასისათვის—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი.

8. „პოლიპლოიდურ ფორმათა მიღება სიმინდის ზოგიერთ ადგილობრივ ჯიშში ნაფტალინისა და ქაფურის ზემოქმედებით“—დოც. გრ. ფხაკაძე.

9. „ტყემლისა და ალუჩის კარიოლოგიური ანალიზი“—დოც. გრ. ფხაკაძე.

10. „ნიორის ქართული ფორმის კარიოლოგიური ანალიზი“—არეშიძე, ჩიგოგიძე და ფხაკაძე.

11. „ჯუმლის შედგენა საქართველოს ხორბლების ჯიშობრივი შემადგენლობის შესახებ“—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი.

12. „ჯუმლის შედგენა საქართველოს სამარცვლე პარკოსანთა ჯიშობრივი შემადგენლობის შესახებ“—დოც. გ. აბესაძე.

13. „საქართველო, როგორც ხორბლის სახეობათა და მინდვრის სხვა კულტურათა ფორმების წარმოქმნის ერთ-ერთი პირველადი კერა“. ეს თემა მუშავდება იმასთან დაკავშირებით, რომ კათედრა საქართველოს მუზეუმში აწყობს მინდვრის კულტურულ მცენარეთა განყოფილებას—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი.

14. „ვეგეტატიური ჰიბრიდიზაციით გამოწვეულ ცვალებადობათა მემკვიდრეობა“—დოც. ფ. მამფორია.

15. „ხორბლის სხვადასხვა ენდემური ფორმის შესწავლა მათი ღირებულების დასადგენად სელექციური მუშაობისათვის“—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი.

16. „ვეგეტატიური ჰიბრიდიზაცია, როგორც სელექციისათვის საწყისი მასალის მიღების ერთ-ერთი მეთოდი“—დოც. ფ. მამფორია.

17. „ხორბლის ადგილობრივი ფორმებიდან გამოყოფილი ხაზების შედარებითი შესწავლა“—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი და დოც. მ. სიხარულიძე.

18. „არჩევითი განაყოფიერების საკითხი საქართველოს ხორბლის ეკოტიპებში“—დოც. მ. სიხარულიძე.

19. „თანდაყოლილი ალბინიზმი მცენარეში“—დოც. ფ. მამფორია.

20. „ბუნებრივი შერჩევით გამოწვეული ცვალებადობის შესახებ ხორბლის ხელოვნურ ნარევებში—„პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი და დოც. მ. სიხარულიძე.

21. „ზოგიერთი მექანიკური თვისების გარკვევა საქართველოს ხორბლის ცალკეულ ეკოტიპებში“—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი და დოც. ლეჟავა.

ბ) დამუშავების პროცესშია:

1. „ჰეტეროზისის მოვლენის შესწავლა საქართველოს ხორბლის ეკოტიპებში“—პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი და ლაბორანტი ნინუა.

2. „ვეგეტატიური ჰიბრიდიზაცია, როგორც ფორმათა წარმოშობი პროცესების მართვის ერთ-ერთი მეთოდი“—დოც. ფ. მამფორია.

3. „ხახვის ძირითადი ჯიშები საქართველოში“—ასპირანტი რობაქიძე.

4. „გრეიპფრუტი და მისი ჰიბრიდები, როგორც სელექციის ობიექტი საქართველოში“—ასპირანტი ნ. მაისურაძე.

კათედრის წევრთა მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად დაწერილი და გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები:

1. გრ. ფხაკაძე—„ნაფტალინისა და ქაფურის მოქმედება სიმინდზე და ალუჩისა და ტყემლის ქრომოზომების კომპლექსი“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, 1940 წ.

2. გრ. ფხაკაძე—„გურული ნივრის კარიოლოგიისათვის“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, 1942 წ.

3. ლ. დეკაპრელევიჩი—„შოთა რუსთაველის ეპოქის უმთავრესი მინდვრის კულტურები“. კრებული „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, 1938 წ.

4. ლ. დეკაპრელევიჩი—„შ. რუსთაველის ეპოქის ზოგიერთი უმთავრესი მინდვრის კულტურის სამეურნეო მნიშვნელობა“. იმავე კრებულში, 1938 წ.

5. ლ. დეკაპრელევიჩი—„საქართველოს როლი ხორბლის წარმოშობაში“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. III, №2, №5, №7, 1942—43 წ.

6. ლ. დეკაპრელევიჩი—„ხორბალზე სელექციური მუშაობის თავისებურებანი საქართველოში“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. V, №7, 1944 წ.

7. ლ. დეკაპრელევიჩი და მ. სიხარულიძე—„ბუნებრივი შერჩევით გამოწვეული ცვლილების შესახებ ხორბლის ხელოვნურ ნარევში“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინს-ტის „შრომები“, ტ. XXV, 1946 წ.

8. ე. თოფურიძე—„ნარინჯოვანთა შეჯვარების ტექნიკის თავისებურება საქ. სსრ სუბტროპიკულ რაიონებში“. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტ-ის „მოამბე“, №1, 1940.

9. ე. თოფურიძე—„ნარინჯოვანთა ყვავილობის ფაზები და პერიოდები“ ბათომის ბოტანიკ. ბაღის „შრომები“, №1, 1936 წ.

10. გ. აბესაძე და მ. სიხარულიძე—„სიმინდის წმინდახაზიანი ჰიბრიდების გამოცდა ჩვენში“. ბერიას სახ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე“, №1, 1933 წ.

11. ფ. მამფორია—„Poncirus trifoliata-ს ციტოემბრიოლოგიური გამოკვლევა“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტ-ის „შრომები“, ტ.XIX, 1943 წ.

12. ფ. მამფორია—„თანდაყოლილი ალბინიზმი მცენარეში“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“. ტ. XX, 1943 წ.

13. ფ. მამფორია „ვეგეტატიურ-ჰიბრიდული ცვალებადობა და მემკვიდრეობა“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები“. ტ. XXIII—XXIV, 1945 წ.

14. ფ. მამფორია—„ვეგეტატიური ჰიბრიდიზაცია, როგორც სელექციისათვის საწყისი მასალის მიღების ერთ-ერთი მეთოდი“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები“, ტ. XXV, 1946 წ.

15. მ. სიხარულიძე—„არჩევითი განაყოფიერების საკითხისათვის საქართველოს ხორბლის ეკოტიპებში“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ ინსტიტ-ის „შრომები“, ტ. XXII, 1945 წ.

16. მ. სიხარულიძე—„დიკის აგრობოტანიკური შემადგენლობა საქართველოში“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები“, ტ. XXV, 1946 წ.

17. ნ. ჩხენკელი—„მაგარი ხორბლის (Triticum durum Desf.—თავთუხი) ახალი სახესხვაობისათვის“, საქ. სსრ მეცნ. აკადემ. „მოამბე“, ტ. №4, 1944 წ.

დამზადებულია დასაბეჭდად:

1. პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი—„საქართველოს ხორბლები“.

2. პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი„—საქართველოს მარცვლეულ კულტურათა ძირითადი ჯიშები“.

3. დოც. ფ. მამფორია—„ვეგეტატიური ჰიბრიდიზაცია, როგორც ფორმათა წარმოშობის პროცესების მართვის ერთ-ერთი მეთოდი“.

4. დოც. ფ. მამფორია—„მეტაქსენიების ტიპის ვეგეტატიურ-ჰიბრიდული ცვალებადობა და მემკვიდრეობა“.

5. დოც. მ. სიხარულიძე—„დიკის პოპულაციებში შემავალ საკუთრივ დიკისა და რბილი ხორბლების შედარება სამეურნეო ნიშნებით“.

6. დოც. ე. თოფურიძე—„საქართველოს ფორთოხლები“ (ჯიშობრივი შემადგენლობა).

7. დოც. ე. თოფურიძე—„ფეიქოია და მისი კულტურა საქართველოში“.

სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა: გადათარგმნილია ქართულ ენაზე და ხელნაწერების სახით არის შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. ტ. ლისენკო—„მცენარეთა ბუნების გადაკეთება“ (გ. აბესაძის თარგმანი).

2. ტ. ლისენკო—„იაროვიზაციის თეორიული საფუძვლები“ (გ. აბესაძის თარგმანი).

3. ი. მიჩურინი—რჩეული თავები „Итоги шестидесятилетних работ“-დან (ფ. მამფორიას თარგმანი).

4. დამზადებულია ე. თოფურიძის მიერ მასალა—„ბოსტნეულის კულტურათა მეთესლეობის“ კურსისათვის.

5. ფ. მამფორია—„სელექცია-მეთესლეობის თეორიის საფუძვლები“.

6. იურიევი—„მინდვრის კულტურათა სელექცია-მეთესლეობიდან“. თარგმნილია—მეთესლეობა და სელექციის სამი თავი (გ. აბესაძე და მ. სიხარულიძე).

კათედრის მიერ ჩატარებულ მუშაობათა დანერგვა წარმოებაში. გადაეცა ჯიშთა-გამოცდის სახელმწიფო კომისიას გამოსაცდელად ხობლის ჯიშები—1. დეკსი №13, 2. ხვავიანი №11 და თავთუხის ორი ხაზი, აჯამეთის საცდელ სადგურს—იფქლი №7.

ბოსტნის კულტურების ჯიშთა გამოცდის კომისიას გადაეცა გამოსაცდელად პომიდორის ორი ჯიში: 1. წითელი გიგანტი და 2. საადრეო წითელი.

ექსპედიციები და გამოკვლევანი. საქართველოს მინდვრის კულტურათა ადგილობრივი ფორმების შესაგროვებლად და შემდგომ მათ გამოსაყენებლად სელექციისათვის კათედრამ 1939 წელს მოაწყო მთელი რიგი ექსპედიციები საქართველოს ფარგლებში. ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღეს აგრონომიული ფაკულტეტის შემდეგმა სტუდენტებმა: 1. ჯიქიამ, 2. მჟავიამ 3. მესხიშვილმა, 4. მიქელაშვილმა, 5. ლურსმანიშვილმა.

გამოკვლეული იყო ხევსურეთი, ფშავეთი, ერწო-თიანეთი, დუშეთის რაიონი, მცხეთის ნაწილი, სამხრეთ ოსეთი, გორის, კასპის, ხაშურისა და ყვარლის (ნაწილი) რაიონები, წალკა, ბაშკიჩეთი, აღბულაღი, ჯავახეთი (ნაწილი), მესხეთი (ნაწილი).

დასავლეთ საქართველოში მასალა შეგროვილი იყო სვანეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოს, იმერეთის, აჭარისა და გურიის ზოგიერთ ადგილზე.

სულ შეგროვილია საშემოდგომო ხორბლის 349, ქერის 40, საგაზაფხულო ხორბლის 175 და საგაზაფხულო ქერის 190 ნიმუში, ჭვავის 49, შვრიის 12, ფეტვისა და ღომის 25, პარკოსნების 98 ნიმუში და, გარდა ამისა, სიმინდის, ბრინჯისა და სხვა კულტურების ნიმუშები.

ამას გარდა ცალკე არის შეგროვილი მაგარი ხორბლის (თავთუხების) კოლექცია (70 ნიმუშამდე).

ხორბლის მთელი მასალა ყოველმხრივი შესწავლისა და ჰერბარიზაციისათვის დაითესა მემინდვრეობის ინსტიტუტის ტერიტორიაზე 1063 და დუშეთში ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (საგაზაფხულო ხორბალი) დაახლოებით 500 № რაოდენობით.

შეგროვილია ხახვის ადგილობრივი ჯიშების კოლექცია. ტარდება ადგილებზე გრეიპფრუტის ფორმებისა და მათი ჰიბრიდების შესწავლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიადაგმცოდნეობის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან 1919 წ. აგრონომიული განყოფილების დაარსებისას, მთელ რიგ სხვა კათედრებთან ერთად, ჩამოყალიბდა ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრა. კათედრის გამგედ მოწვეული იყო სწავლული აგრონომი დიმიტრი პანტელეიმონის-ძე გედევანიშვილი დოცენტის თანამდებობაზე. მასვე დაეკისრა ლექციების კითხვა როგორც ნიადაგმცოდნეობაში, ისე ზოგად მიწათმოქმედებაშიაც. პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობას მიწათმოქმედებაში 1921 წ. აწარმოებდა ასისტენტის თანამდებობაზე მოწვეული სწავლული აგრონომი გიორგი ტარასის-ძე რცხილაძე, ხოლო ნიადაგმცოდნეობაში—მიხეილ ფედოტის-ძე კალინინი.

ასეთი სახით მივიდა კათედრა 1929 წლამდე, როდესაც აგრონომიული ფაკულტეტი გარდაიქმნა სას.-სამ. ინსტიტუტად. ამავე სახით არსებობდა იგი კიდევ ათი წლის განმავლობაში, იმ განსხვავებით, რომ 1929—30 წ. მის ფარგლებში შევიდა ახლად შემოღებული კურსი ჯერ სასუქთმცოდნეობის, შემდეგ კი აგროქიმიის სახელწოდებით. ამავე პერიოდში კათედრას შეემატა კიდევ ერთი დისციპლინა—გეოლოგია მინერალოგიით, რომელიც ამ დრომდე დამოუკიდებლად არსებობდა და რომლის პირველი ხელმძღვანელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების დროს იყო მაშინ დოცენტი ნ. მ. ყიფიანი.

ცოტა უფრო გვიან, სახელდობრ 1933 წ., ნიადაგმცოდნეობისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრას შეემატა კიდევ ერთი დისციპლინა—სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია, რომლის ხელმძღვანელად მოწვეული იყო ლექტორის თანამდებობაზე ი. ა. ჩხენკელი.

ამნაირად იზრდებოდა და რთულდებოდა სტრუქტურულად კათედრა და ასეთი სირთულე მისი საგრძნობლად აფერხებდა მასში შემავალ ცალკე დარგთა განვითარებას. ამიტომ მიზანშეწონილი და დროული იყო სას.-სამ. ინსტიტუტის საბჭოს ის დადგენილება, რომლის თანახმად 1938 წლის დამდეგს ზემოხსენებული კათედრა დაიყო და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი კათედრა: 1) ნიადაგმცოდნეობისა, რომლის შემადგენლობაში დარჩა გეოლოგია მინერალოგიით, 2) აგროქიმიისა და 3) ზოგადი მიწათმოქმედების სასოფლო-სამეურნეო მელიორაციით. ამ სახით დარჩა ნიადაგმცოდნეობის კათედრა შემდეგ პერიოდებში და მის სტრუქტურაში დღევანდლამდე უკვე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

კათედრის შტატი. თავისი არსებობის 26 წლის მანძილზე კათედრის პირადმა შემადგენლობამ დიდი ცვლილება განიცადა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი დაარსების პირველ წლებში ნიადაგმცოდნეობის დარგი კათედრაში წარმოდგენილი იყო ორი პირით—კათედრის გამგის დოც. დ. პ. გედევანიშვილისა და ასისტენტ მ. კალინინის სახით. 1927 წ. კათედრას შეემატა კიდევ ერთი თანამშრომელი—მ. ნ. საბაშვილი ასისტენტის თანამდებობაზე.

1929 წლამდე, ე. ი. სას.-სამ. ინსტიტუტის დაარსებამდე, კათედრის ნიადაგმცოდნეობის ნაწილში პირადი შემადგენლობის მხრივ ცვლილება არ მომხდარა. ამის შემდეგ კი მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. 1930 წ. კათედრის შემადგენლობაში ახალ დისციპლინათა შეტანის შემდეგ მისი შტატი ნიადაგმცოდნეობის ნაწილში ავიდა 5 კაცამდე, სახელდობრ პროფ. დ. პ. გედევანიშვილი, დოცენტი მ. საბაშვილი, დოც. ნ. ყიფიანი, ასისტენტი აგროქიმიის ხაზით ბ. გერასიმოვი, ასისტენტი გეოლოგიის ხაზით—ს. ელერდაშვილი. ამის შემდეგ საშტატე ერთეულების ზრდა უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ და 1938 წლისათვის, ე. ი. იმ პერიოდისათვის, როდესაც მოხდა კათედრის დაყოფა. საკუთრივ ნიადაგმცოდნეობის კათედრასთან მუშაობდა უკვე 9 თანამშრომელი.

კათედრის შემადგენლობის რაოდენობრივი გადიდების პარალელურად მიმდინარეობდა მისი ხარისხობრივი ზრდაც. 1930 წ. კათედრის გამგეს დ. პ. გედევანიშვილს მიენიჭა პროფესორის წოდება. დოცენტმა მ. საბაშვილმა (1936 წ.), დოცენტმა გ. ტარასაშვილმა (1938 წ.) და ასისტენტმა გ. ტალახაძემ (1938 წ.) წარმატებით დაიცვეს დისერტაცია სოფლის მეურნეობის კანდიდატის ხარისხზე.

სამამულო ომმა რამდენიმე წევრი მოაშორა კათედრას. აქედან ორი, სახელდობრ გ. ტალახაძე და გ. ჯაფარიძე, სამშობლოს წინაშე ღირსეულად ვალმოხდილნი, კვლავ დაუბრუნდნენ კათედრას და განაგრძობენ მასზე მუშაობას პირველი დოცენტის, ხოლო მეორე—უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

ამჟამად, ე. ი. 1946/47 აკადემიური წლის დასაწყისისათვის, ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე ირიცხება 13 თანამშრომელი, რომელთაგან, გარდა ზემოხსენებულთა კიდევ ოთხს, სახელდობრ ნ. სხირტლაძეს (1940 წ.), მ. ჯიქაევას (1941 წ.), ეკ. ზოლოტარიოვას (1942 წ.) და ვ. ლატარიას (1944 წ.) დისერტაციის დაცვის შედეგად მინიჭებული აქვთ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1942 წ., კათედრაზე მუშაობის დროს, დოცენტმა მ. საბაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რის საფუძველზე მიენიჭა პროფესორის წოდება. სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში დატვირთულობის გამო იგი 1945 წლიდან აღარ მუშაობს სას.-სამ. ინსტიტუტში.

ნიადაგმცოდნეობის კათედრის დღევანდელი შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. გედევანიშვილი დ. პ., კათედრის გამგე, პროფესორი, მეც. დამს. მოღვაწე, მუშაობს 1919 წლიდან.

2. ტარასაშვილი გ. მ., დოცენტი, სოფ. მეურ. მეც. კანდ., მუშაობს 1938 წ.

3. ტალახაძე გ. რ., დოცენტი, სოფ. მეურ. მეც. კანდ., მუშაობს 1931 წ.
4. სხირტლაძე ნ. ი., დოცენტი, გეოლ. მეც. კანდიდ., მუშაობს 1939 წ.
5. ჯაფარიძე გ., უფრ. მასწავლ., მუშაობს 1932 წ.
6. ზოლოტარიოვა ე. ს., ასისტენტი, სოფ. მეურ. მეც. კანდ., მუშაობს 1940 წ.
7. ლატარია ვ. ნ., ასისტენტი, სოფ. მეურ. მეც. კანდ., მუშაობს 1935 წ.
8. ჯიქაევა მ. ა., ასისტენტი, სოფ. მეურ. მეც. კანდ., მუშაობს 1941 წ.
9. თურქია ა., ასისტენტი, მუშაობს 1945 წ.
10. მხეიძე ლ. პ., უფრ. ლაბორანტი, მუშაობს 1937 წ.
11. ებრაელიძე ლ. კ,. ლაბორანტი, მუშაობს 1938 წ.
12. ეფრემიძე თ. პ., ლაბორანტი, მუშაობს 1945 წ.
13. გაჩეჩილაძე მ. ი., ლაბორანტი, მუშაობს 1946 წ.

ასპირანტების მომზადება კათედრასთან შემოღებული იყო 1933 წლიდან. ამ ხნიდან სხვადასხვა დროს საასპირანტო კურსი კათედრაზე განვლო 6 კაცმა: დ. თორთლაძემ, გ. ქეშელაშვილმა, ი. ანჯაფარიძემ, ნ. ბერიამ, მ. ჯიქაევამ და ა. თურქიამ. მათგან ნ. ბერია, ჩარიცხული ასპირანტურაში 1937 წელს, 1939 წ. გადავიდა ასპირანტად მოსკოვში და იქ წარჩინებით დაიცვა დისერტაცია, სხვებმა კი აქვე დაამთავრეს საასპირანტო კურსი და დაიცვეს კიდეც დისერტაცია სოფ. მეურნეობის მეც. კანდიდატის ხარისხზე გარდა ა. თურქიასი, რომელსაც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში სამუშაოზე გადაყვანის გამო, დაუგვიანდა სადისერტაციო შრომის წარდგენა. ამჟამად იგი დანიშნულია კათედრის ასისტენტად და განაგრძობს მუშაობას დისერტაციაზე. 1945 წ. ასპირანტად ჩაირიცხა და მუშაობს კათედრაზე ლ. ნაკაშიძე.

სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა. 1939—1941 წ. წ. გამოიცა პროფ. დ. პ. გედევანიშვილის რედაქციით აკად. ვ. ვილიამსის ცნობილი სახელმძღვანელო—„ნიადაგმცოდნეობა ზოგადი მიწათმოქმედების საფუძვლებით“, თარგმანი. 1941 წ. გამოცემულია პროფ. მ. საბაშვილის სახელმძღვანელო—„ნიადაგმცოდნეობა“ უმაღლესი სასწავლებლებისათვის. უფრო ადრე 1936 წ. სას.-სამ. ინსტიტუტის ლითოგრაფიაში დაიბეჭდა გ. ტალახაძის „ნიადაგმცოდნეობის პრაქტიკული მეცადინეობის მოკლე კურსი“.

გარდა ამისა, იმავე პერიოდში სას.-სამ. ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთათვის გამოიცა პროფ. დ. პ. გედევანიშვილის მიერ შედგენილი „ნიადაგმცოდნეობის“ I და II განაკვეთი. კათედრის კოლექტივის მიერ თარგმნილია პროფ. დომრაჩოვას „ნიადაგის ქიმიური და ფიზიკურ-მექანიკური ანალიზი“.

კათედრამ თავის არსებობის განმავლობაში მთელი რიგი საინტერესო სამეცნიერო ექსპედიციები ჩაატარა. ექსპედიციებმა საქართველოს მრავალი კუთხე შეისწავლა, სახელდობრ:

ა) საქართველოს ჩაის რაიონების დაბალი ზონის ნიადაგები (შემსრულებლები პროფ. დ. პ. გედევანიშვილი, მ. საბაშვილი, დარასელია და დოინჯიშვილი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ალაზნის მარჯვენა და კოლხეთის დაბლობის სამელიორაციო ფართობები (დ. პ. გედევანიშვილი, მ. ნ. საბაშვილი, მ. კოსტავა, ე. ჩაფიძე);

გ) ელდარის ველის, ქართლის ბარის და სოღანლუღის ველის ნიადაგები (პროფ. დ. პ. გედევანიშვილი);

დ) შიგა კახეთის ნიადაგები (დ. პ. გედევანიშვილი, გ. ტალახაძე, ი. ანჯაფარიძე და ა. ბუჯიაშვილი);

ე) ივრის ხეობის და ერწოს ტაფობის ნიადაგები (დ. პ. გედევანიშვილი, გ. ტალახაძე და დ. თორთლაძე);

ვ) კათედრის კოლექტივმა გამოარკვია ხირსის, ბრეთის, ვარიანის, ბებნისის, ანაკლიას, მუხრანის, ურეკის, გონიოს, ცეცხლაურის, კვირიკეს, ჯოლეჯიანის, ნიკოსია, ხაშურის, ქარელის და გორის 65 კოლმეურნეობის ფართობები.

ამ კოლექტივმა შეისწავლა აგრეთვე საკურორტო ზონის—თბილისის, მანგლისის, წყალტუბოს, ბორჯომის, აბასთუმნის ტყეთა ნიადაგები და გომბორის, მთათუშეთის, დუშეთის და ყიზლარის საძოვართა ნიადაგები.

გამოქვეყნებული შრომები.

1. პროფ. დ. პ. გედევანიშვილი—„დას. საქ. სუბტროპიკული რაიონის ნიადაგები". 1930 წ.

2. პროფ. დ. პ. გედევანიშვილი—„კოლხეთის დაბლობის ნიადაგები". 1930 წ.

3. პროფ. დ. პ. გედევანიშვილი—„საქ. ჩაისათვის ვარგისი ნიადაგები", რუკით. 1927 წ.

4. პროფ. დ. პ. გედევანიშვილი—„საქართველოს ნიადაგების ლანდშაფტური ზონები", რუკით. 1939 წ.

5. ასისტ. ვ. ნ. ლატარია—„საქართველოს პირობებისათვის თაბაშირის ნორმის დადგენა ბიცობი ნიადაგებისათვის". საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბე". 1940 წ.

6. დოც. გ. ტარასაშვილი—„ლაგოდეხის ნაკრძალის ნიადაგის საფარი". საქ. მეც. აკად. გამოცემა, I გამ., 1941 წ.

7. დოც. გ. ტარასაშვილი—„აფხაზეთის მთა-ტყეთა ნიადაგები". ჟურნალი „ნიადაგმცოდნეობა", № 7, 1939 წ.

8. დოც. გ. ტარასაშვილი და ასისტ. ვ. ლატარია—„აღმოსავლეთ საქართველოს ყომრალი ნიადაგების კოლოიდების რაოდენობითი და თვისობრივი შემადგენლობა.

9. დოც. გ. ტალახაძე—„მასალები კარბონატული დაწიდული ნიადაგების გენეზისის და აგრეგაციისათვის". 1936 წ.

10. დოც. გ. ტარასაშვილი—„მთათუშეთის ნიადაგები". 1939 წ.

მანქანაზე დაბეჭდილია და გამოსაცემად გამზადებული: პროფ. დ. პ. გედევანიშვილის 28 სახელწოდების, დოც. გ. ტარასაშვილის 4, დოც. გ. ტალახა-

ძის 4, დოც. ნ. სხირტლაძის 1, ასისტენტ ვ. ლატარიას 3 და კათედრის სხვა წევრთა 3 შრომა.

ნიადაგმცოდნეობის კათედრის შემადგენლობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ თათბირებზე მოხსენებებით, გამოფენისა და ექსკურსიების მოწყობით.

კათედრამ 1938 წელს მიიღო მონაწილეობა ნიადაგმცოდნეთა VII საკავშირო კონფერენციაზე.

1929 წ. ბათომში სუბტროპიკულ კულტურათა I საკავშირო კონფერენციაზე დ. პ. გედევანიშვილმა გააკეთა მოხსენება—„დას. საქ. სუბტროპიკული რაიონების ნიადაგები".

1930 წ. ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო კონგრესზე დემონსტრირებულ იქნა საქართველოს ნიადაგების რუკა. თბილისში კონგრესის წევრების ყოფნის დროს. კათედრის მიერ მოწყობილ იქნა გამოფენა: „საქართველოს ნიადაგების შესწავლის მასალები". კათედრა ხელმძღვანელობდა კონგრესის წევრთა ექსკურსიას ბორჯომ-ბაკურიანში, ჩაქვში, კოლხეთის დაბლობში და ბათომში.

1931 წ. ა/კ. ნიადაგმცოდნეთა კონფერენციაზე დ. პ. გედევანიშვილის მიერ იქნა დემონსტრირებული საქართველოს აგრო-ნიადაგური რუკა და წაკითხული მოხსენება „საქართველოს ნიადაგები, როგორც სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველი".

1932 წ. ნიადაგმცოდნეთა საკავშირო კონფერენციაზე დ. პ. გედევანიშვილის და სმირნოვ-ლოგინოვის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება „ა/კ. აგრო-ნიადაგური რუკა, როგორც საფუძველი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა".

1935 წ. საკავშირო სუბტროპიკული ნიადაგების შესწავლის კონფერენცია თბილისში მოწვეულ იქნა ნიადაგმცოდნეობის კათედრის მონაწილეობით, მოწყობილ იქნა გამოფენა სუბტროპიკული რაიონის ნიადაგებისა; ამავე კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა კათედრის ორი წევრი—პროფ. დ. პ. გედევანიშვილი და მ. ნ. საბაშვილი.

1939 წ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონში დემონსტრირებულ იქნა პროფ. დ. პ. გედევანიშვილის მიერ შედგენილი რუკა „საქართველოს ნიადაგ-ლანდშაფტური ზონები" 1: 400.000 მასშტაბით.

ნიადგმცოდნეობის კათედრა სისტემატურ დახმარებას უწევდა მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურების, წყალთა მეურნეობის, კვების მრეწველობის და სატყეო სამინისტროებს კონსულტაციებით, კომისიებსა და თათბირებში მონაწილეობით.

კათედრის წევრებმა ჩაატარეს ლექცია-კონსულტაციები სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებში აგრო-ტექნიკის საკითხებზე 22 ჯერ. კათედრა კოლექციებს უმზადებდა და კონსულტაციებს აძლევდა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებს. სისტემატურად უკეთებდა რეცენზიებს სამეცნიერო ხარისხის მისაღე-

ბ ად ინსტიტუტში წარმოდგენილ შრომებს ნიადაგმცოდნეობაში, აგროტექნიკაში აგროქიმიასა და მელიორაციაში. რეცენზირებულია 2 სადოქტორო და 20 სადა კანდიდატო შრომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრამ მოაწყო ლაბორატორიები და კაბინეტები, სათანადო კოლექციებით, გეოლოგია-მინერალოგიასა და ნიადაგმცოდნეობაში. სტუდენტებთან სამუშაოდ მოწყობილია ლაბორატორია პრაქტიკული ვარჯიშობისათვის, საკვლევი ლაბორატორია და წიგნთსაცავი.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კათედრასთან არსებული სამუზეუმო მასალის (ნიადაგის მონოლითური ნიმუშები) სამასი ნიმუში, სამამულო ომის პერიოდში, ინსტიტუტის მთავარი კორპუსის ჰოსპიტლად გადაქცევის გამო, მთლიანად დაზარალდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მევენახეობის კაბინეტი



ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკრობიოლოგიის კათედრა

მიკრობიოლოგიის კათედრის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული პროფ. სიმონ ამირეჯიბის მოღვაწეობასთან მიკრობიოლოგიის დარგში საქართველოში. მიკრობიოლიგიის კათედრის დაარსების თარიღი განისაზღვრება 1922/23 წლით, როდესაც უნივერსიტეტი აერთიანებდა ყველა დარგის ფაკულტეტებს, სადაც აგრონომიის განხრა შედიოდა აგრონომიული ფაკულტეტის სახით. აღნიშნულ ფაკულტეტზე მიკრობიოლოგიის კურსს კითხულობდა პროფ. ს. ამირეჯიბი. აღსანიშნავია, რომ კათედრას ამ დროს თავისი საკუთარი ბაზა ლაბორატორია არ გააჩნდა. მიკრობიოლოგიის კურსი ტარდებოდა მხოლოდ სალექციო მასალის გადაცემით. ზოგიერთ შემთხვევაში ძირითადი სადემონსტრაციო ხასიათის მასალის გასაცნობად პრაქტიკული ტარდებოდა მედფაკულტეტის მიკრობიოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში, რომელსაც აგრეთვე განაგებდა პროფ. ს. ამირეჯიბი. კათედრას არ ჰყავდა საასისტენტო შტატი, პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა მხოლოდ პროფ. ს. ამირეჯიბი.

მიკრობიოლოგიის კათედრის მუშაობა ფართოდ იშლება 1930 წლიდან, როდესაც იზრდება კათედრის შტატი, სახელდობრ: გამგე პროფ. ამირეჯიბი, ასისტ. ქ. ღამბაშიძე. ამავე დროს 1930 წ. ტფილისში ყალიბდება სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი, სადაც მიკრობიოლოგიის კათედრის გამგედ მიწვეული იყო პროფ. სვ. ამირეჯიბი; ამის შემდეგ ორივე ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრა ერთიანდება მისი ხელმძღვანელობით და კათედრა ემსახურება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტს. კათედრას ემატება კიდევ ორი ასისტენტი—ნ. აბესაძე და მ. კობახიძე. 1930 წლიდან კათედრა აფართოებს მიკრობიოლოგიის პროგრამას, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის მხრივ. მიკრობიოლოგიის კურსი უკვე იკითხება ორივე ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობის შემოღების გამო ეძლევა განსაზღვრული ფართობი საკუთარი ლაბორატორიისთვის. იწყება ლაბორატორიის მოწყობა როგორც ინვენტარით, ისე საჭირო მასალებითაც. აღსანიშნავია, რომ დღეს მიკრობიოლოგიის კათედრის ლაბორატორია საკმაოდ კარგად არის მომარაგებული სათანადო ინვენტარით, რეაქტივებით და მასალებით. კათედრა უზრუნველყოფილია არა მარტო სასწავლო-პედაგოგიური პროცესი-

სათვის საჭირო საშუალებებით, არამედ მიკრობიოლოგიის დარგში მრავალფეროვანი საკითხების დასამუშავებელი აუცილებელი ინვენტარითა და მასალით.

1931/32 წ., სუბტროპიკული ინსტიტუტის რეორგანიზაციის შედეგად, ხდება კათედრის შტატის შემცირება ერთი საასისტენტო ერთეულით. ამის შემდეგ კათედრის შტატი განისაზღვრება 4 პირით: ერთი პროფესორი, ორი ასისტენტი და ერთი ლაბორანტი.

1934 წ. სადირექტივო ორგანოების დადგენილების საფუძველზე, სუბტროპიკულ ინსტიტუტს გამოეყო როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი— მცენარეთა დაცვის ფაკულტეტი. მიკრობიოლოგიის დარგში მასაც ჩვენი კათედრა უწევს მომსახურებას. კურსის ჩატარება ფაკულტეტის ყველა სექტორზე, პროფ. ამირეჯიბის რეკომენდაციით ევალება ნ. აბესაძეს, რომელიც 1932/33 სამოსწავლო წლიდან მოწვეულ იყო ლექტორად აბრეშუმის ჭიის დაავადებათა სპეციალური კურსის ჩასატარებლად მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე.

1932/33 სასწავლო წელს კათედრის ასისტენტი ქ. ღამბაშიძე კითხულობს მიკრობიოლოგიის კურსს ქ. სოხუმში ეთერ-ზეთოვან კულტურათა ინსტიტუტში და ქ. მახარაძის ჩაის ინსტიტუტში, რითაც სას.-სამეურნეო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრა მომსახურებას უწევს მიკრობიოლოგიის დარგს საქართველოს თითქმის ყველა აგრონომიულ უმაღლეს სასწავლებელში.

1934 წ. ასისტ. აბესაძე, დროებით სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, თავისუფლდება ინსტიტუტში მუშაობისაგან და მხოლოდ პროფ. სვ. ამირეჯიბის გარდაცვალების შემდეგ, 1937 წლიდან, მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის შუამდგომლობით, რომლის შემადგენლობაში იმ დროს შედიოდა მიკრობიოლოგიის საგანი, იგი მოწვეულ იქნა მიკრობიოლოგიის კურსის ხელმძღვანელად.

1938 წლიდან მიკრობიოლოგია, როგორც საგანი, დაკავშირებულია ბოტანიკის კათედრასთან და მხოლოდ 1940 წ. მტკიცდება ისევ კათედრა ცალკე ერთეულად შემდეგი შემადგენლობით: კათედრის გამგე ნ. აბესაძე, ასისტენტი ქ. ღამბაშიძე, უფროსი ლაბორანტი თ. ქილიფთარი და პრეპარატორი პ. ჯანაშვილი. 1944/45 სასწავლო წელს კათედრის შტატში ჩაირიცხა ასისტენტად ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. გ. მეგრელიძე. 1936 წ. კათედრის ასისტენტმა ქ. ღამბაშიძემ სთარგმნა აკად. ომელინსკის სახელმძღვანელო—„მიკრობიოლოგიის საფუძვლები", რომელიც გამოვიდა 1937 წ. და რითაც კათედრა უზრუნველყოფილ იქნა ქართული სახელმძღვანელოთი.

კათედრაზე წარმოებული კვლევითი მუშაობის მხრივ აღსანიშნავია: ასისტ. ღამბაშიძის მუშაობა „აზოტობაქტერის ეფექტიანობა სხვადასხვა კულტურულ მცენარეთა მოსავლიანობაზე". ამ გამოკვლევით მიღებული მონაცემებით შუქდება ზოგიერთი საყურადღებო საკითხი, როგორიცაა, მაგალ., აზოტის ფიქსაციის მექანიზმი და აზოტობაქტერის, როგორც ბაქტერიული სასუქის გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობის პირობებში და სხ. ნ. აბესაძის

მიერ დამუშავებულია ახალი მეთოდი საფუარა სოკოების სპორების მიღების სილიკოგელზე.

კათედრაზე სათანადო მომზადებას და კვალიფიკაციას ღებულობენ სხვა-დასხვა დაწესებულებიდან მოვლინებული პირები: ქ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტიდან ერთი, ქ. ბათომის საკონსერვო ქარხნიდან ერთი, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან—სამი, ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან ორი ასპირანტი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტიდან ერთი ასპირანტი, მეღვინეობა-მევენახეობის ინსტიტუტიდან (თელავის) ერთი მეც. მუშაკი და სხ. სამამულო ომის პერიოდში კათედრა დახმარებას უწევდა ნიტრაგინის ლაბორატორიას და მონაწილეობას ღებულობდა მის ორგანიზაციაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიული განყოფილების მე-4 კურსის სასწავლო გეგმაში 1920 წლის 19 ოქტომბრიდან შეტანილ იქნა საგანი—„ჰიდროტექნიკა", რომლის კითხვა დაევალა ლექტორ გრიგოლ ზაქარიას-ძე ქურდიანს.

უნდა აღინიშნოს,რომ საგანი ჰიდროტექნიკა, თავისი შინაარსით, ნაკლებ აკმაყოფილებდა აგრონომიული განხრის ფაკულტეტებს და ამიტომ საბჭოთა კავშირის სხვა ინსტიტუტებში მალე მის ნაცვლად შემოღებულ იქნა საგანი—სას.-სამ. მელიორაცია, ჩვენში კი, როგორც ზემოაღნიშნულ აგრონომიულ განყოფილებაზე, ისე შემდეგში აგრონომიულ ფაკულტეტზე და საბოლოოდ სას.-სამ. ინსტიტუტშიაც, ჰიდროტექნიკის საგანი უცვლელად დარჩა 1930 წლამდე, როდესაც ის მთლიანად იქნა გეგმიდან ამოღებული.

ინსტიტუტის დირექციის დადგენილებით 1933 წ. 1 სექტემბრიდან მიწათმოქმედების და ნიადაგმცოდნეობის კათედრასთან შემოღებულ იქნა სას.-სამ. მელიორაციის საგანი, რომლის კითხვა დაევალა ივანე ალექსის-ძე ჩხენკელს.

საგანი იკითხებოდა აგრონომიული და მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტებზე, ხოლო 1935 წლიდან სუბტროპიკულ ფაკულტეტზედაც.

1938 წლის 1 სექტემბრიდან მიწათმოქმედების და ნიადაგმცოდნეობის კათედრის სამ კათედრად გაყოფის შემდეგ, სას.-სამ. მელიორაციის საგანი რჩება მიწათმოქმედების კათედრასთან.

1939 წლის 1 სექტემბერს მიწათმოქმედების კათედრიდან ცალკე იქნა გამოყოფილი სას.-სამ. მელიორაციის კათედრა, რომლის შტატი დამტკიცებულ იქნა შემდეგი შემადგენლობით:

1. კათედრის გამგე—სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი დოცენტი ი. ა. ჩხენკელი, 2. ასისტენტი ა. ს. ათანელიშვილი, 3. ლაბორანტი ე. თ. ტეტლიაშვილი.

კათედრის შტატმა დღევანდლამდე შემდეგი ცვლილებები განიცადა:

1942 წლის სექტემბრიდან 1945 წლის სექტემბრამდე კათედრის შტატში ირიცხებოდა გეოლ.-მინერ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ნ. ა. დიმო, დატვირთული მხოლოდ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ხაზით.

1944 წლის 12 აგვისტოდან ასისტენტი ა. ს. ათანელიშვილი დამტკიცებულ იქნა დოცენტის წოდებაში და მას გადაეცა სალექციო საათების ნაწილი.

ამჟამად კათედრის შტატში ირიცხება:

1. კათედრის გამგე, სოფლ. მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ი. ა. ჩხენკელი

2. სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი, დოცენტი ა. ს. ათანელიშვილი

3. უფროსი ლაბორანტი ტ. ვ. გოცირიძე.

1944 წლის მაისიდან კათედრასთან მუშაობს ასპირანტი ო. ი. ცუცუნაშვილი (ხელმძღვანელი ი. ა. ჩხენკელი), რომელსაც უკვე ჩაბარებული აქვს ყველა სავალდებულო საგანი და ამჟამად ამთავრებს დისერტაციასთან დაკავშირებულ უკანასკნელ საველე სამუშაოს.

საკმაო მუშაობა იქნა ჩატარებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში. 1935 წელს. კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების მიერ გამოცემულია ი. ა. ჩხენკელის მიერ შედგენილი—„მელიორაციის მოკლე კურსი", 11 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით, ხოლო 1939 წ., ჯერ ისევ მიწათმოქმედების კათედრასთან არსებობის დროს (იხილეთ მიწათმოქმედების კათედრა) ინსტიტუტის მიერ გამოცემულ იქნა—„სას.-სამ. მელიორაციის" სახელმძღვანელო (ი. ა. ჩხენკელი) 20 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით.

კვალიფიკაციის ამაღლების ხაზით ჩატარებულია შემდეგი მუშაობა: 1. 1939 წლის 1 თებერვალს, ჯერ კიდევ მიწათმოქმედების კათედრასთან არსებობის დროს, დისერტაცია დაიცვა ი. ა. ჩხენკელმა სოფ. მეურ. მეცნ. კანდ. ხარისხზე (თემა—„ვენახების მორწყვის საკითხი საქართველოში"), აგრეთვე მის მიერ დამუშავებულია და 1946 წლის სექტემბერში წარდგენილია სადისერტაციო შრომა—„მორწყვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში" სოფ. მეურ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 2. 1941 წლის 3 ივლისს დისერტაცია დაიცვა ა. ს. ათანელიშვილმა სოფ.-მეურ. მეცნ. კანდიდატის ხარისხზე (თემა—„ხაშურის მიდამოების ნიადაგთა ბუნება და გენეზისი").

სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში კათედრამ ფართოდ გამოიყენა საწარმოო ორგანიზაციებთან კავშირი და ხელშეკრულების საფუძველზე მოზიდული თანხები (ყოფილი წყალთა მეურნეობის სამმართველო, შემდეგში წყალთა მეურნეობის სამინისტრო, ტრესტი საქართველოს ეთერზეთი და სხვა).

შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში დამუშავებულ იქნა საკითხი ვენახების, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს, შემოდგომის პურეულის, გერანის, ხეხილის ბაღების (უკანასკნელი მეხილეობის კათედრასთან ერთად) მორწყვის შესახებ.

აღნიშნული მუშაობის შედეგები მთლიანად გამოყენებულია მიწათმოქმედების და წყალთა მეურნეობის სამინისტროების ხაზით რაიონული ორგანიზაციების მიერ და აგრეთვე ნაწილობრივ შეტანილია სათანადო კულტურების აგროწესებში.

კათედრის მიერ დამუშავებულია საკითხი წულუკიძის, ქუთაისის და მახარაძის რაიონებში ნიადაგის განოყიერების მიზნით სარწყავი წყლის გამოყენების შესახებ. დამუშავებულია აგრეთვე მორწყვის დროს ეროზიული პროცესების წარმოშობის საკითხი.

შეგროვილია ყველა არსებული მასალა და კვლევითი მუშაობის შედეგი მორწყვის საკითხის შესახებ საქართველოში, რაც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ სადოქტორო შრომას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული მასალების მიხედვით შედგენილია საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის მორწყვის ნორმები და ვადები (ივ. ჩხენკელი), რაც საფუძვლად უდევს რაიონებში წყალთა მეურნეობის სამმართველოების მუშაობას.

პროფ ნ. ა. დიმოს მიერ შეგროვილ და გადამუშავებულ იქნა ყველა არსებული მასალა ალაზნის ველის ნიადაგების შესახებ მელიორაციული თვალსაზრისით, რის შედეგად მოცემულია კაპიტალური შრომა „ალაზნის მარჯვენა ნაპირის ნიადაგები“.

ზემოაღნიშნული შრომების ნაწილი სხვადასხვა დროს იქნა გამოცემული, მაგალითად,—„მორწყვის ტექნიკა“ და „მასალები ვენახების რწყვის შესახებ საქართველოში“ (ივ. ჩხენკელი), გამოცემულია 1937 წ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ, „გაუმჯობესებული მორწყვის ტექნიკის დანერგვის ძირითადი მომენტები“—გამოქვეყნებულია ინსტიტუტის „შრომებში“, ტ. XXI, 1944 წ. (ჩხენკელი) და „ალაზნის ველის მარჯვენა სანაპიროზე ჩატარებული სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ზოგიერთი დასკვნა და შედეგი“ რუსულად (ნ. ა. დიმო).

კათედრას ჩატარებული აქვს დღემდე 11 ღია სხდომა; ამ სხდომებზე წაკითხულია მოხსენებები მელიორაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად,—„ალაზნის ველის მელიორაციის შესახებ“ (პროფ. ნ. ა. დიმო), „მორწყვითი მელიორაციის და მექანიზაციის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ“ (დოც. ი. ა. ჩხენკელი) და სხვა.

გარდა ამისა კათედრა მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებულ სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე: 1. 1940 წ. აგრონომიული ფაკულტეტის კონფერენციაზე—მომხსენებელი ი. ა. ჩხენკელი—„მინდვრის კულტურათა მორწყვის რეჟიმი აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში“, 2. 1941 წ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე—მომხსენებელი ი. ჩხენკელი—„თამბაქოს მორწყვის რეჟიმი ბორჩალოს დაბლობში“, 3. 1941 წ. აგრონომიული ფაკულტეტის მიერ ქართლში ჩატარებულ კონფერენციაზე—მომხსენებელი ი. ა. ჩხენკელი—„მორწყვის საკითხი ქართლში“ და 4. 1945 წ. ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე—მომხსენებელი ი. ა. ჩხენკელი—„საირიგაციო მშენებლობა საქართველოში უძველესი დროიდან“.

კათედრის კვლევითს მუშაობაში ჩაბმული იყო მოწინავე სტუდენტობა; მათ შორის 1941 წლის სტუდენტთა 1-ლ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ შემდეგი სტუდენტები: 1. მ. რუსეიშვილი—„ნიადაგის ტენიანობის დინამიკა შემოდგომის პურეულის ნათესში“ და 2. ა. ლურსმანაშვილი და გ. იმედაძე—„მორწყვის გავლენა თამბაქოს ხარისხზე შეტეხვის მიხედვით“.

კათედრის მიერ წარმოებისათვის გაწეულია შემდეგი სახის დახმარება: 1. მიღებულ იქნა მონაწილეობა საქართველოში მარცვლეული კულტურების

აგროტექნიკის დამუშავებაში, ალაზნის ველის ათვისებისა და სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის საკითხის დამუშავებაში და სხვა, 2. დამუშავებულ იქნა ყულარის საბჭოთა მეურნეობისათვის მორწყვის გეგმა და ხელმძღვანელობა გაეწია აღნიშნული გეგმის განხორციელებას, 3. წარდგენილია მიწათმოქმედების სამინისტროში ღონისძიებების გეგმა მორწყვის ტექნიკის გაუმჯობესების შესახებ (მოწონებულ იქნა და დაეგზავნა რაიონებს სათანადო ინსტრუქცია) და სხვა.

კათედრასთან ჩამოყალიბებულია სარეფერატო წრე, სადაც მუშავდება მელიორაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, განსაკუთრებით ლაბორანტისა და ასპირანტის მიერ უფროსი ამხანაგების მონაწილეობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აგრონომიული ფაკულტეტის ჩამოყალიბებასთან ერთად 1921 წ. დაარსებულ იქნა სას.-სამ. მეტეოროლოგიის კათედრა. მისი პირველი გამგე იყო ლექტ. ი. ვ. ფიგუროვსკი, პირველი ასისტენტი ა. ნაფეტვარიძე. ი. ვ. ფიგუროვსკის სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო 1925 წლიდან 1927 წლამდე კათედრას განაგებდა ი. ნ. ლომოური. ამავე პერიოდში კათედრაზე მუშაობა დაიწყო ი. ე. გაჩეჩილაძემ. 1927 წელს სას.-სამ. მეტეოროლოგიის კათედრა გაერთიანდა ფიზიკის კათედრასთან ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრის სახელწოდებით.

ჯერ კიდევ 1927 წ. ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრასთან ლექტორ ი. ე. გაჩეჩილაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მეტეოროლოგიური სადგური, შემდეგ კი მოეწყო აგრომეტეოროლოგიური ნაკვეთი. ამ მოვლენამ უსათუოდ არსებითი გავლენა მოახდინა კათედრაზე ამ დისციპლინის ხაზით სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის იმთავითვე გაშლის საქმეზე და დიდად შეუწყო ხელი მეცნიერული კადრების მომზადებას.

მეტეოროლოგიის ხაზით ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრაზე ი. ე. გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ: კ. ბ. კელენჯერიძე, ე. ბ. ჯიქია და ა. ი. გაჩეჩილაძე. სას.-სამ. მეტეოროლოგიის ხაზით სხვადასხვა დროს, დამოუკიდებელ კათედრად გამოყოფამდე, მუშაობდნენ: ა. გ. ბალაბუევი, გ. ი. ჯაფარიძე, ა. ქვირია, ს. მგალობლიშვილი, ხ. შალამბერიძე, გ. გურგენიძე, ნ. სტოლიპინი და ა. და თ. მეუნარგიები.

1941 წ. სექტემბერში უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის ბრძანებით სას.-სამ. მეტეოროლოგია გამოეყო ფიზიკის კათედრას სასოფ.-სამ. მეტეოროლოგიის კათედრის სახელწოდებით. კათედრის გამგედ დაინიშნა დოც. კ. ბ. კელენჯერიძე. ამ პერიოდში კათედრაზე მუშაობდნენ: დოც. ე. ბ. ჯიქია, უფრ. ლაბ. მ. ინწკირველი და მეტსადგურის დამკვირვებლები: დ. მუმლაძე, ე. რამიშვილი და ვ. ბოკუჩავა. დამკვირვებელ ე. რამიშვილის წითელ არმიაში მოხალისედ წასვლის გამო მის ადგილზე აყვანილ იქნა ნ. გოგიჩაშვილი. 1941 წლის დამლევისათვის კათედრის შტატი შეივსო ორი სპეციალისტით; ესენი იყვნენ: ნ. ბელეცკაია და დ. ჩიქოვანი. 1946 წ. დასაწყისში კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე დაინიშნა თ. ა. მგელაძე.

ამჟამად კათედრის შტატში ირიცხებიან:

1. დოც. კ. ბ. კელენჯერიძე, კათედრის გამგე, სოფლის მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატი
2. დოც. ე. ბ. ჯიქია, სოფლის მეურნ. მეც. კანდიდატი
3. ასისტ. თ. ა. მგელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4. უფრ. ლაბორ. ნ. ბელეცკაია
5. ლაბორ. დ. ჩიქოვანი
6. დამკ. ნ. გოგიჩაშვილი
7. დამკ. დ. დავითაშვილი.

სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა სას.-სამ. მეტეოროლოგიის ხაზით დაწყებულ იქნა ჯერ კიდევ კათედრის ცალკე გამოყოფამდე და ფართოდ გაიშალა კათედრის ცალკე ერთეულად გამოყოფის შემდეგ. ეს მუშაობა გამოიხატა შემდეგში:

1. პროფ. ი. ე. გაჩეჩილაძეს შესრულებული აქვს 36 კლიმატური მიმოხილვა, რომელთა უდიდესი ნაწილი გამოქვეყნებულია.

2. დოც. კ. ბ. კელენჯერიძეს შესრულებული აქვს 30 აგროკლიმატური მიმოხილვა, მათ შორის: ა) „დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის მიკროკლიმატი“ (სადისერტაციო შრომა, 1937), ბ) „ხორბლის კლიმატი საქართველოში“ (1943 წ.), გ) „ხორბლის, ვაზის და ნარინჯოვანთა კლიმატი საქართველოში“ (სადოქტორო შრომა, 1946.).

3. დოც. ე. ბ. ჯიქიას შესრულებული აქვს 10-ზე მეტი აგროკლიმატური მიმოხილვა, მათ შორის: ა) პროფ. ი. ე. გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით—„ვაკის რაიონის მიკროკლიმატი“ (1939 წ.), ბ) „ჰავის გავლენა სას.-სამ. კულტურათა განვითარებაზე თბილისის რაიონის პირობებში“ (საკანდიდატო დისერტაცია, 1939 წ.).

4. დოც. ა. ი. გაჩეჩილაძეს კლიმატური ხასიათის ორი შრომა აქვს დამუშავებული: ა) „ქარი თბილისზე“ (1935 წ.), ბ) „ქარი ბაქოზე (1936 წ.).

დიდი დახმარება გაუწია კათედრამ საქართველოს სსრ სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს მეტსადგურთა ქსელის და მიკროკლიმატური წერტილების ორგანიზაციით, მათთვის კვალიფიციური კადრების მომზადებით, ლიმმანტრესტის მეურნეობებში მიკროკლიმატური გამოკვლევების ჩატარებით, ლიმონისა, მანდარებინისა და სხვა კულტურებისათვის მიწის ფართობთა შერჩევით და სხვ.

ამ მხრივ კათედრის მოღვაწეობა ხშირად სცილდებოდა საქართველოს ფარგლებს და დახმარებას უწევდა მოძმე რესპუბლიკებს ს.-ს. მეტეოროლოგიის ცალკეულ საკითხებში:

1. სომხეთის სსრ მეტეოროლოგიურ სადგურთა ინსპექტურა და ამ სადგურთა აღწერა, 1933 წ.

2. აზერბაიჯანის სსრ ბამბის ნათესებზე და მის მოსავალზე ამინდის პირობების გავლენის დადგენა, 1932 წ. და სხ.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა კათედრამ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების მომზადება-გამოცემის მხრივ. აღსანიშნავია შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. პროფ. ი. ე. გაჩეჩილაძე—„მეტეოროლოგია“ (დაიბეჭდა 1926 წ.)
2. „ „ „ „მეტეოროლოგია“ (დაიბეჭდა 1931 წ.
3. „ „ „ „კლიმატოლოგია“ (დაიბეჭდა 1934 წ.)

4. დოც. კ. ბ. კელენჯერიძე—„ინსტრუქცია აგრომეტეოროლოგიური დაკვირვებათა საწარმოებლად“ (დაიბეჭდა 1935 წ.).

5. დოც. კ. ბ. კელენჯერიძე—„ინსტრუქციები ქარზე და ექსპოზიციებზე მიკროკლიმატური დაკვირვებისათვის და ნიადაგის ტენიანობის განსაზღვრისათვის (დაიბეჭდა 1937 წ.)

6. დოც. კ. ბ. კელენჯერიძე—„ცხრილები დილის ყინვების წინასწარმეტყველებისთვის“ (დაიბეჭდა 1940 წ.)

7. დოც. კ. ბ. კელენჯერიძე—„ინსტრუქცია მიკროპუნქტზე მეტდაკვირვებისათვის“ (დაიბეჭდა 1940 წ.)

კათედრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ კათედრას საკმაოდ დიდი მიღწევები აქვს. კათედრის გამგემ დოც. კ. ბ. კელენჯერიძემ სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატის ხარისხზე დისერტაცია დაიცვა 1937 წ., ხოლო დოც. ე. ბ. ჯიქიამ—1939 წ.

სადოქტორო სადისერტაციო შრომა: „ხორბლის, ვაზისა და ნარინჯოვანთა კლიმატი საქართველოში“ დოც. კ. ბ. კელენჯერიძემ უკვე დაამთავრა, ხოლო დოც. ე. ბ. ჯიქია თავის სადოქტორო თემაზე აგრძელებს მუშაობას.

კათედრის ასისტენტი თ. ა. მგელაძე მიმდინარე წლის დამლევისათვის დაამთავრებს სადისერტაციო შრომას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცხოველეობის კათედრა

მეცხოველეობის კათედრა იმ სახით, რა სახითაც ამჟამად ის არსებობს ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტში, შეიქმნა 1938 წელს. ასეთია მისი არსებობის ფორმალური დატა, რადგან მას უძღოდა რამდენიმე წელი, როდესაც სას.-სამ. ინსტიტუტში არ არსებობდა მეცხოველეობის კათედრა, ხოლო სათანადო საგანი, რომელიც მეტად შემოკლებული კურსის სახით იკითხებოდა ზოგიერთ ფაკულტეტზე სხვა კათედრასთან იყო მიკედლებული. მაგრამ არსებითად ამ კათედრის ისტორია იწყება იმ დროიდან, როდესაც საფუძველი ჩაეყარა სოფლის მეურნეობის უმაღლესი განვითარების საქმეს საქართველოში.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აგრონომიული უმაღლესი განათლების კერა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ერთ-ერთ განხრას წარმოადგენდა, გადადგმულ იქნა ნაბიჯი ზოოტექნიკური დისციპლინების სწავლებისა და სათანადო კათედრის ჩამოყალიბების მხრივ. ამ მიზნით 1920 წლის 1 ივნისიდან მოწვეულ იქნა ცნობილი სპეციალისტი—ზოოტექნიკოსი ა. ზ. თამამშევი ზოოტექნიკური დისციპლინების ლექტორად და კათედრის გამგედ, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე წელს მოწვეულ იქნა ვეტერინარიის ლექტორიც.

ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ საქართველოში იმთავითვე მეტად დიდი იყო მოთხოვნილება ვეტერინარიის სპეციალისტებზე. ამან თავისი გამოხატულებაც ჰპოვა ახლად დაარსებული აგრონომიული ფაკულტეტის თავდაპირველ სტრუქტურაში: მასში ჩამოყალიბებულ იქნა სამი განყოფილება: აგრონომიული, სატყეო და სავეტერინარო (საბეითლო—მაშინდელი გამოთქმით), მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო ამ უკანასკნელი განყოფილების შექმნა ვერ მოხერხდა. ამ სახით დარჩა აგრონომიული ფაკულტეტი 1924 წლამდე. ამ წელს მან განიცადა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მასში შეიქმნა განხრები: 1) სოფლის მეურნეობისა (მემინდვრეობა-მეცხოველეობის), 2) მებაღეობა-მევენახეობისა და 3) ტყის მეურნეობისა.

ადვილად გასაგები მიზეზების გამო დიდ დაბრკოლებას განიცდიდა ახლად შექმნილი აგრონომიული ფაკულტეტი ზოოტექნიკური და ვეტერინარული კადრების უყოლობის მხრივ. ამას ცხადად გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს 29/III უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დადგენილება გამოიტანა ზოოტექნიკის კათედრის პროფესორად ტოკიოს უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის დოქტორ მაქს მიულერის მოწვევის შესახებ, ხოლო ცო-

ტა ხნის შემდეგ (1921 წ./XI) აგრონომიულმა ფაკულტეტმა ზოოტექნიკის პროფესორად აირჩია ჰისენის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი და ექიმი—ვეტერინარი ვალტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ზოოტექნიკოსებიდან პირველი მუშაკი, რომელიც ჩაბმულ იქნა აგრონომიული ფაკულტეტის ორგანიზაციის საქმეში, იყო ფილოსოფიის დოქტორი ნ. იოსელიანი, რომელიც 1923 წლის შემოდგომას დაბრუნდა უცხოეთიდან საქართველოში. ნ. იოსელიანი ფაკულტეტის მიერ არჩეულ იქნა ზოგადი ზოოტექნიკის კათედრის დოცენტად და მას დაევალა ცხოველთმომშენებლობის კურსის წარმოება, ხოლო ერთი წლის შემდეგ 1924—25 სასწ. წლიდან მასვე მიენდო ახლად შემოღებული დისციპლინის—გენეტიკის კურსის წაკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ დოცენტმა ნ. იოსელიანმა დიდი მუშაობა ჩაატარა ზოოტექნიკური ციკლის დისციპლინათა სწავლების დაყენებისა და სათანადო კათედრების შექმნის საქმეში. სულ მალე ფაკულტეტმა მიიზიდა და ჩაბა ზოოტექნიკური ციკლის დისციპლინების ირგვლივ მუშაობაში როგორც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ქართველი მეცნიერები, ისე მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი, აღზრდილი ძირითადად თვით აგრონომიულ ფაკულტეტზე.

სულ მალე აგრონომიული ფაკულტეტის სისტემაში წარმოდგენილი იყო კათედრები: ზოგადი ზოოტექნიკის, კერძო ზოოტექნიკის, მერძეობისა, ვეტერინარიისა და მეფუტკრეობა-მეაბრეშუმეობის. თითქმის ყოველი მათგანის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილი იყო საკუთარი ადგილობრივი კადრებით, რომელთაც უკვე შეეძლოთ სწავლის პროცესის წარმართვა ქართულ ენაზე.

ზოოტეკნიკურ დარგში კათედრის ჩამოყალიბებამ აგრონომიული ფაკულტეტის სისტემაში, მათთვის საჭირო ხელმძღვანელი კადრების გამოვლინებამ და მუშაობაში ჩაბმამ, ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების შემოკრებამ კათედრების ირგვლივ და მათთვის საჭირო ტექნიკური ბაზის, კაბინეტებისა და ლაბორატორიების შექმნამ საწყისი მისცა არა მარტო პედაგოგიური პროცესის ახლად ორგანიზებას პირველ სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელში, არამედ მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ფართოდ წარმოებასაც. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ აგრონომიული ფაკულტეტის მიერ ზოოტექნიკური კათედრების შექმნამ შესაძლებელი გახადა ჯერ კიდევ 1927 წ. თბილისში ისეთი მძლავრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების დაარსება, როგორიც იყო საქ. მიწსახკომის ზოოტექნიკური საცდელი სადგური.

აგრონომიულ ფაკულტეტზე ზოოტექნიკის დარგში მომზადებული მრავალი მუშაკი უშუალოდ მონაწილეობდა საცდელი სადგურის მუშაობაში, ხოლო კათედრათა შემადგენლობის დაკომპლექტებამ სადგურში გამოწრთობილი ახალგაზრდა მეცნიერებით ფართო ხასიათი მიიღო.

აგრონომიულ ფაკულტეტზე წარმოდგენილმა მეცხოველეობის დარგებმა მრავალი ნაყოფიერი სამეცნიერო-საკვლევი და საწარმოო მნიშვნელობის მუშაობა ჩაატარა; გადასწყვიტა მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში პირველი სტალინური ხუთწლედით შექმნილი ძვრები, უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, სრულიად ახალი და შესამჩნევი ფაქტორი იყო უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო განათლების გაფართოებისა და დარგობრივი სპეციალიზაციისათვის. საჭირო გახდა ფაკულტეტის გარდაქმნა დამოუკიდებელ სას.-სამ. ინსტიტუტად, ხოლო მეცხოველეობის ცალკე ფაკულტეტად ჩამოყალიბება. მაგრამ ამით არ ამოიწურა ინსტიტუტის სტრუქტურის რეორგანიზაცია; სას.-სამ. ინსტიტუტმა „ბარტყობა" განიცადა; მის ბაზაზე აღმოცენდნენ მთელი რიგი სპეციალიზებული ინსტიტუტები და მათ შორის—ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი. ამრიგად, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი ლ. პ. ბერიას სახ. სას.-სამ. ინსტიტუტის პირმშო შვილია.

1932 წლიდან, როდესაც ზოოტექნიკური ფაკულტეტი გამოეყო სას.-სამ. ინსტიტუტს და უკვე დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, ხოლო სას.-სამ. ინსტიტუტში აგრონომთა მომზადების სასწავლო გეგმებში ვიწრო სპეციალიზაციის ტენდენცია საკმაოდ მძლავრ მიმდინარეობას წარმოადგენდა, მეცხოველეობის დისციპლინათა სწავლება საქ. სას.-სამ. ინსტიტუტში ერთობ მცირე მოცულობით მიმდინარეობდა და ისიც მხოლოდ ზოგიერთ ფაკულტეტზე სწარმოებდა.

1938 წლამდე მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა გაერთიანებული იყო ზოოლოგიის კათედრასთან.

მეფუტკრეობა ფაკულტატიური კურსის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო მეაბრეშუმეობა, მსგავსად მეცხოველეობისა, ისწავლებოდა ზოგიერთ ფაკულტეტზე და ერთობ მცირე მოცულობით.

1938 წლიდან ჩამოყალიბებული მეცხოველეობის კათედრა, გარდა საკუთრივ ზოოტექნიკური დისციპლინებისა აერთიანებს მეაბრეშუმეობას და მეფუტკრეობას. კათედრის ამ სახით გამოყოფას საფუძვლად დაედო საგნის კუთრი წონის გადიდება მემცენარეობის მთელ რიგ ფაკულტეტებზე და პირველ რიგში აგრონომიულ ფაკულტეტზე.

კათედრის გამოყოფამ ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის უკეთ დაყენებას ყველა დისციპლინაში, სასწავლო კაბინეტების შექმნას მეცხოველეობისათვის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისათვის. ამ პერიოდში სასწავლო მოწყობილობის მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა მეაბრეშუმეობის დარგი, რომლის განკარგულებაში იყო საკმაოდ მდიდარი სადემონსტრაციო მასალა, სასწავლო ნივთები, ექსპონატები და სხ. ყოფილი მეაბრეშუმეობის ფაკულტეტისა, რომელიც რამდენიმე წლის წინ იქნა ლიკვიდირებული. მეცხოველეობასა და მეფუტკრეობას კი თითქმის არაფერი არ გააჩნდათ, რადგან წინათ არსებული ზოოტექნიკური ხასიათის ყოველგვარი სასწავლო ქონება სრულიად დაეთმო დამოუკიდებლად გამოყოფილ ზოოვეტ-ინსტიტუტს. ამიტომ ამ პერიოდიდან დაიწყო მეცხოველეობის კათედრის სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ტექნიკური ბაზის ორგანიზაცია. კათედრამ თავიდანვე ყურადღება მიაქცია ზოოტექნიკური ანალიზის ლაბორატო-

რიის მოწყობას, და მოკლე ხნის განმავლობაში კიდეც მოახერხა ეს. ახლადდაარსებული ლაბორატორია საკმაოდ გამართული იყო სამეცნიერო-საკვლევი თემატიკის ანალიზური სამუშაოების შესასრულებლად და კურსის გავლისას პრაქტიკულის იმ საკითხების დასამუშავებლად, რომლებიც საჭიროებენ ქიმიურ ანალიზს.

ასპირანტები კათედრას არ ყოლია, მაგრამ მისმა ორმა თანამშრომელმა დაამუშავა სადისერტაციო თემა და მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დოც. ს. კ. ერქომაიშვილმა თემაზე—A ვიტამინი და მისი გავრცელება საქართველოს საკვებ ბაზაში; დოც. გრ. მოქიამ თემაზე—აბრეშუმმქსოვის პეპლების სქესობრივი აქტი და მისი თავისებურებანი).

სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის სახით კათედრამ დაამუშავა:

1. „A და C ვიტამინთა განსაზღვრა თუთის უმთავრესი ჯიშის ფოთლებში"—დოც. ს. კ. ერქომაიშვილი, გამოქვეყნებულია საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში", ტომი XV, 1941 წ.

2. „აბრეშუმმქსოვის პეპლების სქესობრივი აქტი და მისი თავისებურება"—დოც. გრ. მოქია, გამოქვეყნებულია საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში" ტ. XV, 1941 წ.

3. „A და C ვიტამინთა განსაზღვრა ადგილობრივი ხილეულის სხვადასხვა ჯიშში", დოც. ს. კ. ერქომაიშვილი.

კათედრამ გაამზადა კომპლექსური სახელმძღვანელო—„მეცხოველეობის საფუძვლები", სთარგმნა რუსულიდან, შეასწორა და დაამუშავა საქართველოს მეცხოველეობის საკითხები და ადგილობრივი ჯიშების დახასიათება. წიგნი გადაცემულია დასაბეჭდად ჯერ კიდევ 1940 წელს; გამოცემა დაგვიანდა ომის პერიოდში.

კათედრამ ჩაატარა სამი ღია სხდომა, რომლებზედაც წაკითხულ იქნა სამი საჯარო მოხსენება: დოც. გრ. მოქია—1. „აბრეშუმმქსოვი პეპლების სქესობრივი აქტი და მისი თავისებურებანი". 2. „მეაბრეშუმე სტახანოველების მიღწევები და მუშაობის მეთოდები"; 3. დოც. ს. კ. ერქომაიშვილი—„A და C ვიტამინთა განსაზღვრის შედეგები სხვადასხვა ჯიშის თუთის ფოთლებში".

კათედრის წევრები მუშაობას აწარმოებდნენ აგრეთვე ინსტიტუტის გარეთაც, უმთავრესად საკოლმეურნეო წარმოებებში. აღსანიშნავია საწარმოო ხასიათის პოპულარული ლექცია-მოხსენებები—დოც. დ. დოლიძისა 1. აციდოფილური რძის მომზადება და გამოყენება მეცხოველეობაში. 2. კამეჩის რძის შემდგომი გადამუშავების პროცესები (ყველის, კარაქის და რძისმჟავა პროდუქტების დამზადება) 3. ფერმენტი ქიმოზინის მომზადების წესები და მისი გამოყენება. 4. ხბოების აღზრდისა და მეწველი ცხოველის კვების შესახებ. მოხსენებები ჩატარებულ იქნა წალენჯიხის, გორისა და სენაკის რაიონების კოლმეურნეობებში სულ 9-ჯერ. გარდა ამისა, დოც. დ. დოლიძემ ჩაატარა საკ. სას.-სამ. გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატების შერჩევა. სენაკის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებიდან შერჩეულ და დამზადებულ იქნა კამეჩისა და თხის პროდუქტები.

ეს სამუშაო შესრულებულ იქნა სას.-სამ. გამოფენის საქართველოს კომიტეტის დავალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. გრ. მოქიამ ჩაატარა ორი პოპულარული ლექცია-მოხსენებათაშორის „უახლოესი მიღწევები თუთის აბრეშუმის ჭიის გამოკვების საქმეში“ წულუკიძისა და ქუთაისის რაიონის კოლმეურნე მეაბრეშუმე ქალებთან.

1939 წლის 28 ივნისს გამოქვეყნებულ იქნა სტატია „ახალგზარდა კომუნისტში“—„აგრონომიული მეცნიერება და მეაბრეშუმე სტახანოველები“.

დოც. ს. კ. ერქომაიშვილმა რადიო-ცენტრის მეშვეობით გადასცა 5 ლექცია-მოხსენება თემებზე: 1. გამოზამთრებისათვის მზადება მეცხოველეობაში 2. აციდოფილური რძე და მისი გამოყენება მოზარდეულისათვის 3. საკვების გაფუება და მისი მნიშვნელობა მეღორეობაში. 4. მეცხოველეობა საკ. სას.-სამ. გამოფენაზე. 5. მერძეული საქონლის მოშენებისა და ჯიშური დარაიონების შესახებ.

გარდა ამისა დოც. ს. კ. ერქომაიშვილმა საქ. მიწსახკომის დავალებით ჩაატარა ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონებში მეცხოველეობის მეურნეობათა გამოკვლევა და დაამუშავა ღონისძიებანი.

კათედრის სტრუქტურა შეიცვალა 1940 წელს. მას გამოეყო მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობაც. ამ ხნიდან მისი შემდგომი საქმიანობა შემოფარგლულია მეცხოველეობის საგანთა სწავლების ორგანიზაციით და სხვა მუშაობით.

სამამულო ომის წლებში კათედრის მუშაობაში სასწავლო მეცადინეობასთან ერთად აღსანიშნავია შემდეგი:

1. მან დაამუშავა ღონისძიებანი ვაზის ნასხლავი ლერწის გამოყენებაზე მსხვილი რქოსანი საქონლის საკვებად და უშუალოდ განახორციელა მისი გამოყენება სოფ. დიღომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

2. დაამუშავა ღონისძიებანი შაქრის ჭარხლის ფოჩის საკვებად გამოყენებისათვის და ამის შესახებ: ა) შეადგინა მოხსენებითი ბარათი, ბ) გაზეთ „კომუნისტში“ ამ საკითხზე მოათავსა ვრცელი წერილი;

3. შეადგინა ტექნიკური ინსტრუქცია ჭარხლის ფოჩის შეგროვებაზე, დასილოსებაზე და საკვებად გამოყენებაზე. ინსტრუქცია დამტკიცებულ იქნა საქ. მიწსახკომის მიერ და დაშვებული სახელმძღვანელოდ. ჩაატარა ერთდღიური საინსტრუქციო ლექციები აგრონომთა და ზოოტექნიკოსთა სარაიონო შეკრებაზე ქ. გორში და კასპში. უშუალოდ უხელმძღვანელა ამ ღონისძიების განხორციელებას კასპის რაიონის 3 კოლმეურნეობაში.

4. შეადგინა ბროშურა $2^1/_2$ თაბახის მოცულობისა თემაზე „საკვებთა შემზადების წესები“. ბროშურა გამოიცა სახელგამის მიერ მასობრივი ტირაჟით 1944 წ.

5. შეადგინა პრაქტიკული სახელმძღვანელო „ცხოველთა კვების კურსისა“ და გადაეცა საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის გამომცემლობას, რომლის გეგმის მიხედვით იგი უნდა გამოიცეს მიმდინარე წლის ბოლომდე.

6. დაამუშავა ტექნიკური ინსტრუქცია სიმინდის ნაქუჩის საკვებად გამოყენებაზე და გადასცა საქ. მიწსახკომს, რომელმაც დაამტკიცა იგი და დაუშვა ადგილზე სახელმძღვანელოდ.

7. დაამუშავა ტექნიკური ინსტრუქცია მუხის რკოს შეგროვებაზე, შენახვაზე, გაუსნებოვნებაზე და საკვებად გამოყენებაზე. საქ. მიწსახკომმა დაამტკიცა აღნიშნული ინსტრუქცია და დაუშვა ადგილზე სახელმძღვანელოდ.

8. ჩაატარა 6 ლექცია ცენტრალური სალექციო ბიუროს დავალებით თეთრ-წყაროს და ცხაკაიას რაიონებში თემებზე „საბჭოთა ზოოტექნიკა სამამულო ომის წლებში“ და „საკვები ბაზის გაფართოება-გაუმჯობესების რესურსები“.

მიმდინარე წლის გეგმით კათედრა ამუშავებს მუხის რკოს საკვებად გამოყენების რაციონალურ ტექნიკას სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ცხოველებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოველთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრა

ცხოველთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრა ლ. პ. პერიას სახელობის საქ. სას.-სამ ინსტიტუტში ყველაზე ახალგაზრდა კათედრაა; მისი ისტორია 1943 წლიდან იწყება. მაგრამ ცხოველთა ფიზიოლოგია ისწავლებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტის დაარსების დღიდანვე, ხოლო 1929 წელს, როდესაც აგრონომიული ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტს დამოუკიდებელ ინსტიტუტად გამოეყო, დაარსდა ე. წ. ზოობიოლოგიური კათედრა, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე დისციპლინას: ცხოვ. ფიზიოლოგიას და ანატომიას, ზოოლოგიას და ზოოტექნიკას. ეს კათედრა 1937 წელს დაიხურა და ცხოვ. ანატომიისა და ფიზიოლოგიის სწავლებაც შეწყდა.

ცხოვ. ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრა, რომელიც 1943 წელს დაარსდა აგრონომიულ ფაკულტეტთან, გარდა აგრონომიული ფაკულტეტისა, მომსახურებას უწევს მებაღეობა-მევენახეობისა და სუბტროპიკულ ფაკულტეტებს. კათედრის მოწყობა დიდი სამეულო ომის ვითარებაში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. კათედრას არ შეეძლო ამ დროს სათანადო ბინის მიღება; ძნელი იყო კათედრის თანამშრომელთა შერჩევა; კათედრას არ გააჩნდა ხელსაწყო იარაღები, ანატომიური პრეპარატები, სასწავლო-სადემონსტრაციო მასალა და სხვ. ასეთ პირობებში განსაკუთრებით ძნელი იყო პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობის უზრუნველყოფა. მაგრამ მეზობელი ინსტიტუტების ანალოგიური კათედრების დახმარებით (საქ. სახ. ზოოვეტინსტიტუტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი) მრავალი დაბრკოლება იქნა გადალახული სწავლების საქმეში. აქვე უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის დირექტორის მაშინდელი მოადგილის, მეცნ. დამსახ. მოღვაწის, აწ განსვენებული პროფ. ვ. ზ. ღ ვ ა ლ ა ძ ი ს მზრუნველობა და მუდმივი ყურადღება ახლად დაარსებული კათედრისადმი. ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლეოდა, რათა ცხოველთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის სწავლების საქმე ინსტიტუტში იმ თავითვე სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო დაყენებული.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ინსტიტუტმა დაიბრუნა მთავარი კორპუსი, დირექციამ ცხოვ. ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრისთვის გამოჰყო დღესდღეობით დამაკმაყოფილებელი ფართობი; დაკომპლექტებულ იქნა კათედრის შტატი საკმაო რაოდენობის მომზადებული თანამშრომლებით (კათედრის გამგე პროფ. დ. იაშვილი, ასისტ. ა. ფანცხავა, ასისტ. ნ. პოპიაშვილი, უფრ. ლაბორანტი ო. მეგრელიძე და უფრ. პრეპარატორი ლ. ჯანელიძე). ამჟამად კათედრას მნიშვნელოვანი რაოდენობით მოეპოვება სასწავლო-სადემონსტრაციო ცხრილები და სურათები, ანატომიური პრეპარატები,

პრაქტიკუმებისათვის საჭირო ხელსაწყოები, საოპერაციო იარაღები და სხვ. ცხადია, რომ ცხოველთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგრამ კათედრამ ასე თუ ისე უკვე მიიღო გარკვეული სახე და ჩადგა აგრონომიული ფაკულტეტის სხვა დამსახურებულ კათედრათა რიგებში.

წარსული სამი წლის განმავლობაში კათედრამ არა თუ სწავლების ხარისხი გააუმჯობესა, არამედ შეძლო სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ხაზითაც გაემზადებია 4 შრომა დასაბეჭდად. შედგენილ იქნა ცხოველთა ფიზიოლოგიის მოკლე კურსი (პროფ. დ. იაშვილი), დამზადდა ცხოველთა ფიზიოლოგიის პრაქტიკუმი (პროფ. დ. იაშვილი და ასისტ. ა. ფანცხავა), შესრულებულ იქნა 2 ექსპერიმენტული შრომა: 1. „ერითროციტების დიამეტრის გაზომვის საკითხისათვის“ (ასისტენტი ა. ფანცხავა), 2. „ბაყაყის ერითროციტების ზომის ცვალებადობა სიმულირებულ სიმაღლეზე“ (ა. ფანცხავა).

კათედრის მოწყობა, მისი შემდგომი მომარაგება ანატომიური პრეპარატებით გრძელდება; სწარმოებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ყოველივე ეს უზრუნველჰყოფს ახლო მომავალში სწავლების საქმის უფრო მაღალ დონეზე დაყენებას და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ფართოდ გაშლას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრა

მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა 1920—21 სასწ. წელს, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით შეყვანილ იქნა აგრონომიული ფაკულტეტის შემადგენლობაში 1921 წელს, ამ ფაკულტეტის გამოყოფისთანავე.

კათედრის პირადი შემადგენლობა ამ დროისათვის იყო შემდეგი:

კათედრის გამგე, ლექტორი ვ. გ. ალექსანდროვი, ასისტენტი ო. გ. თარხანოვა-ალექსანდროვა და პრეპარატორი ქ. ე. ცხაკაია. ეს უკანასკნელი მოწვეული იყო კათედრის მიერ ქართული კადრების მოსამზადებლად ჯერ კიდევ მისი სტუდენტობის პერიოდში.

კათედრა აერთიანებდა ორ დისციპლინას: მცენარეთა ანატომიას და მცენარეთა ფიზიოლოგიას; ორივე დისციპლინა იკითხებოდა II კურსზე. ეს დისციპლინები ისწავლებოდა რუსულ ენაზე ქართული კადრების უყოლობის გამო.

1922—23 სასწ. წლიდან პრაქტიკული მეცადინეობა მც. ანატომიაში პარალელურად ტარდება ქართულ ენაზედაც; ამ მეცადინეობათა ჩატარება კათედრის წარმოდგენით, აგრონომიული ფაკ-ტის შუამდგომლობით და უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებით, დაეკისრა ქ. ე. ცხაკაიას.

1927—28 სასწ. წლიდან ვ. გ. ალექსანდროვის ტომსკის უნივერსიტეტში პროფესორად მიწვევასთან დაკავშირებით, მცენარეთა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში ლექციების კითხვა და კათედრის გამგეობა (შეთავსებით) მიენდო ბოტანიკის კათედრის გამგეს ზ. ა. ყანჩაველს. ამ დროისათვის კათედრის შტატში, კათედრის გამგის გარდა, ირიცხებოდა ასისტ. ქ. ცხაკაია და პრეპარატორები: ქ. აბესაძე (1926 წლიდან) და ლ. ჯაფარიძე (1927 წლიდან), რომელნიც 1929 წელს გადაირიცხნენ ასისტენტებად. იმავე წელს ასისტ. ქ. ცხაკაია გადაყვანილ იქნა ლექტორად.

1930—31 ს. წ. მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსს მომსახურებას უწევდა შემდეგი პედაგოგიური პერსონალი: ლექციებს კითხულობდა დოც. ქ. ცხაკაია, ასისტენტებად იყვნენ: ნ. ანელი და ქ. ილურიძე.

1931—32 სასწ. წლიდან 1938 წლამდე მც. ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა გაერთიანებული იყო ბოტანიკის კათედრასთან (კათ. გამგე პროფ. ნ. კეცხოველი). კათედრასთან არსებობდა ანატომიისა და ფიზიოლოგიის ცალკე კაბინეტი და ლაბორატორია. ამ ხნის განმავლობაში მც. ანატომია-ფიზიოლოგიაში მუშაობა დაიწყეს ქ. ბექაიამ, თ. ვეკუამ და კობერიძემ.

1938 წელს ბოტანიკის კათედრიდან კვლავ გამოიყო მც. ფიზიოლოგიის კათედრა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების საქ-

მეთა საკავშირო კომიტეტის 5 იანვრის ბრძანების საფუძველზე. კათედრის გამგედ დაინიშნა დოც. ქ. ცხაკაია, რომელიც კათედრას განაგებს ამჟამადაც.

1938 წელს მც. ანატომიისა და ფიზიოლოგიის გარდა, კათედრაში მედიცინოდა საგანი მიკრობიოლოგია (საგნის ხელმძღვანელი დოც. ნ. აბესაძე, ასისტ. ქ. ლამბაშიძე და უფრ. ლაბორ. თ. ქილიფთარი), რომელიც შემდეგ ბოტანიკის კათედრაზე გადავიდა. 1939—40 წ. მიკრობიოლოგია ცალკე კათედრად იქნა გამოყოფილი.

ამჟამად კათედრის შტატი შემდეგია:

1. კათედრის გემგე ქ. ცხაკაია, დოცენტი, სოფლ. მეურ. მეცნ. კანდიდატი.

2. ი. ჩხუბიანიშვილი, დოცენტი, ბიოლოგ. მეცნ. კანდიდატი.

3. ა. კობერიძე, დოცენტი, ბიოლოგ. მეცნ. კანდიდატი.

4. ნ. ქანთარია, დოცენტი, ბიოლოგ. მეცნ. კანდიდატი.

5. ნ. ბენდიანიშვილი, ასისტენტი, სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი.

6. თ. ვეკუა, ასისტენტი, ჩაბარებული აქვს საკანდიდატო გამოცდები, ამზადებს დისერტაციას.

7. ა. თაგაური, ასისტენტი, ჩაბარებული აქვს საკანდიდატო გამოცდები, ამზადებს დისერტაციას.

8. თ. აბრამიშვილი, უფროსი ლაბორანტი.

9. გ. მდივნიშვილი, უფროსი ლაბორანტი.

10. ქ. აირაპეტოვა, უფროსი პრეპარატორი.

კადრები, რომლებიც ამჟამად კათედრის შტატს შეადგენენ, ძირითადად კათედრაზე აღიზარდნენ.

სას.-სამ. ინსტიტუტის ხაზით მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის სპეციალობაში კათედრას ასპირანტები არ ყოლია. სატყეო ინსტიტუტის ხაზით მომზადდა ერთი ასპირანტი ი. ი. ჩხუბიანიშვილი, რომელიც ასპირანტურაში ჩაირიცხა 1930 წ. და დაამთავრა 1933 წ.

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის, როგორც დამხმარე დისციპლინის, გავლა უხდებოდა ინსტიტუტის მრავალი კათედრის (მემცენარეობის, მებაღეობის, მევენახეობის, სელექცია-მეთესლეობის, ბიო-ორგანული ქიმიის და სხვა.) ასპირანტებს. სულ კათედრაზე კონსულტაციით ისარგებლა 20-მდე ასპირანტმა.

კათედრა ხელმძღვანელობას უწევდა სხვადასხვა ორგანიზაციიდან (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტიდან, ბათომის სამასწავლებლო ინსტ-დან, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტიდან და სხვა) მოვლენილ ამხანაგებს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაში.

1930 წლამდე კათედრას კვლევითი მუშაობის საწარმოებლად არავითარი პირობები არ გააჩნდა, რის გამოც კათედრის წევრები კვლევითს მუშაობას აწარმოებდნენ თბილისის ბოტანიკური ბაღის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში. 1930 წ. სას.-სამ. ინსტიტუტში ეწყობა ფიზიოლოგიური ლაბორატორია (პირველი ლაბორატორია ამ დარგში საქართვ. უმაღლეს სასწავლებლებში და მეორე საერთოდ საქართველოში).

საქართვ. სას.-სამ. ინსტიტუტის ფიზიოლოგიური ლაბორატორია კავშირს აბამდა სხვადასხვა კვლევითს დაწესებულებებთან (საქართვ. სელექციის სადგური, ურიათუბნის მევენახეობის სადგური, ყარაიას საცდელი სადგური, მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი და სხვა), რათა უზრუნველეყო კვლევითი მუშაობა მასალებით და საცდელი ბაზით, რისი შედეგიც არის ის შრომები, რომელთა დიდი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია, ნაწილი კი ხელნაწერის სახითაა.

ამ პერიოდში კათედრაზე შესრულებულია 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მათი უმეტესობა გამოქვეყნებულია როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო სამეცნიერო ჟურნალებში და ეხება უმთავრესად პლასტიკურ ნივთიერებებს სხვადასხვა მცენარეში, მცენარის წყლის რეჟიმს (ვაზში და ზოგიერთ ხე მცენარეში), სხვადასხვა მცენარის (ვაზის, თუთის, კორპის მუხის, ევკალიპტის და სხვა) ანატომია-ჰისტოლოგიას და სტრუქტურულ ცვლილებებს გარემო პირობათა ზეგავლენით.

აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს:

1. ფოთლის პლასტიკურობისა და ქსერომორფიული სტრუქტურის წარმოშობის პრობლემისათვის—ვ. გ. ალექსანდროვი და ქ. ე. ცხაკაია, Тр. Сельхоз. Опыт. учр. Сев. Кавк., 1926 წ.

2. მუხლის ელემენტების მოჭრის ზეგავლენით ღეროს გამტარ სისტემაში მომხდარ ზოგიერთ ცვლილებებზე—ქ. ე. ცხაკაია, Журн. Рус. Ботан. общ. т. 12 (1927), №1—2.

3. სხვადასხვა კლიმატურ პირობებში ფოთლის პლასტიდებში სახამებლის რაოდენობის ცვალებადობაზე—ვ. გ. ალექსანდროვი და ქ. ე. ცხაკაია, Вестн. Томского Универс., 1927 г.

4. საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშების ფილოქსერისადმი გამძლეობის სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულება მათი ფესვთა სისტემის ანატომიურ აგებულებასთან—ქ. აბესაძე, ა. მაკარევსკაია და ქ. ცხაკაია, Зап. науч. Пр. отд. Тифл. Бот. Сада, вып. 7, 1930 წ.

5. სანამყენოსა და საძირის ურთიერთ გავლენა ცაგახსნილ და ცაგაუხსნელ ვაზის ნამყენებში წყლის მარაგის განაწილებაზე—ქ. ე. ცხაკაია და ქ. ი. აბესაძე, საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „მოამბე", №1, 1933.

6. მასალები თუთის ზოგიერთი ჯიშის ფოთლის სტრუქტურის პლასტიურობაზე—ა. კობერიძე, თბილისის ბოტანიკური ინსტ-ის „შრომები", ტ. IV, 1938 წ.

7. დასავლეთ საქართველოს ვაზების ფოთლის ყუნწის შედარებითი ანატომია—თ. ვეკუა, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", 1940 წ.

8. კორპის მუხის (Quercus suber d) რკოების შენახვისა და გაღივების საკითხისათვის—ნ. ანელი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", ტ. XII, 1940 წ.

9. ევკალიპტების ზოგიერთი სახეობის მეორადი მერქნის აგებულება—ი. ჩხუბიანიშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", ტ. XIII, 1941 წ.

10. მასალები „შავი ტირილით" დაავადებული კორპის მუხის მორფოლოგია-ფიზიოლოგიისათვის—ი. ჩხუბიანიშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ-ის. „შრომები", ტ. XVIII, 1942 წ.

11. აღმოსავლეთ საქართველოს ჭანჭყატების ფესვის ქერქში გუტაპერჩა საცავების რაოდენობით-ანატომიური ანალიზი—ი. ჩხუბიანიშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", ტ. XIX, 1943. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ერთლებნიანი მცენარის ფესვის შინაგანი აგებულების შესწავლისათვის—ქ. ცხაკაია, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები", ტ. XXIII—XXIV, 1945 წ.

აქ დავასახელებთ აგრეთვე იმ შრომების ნაწილს, რომლებიც ხელნაწერის სახითაა კათედრაზე:

1. ლობიოს სხვადასხვა ჯიშის პარკის კედლის შინაგანი აგებულება—ქ. ცხაკაია და ნ. ანელი, 1932 წ.

2. პლასტიკურ ნივთიერებათა ცვალებადობა სხვადასხვა Phaseolus-ების პარკის კედელში—ქ. ცხაკაია და ნ. ანელი, 1932 წ.

3. თესვის ვადების გავლენა სხვადასხვა იონჯის ღეროს სტრუქტურის ცვალებადობაზე—ქ. ცხაკაია და თ. ვეკუა.

4. Morus-ების ჰიბრიდთა ფოთლის სტრუქტურის პლასტიკურობა—ქ. ცხაკაია და ა. კობერიძე, 1936 წ.

5. მთრიმლავ ნივთიერებათა ცვალებადობა კაკლისა და ატმის ნაყოფში—ა. თაგაური, 1939 წ.

6. მასალები ჩაის ბუჩქის ბიოლოგიისათვის—ნ. ქანთარია, სადისერტაციო ნაშრომი, 1940 წ.

7. საგენერაციო ორგანოების მოცილების გავლენა ზოგიერთ კულტურულ მცენარეზე—ნ. ქანთარია, 1941 წ.

8. მასალები კავკასიის ორეოფიტთა ფოთლის ჰისტოლოგიური ანალიზისათვის—ი. ჩხუბიანიშვილი, სადისერტაციო ნაშრომი, 1939 წ.

9. საქართველოს ხორბლების ეკოტიპების ზოგიერთი ჯიშის შედარებითი ანატომია—ქ. ცხაკაია და ა. თაგაური, 1941 წ.

10. ბამბუკის საწარმოო ჯიშების შედარებითი ანატომია—ქ. ცხაკაია, 1943 წ.

11. საქართველოს ხორბლების ფესვთა სისტემის შესწავლისათვის—ქ. ცხაკაია და თ. ვეკუა, 1943წ.

12. ჰეტეროაუქსინის გავლენა ვაზის კალმების ანატომიურ აგებულებაზე და ენერგო-პლასტიკურ ნივთიერებათა განაწილებაზე—ა. კობერიძე, 1943 წ.

13. პლასტიკურ ნივთიერებათა დინამიკა ვაზის ყვავილედში—ნ. ბენდიანიშვილი, 1945 წ.

ამათ გარდა მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში შესრულებულია ინსტიტუტის სხვა კათედრებიდან და სხვა კვლევითს დაწესებულებათაგან მოვლენილი თანამშრომლების მიერ სადისერტაციო შრომების ნაწილი და სხვა ხასიათის 10-ზე მეტი შრომა.

1930 წლამდე მცენარეთა ანატომიასა და მცენარეთა ფიზიოლოგიაში ქართულ ენაზე სახელმძღვანელო არ ყოფილა. კათედრამ თავისი წვლილი შეიტანა სახელმძღვანელოებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საქმეში. მათი ნაწილი

სტამბური წესით გამოიცა, ნაწილი კი გამრავლებულია ლითოგრაფიულად ან მანქანაზე:

1. „მცენარეთა ფიზიოლოგიის მოკლე კურსი“, პროფ. ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი მესამე გამოცემიდან დოც. ქ. ცხაკაიას მიერ. სახელგამი, 1932 წ.

2. „მცენარეთა ანატომია“, I ნაწილი, დაუსწრებელი სექტორის სტუდენტებისათვის. შედგენილი ქ. ცხაკაიას და ნ. ანელის მიერ. საქ. სას.-სამ. ინსტ-ის დაუსწრებელი სექტორის გამოცემა, 1934 წ.

3. „მცენარეთა ანატომია“, III და IV ნაწილი. ორგანოთა ანატომია, შედგენილი ქ. ცხაკაიასა და ნ. ანელის მიერ. მანქანაზე ნაბეჭდი. 1938 წ.

4. „მცენარეთა ანატომიის პრაკტიკუმის მეთოდური მითითებანი“, შედგენილი ქ. ცხაკაიას მიერ. მანქანაზე ნაბეჭდი, 1938 წ.

5. „მცენარეთა ფიზიოლოგიის მოკლე პრაქტიკუმი“, შედგენილი ქ. ცხაკაიას მიერ. მანქანაზე ნაბეჭდი, 1938 წ.

6. „მცენარეთა ანატომია“. პროფ. ლ. ივანოვისა, თარგმანი რუსულიდან ი. ჩხუბიანიშვილის მიერ, გამომც. „ტექნიკა და შრომა“, 1937 წ.

7. „მცენარეთა ანატომიის პრაქტიკული კურსი“, აკად. ვ. კომაროვისა, ნ. ქანთარიას თარგმანი. ხელნაწერი.

8. „სიცოცხლის წარმოშობა“, აკად. ოპარინისა, ი. ჩხუბიანიშვილის თარგმანი, ხელნაწერი.

9. მცენარეთა ფიზიოლოგიის მოკლე კურსი“, პროფ. ნ. მაქსიმოვისა, ქ. ცხაკაიას თარგმანი VII გამოცემიდან. გამზადებულია დასაბეჭდად.

1935 წლიდან კათედრაზე ეწყობა ღია სხდომები, რომლებზედაც იკითხება მეცნიერული მოხსენებები ან რომელნიც მიძღვნილი არიან რომელიმე საიუბილეო დატისადმი. ღია სხდომებზე კეთდებოდა მოხსენებები როგორც კათედრაზე შესრულებულ საკვლევ მუშაობათა შედეგებიდან, ისე სხვადასხვა თეორიულ და სადისკუსიო საკითხებზედაც. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

1. „ზოგიერთი იდეოლოგიური შეცდომის შესახებ მცენარეთა ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოებში“, მომხს. დოც. ქ. ცხაკაია, 1935 წ.

2. „სქესობრივი დიმორფიზმი მცენარეებში“. მომხს. პროფ. დ. სოსნოვსკი, 1936 წ.

3. „თუთის ფოთლის სტრუქტურის ცვალებადობა ხის ხნოვანებასთან დაკავშირებით“. მომხს. დოც. ქ. ცხაკაია, 1937 წ.

4. „მცენარეთა ჰორმონები“, მომხს. ა. კობერიძე, 1938 წ.

5. „ელექტრომაგნიტური ტალღების გავლენა თესლის გაღივებასა და მცენარის შემდგომ განვითარებაზე“, მომხს. ნ. ანელი, 1938 წ.

6. „მერქნიანი ჯიშების იაროვიზაცია“, მომხს. ი. ჩხუბიანიშვილი, 1939 წ.

7. „ნიადაგის პირველადი დამუშავების სიღრმის და პლანტაციის გაშენების წესების გავლენა ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტემის განვითარებაზე“, მომხს. ნ. ქანთარია, 1939 წ.

8. „მცენ. ფიზიოლოგთა საკავშირო თათბირის შედეგები“, მომხს. ქ. ცხაკაია, 1940 წ.

9. „ჰეტეროაუქსინის გავლენა კალმების დაფესვიანებაზე“, მომხს. ა. კობერიძე, 1940 წ.

10. კრენკეს თეორია მცენარეთა ციკლური გაახალგაზრდავებისა და დაბერების შესახებ“, მომხს. ქ. ცხაკაია, 1940 წ.

საიუბილეო დატებისადმი მიძღვნილი სხდომებიდან აღსანიშნავია:

1. სისტემატური ღია სხდომები, მიძღვნილი ტიმირიაზევის ხსოვნისადმი, რომლებზედაც კეთდებოდა მეცნიერული მოხსენებები.
2. უჯრედის აღმოჩენიდან 100 წლის შესრულებისადმი.
3. კათედრის პირველი ასისტენტის ო. გ. ალექსანდროვას ხსოვნისადმი.
4. სსრკ მეც. აკად. წევრ-კორ. ლ. ივანოვისადმი.
5. აკად. ა. რიხტერისადმი.
6. პასტერის საიუბილეო დღისადმი და სხვა.

მეცნიერული მოხსენებები, გარდა კათედრის ღია სხდომებისა, კეთდება აგრეთვე სარეფერატო-სამეცნიერო წრეში, რომელიც ჩამოყალიბებულია კათედრასთან კათედრის კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კათედრის წევრები სამეცნიერო მოხსენებებით მონაწილეობდნენ როგორც საკავშირო (მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის) ყრილობებსა და თათბირებზე (ვ. ალექსანდროვი, ქ. ცხაკაია), ისე ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე (ი. ჩხუბიანიშვილი, ქ. ცხაკაია).

უნდა აღინიშნოს, რომ მც. ფიზიოლოგიის კათედრას მოეპოვება ორიგინალური სადემონსტრაციო ტაბულები და ორიგინალური სურათები მც. ანატომიიდან, შესრულებული თვით კათედრის თანამშრომელთა მიერ (ცხაკაია, ანელი, ვეკუა, კობერიძე). მრავალი მათგანი უნიკუმს წარმოადგენს.

კათედრის თანამშრომელთა მიერ დაწერილია რეცენზიები როგორც ცალკეულ სახელმძღვანელოებსა და პროგრამებზე, ისე 10 სადისერტაციო ნაშრომზე, გაწეულია ოფიციალური ოპონენტობა დისარტაციათა დაცვის დროს (8-ჯერ დოც. ქ. ცხაკაიას და ერთჯერ დოც. ი. ჩხუბიანიშვილის მიერ).

1936 წლიდან მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიასთან მუშაობენ დაინტერესებული სტუდენტები—ეგრეთ წოდებულ „საგნის მოყვარულთა წრეებში“, რომლებშიაც ყოველწლიურად საშუალოდ 10 მოხსენება კეთდებოდა. საუკეთესო მოხსენებები (1—2) იკითხებოდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში, ზოგის კი (ვასაძის, ჭელიძის, თავდიშვილის და სხვ.) სტუდენტთა კონფერენციაზედაც. მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიაში ფართოდ იყო გაშლილი კონსულტაცია, რომლითაც სარგებლობდნენ როგორც კურსის უშუალო მსმენელები, ისე უფროსი კურსის სტუდენტობა. კონსულტაცია ეძლეოდათ აგრეთვე ინსტიტუტდამთავრებულთ, უკვე წარმოებაში მყოფ აგრონომებს, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი.

კათედრის მიერ სერიოზული მუშაობაა ჩატარებული ინსტიტუტის გარეთ, როგორიც არის ლექციები და კონსულტაციები წარმოებებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, სკოლებში; თათბირებში მონაწილეობა (განსახკომი, სატყეო კომისარიატი), მოსახლეობაში კულტმასობრივი მუშაობა, საარჩევნო კომპანიაში მონაწილეობა და სხვა.

განსაკუთრებით დიდი მუშაობაა ჩატარებული სამამულო ომის პერიოდში (ქ. ცხაკაია, ი. ჩხუბიანიშვილი, ა. კობერიძე, ნ. ბენდიანიშვილი და სხვა). კათედრის წევრები დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან ამჟამადაც. დოც. ქ. ცხაკაია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია, დოც. ი. ჩხუბიანიშვილი ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს დეპუტატი, ნ. ბენდიაშვილი და გ. მდივნიშვილი პარტ. ორგანიზაციის მდივნები და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგროქიმიის კათედრა

აგროქიმიის კათედრა ჩამოყალიბდა 1938 წლის 5 იანვარს (მანამდე აგროქიმია, როგორც საგანი, ეკუთვნოდა ნიადაგმცოდნეობის კათედრას). კათედრის გამგედ დაინიშნა დოც. ი. ფ. სარიშვილი. კათედრის დაარსებისას მის შემადგენლობაში შედიოდა ცხრა თანამშრომელი:

1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოც. ივანე ფაუსტის-ძე სარიშვილი (კათედრის გამგე).
2. დოც. ათინოგენ ჯამულეთის-ძე მენაღარიშვილი.
3. ასისტენტი ბორის ალექსის-ძე გერასიმოვი.
4. ასისტენტი ალექსანდრე იოსების-ძე ნარეშელი.
5. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ასისტენტი მიხეილ თადეოზის-ძე გეგეჭკორი.
6. ლაბორანტი ვახტანგ მიხეილის-ძე ნაცვლიშვილი.
7. ლაბორანტი თამარ ბესარიონის-ასული ქართველიშვილი.
8. პრეპარატორი ნადია ჩიკაშუა.
9. პრეპარატორი მერცია იორამის-ასული თარხნიშვილი.

კათედრის დაარსებიდან 1946—47 სასწ. წლამდე კათედრის პირად შემადგენლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებები:

1938 წლის 11 ოქტომბერს აგროქიმიის კათედრასთან ასისტენტის თანამდებობაზე დაინიშნა გიორგი ყარამანის-ძე ურუშაძე. 1939 წლის 13 თებერვალს უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე დაინიშნა ნატალია ვასილის-ასული ზალიევა, რომელიც 1943 წლიდან გადაყვანილ იქნა ასისტენტის თანამდებობაზე. 1940 წლის 14 აპრილს აგროქიმიის კათედრასთან ასისტენტის თანამდებობაზე დაინიშნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ ვარლამის-ძე ლეჟავა.

1942 წელს აგროქიმიის კათედრაზე უფროსი პრეპარატორის თანამდებობაზე დაინიშნა ანა ვასილის-ასული სიბიკეევა, რომელიც 1945 წელს გადაყვანილ იქნა ლაბორანტის თანამდებობაზე. 1943 წელს უფროს ლაბორანტად დაინიშნა თ. ბ. ქართველიშვილი, რომელიც 1944 წელს გადაყვანილ იქნა ასისტენტის თანამდებობაზე. 1943 წლის 15/XI აგროქიმიის კათედრასთან ლაბორანტის თანამდებობაზე დანიშნულ იქნა მარგალიტა ნარიმანის-ასული კობახიძე, რომელიც 1946 წლიდან გადაყვანილ იქნა უფროს ლაბორანტად. 1946 წელს აგროქიმიის კათედრასთან დოცენტის თანამდებობაზე დანიშნულ იქნა გიორგი ყარამანის-ძე ურუშაძე. 1946 წლიდან აგროქიმიის კათედრის ლაბორანტად მუშაობს მარიამ გრიგოლის-ასული ბეროიანი.

1942 წელს საქ. სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატის ბრძანებით (№ 2—44 14/II—1942 წ.) აგროქიმიის კათედრას გადმოეცა სრულიად საკ. სასუქების, ნიადაგმცოდნეობის და აგროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბათომის ბაზა, რის საფუძველზე შეიქმნა აგროქიმიის კათედრის ციხისძირის დასაყრდენი ბაზა. ბაზის გამგედ დაინიშნა მ. ს. ჩაჩიბაია. აგროქიმიის კათედრის ციხისძირის დასაყრდენი ბაზის ლაბორანტებად დანიშნულ იქნენ იანა მაცევსკაია და მ. სტუპაკი, ხოლო პრეპარატორად ო. სტუპაკი.

ამჟამად აგროქიმიის კათედრის შტატი ასეთია:

1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოც. ივანე ფაუსტის-ძე სარიშვილი (კათედრის გამგე).

2. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოც. ათინოგენ ჯამულეთის-ძე მენაღარიშვილი.

3. დოც. გიორგი ყარამანის-ძე ურუშაძე.

4. ასისტენტი ალექსანდრე იოსების-ძე ნარეშელი.

5. ასისტენტი ნატალია ვასილის-ასული ზალიევა.

6. ასისტენტი თამარ ბესარიონის-ასული ქართველიშვილი.

7. ასისტენტი მიხეილ სამსონის-ძე ჩაჩიბაია (აგროქიმიის კათედრის ციხისძირის დასაყრდენი ბაზის გამგე).

8. უფროსი ლაბორანტი მარგალიტა ნარიმანის-ასული კობახიძე.

9. ლაბორანტი ანა ვასილის-ასული სიბიკეევა.

10. ლაბორანტი იანა მაცევსკაია.

11. ლაბორანტი მარიამ გრიგოლის-ასული ბეროიანი.

12. ლაბორანტი მ. სტუპაკი.

13. პრეპარატორი ოლღა სტუპაკი.

აგროქიმიის კათედრის ორმა წევრმა დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე:

1. 1939 წლის აპრილში ათინოგენ ჯამულეთის-ძე მენაღარიშვილმა, თემაზე—„ჩაის კულტურის განოყიერების თეორია და პრაქტიკა“;

2. 1938 წლის სექტემბერში ბორის ალექსის-ძე გერასიმოვმა, თემაზე—„ნიადაგში ნახშირბადის და მცენარეში აზოტის განსაზღვრის სწრაფი მეთოდი“.

აგროქიმიის კათედრის მიერ მოწყობილ იქნა სასწავლო და საკვლევი მიზნებისათვის აგროქიმიური ლაბორატორიები, რომლებიც სათანადოდ არიან უზრუნველყოფილი აპარატებით, ხელსაწყოებით და საჭირო ინვენტარით. კათედრას ციხისძირის დასაყრდენ ბაზაზე აქვს აგროქიმიური ლაბორატორია, რომელიც მომსახურებას უწევს კათედრის წევრების მიერ სუბტროპიკულ რაიონებში (აჭარის რაიონებში) წარმოებულ ცდებს ქიმიზაციის საკითხებზე.

აგროქიმიის კათედრის მიერ დამუშავებულ იქნა შემდეგი სამეცნიერო ხასიათის თემები:

1. „სუპერფოსტატის და გოგირდმჟავა ამონიუმის გავლენა ნიადაგის მჟავიანობის ფორმებზე“—დოც. ი. ფ. სარიშვილი (ხელნაწერი).

2. „ლეჩხუმის ფოსფორიტების აგრონომიული შეფასება“—დოც ა. ჯ. მენაღარიშვილი. გამოქვეყნებულია ჟურნალში „სოვეტსკიე სუბტროპიკი“ № 8, 1940 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „ნიადაგში აზოტისა და ნახშირბადის განსაზღვრის სწრაფი მეთოდი“—ბ. გერასიმოვი. გამოქვეყნებულია საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბეში“, № 3, 1939 წ.

4. „მინერალური სასუქების მატებითი დოზების ეფექტურობა ბოსტნეულ კულტურათა მიმართ“—მ. თ. გეგეჭკორი (ხელნაწერი).

5. „საქართველოს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საკითხები“—დოც. ი. ფ. სარიშვილი და ი. ა. ნაკაიძე. დაბეჭდილია ჟურნალში „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, № 11, 1939 წ.

6. „ფოსფორიტის მოსალოდნელი ეფექტურობის განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდების შემოწმების საკითხისათვის“—დოც. ი. ფ. სარიშვილი. გამოქვეყნებულია საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“, 1940 წ.

7. „კირისა და ფიზიოლოგიურად მჟავე სასუქების გავლენა წითელმიწა ნიადაგის მჟავიანობაზე“—დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი და ასისტ. ა. ნარეშელი. გამოქვეყნებულია საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბეში“, № 2/7, 1939 წ.

8. „მცენარეში აზოტის განსაზღვრის სწრაფი მეთოდი“—ბ. გერასიმოვი. გამოქვეყნებულია საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბეში“, № 11, 1940 წ.

9. „ნაკელის წესიერად შენახვისა და გამოყენების მნიშვნელობა რეკორდული მოსავლიანობის მიღების საქმეში“—გ. ყ. ურუშაძე. გამოქვეყნებულია საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბეში“, № 3, 1939 წ.

10. „მინერალური სასუქების ეფექტურობა საშემოდგომო ხორბლის მიმართ“—ასისტ. ვ. ლეჟავა (ხელნაწერი).

11. „აბუსალათინის კოპტონის ეფექტურობა შაქრის ჭარხლის კულტურის მიმართ“.—ა. ნარეშელი.

12. „ბორისა და მანგანუმის ეფექტურობა ქართლის ზოგიერთი ტიპის ნიადაგზე მინდვრის კულტურების მიმართ“—დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი და თ. ქართველიშვილი. გამოქვეყნებულია ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“, ტომი XV, 1941 წ.

13. „სასუქების როლი მინდვრის კულტურათა მოსავლიანობის გადიდების საქმეში“—დოც. ი. ფ. სარიშვილი. გამოქვეყნებულია ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის თეზისებში, 1940 წ.

14. ტკილის გამოყენების პერსპექტივები ციტრუსოვანი კულტურების მიმართ“—დოც. ი. ფ. სარიშვილი. გამოქვეყნებულია ჟურნალში „საქ. სოციალისტური მეურნეობა“.

15. „წითელმიწა ნიადაგის მოკირიანების და მოსილიკატების საკითხებისათვის“—დოც. ი. ფ. სარიშვილი. გამოქვეყნებულია ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“, ტ. XIII, 1940 წ.

16. „ზოგიერთი საკითხი წითელმიწა ნიადაგის მოკირიანებისათვის“—დოც. ი. ფ. სარიშვილი და ასისტ. ნ. ზალიევა. გამოქვეყნებულია ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“, ტომი XX, 1943 წ.

17. „მანდარინის ხის მსხმოიარობის პერიოდულობასთან ბრძოლის საკითხი“—მ. ს. ჩაჩიბაია. გამოქვეყნებულია ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“, ტ. XXII, 1944 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. „კირის გავლენა წითელმიწა ნიადაგში არსებულ P_2O_5 მობილიზაციაზე“—დოც. ი. ფ. სარიშვილი და ასისტ. ნ. ზალიევა. გამოქვეყნებულია ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“, ტომი XXIII—XXIV, 1945 წ.

19. „ჭიათურის შავი ქვის შლამი და ბორი როგორც სასუქები საქართველოს ზოგიერთი ტიპის ნიადაგებზე“—დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი და თ. ქართველიშვილი—გამოქვეყნებულია ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“, ტ. XXIII—XXIV, 1945 წ.

20. „სასუქების ეფექტურობა მინდვრის კულტურების მიმართ (ჭარხალი, სიმინდი)“—ასისტ. მ. გეგეჭკორი (ხელნაწერი).

21. „ტორფო-ფეკალური სასუქების ეფექტურობა ციტრუსოვანი კულტურების მიმართ“—დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი (ხელნაწერი).

22. „სასუქების როლი სტახანოვურ მოსავლიანობაში“—დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი (ხელნაწერი).

23. „ქობულეთის ტორფის დაკომპოსტების წესები“—გ. ყ. ურუშაძე.

24. „ანიონების გავლენა ორგანული ნივთიერების დაშლის ინტენსივობაზე“—ასისტ. ა. ნარეშელი (ხელნაწერი).

25. „ტკილის სხვადასხვა დოზის ეფექტურობა სიმინდის კულტურის მიმართ—ასპ. გ. აბესაძე (ხელნაწერი).

26. „ბორის ეფექტურობა შაქრის ჭარხლის კულტურის მიმართ“—აგრონომიული ფაკ. სტუდენტი დ. მჟავია. ძირითადი თეზისები დაბეჭდილია სტუდენტთა კონფერენციის მოხსენებათა თეზისებში.

27. „ტკილისა და კირის ეფექტურობა ციტრუსოვანი კულტურების მიმართ“—დოც. ი. ფ. სარიშვილი (თემის დამუშავება გრძელდება).

28. „დეფეკაციური ტალახის ეფექტურობა სიმინდის კულტურის მიმართ აჯამეთის ეწერტიპის ნიადაგზე“—ასისტ. თ. ქართველიშვილი.

29. „ტორფის სასუქების მომზადების ახალი წესი და მისი ეფექტურობა ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მიმართ“—დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი (თემის დამუშავება გრძელდება).

30. „დიფერენცირებული კვების რეგულირების გავლენა მანდარინის ნაყოფმსხმოიარობასა და მეწლეობაზე“—მ. ს. ჩაჩიბაია (მუშაობა გრძელდება).

31. „კირისა და ფოსფოროვანი სასუქების გავლენა ნიადაგში მოძრავ ალუმინზე და მცენარეში მისი შესვლის ინტენსივობაზე“—დოც. ი. ფ. სარიშვილი.

32. „კირის გავლენა ნიადაგის დისპერგირებაზე და სტრუქტურული აგრეგატების სიმკვრივეზე—დოც. ი. ფ. სარიშვილი.

აგროქიმიის კათედრის მიერ დამზადებულია და გამოშვებული სახელმძღვანელოები:

1. აკად. დ. ნ. პრიანიშნიკოვი „აგროქიმიის სახელმძღვანელო". თარგმნილი ქართულ ენაზე დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილის და ასისტ. პ. გიგინეიშვილის მიერ დოც. ი. ფ. სარიშვილის რედაქციით. თბილისი, 1940 წ.

2. დოც. ი. ფ. სარიშვილი, დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი და ბ. გერასიმოვი—„აგროქიმიის პრაქტიკულ ვარჯიშობათა სახელმძღვანელო". დაიბეჭდა 19,0 წელს.

აგროქიმიის კათედრის მიერ ჩატარებულ იქნა კათედრის ღია სხდომა 16-ჯერ, რომლებზედაც კათედრის წევრების მიერ წაკითხული იყო მოხსენებები ქიმიზაციის აქტიურ საკითხებზე. ასე, მაგალითად, დოც. ი. ფ. სარიშვილის მიერ წაკითხული იყო მოხსენება თემაზე„—წითელმიწა ნიადაგის მოკირიანების და მოსილიკატების საკითხისათვის".

დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილის მიერ—„ტორფო-ფეკალური სასუქების მომზადების წესი და მისი ეფექტურობა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართ".

მ. ს. ჩაჩიბაიას მიერ—„დიფერენცირებული კვების რეგულირების გავლენა მანდარინის მოსავალსა და მეწლეობაზე".

დოც. ი. ფ. სარიშვილის მიერ—„კირის გავლენა ნიადაგში არსებულ P_2O_5-ის მობილიზაციაზე" და სხვა.

აგროქიმიის კათედრის მიერ შედგენილ იქნა შემდეგი პოპულარული ხასიათის ბროშურები:

1. დოც. მენაღარიშვილი—„ნაკელის და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის სასუქების შეგროვება და გამოყენება".

2. დოც. ი. ფ. სარიშვილი—„ნიადაგის მოკირიანება".

აგროქიმიის კათედრის მიერ შედგენილ იქნა ინსტრუქციები:

1. ნაკელის და სხვა ადგილობრივი სასუქების შეგროვებისა და გამოყენების საკითხზე.

2. სიმინდის კულტურის მიმართ ტკილის გამოყენების შესახებ.

3. ჭიათურის შავი ქვის შლამის გამოყენების შესახებ შაქრის ჭარხლის კულტურის მიმართ.

გარდა ამისა აგროქიმიის კათედრის მიერ შედგენილ იქნა პლაკატები:

1. ნაკელის შენახვის შესახებ—დოც. ა. ჯ. მენაღარიშვილი.

2. ტორფო-ნაკელის კომპოსტის მომზადების შესახებ—დოც. ი. ფ. სარიშვილი და გ. ყ. ურუშაძე.

აგროქიმიის კათედრის დავალებით შედგენილ იქნა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტკილებისა და სხვა კარბონატული ქანების რუკა და ლიმმანტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობის ნიადაგების მჟავიანობის რუკა ნიადაგის ქიმიური მელიორაციის ჩატარების მიზნით.

აგროქიმიის კათედრა სისტემატურ დახმარებას უწევს საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს, ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტს, ლიმანტრესტს, სამტრესტს და სხვა ორგანიზაციებს შემდეგ საკითხებზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ცალკეულ კულტურათა განოყიერების საკითხებზე.

2. დიფერენცირებული აგროტექნიკის ჩატარების საკითხებზე.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის სასუქების, ფოსფორიტის ფქვილის, ტკილის, ტორფის, ნაკელის და სხვათა გამოყენების საკითხებზე.

4. მინერალური და ორგანული სასუქების შენახვისა და გამოყენების საკითხებზე და სხვა.

1940 წელს აგროქიმიის კათედრამ ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობისათვის მოამზადა რვა აგროქიმიკოსი აგროქიმიურ ლაბორატორიებში სამუშაოდ.

აგროქიმიის კათედრის მიერ კოლმეურნეობებში ჩატარებულია 27 მოხსენება ქიმიზაციის სხვადასხვა საკითხზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეაბრეშუმეობის კათედრა

მეაბრ ეშუმეობის საგნის სწავლება თბილისის სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე დაიწყო 1924—25 სასწ. წლიდან. 1927—28 სასწავლო წელს კი მეაბრეშუმეობის კათედრა ცალკე იქნა გამოყოფილი.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბებულ საქ. სას-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე მეაბრეშუმეობის სწავლება და კათედრის მუშაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1930 წელს კათედრის წევრთა რაოდენობა 13-მდე ავიდა.

1932 წლიდან 1936 წლამდე კათედრას განაგებდა დოც. ი. მ. დოლიძე, ხოლო 1936—37 სასწავლო წ. პროფ. ლ. პ. კალანდაძე. 1937 წელს მეაბრეშუმეობის კათედრა (მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით) შეუერთდა ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრას (კათედრის გამგე პროფ. ლ. პ. კალანდაძე).

1938 წელს მეცხოველეობის კათედრის ჩამოყალიბებისას მეაბრეშუმეობა გამოეყო ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრას და შეუერთდა მეცხოველეობის კათედრას (კათედრის გამგე დოც. ს. ერქომაიშვილი).

მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის ხელმეორედ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 1940 წლის 1 სექტემბრიდან მეაბრეშუმეობის კათედრა გამოყოფილ იქნა ცალკე ერთეულად და კათედრის გამგედ დაინიშნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოც. გრ. გ. მოქია. კათედრის ჩამოყალიბების დღიდან კათედრის შტატი სისტემატურად იზრდებოდა და 1945 წლისათვის მასში ირიცხებოდა:

1. დოც. მოქია გრიგოლ გიორგის-ძე, კათედრის გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.
2. დოც. დოლიძე იოსებ მალაქიას-ძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
3. დოც. ჯაფარიძე გრიგოლ კონსტანტინეს-ძე, სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი.
4. დოც. ხუციშვილი მარიამ გაბრიელის-ასული, სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი.
5. უფროსი მასწავ. ყანჩაველი ქეთევან ალექსის-ასული
6. უფროსი მასწავ. ღვინეფაძე შალვა კონსტანტინეს-ძე
7. ასისტენტი ჭყონია ნინო ლომინის-ასული
8. „ ტყეშელაშვილი თინათინ ირეოდიონის-ასული
9. „ ხუციშვილი ლია პავლეს-ასული
10. „ კალანდაძე ალექსანდრა ონოფრეს-ასული
11. „ ორთოიძე მარიამ ნიკოლოზის-ასული
12. უფრ. ლაბორანტი კალანდაძე მარიამ პოლიექტის-ასული
13. ლაბორანტი ბოჭორიშვილი სოფიო ილიას-ასული.

აქ ჩამოთვლილთა გარდა აბრეშუმის ჭიის ფიზიოლოგია-ანატომიის კურსს კითხულობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დოქტორი, პროფესორი ლეონიდე პოლიექტის-ძე კალანდაძე; აბრეშუმის ჭიის სელექციის კურსს კითხულობდა დოც. გიორგი მიხეილის-ძე პაპალაშვილი.

1940 წლიდან 1945—1946 სასწავლო წლამდე კათედრაზე გაერთიანებული იყო ცხრა სპეციალური დისციპლინა:

1. ზოგადი და სპეციალური მეაბრეშუმეობა
2. მეთუთეობა, თუთის ხის სელექციით
3. გრენაჟი (აბრეშუმის თესლის დამზადება)
4. აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავება და აბრეშუმის ტექნოლოგია
5. აბრეშუმის ჭიის ფიზიოლოგია-ანატომია
6. აბრეშუმის ჭიის დაავადება
7. აბრეშუმის ჭიის სელექცია
8. მეფუტკრეობა
9. სპეც. მანქანა-იარაღები.

სასწავლო და სამეცნიერო პროცესების გაზრდილ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი მეაბრეშუმეობის კათედრის ორად გაყოფის შესახებ. 1945 წლიდან მეაბრეშუმეობის კათედრიდან გამოიყო აბრეშუმის ტექნოლოგიის კათედრა. გაყოფის შემდეგ მეაბრეშუმეობის კათედრაზე დარჩა შემდეგი დისციპლინები:

1. ზოგადი და სპეციალური მეაბრეშუმეობა
2. მეთუთეობა, თუთის ხის სელექციით
3. აბრეშუმის ჭიის ფიზიოლოგია-ანატომია
4. მეფუტკრეობა.

კათედრის ორად გაყოფის შემდეგ შტატში დარჩა:

1. კათედრის გამგე დოც. გრიგოლ გიორგის-ძე მოქია, ბიოლოგიურ მეცნ. კან.

2. დოც. გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძე, სოფლის მეურნეობის მეცნ. კან.

3. უფ. მასწ. ქეთევან ალექსის-ასული ყანჩაველი
4. ასისტ. ნინო ლომინის-ასული ჭყონია
5. „ ლეონიდე ალექსის-ძე კვარაცხელია, სოფ. მეურ. მეცნ. კან.
6. „ თინათინ იროდიონის-ასული ტყეშელაშვილი
7. „ ვასილ სამსონის-ძე ფრანგულაშვილი
8. უფრ. ლაბორ. ქეთევან ონისიმეს-ასული შავლაყაძე
9. ლაბორ. სოფიო ილიას-ასული ბოჭორიშვილი.

ამჟამად მეაბრეშუმეობის კათედრას გააჩნია ძვირფასი ხელსაწყოები, რომლებიც წარჩინებით უზრუნველყოფს სამეცნიერო-საკვლევი შუშაობის წარმოებას და სპეციალურ საგნებში ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას.

კათედრასთან მოწყობილია სასწავლო საფუტკრე, რომელიც მთელ აგრონომიულ ფაკულტეტებს უწევს მომსახურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიდან კათედრის ჩამოყალიბებისა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა კათედრის ორმა წევრმა (გრ. მოქიამ და გრ. ჯაფარიძემ). ხარისხის მოსაპოვებლად ემზადება კიდევ ორი წევრი (ქ. ყანჩაველი და თ. ტყეშელაშვილი). კათედრას ყავს 1 მეორე კურსის ასპირანტი, ელენე ფილიპეს-ასული გოგელია.

კათედრაზე დამუშავებულია შემდეგი სამეცნიერო თემები:

1. ფიზიოლოგიური და ეკოლოგიური ფაქტორების გავლენა თუთის აბრეშუმმქსოვის კვერცხის დებაზე—დოც. გრ. მოქია.

2. პეპლებში ჰორმონების არსებობის გამორკვევა—დოც. გრ. მოქია.

3. აბრეშუმის ჭიის გამსხვილებული გამოკვების ტექნიკის შესწავლა საქართველოს კოლმეურნეობებში—დოც. გრ. მოქია.

4. ძაფსაღები დაზგის ჯარის ფერადი ლითონის საკისურის (M—26) შეცვლა თუჯით—დოც. ი. დოლიძე.

5. აბრეშუმის ჭიის ჯირკვლებიდან სპეციალური დანიშნულების ძაფის მიღება—დოც. ი. დოლიძე, ასისტ. ნ. ჭყონია.

6. საქართველოში გავრცელებული აბრეშუმის ჰიბრიდიდან მიღებულ პარკში სერიცინის რაოდენობის გამორკვევა—დოც. ი. დოლიძე.

7. ჰაერის ტემპერატურის რყევადობის გამორკვევა პარკის სახმობ „სიმპლექსის“ ტიპის აპარატში—დოც. ი. დოლიძე.

8. აბრეშუმის ჭიის სველი ფოთლით კვების საკითხების შესწავლა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში—ასისტ. თ. ტყეშელაშვილი.

ჩამოთვლილი სამუშაოების გარდა, კათედრის თანამშრომლებს გამოქვეყნებული აქვთ შემდეგი შრომები:

1. ფიზიოლოგიური და ეკოლოგიური ფაქტორების გავლენა თუთის აბრეშუმმქსოვის პეპლის ნაყოფიერებაზე—დოც. გრ. მოქია, საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები“, ტომი XV, 1941 წ.

2. К вопросу о существовании гормонов у насекомых—დოც. გრ. მოქია, Доклады Академии Наук СССР, том XXX, №4, 1941 г.

3. ძირითადი მითითებანი შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების შესახებ საქართველოს კოლმეურნეობებში—დოც. გრ. მოქია.

4. აბრეშუმის ჭიის კვების ორგანიზაცია მოწინავე კოლმეურნეობებში—დოც. გრ. მოქია.

5. ჰაერის ტემპერატურის რყევადობის შესახებ პარკის სახმობ „სიმპლექსის“ ტიპის აპარატში—დოც. ი. დოლიძე, საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები“, ტ. XXV, 1946 წ.

6. აბრეშუმის პარკის დამზადებისა და პირველადი გადამუშავების ტექნიკა—დოც. ი. დოლიძე, საქ. სას.-სამ. ინსტ-ის გამომცემლობა, 1942 წ.

7. სერიცინის საკითხის შესახებ აბრეშუმის ჭიის ჰიბრიდების პარკში—დოც. ი. დოლიძე. მოხსენებათა თეზისები, 1946 წ., საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი.

8. პარკის პასპორტიზაცია და მისი მნიშვნელობა—დოც. ი. დოლიძე, საქ. სას.-სამ. ინსტ. გამომც., 1942 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამზადებულია გამოსაცემად დოც. გრ. ჯაფარიძის მიერ შედგენილი „პრაქტიკული მეთუთეობის კურსი“, დოც. ქ. ყანჩაველის „მეფუტკრეობის კურსი“. მზადდება გამოსაცემად დოც. გრ. მოქიას „მეაბრეშუმეობის კურსი“.

კათედრის თანამშრომლებს შესრულებული აქვთ სხვა სამეცნიერო-საცდელ დაწესებულებებში 30 სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაო.

1940 წლიდან სისტემატურად ეწყობოდა კათედრის ღია სხდომები. სხდომებზე მოსმენილი იყო სამეცნიერო ხასიათის მოხსენებები მეაბრეშუმეობის დარგის აქტუალურ საკითხებზე.

კათედრის წევრები სისტემატურ დახმარებას უწევდნენ სამეურნეო ორგანიზაციებს, ტექნიკური კულტურების სამინისტროს, საქ. აბრეშუმის ტრესტს, რაი-აბრეშუმებს, პარკის პირველადი გადამუშავების პუნქტებს, გრენ-ქარხნებს და ძაფსაღებ ფაბრიკებს როგორც ადგილზე პრაქტიკული დახმარებით, ისე ინსტრუქციების შედგენით, წერილობითი კონსულტაციით, მითითებებით და სხვა.

კათედრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ პრესაში და რადიო გადაცემებში. გადაცემულია 6 რადიო-ლექცია და მოთავსებულია 13 სტატია ცენტრალურსა და რაიონულ გაზეთებში.

აბრეშუმის ტექნოლოგიის კათედრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრეშუმის ტექნოლოგიის კათედრა გამოეყო მეაბრეშუმეობის კათედრას და ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა 1945—46 სასწავლო წლის დასაწყისში. მის გამგედ დაინიშნა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი იოსებ მალაქიას-ძე დოლიძე.

კათედრის წევრები, კათედრის ცალკე გამოყოფამდე, თანამშრომლობდნენ მეაბრეშუმეობის კათედრაზე, სადაც, გარდა პედაგოგიური მუშაობისა, ასრულებდნენ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოებსაც. ამიტომ მათი მოღვაწეობა აბრეშუმის ტექნოლოგიის კათედრის გამოყოფამდე მეაბრეშუმეობის კათედრის ისტორიაშია აღწერილი.

აბრეშუმის ტექნოლოგიის კათედრაში შედის შემდეგი სპეციალური დისციპლინები:

1. აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავების ტექნიკა და აბრეშუმის ტექნოლოგია. საგნის ხელმძღვანელია ტექნ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. ი. მ. დოლიძე, ასისტენტი—მარიამ ნიკოლოზის-ასული ორთოიძე.

2. გრენაჟი (აბრეშუმის ჭიის თესლის დამზადება). საგნის ხელმძღვანელი—უფრ. მასწავლებელი შალვა კონსტანტინეს-ძე ღვინეფაძე, ასისტენტი—ლია პავლეს-ასული ხუციშვილი.

3. აბრეშუმის ჭიის დაავადება. საგნის ხელმძღვანელი -- სოფლის მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატი დოც. მარიამ გაბრიელის-ასული ხუციშვილი, ასისტენტი--ალექსანდრა ონოფრეს-ასული კალანდაძე.

4. აბრეშუმის ჭიის გენეტიკა-სელექცია. საგნის ხელმძღვანელი—ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. გრიგოლ მიტროფანეს-ძე ფხაკაძე.

5. სპეც. მანქანა-იარაღები. საგნის ხელმძღვანელი—ტექნ. მეცნ. კანდ. დოც. ი. მ. დოლიძე, ასისტ.—მ. ნ. ორთოიძე.

კათედრის შტატში არის ორი ლაბორანტი:

1. უფროსი ლაბორანტი მარიამ პოლიექტის-ასული კალანდაძე.

2. ლაბორანტი ნინო ნესტორის-ასული კლიმიაშვილი.

აბრეშუმის ტექნოლოგიის კათედრასთან მოწყობილია სპეციალური დისციპლინების კაბინეტი და ექსპერიმენტულ-ტექნოლოგიური ლაბორატორია, სადაც, გარდა პედაგოგიური მუშაობისა, მიმდინარეობს სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა.

კათედრის კაბინეტი და ექსპერიმენტული ლაბორატორია კარგად არის მოწყობილი მრავალი ძვირფასი ხელსაწყო-იარაღით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია აბრეშუმის ძალსაზომი აპარატი, ექპერიმენტული ძაფსაღები დაზგა, აბრეშუმის გრეხსაზომი აპარატი, მიკროსკოპები და სხვა.

კათედრის თანამშრომლები, გარდა პედაგოგიური მუშაობისა, ჩაბმული არიან სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში. 1945—46 სამოსწავლო წელს, წარმოებასთან შეთანხმებით, კათედრა ამუშავებს მეაბრეშუმეობისათვის აქტუალურ თემებს, როგორიცაა:

1. საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა სახის ცახის გავლენის დადგენა აბრეშუმის პარკის ხარისხზე.

2. აბრეშუმის ჭიის განმეორებითი გამოკვების პრობლემის ცალკეული საკითხების შესწავლა.

3. ჰიბრიდული თესლის დამზადებისას ინკუბაციის რაციონალური ჯერადობის შემოღებით სწორი ტექნოლოგიური პროცესის დადგენა საგრენაჟო წარმოებისათვის.

1945—46 სასწავლო წელს კათედრაზე დამუშავდა და გადაეცა დასაბეჭდად შემდეგი ორი შრომა:

1. დოც. ი. მ. დოლიძე—მექანიკური პარკსახმობი აპარატი Simplex-ი და მისი ექსპლოატაცია.

2. დოც. მ. გ. ხუციშვილი—აბრეშუმის ჭიის დაავადებათა სახეობა და მასთან ბრძოლა.

ზემოხსენებული სამუშაოების გარდა კათედრის თანამშრომლებს, კათედრის გარეთ, შესრულებული აქვთ 35-მდე კვლევითი სამუშაო მეაბრეშუმეობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

კათედრის თანამშრომლებმა (დოც. ი. დოლიძემ, უფრ. მასწავლებელმა შ. ღვინეფაძემ, ასისტენტმა ლია ხუციშვილიმა, ასისტ. მ. ორთოიძემ და სხვ.) აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქაბრეშუმტრესტის სისტემის 300 მუშაკის (პარკის დამამზადებელი პუნქტების გამგეების, უფროსი სიმპლექსისტების, აგრონომების, ინსტრუქტორებისა და ინკუბისტების) კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

მიმდინარე წელს ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე კათედრის გამგემ დოც. ი. მ. დოლიძემ წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საქართველოში გავრცელებული აბრეშუმის ჰიბრიდებიდან მიღებულ პარკში სერიცინის რაოდენობის გამორკვევა“.

კათედრა ამზადებს გრენაჟში ასპირანტ ინა გიორგის ასულ თუხარელს, რომელიც ამჟამად პირველ კურსზეა და მეც. დამს. მოღვაწის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ლ. პ. კალანდაძის ხელმძღვანელობით ამუშავებს სადისერტაციო თემას.—„ტენიანობის მოქმედება ჭუპრზე და პეპლის ნაყოფიერებაზე“.

პედაგოგიური და საკვლევი მუშაობის უკეთ წარსამართავად კათედრა აწყობს ძაფსაღებ ლაბორატორიას, რისთვისაც უკვე გამოყოფილია სათანადო შენობა და შეძენილია „ბატალიის“ სისტემის ორ აუზიანი ძაფსაღები დაზგა ავტოკლავიანი პარკსახარშავი ქვაბით.

სტუდენტთა ცოდნის ასამაღლებლად კათედრასთან მოწყობილია საგნის მოყვარულთა წრე, რომელსაც დახმარებას უწევენ კათედრის წევრები.

კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს წარმოებებთან, მაგ., საგრენაჟო ქარხნებთან, პარკის დამამზადებელ პუნქტებთან, ძაფსაღებ ფაბრიკებთან, საქ. აბრეშუმის სამმართველოსთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან, რომელთაც აძლევს კონსულტაციებს და ახსნა-განმარტებებს ადგილზე ჩასვლით წარმოების პროცესში წამოჭრილ საკითხებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონტინენტური მეხილეობის კათედრა

კონტინენტური მეხილეობის კათედრა დაარსებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან 1922 წელს მებაღეობისა და მებოსტნეობის კათედრის სახელწოდებით. კათედრის გამგედ დაინიშნა ა. ქ. როლოვი, რომელიც რუსულ ენაზე კითხულობდა ზოგადი და კერძო სუბტროპიკული მეხილეობისა და მებოსტნეობის კულტურათა კურსს. ასისტ. მოვალეობას ასრულებდა თბილისის ბოტანიკური ბაღის მებაღე კ. ჟამკოცევი. 1924 წ. პროფ. როლოვი, თანახმად თავისი განცხადებისა, განთავისუფლდა კათედრის გამგეობისა და საგნის ხელმძღვანელობისაგან. კათედრის გამგედ დაინიშნა ლექტ. ს. ჩოლოყაშვილი. მებაღეობის ზოგადი და კერძო კურსის, მებოსტნეობისა და დეკორაციული მებაღეობის კურსის ხელმძღვანელობა დროებით დაეკისრა პროფ. ვ. პასკევიჩს, ხოლო სუბტროპიკული მეხილეობის კურსის ხელმძღვანელობა აგრ. ე. ნაკაშიძეს. პრაქტიკულ მეცადინეობას ამ დროს ატარებდა აგრ. პ. მელია.

1925 წ. მებაღეობა-მებოსტნეობის კათედრასთან დატოვებულ იქნა ახლად კურსს დამთავრებული ნ. მ. ხომიზურაშვილი, რომელიც ცოდნის გასაღრმავებლად გაიგზავნა გერმანიაში. ამავე წელს კათედრის გამგედ, ს. მ. ჩოლოყაშვილის სამეცნიერო მივლინებაში წასვლის გამო, დაინიშნა კ. ბ. მოდებაძე, ლექტორად კი მებაღეობაში მოწვეულ იქნა კ. კნიპელი. 1928 წ. საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ნ. მ. ხომიზურაშვილი, რომელიც დაინიშნა უფროს ასისტენტად. ამავე წელს მან ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა სანიმუშო ლექცია თემაზე: „საძირე-სანამყენოს ურთიერთ გავლენის შესახებ," რის შედეგად ფარული კენჭის ყრით მას მიენიჭა ლექტორის სახელწოდება და დაევალა მებაღეობის ზოგადი და კერძო კურსის ხელმძღვანელობა ქართულ სექტორზე. ამ დროისათვის კათედრას განაგებს კვლავ პროფ. როლოვი, რომელიც ხელმძღვანელობს ზოგადი და კერძო მეხილეობის, მებოსტნეობისა და სუბტროპიკული კულტურების კურსს რუსულ სექტორზე. ასისტენტად მასთან მუშაობდა ბ. შაბლოვსკი.

1929 წ. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელად ქართულსა და რუსულ სექტორზე დაინიშნა ასისტენტი ვ. ი. ჩხუბიანიშვილი. 1930 წ. რუსული სექტორის გაუქმების გამო პროფ. როლოვი განთავისუფლებულ იქნა და კათედრის გამგედ დაინიშნა ნ. მ. ხომიზურაშვილი. ამ დროისათვის კათედრა აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: ზოგად მებაღეობას, კერძო მებაღეობას, სუბტროპიკულ მეხილეობას, მებოსტნეობას, მეთუთეობასა და მრავალწლიან კულტურათა სელექციას საცდელი საქმის მედოდიკით. ნ. მ. ხომიზურაშვილი

ატარებდა ზოგადი და კერძო მებაღეობის, მეთუთეობისა და სუბტროპიკული მებაღეობის კურსს. მებოსტნეობის კურსს ხელმძღვანელობდა ს. მ. ჩოლოყაშვილი, აკადემიური და ლაბორატორიული პრაქტიკის ხელმძღვანელად ითვლებოდა ვ. ი. ჩხუბიანიშვილი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა კი ეკისრებოდა ა. ბუჩუკურს. 1932 წ. ლექტორად მოწვეულ იქნა ელ. ერისთავი, რომელსაც დაეკისრა პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება. 1934 წლიდან ე. ერისთავი დოცენტის მოვალეობას ასრულებს.

1933 წ. მთავრობის დადგენილებით მებაღეობის კათედრასთან მომაგრებულ იქნა საქ. მეხილეობის ზონალური სადგურის საქონელთმცოდნეობის სექცია—ხილის სასაქონლო და ბიოქიმიური თვისებების ცვლილებათა საკითხების დასამუშავებლად. სექციის ხელმძღვანელად დამტკიცებულ იქნა ნ. მ. ხომიზურაშვილი, ხოლო უფროსს სპეციალისტად ზ. ნ. კეცხოველი; მოწვეულ იქნენ აგრეთვე მეც. მუშაკები: ნ. ანდრონიკაშვილი, ნ. ნაჭყეპია, ბ. ერისთავი და გ. მაჭავარიანი. 1931 წელს მებოსტნეობის კურსის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა გ. კ. ჯაფარიძე (იხ. მებოსტნეობის კათედრა).

1935 წ. კათედრას გამოეყო და ცალკე დაარსდა სუბტროპიკული მეხილეობის კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა შეთავსებით ნ. მ. ხომიზურაშვილი. ამავე წელს კათედრას შეუერთდა მეტყეობის კურსი, რომლის ხელძღვანელობა დაეკისრათ ნ. მარგველაშვილს და ი. აბაშიძეს. მეთუთეობის კურსის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა შ. დოლონაძე.

1938 წელს მას გამოეყო მებოსტნეობა და ცალკე კათედრად დაარსდა. მეხილეობის კათედრა ამჟამად წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნ. მ. ხომიზურაშვილი—მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კათედრის გამგე.
2. პ. მ. კაჭარავა—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
3. ე. შ. ერსითავი—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
4. დ. ღამბაშიძე—ასისტენტი.
5. ც. ტატინაშვილი—სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი.
6. ნ. წივწივაძე—უფ. ლაბორანტი.
7. ვ. ჭიპაშვილი—ასპირანტი.

კათედრამ გამოზარდა შემდეგი ახალგაზრდა მეც. მუშაკები: პ. კაჭარავა, გ. კვაჭაძე, მ. დოლონაძე, ს. ჯანჯალია, ა. ბუჩუკური, ვ. ჩხუბიანიშვილი, ნ. ხაჩიძე, ც. ტატინაშვილი, გ. ესიტაშვილი, ვ. ჭიპაშვილი და დ. ღამბაშიძე. მათგან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა პ. კაჭარავამ (თემა „ხეხილის საყვავილე კვირტების ჩასახვის პირობები“), ც. ტატინაშვილმა („დანორმვა როგორც მეწლეობის საწინააღმდეგო საშუალება“). გ. ესიტაშვილმა („ალექსანდრეული მუსკატის ყვავილცვენის მიზეზის დადგენა), ელ. ერისთავმა („ატმის კულტურა ქართლში“). კათედრის გამგემ. პროფ. ნ. ხომიზურაშვილმა მოიპოვა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი („ლეღვის კულტურა კახეთში“.)

კათედრის წევრთა მიერ დამუშავებულია შემდეგი მეცნიერული თემები:

1. „სტერილობის მიზეზები და შედეგები ხეხილის ჯიშთა შორის—ნ. ხომიზურაშვილი, გერმანული ჟურნალი Angeevandte Botanik-ის მე-9 საიუბილეო ტომი, 1927 წ.

2. „Rubusis-ის გვარის წარმომადგენელთა შორის პოლიპლოიდური ჯიშები და ქრომოზომული მონაცემები“—ნ. ხომიზურაშვილი, გერმანული ჟურნალი Angeevandte Botanik-ის მე-9 საიუბილეო ტომი, 1927 წ.

3. „ახალციხე-ადიგენის პომოლოგიური გამოკვლევა“—ნ. მ. ხომიზურაშვილი და ე. ერისთავი), საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე“, № 2, 1933 წ.

4. „ხეხილის ჯიშების განაყოფიერების საკითხი“—ნ. მ. ხომიზურაშვილი და ე. ერისთავი, საქ. სას-სამ. ინსტ. „მოამბე“ № 1, 1933 წ.

5. „ხომანდულის გამრავლების ბიოლოგიური თავისებურება“—ე. ერისთავი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე“ № 3—4, 8—9, 1939 წ.

6. „მანდარინის ჯიშების უნშუ-მიკანის ვეგეტატიური მუტანტი“—ნ. ხომიზურაშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე“, № 4, 1940 წ.

7. „ლეღვის კულტურა კახეთში და მისი განვითარების პერსპექტივები“—ნ. ხომიზურაშვილი საქ, სასოფ.-სამ. ინსტ. „შრომები““, ტომი 23—24, 1945 წ.

8. „საყვავილე კვირტების ჩასახვის კრიტიკული მიმოხილვა“—ნ. ხომიზურაშვილი, საქ. სასოფ.-სამ. ინსტის. „მოამბე“ № 3, 1932 წ.

9. „ხეხილის სანაყოფე კვირტების ჩასახვა და განვითარება“—პ. კაჭარავა, საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბე“, № 2, 1939 წ.

10. „ატმის კულტურა ქართლში“—ე. ერისთავი, სადისერტაციო შრომა.

11. „დანორმვა, როგორც მეწლეობის საწინააღმდეგო საშუალება“—ც. ტატინაშვილი, სადისერტაციო შრომა.

12. „რწყვის სიღრმის და პერიოდების გავლენა ხეხილის მოსავლიანობაზე—პ. კაჭარავა, დ. ღამბაშიძე და ი. ჩხენკელი.

13. „ქლიავის კულტურა ქართლში“ (მზადდება დ. ღამბაშიძის მიერ სადისერტაციოდ).

14. „კაკლის კულტურა ქართლში“ (მზადდება ვ. ჭიპაშვილის მიერ სადისერტაციოდ).

15. „ხილის მოსავლის აღრიცხვა“—პ. კაჭარავა და დ. ღამბაშიძე.

16. „ხეხილის ჯიშთა პირველადი გამოცდა“—თ. ცერცვაძე.

17. „ჰიბრიდების შერჩევა“—თ. ცერცვაძე.

18. „ლეღვის კულტურის განვითარების პერსპექტივები კახეთში“—ნ. ხომიზურაშვილი, საქ. სას-სამ. ინსტ. „შრომები“, 1945 წ.

კათედრის მიერ შედგენილია და გამოქვეყნებული შემდეგი სახელმძღანელოები:

1. ნ. ხომიზურაშვილი—მეხილეობის კურსი უმაღლესი სასწავლებლებისათვის, სახელგამი.

2. მეხილეობის საფუძვლები—ნ. ხომიზურაშვილის რედაქციით და დამატებით, ორი ტომი, სახელგამი.

3. ნ. ხომიზურაშვილი და ე. ერისთავი—საქართველოს ხილის სორტიმენტი. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის გამოცემა (ლითოგრაფიულად).

4. ნ. ხომიზურაშვილი და ე. ერისთავი—საქართველოს ხილის ატლასი ორ ტომად; „ტექნიკა და შრომის“ გამოცემა.

5. პ. კაჭარავა—ხეხილის მოსავლის აღება და პირველადი გადამუშავება.

კათედრის ღია სხდომებზე გაკეთებულია 16 მოხსენება.

გარდა ზემოხსენებულისა კათედრის მიერ დამუშავებულია აგროლონისძიებანი მეხილეობაში; შედგენილია გეგმები ბრეთის, ვარიანისა და ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების გასაშენებლად; ჩატარებულია და ამჟამადაც ტარდება კონსულტაციები მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების განვითარებისა და მოვლის საკითხებზე; დამუშავებულია ღონისძიებანი საქართველოს კონსერვტრესტის მეურ. ქუთაისის და წყალტუბოს ხეხილის ნარგაობის აღსარიცხავად და უშუალო ხელმძღვანელობაა გაწეული თვით ხეხილის აღრიცხვის ჩატარებაში; აღრიცხვის შედეგად მიღებულ და დამუშავებულ მასალას გაუკეთდა საბოლოო რედაქცია. უშუალო მონაწილეობაა მიღებული ხეხილის ნარგაობათა გასაშენებლად ფართობების გამოყოფაში არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ ამიერ-კავკასიის მასშტაბითაც. კონსულტაცია და ადგილზე ხელმძღვანელობა გაწეულია არა მარტო საქართველოში, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანშიც სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხაზით (ა/კ-ის სოფლკავშირი, ა/კ-ის კონსერვტრესტი, სამტრესტი, საქხილბოსტანი, მიწათმოქმედების სამინისტროს მეხილეობის სამმართველო და სხვა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მებოსტნეოგბის კათედა

სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიულ განყოფილებაზე 1920—1922 წლებში მებოსტნეობა შედიოდა მებაღეობის ციკლში, რომელიც აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: მეხილეობას, მებოსტნეობას, სუბტროპიკულ კულტურებს და დეკორაციულ მებაღეობას. ამ საგანს კითხულობდა პროფესორი ა. როლოვი.

1922 წელს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან აგრონომიული ფაკულტეტის გამოყოფის შემდეგ არსდება მეხილეობა-მებოსტნეობის კათედრა, რომლის გამგედ ინიშნება პროფ. ა. როლოვი. 1922 წლიდან 1924 წლამდე პროფ. ა. როლოვი მებოსტნეობას კითხულობს, როგორც დამოუკიდებელ კურსს პრაქტიკულ ვარჯიშობათა ჩატარება მებოსტნეობაში დავალებული ჰქონდა ბოტანიკური ბაღის მებაღეს ჟამკოცევს.

1924 წლის ოქტომბერში პროფ. ა. როლოვი, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულ იქნა კათედრის გამგეობიდან და საგნის კითხვიდანაც. აგრონომიული ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით მეხილეობა-მებოსტნეობის კათედრის გამგედ ინიშნება ლექტორი ს. მ. ჩოლოყაშვილი; მასვე ეკისრება მებოსტნეობის კურსის კითხვა.

1927—1928 სასწავლო წელს ყოფ. თბილისის ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის შემოერთებასთან დაკავშირებით, მებაღეობისა და მებოსტნეობის კათედრის გამგედ კვლავ პროფ. ა. როლოვი იქნა მოწვეული. პროფ. ა. როლოვი, კათედრის გამგეობასთან ერთად, კუთხულობდა მებოსტნეობის კურსს რუსულ სექტორზე, ხოლო ქართულ სექტორზე—ს. მ. ჩოლოყაშვილი.

1930 წელს სას.-სამ. ინსტიტუტიდან სუბტროპიკული და სატყეო ინსტიტუტების გამოყოფის გამო პროფ. ა. როლოვი განთავისუფლებულ იქნა ინსტიტუტში მუშაობიდან და კათედრის გამგედ ინიშნება ნ. მ. ხომიზურაშვილი. 1930 წ. ოქტომბრიდან, პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილის წარდგენით, მებოსტნეობის საგანში ინიშნება ასისტენტად მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სას.-სამ. აკადემიაში მეცნიერულ მივლინებაში მყოფი მეც. მუშაკი გ. კ. ჯაფარიძე. 1931 წლის გაზაფხულის სემესტრში გ. კ. ჯაფარიძე ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას, ხოლო 1931 წლის შემოდგომიდან ინიშნება დოც. მოვალეობის აღმსრულებლად და მას ევალება მებოსტნეობის კურსის ხელმძღვანელობა. 1931 წელს მებოსტნეობის საგანში ასპირანტად დატოვებულ იქნა *გ. კვაჭაძე. 1931 წელს მებოსტნეობის საგნიდან გამოეყო მეთესლეობის კურსი,* რომლის წაკითხვა დაევალა ლექტორ გ. პ. ცაგარელს.

1936 წელს I/X ასისტენტის თანამდებობაზე მებოსტნეობაში ინიშნება ასპირანტურის კურსს დამთავრებული გ. ა. კვაჭაძე.

1938 წ. სექტემბრიდან ინსტიტუტში არსდება მებოსტნეობის კათედრა, რომელშიაც შედის მებოსტნეობის მეთესლეობაც. კათედრის გამგის მ. აღ. ინიშნება სოფლის მეორნეობის მეცნ. კანდიდატი, დოცენტი გ. კ. ჯაფარიძე, კათედრის დოცენტად სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი გ. ა. კვაჭაძე, ასისტენტად ლ. ლ. რუსანოვა, უფროსს ლაბორანტად ნ. ჯიბუტი. ბოსტნეულის მეთესლეობის კურსის კითხვა, მებოსტნეობის კურსთან ერთად, ევალება დოც. გ. კ. ჯაფარიძეს. 1939/40 სასწავლო წელს მებოსტნეობის კათედრას გამოეყო მეთესლეობის კურსი და გადაეცა სელექცია-გენეტიკის კათედრას.

მებოსტნეობაში მომზადდა ერთი ასპირანტი—გ. კვაჭაძე, რომელმაც დაამუშავა სადისერტაციო თემა: „ბოსტნეულ კულტურათა ნათესების დამულჩვის ახალი წესი“ სოფ. მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაცია დაიცვა 1937 წლის 18 მაისს.

1938/39 სასწავლო წლიდან კათედრას ყავდა მომაგრებული ასპირანტად მებოსტნეობა-მეთესლეობის განხრით ნ. მომცემლიძე, რომელსაც მიცემული ჰქონდა სადისერტაციო თემად: „დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გოგრების შესწავლა“. ექსპერიმენტალური ნაწილი ამ თემისა ნ. მომცემლიძემ დაამუშავა, ხოლო ლიტერატურული გაფორმება არ დასცალდა სიკვდილის გამო.

1945/46 სასწავლო წელს კათედრაზე მოწვეული იყო დოც. მოვ. აღმ. რ. ს. სანებლიძე.

1946 წლიდან კათედრაზე მუშაობენ შემდეგი პირები: დოც. გ. კ. ჯაფარიძე, კათედრის გამგე, სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი; დოც. გ. კვაჭაძე, სოფ. მეურნ. მეც. კანდიდატი, ასისტენტები, ნ. ჯიბუტი, ს. ტიტვინიძე (ნახევარ შტატში), ბ. მუმლაძე (ნახევარ შტატში), უფროსი ლაბორანტები—გ. პეტრიაშვილი და მ. კაკაბაძე.

მებოსტნეობაში ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების მეცნიერული და პოპულარული ლიტერატურის შესაქმნელად კათედრამ დიდი მუშაობა ჩაატარა. დოც. გ. კ. ჯაფარიძის რედაქტორობით და კომენტარიებით 1934 წ. გადაითარგმნა ინგლისურიდან პროფ. ტომსონის მებოსტნეობის საუნივერსიტეტო კურსი. ეს სახელმძღვანელო გამოცემულ იქნა სახელგამის მიერ 1936 წ.

დოც. გ. ჯაფარიძის მიერ შედგენილია და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ორიგინალური კურსი—„ზოგადი მებოსტნეობა“. სახელგამი, 1937 წელი; „მებოსტნეობის პრაქტიკული სახელმძღვანელო“, ლ. პ. ბერიას სახ. სას.-სამ. ინსტიტუტის გამომცემლობა, 1946 წ.; „კომბოსტონაირი მცენარეები“, საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების გამოცემა, 1936 წელი; საქ. მიწსახკომის დავალებით—„მებოსტნეობის აგრომითითება“, სახელგამი, 1938 წელი; საქ. მიწსახკომის დავალებით ქართულ-რუსულად—„მებოსტნეობის აგროწესები“, სახელგამი, 1941 წ.; „ინდივიდუალური ბოსტანი,“ სახელგამი, 1943 წ.; „მუშა მოსამსახურის ბოსტანი“, სახელგამი, 1946 წ. ამის გარდა დოც. გ. ჯაფარიძე წერილებს ათავსებდა გაზეთებში და აწვდიდა წერილობით ლექციებს რადიოკომიტეტს.

კათედრის სამეცნიერო მუშაობა. მებოსტნეობაში დამუშავებულია შემდეგი თემები: დოც. გ. ჯაფარიძის მიერ: 1. პომიდორის კულტურა ხელოვნურ სინათლეზე, 1930—31 წელი; 2. უმთავრეს ბოსტნეულ კულტურათა დარაიონება საქართველოში, 1936 წ. (თანაავტორი ი. მარჯანიშვილი); 3. საქართველოს მებოსტნეობის ზონების და რაიონების რუკა, 1936 წ. (თანაავტორი ი. მარჯანიშვილი); 4. საქართველოს მებოსტნეობა, 1937 წ; 5. მუხრანული კიტრის კვების არე კვალსათბურებში, 1938 წ. (თანაავტორი ნ. ჯიბუტი); 6. საკვალსათბურო მუხრანული კიტრი, 1939 წ. (თანაავტორი ნ. ჯიბუტი); 7. საქართველოში მებოსტნეობის ზონები, 1941 წ.; 8. პომიდორის კულტურის მეთოდები, 1941—43 წ.; 9. მებოსტნეობის მანქანა-იარაღები სახედრის წევაზე, 1941—1944 წ.; 10. საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი ბოსტნეული კულტურების ჯიშების აღწერა, 1938—1946 წ.; 11. საქართველოს მებოსტნეობის განვითარების ისტორიული გზა, 1946 წ.

თარგმნილია რუსულიდან დოც. გ. კვაჭაძის მიერ—ბაღჩა-ბოსტნეული კულტურების აპრობაცია და ბოსტნეულის ზოგიერთი ჯიშის აღწერა, სახელგამი, 1939 წ. გარდა ამისა ხელნაწერების სახით კათედრას ხელთ აქვს ასისტენტ ნ. ჯიბუტის მიერ თარგმნილი: ჩინური ბოლოკის სათესლეების დარგვის ვადა, 1942 წ.; კომბოსტოს საგვიანო და ადრეული ჯიშების შემჭიდროებული კულტურა, 1943 წ.; შემჭიდროებული კულტურები ინდივიდუალური ბოსტნებისათვის, 1943 წ.; ამჟამად კათედრა განაგრძობს მუშაობას ადგილობრივი ბოსტნეულის ჯიშების შესწავლაზე.

კათედრის მიერ ჩატარებული საკვლევი მუშაობის შედეგების დანერგვა. საქართველოს მიწსახკომის მიერ მებოსტნეობის აგრომითითებებს (1939 წ.) და აგროწესებს (1941 წ.) საფუძვლად უდევს კათედრის მიერ დამუშავებული ზონალური აგროტექნიკა, ბოსტნეულის კულტურების თესვის და აღების ვადები, ჯიშთა დარაიონება და სხვა. კათედრის მიერ აღწერილი ჯიშები შეტანილია როგორც ქართულ სახელმძღვანელოებში, ისე რუსულ გამოცემაში (მაგ., „Руководство по апробации с/хоз. культур", том 5-ый). კათედრის მიერ კონსტრუირებული ბოსტნის მანქანა-იარაღები თანდათან ვრცელდება წარმოებაში.

კათედრის დახმარება წარმოებას. არც ერთი სერიოზული საკითხი მებოსტნეობაში და ბოსტნეულ კულტურათა მეთესლეობაში არ წყდება კათედრის წევრების მონაწილეობის გარეშე. კათედრა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწათმოქმედების სამინისტროს ბაღჩა-ბოსტნეულის და კარტოფილის სამმართველოსთან, საქბოსტანჯიშთესლის რესპუბლიკურ კანტორასთან, უშუალოდ დამხმარე მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან. განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა კათედრამ სამამულო ომის პერიოდში; გარდა იმისა, რომ დაიწერა დოც. გ. კ. ჯაფარიძის მიერ სპეციალური ბროშურები: „ინდივიდუალური ბოსტანი", „მუშა მოსამსახურეთა ბოსტანი", კათედრა ატარებდა რადიო ლექციებს, აწყობდა სისტემატურ ლექცია-საუბრებს წარმოება-დაწესებულებებში, ინდივიდუალურ მებოსტნეებთან და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მევენახეობის კათედრა

1920 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიულ განყოფილებაზე გაიხსნა IV კურსი, რომელზედაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო მევენახეობის სწავლება. მევენახეობის კურსის ლექტორად და კათედრის ხელმძღვანელად 1920 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის საბჭოს მიერ არჩეულ იქნა მევენახეობის სპეციალისტი, სოლომონ მიხეილის-ძე ჩოლოყაშვილი.

მევენახეობის კურსს დათმობილი ჰქონდა სალექციო 60 საათი, 6 დღე საგაზაფხულო და რამდენიმე დღე საზაფხულო პრაქტიკისათვის. პრაქტიკული მუშაობა ტარდებოდა მუხრანის საბჭოთა მეურნეობაში.

მევენახეობის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა ლექტორი ს. მ. ჩოლოყაშვილი; სხვა დამხმარე თანამშრომელი მას არ ჰყოლია, 1923 წლიდან კი დამტკიცებულ იქნა ერთი პრეპარატორის საშტატო ერთეული. 1927 წელს პრეპარატორის თანამდებობაზე ინიშნება ნადეჟდა ჩახნაშვილი, რომელიც 1928 წელს გადაყვანილ იქნა ასისტენტად. ამავე წელს კათედრასთან ასისტენტად მოწვეულ იქნენ ნ. მახარაძე და მუხრანის სასწავლო მეურნეობაში სტუდენტთა პრაქტიკის ხელმძღვანელად — არჩილ ფირანიშვილი.

1930 წელს მევენახეობის კათედრაზე მუშაობდა ოთხი თანამშრომელი: 1. პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილი (კათედრის გამგე.), 2. ასისტ. ნ. მახარაძე, 3. ასისტ. ნ. ჩახნაშვილი, 4. ასისტ. მ. რამიშვილი.

1937 წლის მარტიდან მევენახეობის კათედრაზე მიღებულ იქნა ასისტენტის თანამდებობაზე მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. მუშაკი, სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი ვ. ქანთარია. 1939 წელს ასისტ. მ. რამიშვილმა დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ვაზის ნამყენის აგროტექნიკის საკითხები“, რის საფუძველზე მიენიჭა მას სოფლ. მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1940 წელი კათედრის მუშაობის ისტორიაში თვალსაჩინო თარიღია, განსაკუთრებით კვლევითი მუშაობის გაშლის მხრივ. ამ დროს კათედრაზე 8 საშტატო ერთეულია: 1. პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილი (კათ. გამგე), 2. დოც. მ. რამიშვილი (სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი), 3. დოც. ვ. ქანთარია (სოფ. მეურ. მეცნ. კანდიდატი), 4. ასისტ. ნ. ჩახნაშვილი, 5. უფრ. ლაბორ. ნ. მახარაძე, 6. ლაბო-

რანტი ქ. გეგეშიძე, 7. უფრ. პრეპ. ან. მორჩაძე, 8. პრეპ. თ. კვირიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წლიდან კათედრაზე მიმაგრებული იყო სამი ასპირანტი: 1. ა. ცხომელიძე, 2. ნ. ბენდიანიშვილი, 3. ლ. მალაშხია.

1940 წელს ასპ. ა. ცხომელიძემ დაიცვა დისერტაცია შემდეგ თემაზე: „გურჯაანის რაიონის შესწავლა მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით“, რის საფუძველზე მიენიჭა მას სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდიდატის ხარისხი. შემდეგ დისერტაცია დაიცვა ასპირანტმა ნ. ბენდიანიშვილმა თემაზე: „სათბურში და უსათბუროდ გამოყვანილი ნამყენის ეფექტიანობა შუა იმერეთის პირობებში“.

აღნიშნული პერიოდისათვის მევენახეობის კათედრის კაბინეტი და ლაბორატორია კარგად იყო მოწყობილი. ის უზრუნველყოფილი იყო ოპტიკით, ჭურჭლით, რეაქტივებით, წყალსადენით, ავეჯით და აუცილებელი მოწყობილობით (სასწორებით, ავტოკლავით, თერმოსტატით და სხვ.).

დიდი სამამულო ომის პერიოდში—1941—45 წლებში კათედრის პირადი შემადგენლობა შემცირდა. ამ პერიოდში ინსტიტუტის მთავარი კორპუსის ჰოსპიტლისათვის გადაცემის გამო კათედრას მეტად შევიწროებულ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

1944 წლის 19 ივნისს გარდაიცვალა კათედრის დამაარსებელი და 23 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი ს. მ. ჩოლოყაშვილი. ამ პერიოდში, მიუხედავად ომის პირობებისა, კათედრის თანამშრომლები განაგრძობდნენ ენერგიულ მუშაობას; მათ გააფორმეს მთელი რიგი შრომები მევენახეობის აქტუალურ საკითხებზე. ომის პერიოდში, პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით, დაწყებული იყო მევენახეობის ბიბლიოგრაფიული ცნობარის შედგენა. ეს შრომა წარმატებით დაასრულა ივ. ანდრონიკაშვილმა. პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილის სიცოცხლეშივე, მისი ხელმძღვანელობით, აგრ. ივ. ანდრონიკაშვილის მიერ შედგენილი იყო მევენახეობის ენციკლოპედია. ომის პერიოდში კათედრაზე გაფორმდა ორი სადისერტაციო შრომა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად: დოც. ვ. ქანთარიასი—„ვაზის ქირურგიის თეორია და პრაქტიკა“ და დოც. მ. რამიშვილის—„ვაზის მყნობის წარმოების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები“.

1946 წლისათვის კათედრაზე მუშაობენ: 1. დოც. ვ. ქანთარია (კათედრის გაბმე, სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი), 2. დოც. მ. რამიშვილი (სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი), 3. დოც. ნ. ჩახნაშვილი (სოფ. მეურ. მეცნ. კანდიდატი) 4. ასისტ. ქ. გეგეშიძე, 5. უფრ. ლაბ. ივ. ანდრონიკაშვილი.

კათედრის ხაზით გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები:

1. ვაზის ყვავილების განაყოფიერების მსვლელობა—სოლ. ჩოლოყაშვილი და ნ. ჩახნაშვილი (მასალები გამოყენებულია მევენახეობის სახელმძღვანელოში).

2. საქართველოს მევენახეობის სტატისტიკური რუკა— ს. მ. ჩოლოყაშვილი, აგრ. ი. რცხილაძე და ა. ლიბიხი, 1939 წ.

3. მყნობის წინ ვაზის საძირე მასალის დალბობის ხანგრძლიობის დადგენა—ვ. ქანთარია, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტ. „მოამბე“, №1 (5), 1938 წ.

4. მწვანე ოპერაციების გავლენა ალექსანდრილი მუსკატის ყვავილცვენაზე—ვ. ქანთარია, ბერიას სახ. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტ. „მოამბე", №2, 1939 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ამერიკული ვაზის ლერწის დაჭრის უკეთესი სიგრძის განსაზღვრა—ვ ქანთარია, ბერიას სახ. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტ. „მოამბე", №3, 1939 წ.

6. ამერიკული ვაზის ფორმირების გავლენა საძირე მასალის რაოდენობასა და ხარისხზე—ვ. ქანთარია, ბერიას სახ. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტ. „შრომები", ტ. XII, 1940 წ.

7. ვაზის რქის დიაფრაგმის და გულგულის შესწავლისათვის—ნ. ჩახნაშვილი, ბერიას სახ. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტ. „შრომები", ტ. XVIII, 1942 წ.

8. ვაზის ნამყნობი ადგილის მიკოფლორა—ნ. მახარაძე, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", ტ. XVIII, 1942 წ.

9. მასალები საქ. ვაზის ჯიშთა ამპელოგრაფიისათვის—სოლ. ჩოლოყაშვილი და ნ. ჩახნაშვილი, ექსპ. აგრ. ინსტ. „მოამბე", 1929 წ.

10. შოთა რუსთაველის ეპოქის ვაზის ჯიშები—ს. ჩოლოყაშვილი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, საიუბილეო კრებული, 1938 წ.

11. საქართველოს მევენახეობა და უახლოესი პერსპექტივები (ისტორიულ-ეკონომიური, სტატისტიკური და აგროტექნიკური ნარკვევი)—ს. ჩოლოყაშვილი და ირ. რცხილაძე, 1940 წ.

12. ვაზის ზოგიერთი ჯიშის ფილოქსერის წინააღმდეგ სხვადასხვაგვარი გამძლეობის დამოკიდებულება ფესვთა სისტემის ანატომიურ აგებულებისაგან—ნ. მახარაძე, ექსპერ. აგრონ. ინსტიტ. „მოამბე", წიგნი №1, 1929 წ.

13. ვაზის სანერგეში ნამყენებს შორის უკეთესი მანძილის განსაზღვრა—მ. რამიშვილი, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე", №2, 1939 წ.

14. მასალები გურიის აბორიგენული ვაზის ჯიშების შესწავლისათვის—მ. რამიშვილი, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე", №3—4, 1939 წ.

15. საკოპულაციო ჭრილობის ადგილმდებარეობის გავლენა ვაზის პირველხარისხოვანი ნამყენის პროცენტულ გამოსავლიანობაზე—მ. რამიშვილი, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე", №1, 1940 წ.

16. ვაზის მთლიანი გადაწვენის მიზანშეწონილობის დადგენა—მ. რამიშვილი, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", ტ. XXIII—XXIV, 1945 წ.

17. მევენახეობის განვითარებისათვის მესხეთში—მ. რამიშვილი, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", ტ. XIX, 1943 წ.

18. მევენახეობის სახელმძღვანელო—პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილი, წიგნი I და II (ზოგადი ნაწილი და ამპელოგრაფია), 1937—1939 წ. წ.

19. მევენახეობის სახელმძღვანელო (ტექნიკუმებისათვის)—პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილი, სახელგამი, 1940 წ.

20. გურიის, აჭარის სამეგრელოს და ქართლის ვაზის ჯიშების მონოგრაფიები—მ. რამიშვილი და ნ. ჩახნაშვილი (გადაგზავნილია კაპიტ. შრომის „საკავშირო ამპელოგრაფიის" სარედაქციო კოლეგიაში მოსკოვში).

გარდა ამისა, ხელნაწერის სახით კათედრის განკარგულებაშია 15-მდე კაპიტალური შრომა.

პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილის და კათედრის სხვა თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია აგრეთვე 30 წერილი მევენახეობის სხვადასხვა საკითხზე (ინსტრუქციების, საგაზეთო და საჟურნალო სტატიების სახით).

მევენახეობის კათედრის თანამშრომლები, განსაკუთრებით, განსვენებული ს. მ. ჩოლოყაშვილი, უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებისა და კვლევითი დაწესებულებების მუშაობაში, როგორიც არის აგროწესების შედგენა, მეთოდური ხასიათის მოხსენებები, შრომების რედაქტირება, ინსტრუქციების შედგენა და სხვ.

პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილი ითვლებოდა კაპიტალური შრომის „საკავშირო ამპელოგრაფიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად.

1925—26 წლებში პროფ. ს. მ. ჩოლოყაშვილი სამეცნიერო მიზნით მივლინებული იყო გერმანიასა და საფრანგეთში, ხოლო 1940 წლიდან .ის ითვლებოდა კრასნოდარის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიტოპათოლოგიის კათედრა

ფიტოპათოლოგიის კათედრის ჩამოყალიბება, მართალია, 1938 წლის ნოემბერში მოხდა, მაგრამ სათანადო სამუშაონი ფიტოპათოლოგიის ხაზით ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებშიაც ტარდებოდა.

ამ ხანებში უნივერსიტეტთან არსებობდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, რომელშიაც წმინდა მათემატიკურ დარგებთან ერთად, აგრონომიული და საბუნებისმეტყველო განხრაც იყო წარმოდგენილი.

მეცადინეობა ფიტოპათოლოგიაში აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პირველად ჩატარდა 1922 წელს უმდაბლეს მცენარეთა ცნობილი სპეციალისტის ნ. ვორონიხინის ხელმძღვანელობით. ნ. ვორონიხინის ლენინგრადში გადასვლის გამო (1922 წ.) დაისვა საკითხი მუდმივი თანამშრომლების მოწვევის შესახებ. მოწვეულ იქნენ ასისტენტად ო. ზედელმეიერი და პრეპარატორად ბ. ვარდოსანიძე. მიუხედავად ახალი თანამშრომლების მოწვევისა, კურსი მეტად შემცირებული სახით ტარდებოდა, ლექციები არ იკითხებოდა და მასალის გაცნობა მხოლოდ პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობით განისაზღვრებოდა.

1925 წელს ო. ზედელმეიერი განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან და კურსის ჩატარება დაევალა ასისტ. ბ. ვარდოსანიძეს. ამავე პერიოდში მოხდა აგრონომიული ფაკულტეტის ორ დარგად გაყოფა: სასოფლო-სამეურნეო და სატყეო დარგებად, რის გამო საგნის გავლა ორი განხრით მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, ხოლო როდესაც სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი შეუერთდა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს (1927 წ.), საჭირო გახდა ჩამოყალიბებულიყო რუსული სექტორიც, რის გამოც ხელმეორედ იქნა მოწვეული ო. ზედელმეიერი.

ვინაიდან ამ ხანში მაღალი კვალიფიკაციის ფიტოპათოლოგები უნივერსიტეტში არ მოიპოვებოდნენ, ამიტომ კაბინეტს უქვემდებარებდნენ სხვადასხვა კათედრას—ჯერ დენდროლოგიის კათედრას, შემდეგ კი მევენახეობის კათედრას (პროფ. ს. ჩოლოყაშვილი). 1929 წელს ფიტოპათოლოგიის კაბინეტი შეუერთეს ენტომოლოგიის კაბინეტს, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბებულ იქნა მცენარეთა დაცვის კათედრა ორი დამოუკიდებელი კაბინეტით. ფიტოპათოლოგიის კაბინეტის გამგედ დაინიშნა საკმაოდ ცნობილი ფიტოპათოლოგი პროფ. პ. ნაგორნი. პროფ. პ. ნაგორნის დანიშვნით, შეიძლება ითქვას, ფიტოპათოლოგიური კაბინეტის მუშაობა ახალ გზაზე დადგა. მუშაობის უფრო გაფართოება გამოწვეული იყო ახალი ფაკულტეტების ჩამოყალიბებით (მემინდვრეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის, სუბტროპიკული, მეტყეობის).

ყველა ფაკულტეტზე ფიტოპათოლოგია ისწავლებოდა სათანადო განხრით ქართულ ენაზე და გარდა ამისა სუბტროპიკულ და სატყეო ფაკულტეტებზე რუსული ჯგუფებიც არსებობდა. 1929 წელს კათედრის მიერ მოწვეულ იქნა ასისტენტის თანამდებობაზე ლევ. ყანჩაველი; ამრიგად, 1930 წ. კაბინეტის შტატი ოთხი წევრისაგან შედგებოდა: პროფ. პ. ნაგორნი (კაბ. გამგე) და ასისტენტები:—ბ. ვარდოსანიძე, ლ. ყანჩაველი, ო. ზედელმეიერი. ლექციები ამ პერიოდშიაც არ იკითხებოდა. მხოლოდ ლაბორატორიული მეთოდით მუშავდებოდა საგანი. ნაწილობრივ სასწავლო პრაქტიკასაც ჰქონდა ადგილი იმ მეურნეობებში, სადაც სტუდენტები იყვნენ მიმაგრებულნი. პროფ. ნაგორნის უნდა მიეწეროს კაბინეტის სასწავლო ხელსაწყოებით მომარაგება და მისთვის მატერიალური ბაზის შექმნა. შეძენილ იქნა 7 საზღვარგარეთული მიკროსკოპი, სათანადო კარადები, მაგიდები, საჰერბარიუმო ყუთები და სხვა. ისევე როგორც სხვა კათედრებზე, კაბინეტის მუშაობა მხოლოდ პედაგოგიური პროცესებით განისაზღვრებოდა. წმინდა კვლევითი სამუშაონი არ ტარდებოდა თუ არ მივიღებთ მხედველობაში შემთხვევითი ხასიათის გამოკვლევებს, რომელთაც კათედრის თანამშრომელნი ატარებდნენ. მაგ., დამუშავებულ იქნა ასისტ. ბ. ვარდოსანიძის მიერ სადიპლომო შრომა „გოგროვანთა ანთრაქნოზის (Gleosporium oligochaetum) ბიოეკოლოგის შესწავლის მასალები". უკანასკნელი დაცულ იქნა მის მიერ ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

1930 წლიდან, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ინსტიტუტიდან გამოიყო რამდენიმე დამოუკიდებელი სასწავლო ინსტიტუტი (სუბტროპიკული, მცენარეთა დაცვის სამხრეთის ინსტიტუტი, სართავ კულტურათა და სატყეო). ფიტოპათოლოგიის კაბინეტი, რომელიც აქამდე მარტო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ემსახურებოდა, ფაქტიურად გადაიქცა ყველა ინსტიტუტის კაბინეტად. ბინა ერთი დარჩა, საჭირო შეიქნა ახალი მასწავლებლების მოწვევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ინსტიტუტის სასწავლო გეგმის მიხედვით, მცენარეთა დაცვის კათედრა დარჩა ძველებურად (მაგ., სუბტროპიკულ, სართავ კულტურათა და სატყეო ინსტიტუტებში), ხოლო მცენარეთა დაცვის სამხრეთ ინსტიტუტში იგი გაიყო ორ დამოუკიდებელ კათედრად: ფიტოპათოლოგიისა (გამგე პროფ. პ. ნაგორნი) და ენტომოლოგიისა (გამგე პროფ. ლ. კალანდაძე). ვინაიდან მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში კათედრა სხვადასხვა დისციპლინას აერთიანებდა (მიკოლოგიას, მცენარეთა ბაქტერიოზებს, ზოგად ფიტოპათოლოგიას და სხვა), საჭირო შეიქნა დამატებითი ხელმძღვანელების მოწვევა, რომელნიც დარგების მიხედვით კითხულობდნენ ამ დისციპლინებს. დამატებით მოწვეული იყვნენ: დოც. ე. მ. ერისთავი, ლექ. დ. ი. წერეთელი ლექ. ი. ი. შოშიაშვილი ასისტ. ე. პ. ხაზარაძე, ასისტ. ს. ი. ისარლიშვილი.

ამავე პერიოდში ასისტ. ლ. ყანჩაველი არჩეულ იქნა დოცენტად სუბტროპიკულ, მცენარეთა დაცვის და სატყეო ინსტიტუტებში. ამ ხანისათვის (1930 წ.) კათედრის შტატი განისაღვრებოდა 8 ერთეულით. ასეთი შტატით კათედრა მხოლოდ ორი წელი მუშაობდა, შემდეგში კი შტატი თანდათანობით შეიკვეცა

საათების მიხედვით განაკვეთების დაწესების გამო, რის საფუძველზედაც ზოგიერთი თანამშრომელი განთავისუფლდა (წერეთელი, შოშიაშვილი).

1933/34 წლიდან თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, მოხდა ინსტიტუტების გაერთიანება და დატოვებულ იქნა მხოლოდ სას.-სამ. ინსტიტუტი და სატყეო ინსტიტუტი.

1935 წელს გარდაიცვალა კათედრის ხელმძღვანელი პროფ. პ. ნაგორნი. ამ პერიოდს თან დაერთო ინსტიტუტების რეორგანიზაციაც, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შეერთება სას.-სამ. ინსტიტუტთან მცენარეთა დაცვის ფაკ-ის სახით, რის გამოც ფიტოპათოლოგიის კათედრა ისევ გაერთიანდა ს. მ. მავნებელ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის კათედრასთან.

1938 წელს მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე ხელახლა გამოიყო ფიტოპათოლოგიის კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა დოც. ლ. ყანჩაველი. კათედრის შტატი 5 ერთეულით განისაზღვრებოდა. კათედრის წევრთა შორის განაწილებული იყო როგორც წმინდა პედაგოგიური, ისე სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა. რამდენადაც ქართულ ენაზე სრულებით არ მოიპოვებოდა ფიტოპათოლოგიის სახელმძღვანელო, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მისი დამზადება და დაბეჭდვა. უკანასკნელი შესრულებულია პროფ. ლ. ყანჩაველის მიერ. ერთი სახელმძღვანელო გამოვიდა 1932 წელს „ფიტოპათოლოგიის მოკლე კურსის“ სახით, ხოლო მეორე—1943—1945 წ.წ. ორტომიანი სახელმძღვანელო „კულტურულ მცენარეთა ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა“.

გამოსულია აგრეთვე რუს. ენაზე პროფ. პ. ნაგორნის სახელმძღვანელოს ნაწილი „Общая фитопатология“ და „Болезни субтропических культур.“ 1938 წ.

კათედრის გამგის თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით დამუშავებულია და გადაცემული დასაბეჭდად „ფიტოპათოლოგიის და მიკოლოგიის რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტერმინოლოგია“. გარდა ზემოთ აღნიშნულისა კათედრაზე დამუშავებულია 30 სტუდენტის სადიპლომო შრომა.

სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა კათედრაზე გაიშალა 1938 წლიდან. კვლევითი მუშაობა განაწილებული იყო ყველა თანამშრომელს შორის და დღევანდლამდე დამუშავებულია 10 თემა, რომელთა შედეგები ნაწილობრივ დანერგილია წარმოებაში. ეს თემებია:

1. „ბოსტნეულ კულტურათა ავადმყოფობანი კვალსათბურებში თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში“—ასისტ. ლ. თაყაიშვილი.

2. „ხეხილის ავადმყოფობათა მიმოხილვა ქართლის პირობებში“—დოც. ე. ხაზარაძე.

3. „პარკოსანი კულტურების ავადმყოფობანი საქ. პირობებში და მათ წინააღმდეგ ბრძოლა“—დოც. ე. ხაზარაძე.

4. „ბოსტნეული კულტურების სათესლეთა ავადმყოფობანი თბილისის რაიონში“—დოც. ბ. ვარდოსანიძე.

5. „მცენარეთა სოკოვან ავადმყოფობათა საწინააღმდეგო ბიოლოგიური მეთოდის გამოყენება“—დოც. ე. ერისთავი და ასისტ. ს. ისარლიშვილი.

6. „მშრალი სუბტროპიკული კულტურების ავადმყოფობათა შესწავლა“— დოც. ე. ხაზარაძე.

7. „სიმინდის ტაროს ავადმყოფობანი საქართველოში და მათი გამოკვლევის წესები“—დოც. ბ. ვარდოსანიძე.

8. „ერთწლიანი კულტურების ვირუსოვან ავადმყ. შესწავლა“—დოც. ე. ერისთავი.

9. „ძაღლყურძნოვანთა თესლის დეზინფექცია ფიზიკური მეთოდით“— დოც. ე. ერისთავი და დოც. ბ. ვარდოსანიძე.

10. „მასალები ტუნგოს ავადმყოფობათა შესწავლისათვის საქართველოში“—პროფ. ლ. ყანჩაველი.

კათედრის მუშაობაში საკმაო ყურადღება აქვს დათმობილი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას წევრთა შორის. დისერტაციები დაცული აქვთ შემდეგ წევრებს: ბიოლოგ. მეც. დოქტორის ხარისხზე—ლევ. ყანჩაველს, სას.-სამ. მეც. კანდიდატის ხარისხზე—დოც. ბ. ვარდოსანიძეს, დოც. ე. ერისთავს, დოც. ე. ხაზარაძეს.

კათედრაზე მუშაობს ასისტენტად კათედრის ყოფ. ასპირანტი ს. გვრიტიშვილი, რომელსაც ამჟამად დამთავრებული აქვს სადისერტაციო შრომა და აფორმებს ლიტერატურულად; მისი თემაა—„ხორბლეულთა ჟანგა ავადმყოფობანი აღ. საქართველოში და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემა“.

კათედრის წევრები დაკავშირებული არიან საწარმოო ორგანიზაციებთან (კონსულტაციებით, ადგილზე გაწვევით და სხვა).

კათედრის ინიციატივით მოწყობილ იქნა 1945 წ. მაისში საბჭოთა კავშირის ცნობილი ვირუსოლოგის რიჟკოვის ლექციების სერია. წაკითხულია სულ 7 ლექცია; კათედრის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ ყრილობებზე და სამეცნიერო სესიებზე მცენ. დაცვის საკითხების შესახებ ლენინგრადში 1931 წ. (ყანჩაველი, ერისთავი, ვარდოსანიძე), სუბტროპიკული კულტურების ავადმყოფობათა შესახებ (ყანჩაველი, ერისთავი), ვიროლოგთა საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში (ერისთავი). გარდა ამისა კათედრის თანამშრომლები იგზავნებოდნენ სამეცნიერო მივლინებებში როგორც საზღვარგარეთ (იაპონია—ყანჩაველი), ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მეცნიერულ დაწესებულებებში (ბ. ვარდოსანიძე, ს. გვრიტიშვილი ლენინგრადში) და სხვა. ამჟამად კათედრის განკარგულებაშია კაბინეტი და აუდიტორია პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობისათვის და სათანადო ინვენტარი (ექსპონატები, ტაბულები და საჰერბარიუმო მასალა). გარდა ამისა კათედრას გააჩნია ლაბორატორიული მოწყობილობა სოკოების წმინდა კულტურებზე სამუშაოების ჩასატარებლად.

თანახმად 1946—47 წლის საშტატო განრიგისა ფიტოპათოლოგიის კათედრისათვის შემდეგი ერთეულებია დამტკიცებული: პროფ. დოქტორი—ლევ. ყანჩაველი (კათედრის გამგე), დოც. ბ. ვარდოსანიძე. დოც. ე. ერისთავი, დოც. ე. ხაზარაძე, ასისტ. ს. გვრიტიშვილი, ასისტ. ლ. თაყაიშვილი, უფრ. ლაბორ. ქ. გვარამაძე და ლაბორანტი რ. გელაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგადი ენტომოლოგიის და ზოოლოგიის კათედრა

ზოგადი ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრაში ამჟამად შემავალი საგნის—ენტომოლოგიის კითხვა დაიწყო თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიული განყოფილების გახსნისთანავე, ე. ი. 1919—1920 სასწ. წლიდან. ამასთანავე მაშინვე იქნა მოწყობილი ენტომოლოგიის კაბინეტი. ამ საგანს კითხულობდა და აღნიშნულ კაბინეტს ხელმძღვანელობდა მაშინ უკვე ცნობილი სპეციალისტი ბორის პეტრეს-ძე უვაროვი, ასისტენტად კი იყო ალექსანდრე ილიას-ძე ილინსკი. იგივე დოც. უვაროვი კითხულობდა ზოოლოგიას თბილისის უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებზედაც.

1920 წელს დოც. ბ. პ. უვაროვი მიწვეულ იქნა ლონდონის მუზეუმში და ამის გამო ენტომოლოგიის კითხვა და კაბინეტის ხელმძღვანელობა დაევალა ლექტ. ფ. ა. ზაიცევს, ასისტენტად კი ისევ ა. ი. ილინსკი დარჩა. 1922 წელს ილინსკი გადავიდა სამუშაოდ ლენინგრადში და მის მაგიერ ასისტენტად მოწვეული იყო ელენე ამირაშვილი, პრეპარატორად კი დატოვებულ იქნა მარიამ იოსების-ასული ჭელიძე.

1923 წლიდან ასისტ. ელ. ამირაშვილის ავადმყოფის გამო ასისტენტის მოვალეობის აღმასრულებლად მოწვეული იყო ლეონიდე პოლიევქტოს-ძე კალანდაძე, რომელიც 1924 წელს ასისტ. ელ. ამირაშვილის დაბრუნების შემდეგ დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში მოსამზადებლად (ახლანდელი გაგებით ასპირანტად), ხოლო 1925 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნა სამეცნიერო მივლინებაში საზღვარგარეთ (გერმანიაში), სადაც დაჰყო 3 წლამდე.

1930 წლამდე კათედრის მდგომარეობა თითქმის უცვლელი დარჩა. ამ წელს კი საქ. სას.-სამეურნეო ინსტიტუტში ახლად დაარსებულ მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულ იქნა მცენარეთა დაცვის კათედრა, რომელშიაც შედიოდა საგნები: ენტომოლოგია, ფიტოპათოლოგია და ზოოლოგია. კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ლ. პ. კალანდაძე, რომელიც კითხულობდა ენტომოლოგიის კურსს; ასისტენტებად კი ამ საგანში იყვნენ: მ. ი. ჭელიძე და ზ. ი. ჯაში, ფიტოპათოლოგიის კურსს ატარებდა დოც. ლ. ა. ყანჩაველი, ასისტენტების მოვალეობას კი ასრულებდნენ: ბ. ვარდოსანიძე და ო. ზედელმეიერი. პრეპარატორებად იყვნენ დანიშნულნი ნ. ბერძული (ენტომოლოგიაში) და ნ. ჭეიშვილი (ფიტოპათოლოგიაში).

1934 წელს მავნებელთა საწინააღმდეგო ბრძოლის სამხრეთის ინსტიტუტის (თბილისი) საქ. სას.-სამ. ინსტიტუტთან, მცენარეთა დაცვის ფაკულტეტის სახით, შეერთების გამო, სას.-სამ. ინსტ-ის მცენარეთა დაცვის კათედრისა და

მავნებელთა საწინააღმდეგო ბრძოლის სამხრეთის ინსტიტუტის სოფ. მეურნ. მავნებლებისა და მათთან ბრძოლის მეთოდების და ენტომოლოგია-ზოოლოგიის კათედრების ბაზაზე შეიქმნა ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრა. ამ უკანასკნელში შედიოდნენ: პროფ. ლ. კალანდაძე (კათედრის გამგე), პროფ. ფ. ა. ზაიცევი, დოც. ირ. ბათიაშვილი, დოც. პრინცი, დოც. ივ. ჩხიკვიშვილი, დოც. ნ. ალექსიძე, დოც. რ. სავენკო, ლექტორები ნ. სიფროშვილი და მ. ჭელიძე, ასისტენტები—ზ. ჯაში, ვ. ფხაკაძე, ალ. ბაღდავაძე, შ. სუპატაშვილი, ლაბორანტი ელ. ნებიერიძე და პრეპარატორი ნ. ბერძული. კათედრის წევრთა ასეთი მრავალრიცხვიანობა აიხსნება იმით, რომ ის ემსახურებოდა სას.-სამ. ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტს (მექანიზაციის ფაკულტეტის გარდა).

1937/38 წელს ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრას შეუერთდა მეაბრეშუმეობის კათედრა და საგანი მეცხოველეობა, მაგრამ 1 წლის შემდეგ ეს უკანასკნელი კათედრა და მეცხოველეობა გამოყოფილ იქნა ცალკე კათედრად.

1945 წლის დასაწყისში კი სსრკ კომისართა საბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების კომიტეტის ბრძანებით ზოოლოგიისა და ენტომოლოგიის კათედრა გაიყო ორად: 1. ზოგადი ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრად და 2. სპეციალური ენტომოლოგიის კათედრად. ზოგ. ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრის გამგედ დანიშნულ იქნა პროფ., დოქტორი ლ. კალანდაძე, ხოლო სპეციალური ენტომოლოგიის კათედრის გამგედ პროფ., დოქტორი ირ. ბათიაშვილი. ამჟამად—1946 სასწ. წელს—ზოგადი ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრას ჰყავს შემდეგი წევრები: მეც. დამს. მოღვაწე, პროფ. ლ. კალანდაძე (კათედრის გამგე—ზოგადი ენტომოლოგია, სატყეო ენტომოლოგია), დოც. მ. ჭავჭანიძე (ზოოლოგია), დოც. ი. ჩხიკვიშვილი (ტყის ცხ. ბიოლოგია), ასისტ. ვ. ფხაკაძე, ბიოლოგ. მეც. კანდიდატი (ზოოლოგია), ასისტ. მ. ქოიავა, ბიოლოგიურ მეც. კანდიდატი (ზოოლოგია), ასისტ. ელ. ნებიერიძე, სოფ. მეურნ. მეც. კანდიდატი (ზოგადი ენტომოლოგია), ასისტ. შ. სუპატაშვილი, სოფ. მეურ. მეც. კანდიდატი (სატყეო ენტომოლოგია, შეთავსებით), უფროსი ლაბორანტი—ნ. ნადირაძე, ლაბორანტი—ვ. ჭელიძე, უფროსი პრეპარატორი—ე. ჩადუნელი.

ამგვარად, კათედრაში შედის 10 წევრი, მათ შორის 7 პროფესორ-მასწავლებელია. ამათგან სოფლის მეურნეობის მეც. დოქტორი—1, ბიოლოგიურ და სოფ. მეურნეობის მეცნ. კანდიდატი—5; პროფესორი—1, დოცენტი 2, ასისტენტი 4. კათედრა ემსახურება შემდეგ ფაკულტეტებს და ხელმძღვანელობს შემდეგ საგნებს: 1. ზოგად ენტომოლოგიას—მცენ. დაც. ფაკულტეტზე; 2. ზოოლოგიას—აგრონომიულ, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის, სუბტროპიკული კულტურების, მეაბრეშუმეობის, სატყეო-სამეურნეო და მცენარეთა დაცვის ფაკულტეტებზე; 3. სატყეო ენტომოლოგიას—სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე; 4. ტყის ცხოველთა ბიოლოგიას—სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე.

კათედრის ლაბორატორია და კაბინეტები საკმაოდ კარგად არიან მოწყობილი, რადგანაც მათი მოწყობა და შევსება წარმოებს 1919/1920 წლიდან. ამის

გარდა კათედრას გადმოეცა ყოფ. სოფლის მეურნეობის მავნებელთა საწინააღმდეგო ბრძოლის სამხრეთის ინსტიტუტის, ყოფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ყოფ. ა/კ. და საქ. კომ. უნივერსიტეტის ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კაბინეტების ქონება.

კათედრამ გამოზარდა 6 ასპირანტი; ყველა მათგანმა მიიღო კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (გ. ყანჩაველი, შ. პატარაია, ა. ნიორაძე, ლ. კვარაცხელია, ა. სიხარულიძე, ვ. ჯაში).

კათედრა თავიდანვე ეწეოდა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას. კათედრაზე უშუალოდ დამუშავებული და გამოქვეყნებული იყო შემდეგი შრომები:

1. წიწმატის ფოთოლჭამია (Entomoscelis adonidis) თბილისის ბოსტნებში—ლ. კალანდაძე, ექსპ. აგრონ. „მოამბე", №2, 1929 წ.

2. ვაზის ფოთლის ფილოქსერის გალების გავრცელების შესახებ საქართველოში—ლ. კალანდაძე, ექსპ. აგრონ. „მოამბე", №3, 1929 წ.

3. თელას ფოთოლჭამია (Galerucella luteola)—მ. ჭელიძე, ექსპ. აგრონ. „მოამბე", №2, 1929 წ.

4. კოლოების წინააღმდეგ პარიზის მწვანისა და ავიაქიმმეთოდის გამოყენების შესახებ—პროფ. ლ. კალანდაძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე", №1, 1933 წ.

5. მასალები კასპის რაიონში გავრცელებული მინდვრის კულტურების მავნე მღრღნელთა შესწავლისათვის—ივ. ჩხიკვიშვილი და ვ. ფხაკაძე, საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე", № 1 (5), 1939 წ.

6. კომბოსტოს ტილის ბიო-ეკოლოგიისა და მასთან ბრძოლის საკითხისათვის საქართველოში—პროფ. ლ. კალანდაძე და ელ. ნებიერიძე, საქ. სას.-სამ ინსტიტუტის „მოამბე", №1, 1939 წ.

7. მასალები საზოგადოებრივი მინდვრულას (Microtus socialis Pall.) ბიოეკოლოგიის შესწავლისათვის—ვ. ფხაკაძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას-.სამ. ინსტიტუტის „შრომები", №11, 1940 წ.

8. ზოგიერთი ეკოლოგიური ფაქტორის როლის შესწავლისათვის ციტრუსოვან წითელ ტკიპას გამრავლების რეგულაციის საქმეში—ირ. ბათიაშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე", №1, 1940 წ.

9. მასალები წიწმატის ფოთოლჭამიის (Enthomoscelis adonidis Pall.) შესწავლისათვის საქართველოში (რუსულ ენაზე)—ლ. კალანდაძე და ელ. ნებიერიძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", სერია №3, 1940 წ.

10. მასალები საქ. ხეხილის მთავარი ცხვირგრძელა ხოჭოების ბიოლოგია-ეკოლოგიის და მათთან ბრძოლისათვის—ალ. ბაღდავაძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", სერია №2, 1940 წ.

11. მსხლის წითელი ფარიანას ბიოეკოლოგიის შესწავლისათვის—ირ. ბათიაშვილი და ალ. ბაღდავაძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XII, 1940 წ.

12. ზოგი მონაცემი ბრუცას სისტემატიკისა და ბიოლოგიისათვის საქართველოს პირობებში (რუსულ ენაზე)—ვ. ფხაკაძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XII, 1940 წ.

13. ჩაისა და ციტრუსების მავნე ენტომოფაუნის შესწავლისათვის ლენქორანში (რუსულ ენაზე)—პროფ. ირ. ბათიაშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტ. XII, 1940 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ვერცხლისფერი ტკიპა (Phyllocoptruta oleivorus) საქართველოს შავიზღვის სანაპიროების პირობებში და მისი გამრავლების მარეგულირებელი ფაქტორები—პროფ. ირ. ბათიაშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები". №1 (X), 1940 წ.

15. Dociostaurus marrocannus-ის დაგროვების შესახებ მწვანე ნაკვეთებზე უდაბნოს პირობებში (რუსულ ენაზე)—ირ. ბათიაშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტ. XV, 1941 წ.

16. Anopheles algeriensis ბიოლოგიის შესწავლისათვის—გ. ყანჩაველი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XX, 1943 წ.

17. გამხმარი ხილის ენტომოფაუნის შესწავლისათვის საქართველოში—პროფ. ირ ბათიაშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XX, 1943 წ.

18. მასალები Pterochloroides persicae Chol შესწავლისათვის საქართველოში—პროფ. ლ. კალანდაძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XIII, 1941 წ.

19. სიმინდის ანუ მემარცვლიას ჩრჩილის (Sitotroga cerealella Ol.) ბიოლოგია ეკოლოგიის შესწავლისათვის—მ. ჭელიძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", ტომი XX, 1943 წ.

20. მასალები დეკორაციული მეყვავილეობის მცენარეთა მავნებლების შესახებ—გ. ყანჩაველი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XX, 1943 წ.

21. ქლიავის მხერხავას ბიო-ეკოლოგიისა და ბრძოლის საშუალებათა შესწავლისათვის—ალ. ბაღდავაძე,—ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XXII, 1944 წ.

22. ლობიოს მემარცვლიას საწინააღმდეგო ბრძოლის ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებათა შესწავლისათვის—პროფ. ლ. კალანდაძე და ელ. ნებიერიძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტომი XXIII—XXIV, 1945 წ.

23. ტანისამოსის ჩრჩილის ბიო-ეკოლოგიის შესწავლა—ირ. ბათიაშვილი, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტ. XXV, 1946 წ.

24. რგოლურა აბრეშუმმჭსოვის მასობრივი გამრავლება ქართლში და ტაოტის გამოყენების ცდები მისი მატლების წინააღმდეგ—პროფ. ლ. კალანდაძე და ელ. ნებიერიძე, ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტ. XXV, 1946 წ.

კათედრამ დაამუშავა 3 სახელმძღვანელო ენტომოლოგიაში: 1. ლ. კალანდაძე და ბათიაშვილი—სოფლის მეურნეობის მავნებლები, 1930 წ.; 2. ლ. კალანდაძე და ირ. ბათიაშვილი—სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგიის მოკლე კურსი,

სახელგამი, 1932 წ.; 3. პროფ. ლ. კალანდაძის და პროფ. ბათიაშვილის რედაქტორობით და თანაავტორობით სხვა ავტორებთან ერთად „ენტომოლოგია“ 2 ნაწილად: I ნაწ.—1940, II ნაწ.—1941 წ.; გარდა ამისა კათედრას ლიტოგრაფიულად დაბეჭდილი აქვს მწერების სარკვევი, ქერქიჭამიების სარკვევი და სხვა.

ზემოაღნიშნული გამოქვეყნებული ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების გარდა კათედრას დამუშავებული აქვს შემდეგი სამეცნიერო თემები, რომელთა ნაწილი უახლოეს ხანში გამოქვეყნდება.

1. პროფ. ლ. კალანდაძე და ელ. ნებიერიძე—თბილისის გარეუბნების ტყის კულტურების ენტომოფაუნა.

2. ელ. ნებიერიძე—ტყავიჭამიები, როგორც მეაბრეშუმეობის მავნებლები.

3. პროფ. ლ. კალანდაძე—პურეულ მარცვლოვანთა მავნე მწერები და მათი საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა.

4. პროფ. ირ. ბათიაშვილი—ტექნიკური კულტურების მავნებლები და მათი საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა.

5. მ. ჭელიძე—მზესუმზირას მავნებლები და მათი საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა.

6. ვ. ფხაკაძე—ტყის თაგვი როგორც სოფ. მეურ. კულტურათა მავნებელი აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში.

7. პროფ. ირ. ბათიაშვილი—კონტინენტალური მეხილეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა.

8. გ. ყანჩაველი—ქარცი ხარაბუზა საქართველოში.

9. ალ. ბაღდავაძე—მასალები ალუბლის ბუზის ბიო-ეკოლოგიის შესწავლისათვის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

10. ლ. ჩინჩალაძე—მასალები ენტომოფაუნის შესწავლისათვის ახალდაბის სატყეო მეურნეობაში.

11. მ. ჭელიძე—ბეღლის სამხრეთის ალურა (Plodia interpunctella Hb).

კათედრამ მოაწყო 28 ღია სხდომა.

კათედრის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კათედრის მორიგ სხდომებზე კეთდებოდა მოხსენებები და რეფერატები, თანამშრომლების მიერ შესრულებული ახალი გამოკვლევებისა ან სპეციალობაში ახალი მიღწევების გასაცნობად. მაგ., უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში მოსმენილი იყო 29 მოხსენება და რეფერატი. ამავე მიზნით მეთოდიკური ხასიათის მოხსენებებსაც შესაფერისი ყურადღება ექცეოდა. კათედრის გამგე და კათედრის კვალიფიციური წევრები აკეთებენ მოხსენებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, როგორ უნდა იმუშაონ წიგნზე, როგორ უნდა ტარდებოდეს გამოცდები, ჩათვლები და სხვა. მაგ., 1940—46 წ.წ. განმავლობაში კათედრაზე გაკეთებული იყო ამ სახის 21 მოხსენება. ამ მოხსენებებს თან სდევდა სანიმუშო ლექცია და პრაქტიკუმი, რომლებსაც ატარებდნენ კათედრის გამგე და მასწავლებლები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 1930 წლიდან დაწყებული, კათედრამ შესძლო თანამშრომლების გაგზავნა სამეც. მივლინებებში

საბჭ. კავშირის ცენტრებში (მოსკოვში, ლენინგრადში), რის შედეგად წარმოდგენილი იყო რამდენიმე სადისერტაციო შრომა დასაცავად (ბათიაშვილი, ჭელიძე, ნებიერიძე, ფხაკაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კათედრის ყველა წევრი ჩაბმული იყო სამეც. კვლევით მუშაობაში, რის შედეგად დამუშავებული იყო თემების საკმაოდ დიდი რიცხვი. ამის მიხედვით კათედრას შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სამეცნიერო სესიებში. ასე, მაგ., სესიებზე გაკეთებული იყო შემდეგი მოხსენებები: 1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლის თავთან დაკავშირებით მოწყობილ სესიაზე—(1941 წ.) „მასალები ატმის ტილის ბიოლოგია-ეკოლოგიის შესწავლისათვის საქართველოში"—პროფ. ლ. კალანდაძე და ე. ნებიერიძე; 2. 1945 წ. სესიაზე „მასალები ლობიოს მემარცვლიას საწინააღმდეგო ბრძოლის ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ"—კალანდაძე; 3. ტანისამოსის ჩრჩილის ბიო-ეკოლოგიის შესწავლა—პროფ. ბათიაშვილი; 4. საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლის თავთან დაკავშირებით მოწყობილ სესიაზე (1946 წ.) „მასალები რგოლურა აბრეშუმმქსოვის მასობრივი გამრავლების შესწავლისათვის ქართლში და მის საწინააღმდეგოდ ტაოტის გამოყენების შესახებ—ლ. კალანდაძე და ალ. ბაღდავაძე.

კათედრას მუშაობაში ჩაბმული ყავდა მოწინავე სტუდენტები. სათანადო მომზადების შემდეგ მათ ეძლეოდათ სამეც.-საკვლევი ხასიათის პატარა თემები და ამგვარად გარკვეულ ჩვევებს ღებულობდნენ სამეც.-საკვლევი მუშაობის განხრით. ამ სახით კათედრამ შესძლო რამდენიმე ათეული სტუდენტის მომზადება.

კათედრა დახმარებას უწევდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს. გარდა იმისა, რომ კათედრის წევრები ზოგ შემთხვევაში თითონ აკეთებდნენ წრეში სპეციალური ხასიათის მოხსენებებს („სტუდენტთა სამეც. წრის ამოცანები და მიზანი", „აგრო-სამეც. წრის წევრი და მისი მოვალეობანი", „წიგნზე მუშაობა" და სხვა), წრის დახმარება ძირითადად გამოიხატებოდა იმაში, რომ სტუდენტთა მოხსენებებს წრისათვის კათედრაზე ამუშავებდნენ.

ამგვარად, მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კათედრის ხელმძღვანელობით გაკეთებული იყო სტუდენტების მიერ არანაკლებ 20 მოხსენებისა.

კათედრას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავიდანვე და ახლაც აქვს წარმოებებთან. ის კონსულტაციას უწევდა მიწათმოქმედების სამინისტროს სხვადასხვა სამმართველოს, განსაკუთრებით კი მცენარეთა დაცვის განყოფილებას. იმავე წესით კათედრა უწევდა დახმარებას საქ. ჩაის, ლიმონ-მანდარინის ტრესტს, სატყეო მეურნეობის სამინისტროს, კვებისა და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროებს, ჯანმრთელობის სამინისტროს, საკურორტო სამმართველოს და სხვა. ეს მუშაობა გამოიხატებოდა ძირითადად მავნებელთა საწინააღმდეგო ბრძოლის ინსტრუქციების დამუშავებაში, სპეციალურ თათბირებში მონაწილეობის მიღებაში, ექსპერტიზაში და, რაც მთავარია, ადგილებზე მავნებელთა საწინააღმდეგო ბრძოლაში უშუალო მონაწილეობის მიღებაში (ინსტრუქტაჟი, მუშაობის მიმდინარეობის შემოწმება, შედეგების შემოწმება, ბრძოლის ორგანი-

ზაცია და სხვა) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კათედრის წევრები აგრეთვე მოხსენებებს აკეთებდნენ თათბირებსა და სესიებზე, აქტიურად მონაწილეობას ღებულობდნენ მცენარეთა დაცვის მრავალი სპეციალისტის გადამზადებაში სპეციალურ კურსებზე და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრა მჭიდრო კავშირში იყო და არის აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან. მაგ., კათედრის წარმომადგენელი შედის საქ. მეც. აკადემიის, ზოოლოგიის ინსტიტუტის და მც. დაცვის ინსტიტუტის საბჭოში, თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის საბჭოში და სხვა. კათედრა ხშირად აწყობდა თავის წევრთა შეხვედრებს ამ დაწესებულებებთან სამეცნიერო თემატიკისა და მიღწევების გაცნობის მიზნით.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ კათედრის გამოკვლევების შედეგები დანერგილია წარმოებაში. მაგალითად, 1939—1940 წ. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მასობრივად ტარდება ბრძოლა ძაფსახვევ ქარხნებსა და ფარდულებში ტყავიჭამიების წინააღმდეგ კათედრის მიერ შემუშავებული ღონისძიებებით. თბილისის ბოსტნებში გამოყენებულია კათედრის მიერ დამუშავებული ღონისძიებები რაფსის ფოთოლჭამიების საწინააღმდეგოდ, თბილისის ბაღებში კათედრის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებული იყო ზომები ატმის დიდი ტილის წინააღმდ ეგ. წარმოებაში მიღებულია აგრეთვე კათედრის მიერ დამუშავებული ღონისძიებანი ხეხილის ცხვირგრძელების წინააღმდეგ (გორის რაიონში). წარმოებაში ფართოდ არის გამოყენებული პროფ. ბათიაშვილის მიერ დამუშავებული ვერცხლისფერი ტკიპას წინააღმდეგ ბრძოლის ზომები.

მ. ჭელიძის მიერ დამუშავებული იყო ბეღლის სამხრეთ ალურას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. დამუშავებულია აგრეთვე ბრძოლის ღონისძიებანი მინდრულებსა და ბრუცასთან ბრძოლის მიზნით. წარმოებისათვის მისაღები ღონისძიებანი დამუშავდა აგრეთვე მუზეუმის ხოჭოს საწინააღმდეგოდ.

ამგვარად, მუშაობის 25 წლის მანძილზე კათედრამ შესძლო მაღალკვალიფიციური ნაციონალური კადრების მომზადება რესპუბლიკისათვის და გარკვეული წვლილი შეიტანა როგორც ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების მხრივ, ისე სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შედეგებით წარმოებათა დასახმარებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეციალური ენტომოლოგიის კათედრა

სპეციალური ენტომოლოგიის კათედრა ჩამოყალიბებული იყო სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სამხრეთ ინსტიტუტში 1932 წ. კათედრამ ამ სახით იარსება 1934 წ. დამლევამდე, ე. ი. აღნიშნული ინსტიტუტის საქ. სას.-სამ. ინსტიტუტთან შეერთებამდე მცენარეთა დაცვის ფაკულტეტის სახით. ამ რეორგანიზაციის შედეგად სპეც. ენტომოლოგიის კათედრა შეერთებულ იქნა საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრასთან, რომელსაც გადაეცა სპეც. ენტომოლოგიის კათედრის მთელი შტატი და ქონება.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული უმაღლეს სკოლების კომიტეტის 1945 წ. მარტის თვის ბრძანებით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრა გაიყო ორ კათედრად:

1. სპეციალური ენტომოლოგიის კათედრად და 2. ზოოლოგიისა და ზოგადი ენტომოლოგიის კათედრად.

სპეციალური ენტომოლოგიის კათედრის გამგედ უმაღლესი სკოლების კომიტეტის № 727/K ბრძანებით დაინიშნა ბიოლოგიურ მეც. დოქტორი პროფ. ირ. დ. ბათიაშვილი, ხოლო ზოოლოგიისა და ზოგ. ენტომოლოგიის კათედრის გამგედ სოფლის მეურნეობის მეც. დოქტორი პროფ. ლ. პ. კალანდაძე.

სპეციალური ენტომოლოგიის კათედრის შტატი დამტკიცებულ იქნა შემდეგი შემადგენლობით: კათედრის გამგე პროფ. ირ. ბათიაშვილი, დოც. მ. ჭელიძე, დოც. ალ. ბაღდავაძე, დოც. გ. ყანჩაველი, ასისტ. თ. ბედუკაძე, უფ. ლაბორანტი მ. ყურაშვილი და ლაბორანტი ნ. ელერდაშვილი. სპეციალური ენტომოლოგიის კათედრის ხაზით მცირე დატვირთვა აქვთ აგრეთვე დოც. ი. ჩხიკვიშვილს და ასისტ. ვ. ფხაკაძეს.

სპეციალური ენტომოლოგიის კათედრის წევრთა შორის მეცნიერებათა დოქტორია ირ. ბათიაშვილი და მეცნიერებათა კანდიდატები: მ. ჭელიძე, ა. ბაღდავაძე და გ. ყანჩაველი, რომლებმაც სამეცნიერო ხარისხი მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში.

კათედრის წევრებს შორის დისციპლინების კითხვა განაწილებულია შემდეგნაირად: პროფ. ბათიაშვილი—სპეც. ენტომოლოგია მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე და ენტომოლოგია სუბტროპიკულ ფაკულტეტზე, 2. დოც. მ. ჭელიძე—ენტომოლოგია აგრონომიულ ფაკულტეტზე, 3. დოც. ა. ბაღდავაძე—ენტომოლოგია მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე, 4. დოც. გ. ყანჩაველი—ენტომოლოგია მეაბრეშუმეობის ფაკულტეტზე.

კათედრის ყველა წევრი ჩაბმულია სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში. კათედრის წევრთა მიერ დღევანდლამდე დამუშავებულია 20-მდე თემა, რომელთა ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია და დანერგილი წარმოებაში. სპეც. ენტომოლოგიის კათედრის წევრების მიერ კათედრის გამოყოფამდე კათედრაზე დამუშავებული და გამოქვეყნებული 14 შრომა მოყვანილია ზოგ. ენტომოლოგიისა და ზოოლოგიის კათედრის ისტორიაში.

სპეც. ენტომოლოგიის კათედრის დამოუკიდებლად არსებობის განმავლობაში კათედრის წევრების მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები:

1. ჩვენი მეხილეობის ახალი მავნებელი—Magdalis nitidipennis Boh—პროფ. ბათიაშვილი და დოც. ბაღდავაძე, საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე", ტომი VII, 1946 წ.

2. ვაშლის ჩრჩილის (Hyponomeuta malinellus Zell.) ბიოლოგია-ეკოლოგია—ირ. ბათიაშვილი, საქ. მც. დაც. ინსტ., თბილისი, 1934 წ.

3. მღრღნელი მავნებლების წინააღმდეგ ქიმიური პრეპარატების გამოცდის შედეგები—ირ. ბათიაშვილი, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე", 1933 წ.

4. მებაღეობის მავნებლები და მათთან ბრძოლის მეთოდები—ირ. ბათიაშვილი, სოფ. მეურნ. მავ. წინააღმდეგ ბრძოლის სამხ. ინსტიტუტი, თბილისი, 1934 წ.

გარდა ზემოაღნიშნული შრომებისა, კათედრის წევრის (პროფ. ირ. ბათიაშვილის) თანაავტორობით გამოქვეყნებული იყო შემდეგი სახელმძღვანელოები ენტომოლოგიაში: 1930 წ.—„სოფლის მეურნეობის მავნებლები"; 1932 წ.—„სასოფ.-სამ. ენტომოლოგიის მოკლე კურსი".

1940—41 წ. სპეც. ენტომოლოგიის კათედრის წევრების—დოც. მ. ჭელიძის, დოც. გ. ყანჩაველის და პროფ. ირ. ბათიაშვილის მონაწილეობით და უკანასკნელის რედაქციით პროფ. კალანდაძესთან ერთად გამოქვეყნებული იყო 2 ტომიანი სახელმძღვანელო ენტომოლოგიაში.

გამოქვეყნებული შრომების გარდა კათედრის წევრების მიერ გამზადებულია დასაბეჭდად 12 შრომა, რომელთა ნაწილი (4) უკვე გადაცემულია დასაბეჭდად. კათედრის წევრთა მიერ სას.-სამ. ინსტიტუტის გარეთ დამუშავებული და გამოქვეყნებულია აგრეთვე 46 სხვადასხვა სახელწოდების სამეცნიერო შრომა და სამეცნიერო-პოპულარული ბროშურა ენტომოლოგიის დარგში. მათ შორის პროფ. ბათიაშვილის მიერ 25, დოც. ჭელიძის მიერ 9, დოც. ბაღდავაძის მიერ 3 და დოც. ყანჩაველის მიერ 10.

1945 წლიდან კათედრამ მოაწყო 4 ღია სხდომა, რომლებზედაც მოსმენილი იყო შემდეგი მოხსენებები:

1. პროფ. ბათიაშვილი—Magdalis nitidipennis—როგორც ჩვენი მეხილეობის ახალი მავნებელი.

2. პროფ. შჩერბინოვსკი—უდაბნოს კალია და მასთან ბრძოლა ინდოეთში, არაბეთსა და ირანში.

3. დოც. ჭელიძე—საქართველოში გავრცელებული მემარცვლიები.

4. დოც. ყანჩაველი—ენტომოლოგიური გამოკვლევების შედეგები რუსთავში.

ამის გარდა, საქ. მეცნ. აკადემიის და სასოფ.-სამ. ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო სესიებზე კათედრის წევრების მიერ წაკითხული იყო 3 მოხსენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კათედრის სხდომებზე, კათედრის თანამშრომლების მიერ ჩატარებული იყო 9 მოხსენება როგორც მეთოდიკური, ისე მეცნიერული ხასიათისა.

კათედრამ მოხსენებების გარდა ჩაატარა 2 ექსკურსია, ერთი შავი ზღვის სანაპიროზე და მეორე თბილისის მიდამოებში.

მიღწევებისა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით კათედრა კავშირშია მთელრიგ სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორიც არის, საქ. მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, მც. დაცვის საკავშირო ინსტიტუტი, ლენინგრადის სასოფ.-სამ. ინსტიტუტი (მც. დაც. ფაკულტეტი), უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვები.

კათედრასთან ჩამოყალიბებულია სტუდენტთა საგნის მოყვარულთა წრე. კათედრის წევრების ხელმძღვანელობით სტუდენტთა წრეში მუშავდება თემები, რომელთა შედეგები მოხსენებების სახით ტარდება როგორც ფაკულტეტის, ისე ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სტუდენტთა კონფერენციებზე.

კათედრის წევრები აქტიურ დახმარებას უწევენ ენტომოლოგიის დარგში როგორც სამეცნიერო-საკვლევ და სამეურნეო ორგანიზაციებს, ისე მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურების, კვებითი მრეწველობის, გემოვნების მრეწველობის, ჯანმრთელობის და სხვ. სამინისტროებს კონსულტაციებით, მოხსენებებით, ინსტრუქციების დამუშავებით, თათბირებზე მონაწილეობით, ადგილებზე გამგზავრებით და სხვ.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული წარმოებებთან და ეხმარება მათ. კათედრის მიერ ჩატარებული ზოგიერთი საკვლევი მუშაობის შედეგები საკმაოდ ფართოდ არის დანერგილი წარმოებაში. ასე, მაგალითად, როგორც მთელ საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ფართოდ არის გამოყენებული ბრძოლა ალკალოიდებით ჩრჩილების (ვაშლის, მენალმე, ხეხილის და სხვა), ოქროკუდას და სხვათა წინააღმდეგ (ირ. ბათიაშვილი).

ასევე ფართო გამოყენება ჰპოვა საქართველოში პარაზიტმა Aphelinus mali-მ, რომლის სასარგებლო მოქმედების შედეგად თვალსაჩინოდ განადგურდა ჩვენი მეხილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მავნებელი—ბურტყლა ტილი (ირ. ბათიაშვილი). ფართოდ არის დანერგილი ღონისძიებები აგრეთვე რინქიტების (ა. ბაღდავაძე) და ციტრუსოვან კულტურებზე ტკიპების (ირ. ბათიაშვილი) და მალარიის გადამტანი კოღოების წინააღმდეგ (გ. ყანჩაველი) და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის კათედრა

სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის კათედრა ჩამოყალიბდა 1931 წელს სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის სამხრეთ ინსტიტუტში („იუჟინბოვ").

1934 წ. „იუჟინბოვის", მცენარეთა დაცვის ფაკულტეტის სახით, სასოფ.-სამეურ. ინსტიტუტთან შეერთების შემდეგ კათედრა წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: დოც. ნ. ვ. ხაჭაპურიძე (კათედრის გამგე), დოც. ირ. დ. ბათიაშვილი (შეთავსებით), დოც. ს. ა. ქარუმიძე, ლექტ. გ. ჩაჩანიძე და ასისტ. ე. მ. ზაზუნოვა.

კათედრის წევრებს შორის დისციპლინების კითხვა განაწილებული იყო შემდეგნაირად: 1. დოც. ნ. ხაჭაპურიძე—სოფლის მეურნეობის მავნებელ. და ავადმყ. წინააღ. ბრძოლის ორგანიზაცია (რუსულ სექტორზე); 2. დოც. ირ. ბათიაშვილი—იგივე კურსი (ქართულ სექტორზე); 3. დოც. ს. ქარუმიძე—ინსექტოფუნგიციდების ქიმია; 4. დოც. ს. ქარუმიძე—ავიაქიმიური მეთოდი (მცენარეთა დაცვის საქმეში; 5. ლექტ. გ. ჩაჩანიძე—ავიაქიმიური მეთოდი (საწარმოო პრაქტიკა და თვითმფრინავების კონსტრუქცია); 6. ასისტ. ე. ზაზუნოვა—ლაბორატორ. მუშაობა ინსექტოფუნგიციდების ქიმიაში.

1935—36 სასწ. წელს აღნიშნული კათედრა გაერთიანებულ იქნა ფიტოპათოლოგიის კათედრასთან სახელწოდებით—ფიტოპათოლოგიის და სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის კათედრა, რომლის შემადგენლობაში, გარდა ზემოთ აღნიშნული პირებისა, შევიდნენ ფიტოპათოლოგები: პროფ. პ. ი. ნაგორნი, დოც. ლ. ა. ყანჩაველი, დოც. ე. მ. ერისთავი, ასისტ. ს. ი. ისარლიშვილი, ასისტ. ბ. ო. ვარდოსანიძე და ასისტ. ე. პ. ხაზარაძე.

1938 წ. ნოემბერში აღნიშნულ გაერთიანებულ კათედრას ცალკე გამოეყო სოფლის მეურნ. მავნებელ. და ავადმყ. წინააღ. ბრძოლის ორგანიზაციის კათედრა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: პროფ. ნ. ხაჭაპურიძე (კათედრის გამგე), დოც. ირ. ბათიაშვილი (შეთავსებით), დოც. ს. ქარუმიძე, ასისტ. ე. ზაზუნოვა, ლაბორ. მ. მაცაბერიძე და უფრ. პრეპარ. ლ. არჯევანიძე. 1943 წ. პროფ. ნ. ხაჭაპურიძის გარდაცვალების შემდეგ, კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ს. ქარუმიძე. 1942 წ. ლაბორ. მ. მაცაბერიძე გადაყვანილ იქნა სხვა სამუშაოზე და უფრ. პრეპარ. ლ. არჯევანიძე განთავისუფლებულ იქნა ავადმყოფობის გამო.

ამჟამად კათედრაზე მუშაობს 5 კაცი:—პროფ. ს. ქარუმიძე (კათედრის გამგე), ასისტ. ე. ზაზუნოვა, უფრ. ლაბორ. ს. ქურდიანი და ლაბორ. ე. ლაფანაშვილი. კათედრაზე დატვირთვა აქვს აგრეთვე პროფ. ირ. ბათიაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრაში შედის ორი დისციპლინა: ა) სოფლის მეურნეობის მავნებ. და ავადმყ. წინააღ. ბრძოლის ორგანიზაცია (კითხულობს პროფ. ირ. ბათიაშვილი) და ბ) ინსექტოფუნგიციდების ქიმია (კითხულობს პროფ. ს. ქარუმიძე). 1936 წლიდან კათედრასთან ჩამოყალიბდა ინსექტოფუნგიციდების ლაბორატორია და მოეწყო ბრძოლის ორგანიზაციის და ინსექტოფუნგიციდების კაბინეტი.

კათედრის წევრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სისტემატურად ტარდებოდა კათედრის ღია სხდომები, რომლებზედაც მოსმენილი იყო 19 მოხსენება. მოხსენებებს აკეთებდნენ როგორც კათედრის წევრები, ისე სხვა ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტებიც, მაგალითად, პროფ. შაპოვალოვი, დოქტორი ბლისსი (ამერიკელი სპეციალისტი) და სხ. გარდა ამისა კათედრის სხდომებზე მოხსენებები კეთდებოდა როგორც მეთოდური, ისე მეცნიერული ხასიათის საკითხებზე.

კათედრის წევრებიდან დისერტაცია დაიცვა მეცნიერების დოქტორის ხარისხზე სამმა კაცმა: ნ. ვ. ხაჭაპურიძემ (1940), ირ. დ. ბათიაშვილმა (1940) და ს. ა. ქარუმიძემ (1941). მივლინებული იყვნენ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებში: 1939 წ. პროფ. ნ. ხაჭაპურიძე, 1938 წ. დოც. ს. ქარუმიძე და 1940 წ. ასისტ. ე. ზაზუნოვა.

კათედრა დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობას, საგნის მოყვარულთა წრეებს და ფაკულტეტის აგროწრეს. კათედრის წევრთა ხელმძღვანელობით წრის წევრები ამუშავებდნენ გარკვეულ თემებს, რომელთა შედეგების შესახებ მოხსენებები კეთდებოდა ფაკულტეტის და ინსტიტუტის მიერ მოწყობილ სტუდენტთა კონფერენციაზე.

დღიდან დაარსებისა კათედრა ეწევა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას. დღევანდლამდე დამუშავებულია 15 თემა, რომელთა ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია ან გადაცემულია გამოსაქვეყნებლად. ზოგიერთი მუშაობის შედეგები გადაცემულია დასანერგავად, ან უკვე დანერგილია წარმოებაში. გარდა ამისა კათედრის წევრებმა გამოაქვეყნეს სამეცნიერო-პოპულარული სტატიები (სხვადასხვა ჟურნალში) და დამხმარე ლიტერატურა—დამხმარე სახელმძღვანელოების სახით (ცალკე) შემდეგი რაოდენობით: პროფ. ნ. ხაჭაპურიძემ—8 შრომა (1931—1941), პროფ. ირ. ბათიაშვილმა—2 შრომა (1932—1933) და პროფ. ს. ქარუმიძემ—9 შრომა (1935—1941).

აღნიშნული გამოქვეყნებული შრომებისა და სტატიების გარდა, კათედრის წევრების მიერ დაწერილია ცალკეული თავები ენტომოლოგიის 2 ტომიან სახელმძღვანელოში (1940—1941 წ. წ.), პროფ. ნ. ხაჭაპურიძის მიერ: ა) „სოფლის მეურნ. მავნებ. წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, ბ) „მავნე მღრღნელები და მათთან ბრძოლა"; პროფ. ს. ქარუმიძის მიერ—„მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური მეთოდი"; ასისტ. ე. ზაზუნოვას მიერ—„კეთილშობილი დაფნის მავნებლები".

კათედრის წევრებს გამოქვეყნებული აქვთ მთელი რიგი სტატიები აქტუალურ საკითხებზე ცენტრალურ (თბილისის) და რაიონულ გაზეთებში.

კათედრის წევრებს დამუშავებული აქვთ აგრეთვე სამეცნიერო თემების მნიშვნელოვანი რაოდენობა საქ. მცენ. დაცვის საკვლევ ინსტიტუტში, რომელთა შედეგების საკმაო ნაწილი დანერგილია წარმოებაში.

კათედრის წევრები სისტემატურ კონსულტაციას უწევენ, როგორც საუწყებო და ოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე საკვლევ და სხვა დაწესებულებებსაც სხვადასხვა კულტურის (ციტრუსების, ჩაის, ვაზის, ხეხილის, მარცვლეულის და სხვ.) მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამასთანავე შედგენილი იყო ინსტრუქციები არა მარტო მცენარეთა დაცვის საქმეში, არამედ სხვა დარგებშიაც, მაგალითად, საჯარო სამკითხველოსათვის—„წიგნების ფუმიგაცია ციანიდებით“ (ქარუმიძე), მსუბუქი მრეწველობის კომისარიატისათვის—„ფუმიგაცია აბრეშუმის პარკის მავნებლების წინააღმდეგ“ (ქარუმიძე, ზაზუნოვა) და სხვ.

საუწყებო ორგანოების დავალებით კათედრის წევრები ხშირად მიემგზავრებოდნენ რაიონებში—კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის დროს დახმარების გასაწევად. 1938 წლიდან დღევანდლამდე სხვა ორგანიზაციების დავალებით აღნიშნულია დაახლოებით კათედრის წევრების 50 გამგზავრება რაიონში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუბტროპიკული მეხილეობის კათედრა

როგორც ცნობილია, სასოფლო სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში, მეფის ხელისუფლების დროს, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის დისციპლინებს არ ექცეოდა არავითარი ყურადღება. ლექციებზე არც ერთი სიტყვით არ იხსენიებდნენ სუბტროპიკულ მიწათმოქმედებას და მემცენარეობას. სას.-სამ. უმაღლეს სასწავლებლებისათვის გამოშვებულ სახელმძღვანელოებში არც ერთი სტრიქონი არ ეთმობოდა სუბტროპიკულ მცენარეებს.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საკავშირო და რესპუბლიკურმა სადირექტივო ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საქართველოში მთელი რიგი სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების ფართოდ დანერგვას.

1925 წელს საკავშირო მთავრობამ გამოიტანა დადგენილება საქართველოს სსრ-ში ჩაის კულტურის განვითარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა მოთხოვნილება ჩაის საქმის მცოდნე აგრონომიულ კადრებზე. 1928-29 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მებაღეობის განყოფილებაზე შეაქვთ ენციკლოპედიური კურსი სახელწოდებით „სუბტროპიკულ და სხვა ძვირფას მცენარეთა კულტურა". კურსს კითხულობდა პროფესორი როლოვი. კურსის პროგრამაში შედიოდა არა მარტო სუბტროპიკული კულტურები, არამედ დეკორაციული, სამკურნალო და სხვა ძვირფასი მცენარეებიც. წამყვან კულტურებს—სუბტროპიკულ მეხილეობას, სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურებს და ჩაის ეთმობოდა სულ რამდენიმე საათი (4—6 საათი).

იმ დროს (1928 წ.) ლითოგრაფიული წესით გამოცემული პროფ. ა. როლოვის სახელმძღვანელო „სუბტროპიკულ და სხვა ძვირფას მცენარეთა კულტურა" მოიცავს 286 გვერდს. სუბტროპიკულ ხეხილოვან კულტურებს ამ სახელმძღვანელოში დათმობილი აქვს სულ 70 გვერდი, სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურებს—78 გვერდი, ჩაის კულტურას და ტექნოლოგიას მხოლოდ 52 გვერდი.

1929 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი გადაკეთდა—საქართველოს სას.-სამ. ინსტიტუტად. ამ ინსტიტუტის მებაღეობა-მეღვინეობის ფაკულტეტთან დაარსდა სუბტროპიკულ კულტურათა განყოფილება. 1930 წლის შემოდგომაზე საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის ზემოაღნიშნული განყოფილების ბაზაზე შეიქმნა სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამოსწავლო ინსტიტუტი, სადაც იმავე წელს დაარსდა სუბტრო-

პიკული მეხილეობის კათედრა, რომლის გამგედაც მოწვეული იყო ხერ-
სონის სას.-სამ. ინსტიტუტის მებაღეობის კათედრის გამგე პროფ. ტ. ყ. კვა-
რაცხელია, ხოლო ქართულ ენაზე ლექციების ჩასატარებლად — აგრონომი
მ. ვ. ტაბლიაშვილი. რუსულ სექტორზე პრაქტიკულ მეცადინეობას სუბტროპი-
კულ მეხილეობაში ატარებდა აგრონომი ეკიმოვი.

1934 წელს ლიკვიდირებულ იქნა აგრეთვე სუბტროპიკულ კულტურათა
სრულიად საკავშირო ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის ბაზაზე საქ. სას.-სამ.
ინსტიტუტთან დაარსდა სუბტროპიკულ კულტურათა ფაკულტეტი შემდეგი
განყოფილებებით: 1 სუბტროპიკული მცენარეების კულტურა (ყოფილი ჩაისა
და სუბტროპიკული მრავალწლიანი კულტურების ფაკულტეტი), 2. ახალი
სართავი და სხვა მინდვრის სუბტროპიკული კულტურები, 3. სუბტროპიკული
მცენარეების ტექნოლოგია, რომელიც წინათ იწოდებოდა მცენარეთა ტექნო-
ლოგიის ფაკულტეტად.

1936/37 სამოსწავლო წლის ბოლოს გაუქმდა სუბტროპიკულ კულტურა-
თა საკავშირო ინსტიტუტი სოხუმში და მისი სტუდენტები გადაყვანილ იქნენ
თბილისში სას.-სამ. ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე. 1937 1/IX-
დან სუბტროპიკული ფაკულტეტის დეკანად და სუბტროპიკული მეხილეობის კა-
თედრის გამგედ დანიშნული იყო პროფესორი კვარაცხელია.

სუბტროპიკული მეხილეობის კათედრის წევრთა რიცხვი გადიდდა 1938 წ.
ერთი უფროსი ლაბორანტით — ი. ქურდოვანიძე და 1939 წელს ერთი უმცრო-
სი პრეპარატორით — დ. რუსიშვილი.

1937 წლიდან დაიწყო კაბინეტის მომარაგება სასწავლო სახელმძღვანე-
ლოებით და სამეცნიერო კვლევითი მუშაობისათვის საჭირო ინვენტარით. სუბტრ.
მეხილეობის კურსი ამჟამად საკმაოდ უზრუნველყოფილია პრაქტიკული მეცა-
დინეობისათვის კაბინეტებით, სასწავლო სახელმძღვანელოებით და 1940 წელს
სუბტროპიკული მეხილეობის კათედრასთან დაწესდა კურსი „დეკორატიული
მემცენარეობისა", რომლის წაკითხვა დაევალა ამხ. აკ. კერესელიძეს, 1943
წელს კათედრასთან შემოღებული იყო კურსი „სუბტროპიკული მემცენარეობის
საფუძვლები" (სუბტროპიკული მცენარეების ბიოეკოლოგია).

1946 წლიდან, საქართველოს სას.-სამ. ინსტიტუტის მთავარი შენობის
განთავისუფლებისა და ფაკულტეტისა და კათედრის წინანდელ ბინაზე გა-
დასვლის შემდეგ, კათედრამ ისევ დაიწყო ზრდა.

კათედრასთან ეწყობა სუბტროპიკულ მცენარეთა ედაფური ფიტოეკო-
ლოგიის (ნიადაგისა და ფესვთა სისტემის ურთიერთ დამოკიდებულება)
სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია. ამასთან დაკავშირებით კათედრის შტა-
ტი გადიდდა ერთი დოცენტით (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდა-
ტი ნ. კვარაცხელია), ერთი ასისტენტით (ასპირანტურის კურს დამთავრებუ-
ლი მ. ხარებავა), ერთი უფროსი ლაბორანტით (აგრონომი უმაღლესი განათ-
ლებით მ. სინაურიძე-კობახიძე), ერთი ლაბორანტით (ე. რაზმაძე) და ერთი
პრეპარატორით.

1937—1938 სამოსწავლო წლამდე კათედრასთან არ მზადდებოდა ასპირან-
ტები. მხოლოდ კათედრის ერთ-ერთი წევრი — პროფესორი, სასოფლო-სამეურ-

ნეო მეცნიერების დოქტორი ტ. ყ. კვარაცხელია თავის მუშაობის ადგილზე (ანასეულსა და სოხუმში) ამზადებდა ასპირანტებს. თბილისში გადმოსვლის შემდეგ ეს სამუშაო მან გადაიტანა საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის სუბტროპიკული მეხილეობის კათედრაზე 1937 წლის შემოდგომიდან. ამ პერიოდში მან მოამზადა 14 ასპირანტი, მათ შორის 11-მა დაიცვა სადისერტაციო შრომა სოფლის მეურნეობის და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე.

ამჟამად კათედრასთან მზადდება 5 ასპირანტი. გარდა ამისა კათედრამ მისცა სამეცნიერო თემები უმაღლეს სას.-სამ. განათლების მქონე ლაბორანტებს და ზოგიერთ წარმოებაში მომუშავე აგრონომებს.

ლაბორატორიული მუშაობა სუბტროპიკულ მეხილეობაში

1936 წლამდე კათედრა არ აწარმოებდა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას. 1936 წელს კი კათედრის წევრმა ტაბლიაშვილმა კათედრის დავალებით დაიწყო სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ჩატარება ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში, მისი ძირითადი სამუშაოს ბაზაზე, შემდეგ თემებზე: 1. „მანდარინ უნშიუს სამრეწველო მნიშვნელობის კლონების გამოვლინება". 2. „პონცირუს ტრიფოლიატას ბიოლოგიური ჯგუფები". ამ თემების დამუშავება ამჟამად დასასრულს უახლოვდება.

კათედრის ასისტენტი ჯალაღანია 1936 წლიდან იქვე ამუშავებდა თემას— „ციტრუსების საძირეების სანამყენოებზე გავლენის შესწავლა", პროფ. კვარაცხელია 1914 წლიდან აწარმოებს მუშაობას ედაფურ ფიტოეკოლოგიაში (ნიადაგის არის გავლენა ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარებაზე მცენარის მიწისზედა ნაწილების პროდუქტიულობასთან დაკავშირებით). ამ მიმართულებით პროფ. კვარაცხელიამ გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები რუსულ და გერმანულ ენებზე. საქართველოს სას.-სამ. ინსტიტუტში ძირითად სამუშაოზე გადასვ-

ლის შემდეგაც პროფ. კვარაცხელიამ განაგრძო სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ამ მიმართულებით კათედრის სახელით და ამ მუშაობაში მთავარ ყურადღებას აქცევდა სუბტროპიკულ მცენარეებს.

ასისტენტი ქურდოვანიძე ატარებს სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას თემაზე: „ნუშის ხის კულტურის პერსპექტივები და მისი გაადგილება საქართველოში". მის მიერ შედგენილია მონოგრაფია ნუშის ხის კულტურაზე 5 საავტორო თაბახის მოცულობით. უფროსი ლაბორანტი რუსიშვილი ამუშავებს თემას: „ფსტის ხის კულტურის პერსპექტივები და მისი გაადგილება საქართველოში". დოც. ნ. კვარაცხელია ატარებს სამუშაოს თემაზე: „ნიადაგობრივი პირობები და ტუნგოს ხის ფესვთა სისტემის განვითარება".

პროფესორ კვარაცხელიას აქვს 75 დაბეჭდილი შრომა. აქედან კათედრასთან მუშაობის დროს გამოქვეყნებულია 21 შრომა. 1946 წლის სექტემბერს დასაბეჭდად ჩაბარებულია შრომა „სახელმძღვანელო სუბტროპიკულ მეხილეობაში", რომელიც შესდგება 75 საავტორო თაბახისაგან. ასისტენტმა ქურდოვანიძემ გამოაქვეყნა სამი სამეცნიერო შრომა, ასისტენტმა ჯალაღანიამ—სამი სამეცნიერო შრომა, დოც. ნ. კვარაცხელიამ ჩააბარა დასაბეჭდად სახელმძღვანელო სუბტროპიკული მეხილეობისა სას.-სამ. ტექნიკუმებისათვის 20 საავტორო თაბახის მოცულობით და მოამზადა დასაბეჭდად 4 სამეცნიერო პოპულარული ბროშურა თითოეული 5 საავტ. თაბახის მოცულობით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სუბტროპ. მეხილეობის კათედრა, ლიმმანტრესთან ხელშეკრულებით 1938 წლიდან 1940 წლამდე ატარებდა დიდ სამეცნიერო-საკვლევ და საწარმოო მნიშვნელობის სამუშაოს ლიმმანტრესტის ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებისათვის დიფერინცირებული აგროტექნიკის დასადგენად. სამუშაო 10 საბჭოთა მეურნეობაში დამთავრებულია და მოწონებული როგორც თბილისში, ისე მოსკოვში. დიდი სამამულო ომის მიზეზით შეჩერებული ეს სამუშაო, გაგრძელებული იქნება 1947 წელს.

კათედრის სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის მთელი რიგი მიღწევები დანერგილია წარმოებაში (დიფერინცირებული აგროტექნიკა, დარგვის წინა დამუშავება ნიადაგისა, მულჩირება და სხვა). სუბტროპიკული მეხილეობის კათედრა (კვარაცხელია) მონაწილეობას ღებულობდა კოლხიდის დაბლობის ათვისების გენერალური გეგმის შედგენაში და დაამუშავა აგროტექნიკური და აგრომელიორაციული ღონისძიებების გეგმა. კათედრის თანამშრომლები მონაწილეობენ სუბტროპიკულ ხეხილოვანი კულტურების აგროწესების შედგენაში, ცალკეულ საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული საკითხების დამუშავებაში, სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურებისათვის ფართობების გამოყოფაში და ა. შ.

გარდა ამისა, კათედრა აძლევდა თავის დასკვნებს მთელ რიგ სამეცნიერო სამუშაოებზე და საგამომგონებლო წინადადებებზე. კონსულტაციას უწევდა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს და სხვა სამეურნეო დაწესებულებებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაისა და სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კათედრა

1930 წლამდე ჩაისა და სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კურსი, სუბტროპიკულ მეხილეობასთან ერთად, იკითხებოდა ძლიერ შემოკლებით პროფ. ა. როლოვის მიერ, სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მებაღეობა-მევენახეობის დარგზე. სწარმოებდა მხოლოდ თეორიული სწავლება.

1930 წელს სას.-სამ. ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სუბტროპიკული ფაკულტეტი, სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურების კათედრით. აქ საგნის სწავლება შედარებით უფრო ფართო პროგრამით სწარმოებდა. ამ კათედრის პირველი გამგე იყო პროფ. პისარევი, რომელთანაც მუშაობდა ორი ასპირანტი: ტრ. თოდრაძე და ბ. კიბალჩიკი.

მრავალრიცხოვან სუბტროპიკულ ხეხილოვან და ტექნიკურ კულტურაოა ერთ დისციპლინად სწავლება არ შეესაბამებოდა მზარდ სოციალისტურ სუბტროპიკულ მეურნეობას. უკანასკნელმა მოთხოვნილება წამოაყენა უმაღლესი სასწავლებლის წინაშე ახალი კადრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მომზადების საქმეში.

1930—31 სამოსწავლო წელს, საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, სუბტროპიკულ კულტურათა კათედრა სას.-სამ. ინსტიტუტიდან გადმოვიდა ამ ინსტიტუტში. ეს კათედრა აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: 1. ჩაის კულტურა და სუბტროპიკული მეხილეობა და 2. სამკურნალო კულტურები. ეს დისციპლინები იკითხებოდა ცალ-ცალკე.

1931—32 სამოსწავლო წლის ბოლოს ლიკვიდირებულ იქნა საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტი, ხოლო 1934 წელს იგი კვლავ აღდგენილი იყო იმავე სახელწოდებით. ამ დროს სუბტროპიკული დარგი წარმოდგენილი იყო შემდეგი დისციპლინებით: ა) სუბტროპიკული მეხილეობა—პროფ. კვარაცხელია და დოც. ტაბლიაშვილი, ბ) ჩაის კულტურა—დოც. ზალდასტანიშვილი და გ) სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები—დოც. ხუციშვილი.

1935—36 სასწავლო წლამდე ყველა სუბტროპიკული კულტურა გაერთიანებული იყო სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურის კათედრასთან.

ჩაისა და სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კათედრა, როგორც დამოუკიდებელი კათედრა, გამოეყო სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურის კათედრას 1935—36 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

ამრიგად, ჩაისა და სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კათედრის დამოუკიდებლად არსებობის ისტორია იწყება 1935 წლის 3 ოქტომბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსების წელს ამ კათედრას ყავდა შემდეგი წევრები: 1. დოც. გიორგი ხუციშვილი 2. დოც. გრიგოლ ცქიტიშვილი, 3. დოც. ბიძინა იაკობაშვილი, 4. ასისტ. არტემ ნაჭყეპია და 5. ასისტ. ტრიფონ თოდრაძე.

შემდეგ წლებში კათედრის შემადგენლობა მნიშვნელოვნად იცვლებოდა დრო-გამოშვებით წინანდელ თანამშრომელთა წასვლის და მათ ადგილზე ახალ პირთა მოწვევის გამო.

1944 წელს გარდაიცვალა დოც. ხუციშვილი,რომლის შემდეგ კათედრის გამგედ დაინიშნა დოც. ცქიტიშვილი და მასვე დაევალა სუბ. ტექ. კულტურათა კურსის ხელმძღვანელობა როგორც ქართულ, ისე რუსულ სექტორზე.

ამჟამად ჩაისა და სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კათედრაზე შემდეგი წევრებია: 1. დოც. გრიგოლ სიმონის-ძე ცქიტიშვილი, კათედრის გამგე, სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კურსის ხელმძღვანელი სუბტროპიკულ ფაკულტეტზე; 2. დოც. ელენე კონსტანტინეს-ასული სვანაძე—სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურის კურსის ხელმძღვანელი ტექნოლოგიურ და მცენარეთა დაცვის ფაკულტეტებზე; 3. დოც. შალვა გიორგის-ძე ზალდასტანიშვილი—სუბტროპიკულ მცენარეთა და ეთერზეთოვანების კურსის ხელმძღვანელი აგრონომიულ ფაკულტეტზე; 4. დოც. თედორე ივანეს-ძე კეშელავა—ჩაის კულტურის კურსის ხელმძღვანელი სუბტროპიკულ ფაკულტეტზე; 5. დოც. ანტონ ივანეს-ძე გოგნიაშვილი—სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კურსში სუბტროპიკულ ფაკულტეტზე; 6. უფ. ლაბორანტი ქეთევან გაბრიელის-ასული ხუროშვილი; 7. ასპირანტი ელისაბედ კონსტანტინეს-ასული ოზიაშვილი; ამ უკანასკნელის გარდა კათედრაზე ასპირანტურის კურსი 1946 წ. დაამთავრა მ. ხარებავამ, რომელიც ამჟამად მუშაობს სადისერტაციო თემის საბოლოო გაფორმებაზე.

ჩაისა და სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კათედრასთან არსებობს ამავე კულტურების კაბინეტი, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ექსპონატით, დიაგრამებით და სხვა მოწყობილობით.

კათედრის მიერ დამზადებულ იქნა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლისათვის—„სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები", ტომი პირველი; „ეთერზეთოვანები"—ავტ. დოც. ხუციშვილი, გამოც. „ტექნიკა და შრომა", 1940 წ.

დოც. გ. ზ. ხუციშვილის მიერვე დაწერილია და სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული შრომები: „Кустовая культура камфорного лавра в Аджарии"; „Camellia sasanqua", Вестник СХИ Грузии, № 1, 1931 г.; „Краткие сведения о культуре Н. Зеландского льна на Батумском побережье", Батуми, 1931 г.; „Драцена и ее использование", Сов. суб., № 12, 1937 г.; Cardyline australis во влажных субтропиках", Вестник СХИ Грузии, № 2, 1939 г.; „Влияние удобрении на урожайность тунгового дерева", Совет. суб., № 2, 1938 г.; „ტუნგოს ხის მოსავლიანობის გადიდება", საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე", № 1, 1940 წ.; „Полевые формы тунга и их хозяйственное значение", Сов. суб., № 4, 1937 г.; „Лаковое дерево", Сов. суб., № 4, 1934 г.

1937/38 სასწ. წლიდან კათედრის მიერ ჩატარებულია 27 ღია სხდომა, რომლებზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები აქტუალურ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრამ დღიდან დაარსებისა მრავალი დახმარება გაუწია სხვადასხვა სამეურნეო და ოპერატიულ ხელმძღვანელ ორგანიზაციას კონსულტაციების, რაიონებში მივლინებების, მოხსენებებისა და სხვათა სახით. მათ შორის აღსანიშნავია:

1. ჩაის კულტურის, ციტრუსების, ტუნგოს, ევკალიპტების, გერანის, დაფნის, ვარდის და ბამბუკების აგროწესების შედგენაში უშუალო პრაქტიკული მონაწილეობა.

2. ლიმონის, ევკალიპტების ნარგავების შემოწმება დას. საქართველოში.

3. გერანის და ყაზანლიყის ვარდის კულტურის გაშენების შესაძლებლობის გამორკვევა აღ. საქართველოში.

4. ჩაის კულტურაში სოფ. მოწინავეთა მიღწევების დაჯამება-ლიტერატურილი გაფორმება.

5. აგროტექნიკუმისათვის მეჩაიობაში სასწავლო პროგრამის შედგენა.

6. საქართველოში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ისტორიის შედგენა ციტრუსოვან კულტურებში.

7. ზეთისხილის გამრავლების წესების შესახებ.

8. გერანის და ყაზანლიყის ვარდის აგროწესების შედგენა.

ამჟამად კათედრა აწარმოებს სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას შემდეგ თემებზე: 1. „გერანის მაღალზეთოვანი ფორმების მოსავლიანობა და ზეთის გამოსავალი აღ. საქ. პირობებში"; 2. „გერანის მაღალზეთოვანი ფორმების დაკალმების და კალმების დაფესვიანების წესები"; 3. „ყაზანლიყის ვარდის ბუჩქის გასხვლის სისტემა" და 4. „ცდების დაყენების მეთოდიკის გამომუშავება მრავალწლიანი სუბტროპიკული მერქნიანი ჯიშებისათვის".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოტანიკის კათედრა

1918 წ. 26 იანვარს (ძველი სტილით) გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. თავისი თარიღით იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით უადრესია, მაგრამ მაინც ოქტომბრის რევოლუციის პირმშო შვილია. ბევრმა იქნება არც კი იცის, რომ დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისში უნდა გადმოტანილიყო იურიევის უნივერსიტეტი. რასაკვირველია მაშინ უკვე გამოირიცხებოდა მეორე, ქართული უნივერსიტეტის არსებობა, მაგრამ დროებითი მთავრობის ღონისძიება ვეღარ განხორციელდა, რადგან ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ მოუსწრო და აქ შესაძლებელი იყო უნივერსიტეტის დაარსება. უნივერსიტეტი დაარსდა კერძო ინიციატივით, კერძო თანხებით. მტკიცე ბიუჯეტი მან 1921 წლიდან მიიღო. 1918 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტში გაიხსნა საქიმო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები. უკანასკნელად, 1919 წლის შემოდგომიდან, დაარსდა აგრონომიული განყოფილება, რომელიც 1921 წლის შემოდგომიდან გამოყოფილ იქნა ცალკე აგრონომიულ ფაკულტეტად.

უკვე 1918 წლის შემოდგომაზევე დაისვა საკითხი დაარსებულიყო ბოტანიკის კათედრა, მაგრამ პროფესორი ამ დარგისა ქართველთა შორის არ მოიპოვებოდა. საჭირო იყო რომელიმე დიდი მეცნიერის მოწვევა რუსეთიდან და მართლაც 1919 წლის დასაწყისშივე მოწვეულ იქნა აკადემიკოსი ს. ნავაშინი, მართლაც დიდი და უებრო მეცნიერი. მანამდე კი ბოტანიკის კათედრის ასისტენტად 1918 წ. შემოდგომიდანვე მოწვეულ იქნა ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა მეცნიერი ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ ე ქ ს ი ს-ძ ე ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი, რომელმაც საბუნებისმეტყველო განათლება მიიღო კიევის უნივერსიტეტში და კერძოდ ბოტანიკაში დასპეციალდა დიდ მეცნიერ ბოტანიკოს არნოლდისთან. არნოლდის მეცადინეობით ზ. ყანჩაველი დაშვებულ იქნა პრაქტიკანტად 1913 წ. ბოტანიკურ ბაღში, სადაც შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა ადგილობრივ ფლორას. 1914 წლიდან კი იგი იღებდა მონაწილეობას—„სამკურნალო მცენარეების მაძიებელ“ პარტიებში, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი გასცნობოდა ადგილობრივ მცენარეულობას.

ქართული ენის კარგად მცოდნემ (მან ქართული გიმნაზია დააამთავრა 1910 წელს) და ხალხში გაზრდილმა და დიდი ერუდიციის მქონემ თავიდანვე (ე. ი. ჯერ ისევ 1915 წლიდან) დიდი ყურადღება მიაქცია ქართული ტერმინოლოგიის საკითხს და მან 1918 წლისათვის ამ მხრივ უკვე მასალა მოიტანა, რამაც საშუალება მისცა პრაქტიკუმები თავიდანვე ქართულად ეწარმოებინა და თანდათან დაედგინა ბოტანიკური ტერმინოლოგია.

რასაკვირველია მნიშვნელობა ჰქონდა იმ მცირე მემკვიდრეობასაც, რომელიც ამ ხანებში მოგვეპოვებოდა. თბილისის ქართულ გიმნაზიაში (სათავადაზნაურო გიმნაზია) ბუნებისმეტყველებას ერთხანობამდე ქართულად ასწავლიდნენ ბუნებისმეტყველნი ს. გულისაშვილი და ს. იაშვილი. ამ მუშაობის შედეგად უკანასკნელმა ჯერ ისევ ძველად, 1910—1914 წლებში, დასწერა ქართულად ბუნებისმეტყველება და ბოტანიკის პატარა სახელმძღვანელო. შემდეგ, 1914 წლიდან, იქ ბუნებისმეტყველების სწავლებაც აიკრძალა ქართულად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პრიმიტივობისა, ამ ქართულ სახელმძღვანელოს უეჭველად ჰქონდა ერთგვარი მნიშვნელობა ქართული ტერმინოლოგიის ძიებასა და დადგენაში.

ზაქარია ყანჩაველი თავიდანვე უჩვეულო ენერგიით შეუდგა მუშაობას და არც კი შეუმჩნევია სრულიად, რომ პირველ ხანებში კათედრას თავისი გამგე არ ჰყავდა. მცირე ხნის განმავლობაში, 1919 წლის დასაწყისშივე, გამოიცა ქართულად: „გვიმრანაირ და ყვავილოვან მცენარეთა სარკვევი“ და „ყვავილოვან მცენარეთა დროს სახმარი რვეული“. ქართული ბოტანიკური თანამედროვე ლიტერატურაც თავის სათავეს აქედან იწყებს, აქ მოყვანილი და ნახმარი ტერმინი დღევანდლამდე უცვლელი რჩება. გარდა ამისა, პირველ სტუდენტებს ქართული უნივერსიტეტისა საშუალება მოგვეცა ქართულადვე ვზიარებოდით ბოტანიკის მეცნიერებასა.

გარდა ამისა ზაქარია ყანჩაველმა დიდი ყურადღება მიაქცია კათედრის შექმნას, კაბინეტის მოწყობას, რომლისთვისაც ერთი ოთახი იყო მიჩნეული და, ასე ვსთქვათ, ზურგით ზიდავდა ავეჯს და ხელსაწყოებს. როდესაც, 1919 წ. დასაწყისში (აპრილის 25-ს), აკადემიკოსი ს. ნავაშინი იქნა მოწვეული, კაბინეტი და კათედრა უკვე ძირითადად მოწყობილი დახვდა. ვინაიდან მუშაობა გაფართოვდა, საჭირო გახდა კიდევ ერთი ასისტენტის მოწვევა და 1919 წლის გაზაფხულის სემესტრშივე მოწვეულ იქნა ასისტენტად ე. ქიქოძე, რომელსაც საბუნებისმეტყველო და ბოტანიკური განათლება მიღებული ჰქონდა პეტერბურგის ქალთა უმაღლეს კურსებზე აკადემიკოს კომაროვის ხელმძღვანელობით.

აკადემიკოს ს. ნავაშინის ლექციები ბოტანიკაში ყოველთვის საკმაოდ დიდ აუდიტორიას იზიდავდა, მით უმეტეს, ლექციები ერთად ეკითხებოდა ბუნებისმეტყველებს, აგრონომებს და საექიმო ფაკულტეტის სტუდენტობას. მის მიერ პირველ ხანებში იკითხებოდა როგორც ბოტანიკის ძირითადი კურსი, ისე მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიაც (რამდენიმე ლექცია მცენ. ფიზიოლოგიაში წაიკითხა პროფ. მელიქიშვილმაც). ნავაშინის მიერ იქნა წაკითხული რამდენიმე ლექცია ფიტოპათოლოგიაშიც, მაგრამ რასაკვირველია ამ კურსებს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია, ხოლო 1920 წლის შემოდგომიდან, როდესაც თბილ. სახ. უნივერსიტეტთან გაიხსნა პარალელური სწავლება რუსულ ენაზე ამიერკავკასიის უნივერსიტეტის შემოერთების შემდეგ, უნივერსიტეტში მოწვეულ იქნენ ნ. ვორონიხინი ფოტოპათოლოგიის ლექტორად ოქტომბრის 5-დან და ვ. გ. ალექსანდროვი მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიის ლექტორად 23 ნოემბრიდან. ამავე დროს დაარსდა მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიის კათედრაც,

რომლის გამგედ ვ. ალექსანდროვი დაინიშნა. ამგვარად, 1920 წლის შემოდგომისათვის ბოტანიკის მეცნიერებანი ერთგვარად უკვე გარკვეულად ფესვნენ წარმოდგენილნი. ბოტანიკის კათედრის გამგედ იყო აკადემიკოსი ს. ნავაშინი, ასისტენტებად—ზ. ყანჩაველი და ე. ქიქოძე, მცენ. ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ ვ. ალექსანდროვი, ასისტენტად მოწვეულ იქნა ალექსანდროვა; ფიტოპათოლოგიაში—ნ. ვორონიხინი, რომელსაც შემდეგში ასისტენტობდა ო. ზედელმიერი.

1922/23 წლებში პედაგოგების მუშაობა იმდენად გაიზარდა, რომ ერთი ლექტორი და ასისტენტი ველარ ასდიოდა მუშაობას. ბოტანიკას ისმენდნენ: აგრონომიული, სატყეო, საბუნებისმეტყველო, საექიმო, ქიმიურ-ფარმაცევტიული ფაკულტეტებისა და განყოფილებათა სტუდენტები, რომელთა საერთო რიცხვი ამ ხანებში ათასს აღემატებოდა და კათედრა იძულებული იყო პრაქტიკუმების ხელმძღვანელობა მიენდო თავისი ლაბორანტებისათვის (ლ. ყანჩაველი, ნ. კეცხოველი, ქს. ცხაკაია), რომელთაც უხდებოდათ რასაკვირველია მრავალი სიძნელის დაძლევა, მაგრამ ამ შემადგენლობით კათედრა მუშაობას თითქმის ასდიოდა.

სტუდენტთა კონტინგენტში თანდათან მატულობდა ისეთი შემადგენლობა, რომელსაც უჭირდა რუსული სახელმძღვანელოების ხმარება. კათედრის წინაშე დაისვა საკითხი ქართული სახელმძღვანელოს შექმნისა და რაც შეიძლება მალე დაწერისა. რასაკვირველია იმჟამად ამ საქმეს ზაქარია ყანჩაველის მეტი ვერავინ შესძლებდა და ეს საქმეც მან იკისრა. წინასწარ საჭირო იყო დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება—ტერმინების შეკრება და დადგენა. ზ. ყანჩაველის მითითებით დაწყებულ იქნა შეკრება ხალხში არსებული ტერმინების, მცენარეთა სახელების, გადათვალიერებულ იქნა ძველი მემკვიდრეობა—ლექსიკონები, კარაბადინები და მთელი ამ მუშაობის უდიდესი ნაწილი ისევ ყანჩაველის მიერ იქნა შესრულებული. დამუშავდა რა ეს პირველადი მასალა იგი განხილულ იქნა უნივერსიტეტის სატერმინოლოგიო კომისიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ივ. ჯავახიშვილი და რომელშიაც მონაწილეობდნენ პროფ. ახვლედიანი, პროფ. აკ. შანიძე, პროფ. ა. ჯანელიძე და მაშინ ახალგაზრდა მეცნიერნი არ. ჩიქობავა, ვარ. თოფურია და სხვ. ამ კომისიამ საგრძნობლად დიდი მუშაობა ჩაატარა. ამის შემდეგ უკვე შესაძლებელი იყო სახელმძღვანელოს შესდგომოდნენ და 1926 წელს სტამბას ჩაჰბარდა ზაქარია ყანჩაველის მიერ დაწერილი და დამუშავებული ბოტანიკის ძირითადი კურსის სახელმძღვანელო ორ დიდ ტომად, რომელიც 1927 წელს გამოვიდა. სახელმძღვანელოს შემდგენელის წინაშე უეჭველად დიდი პრობლემა იდგა: მას უნდა გადაეწყვიტა საკითხი, როგორი კურსი უნდა შეედგინა, სპეციფიკური, რომელიმე ფაკულტეტისათვის, თუ ისეთი კომპლექსური ხასიათისა, რომელიც თანაბრად მისაღები იქნებოდა ყველა ფაკულტეტისათვის და ამავე დროს საკმაოდ მდიდარი მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიითაც. სავსებით სწორად შეჩერდა ავტორი ამ უკანასკნელ გეგმაზე, რაც შემდეგმა წლებმა გაამართლეს. ამ სახელმძღვანელოთი საკმაოდ მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ქართულ ბოტანიკურ მეცნიერებასა და ტერმინო-

ლოგიას. განსაკუთრებით ამ უკანასკნელს. შემდეგმა წლების მუშაობამ ცხადჰყო, რომ ამ სახელმძღვანელოში ხმარებული ტერმინები საკმარისად მყარია და სტაბილური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელოზე მუშაობა რასაკვირველია ამით არ შეჩერებულა და 1927 წელსვე გამოვიდა უკვე უნივერსიტეტის გამომცემლობით „თბილისის მიდამოების პირველი გაზაფხულის მცენარეულობა“, სარკვევი ნ. კეცხოველის მიერ დამუშავებული.

სამუშაო ძალიან ბევრი იყო, მომუშავენი კი მცირე, მით უმეტეს, რომ 1927 წლიდან ფიზიოლოგიის კათედრის გამგე ვ. ალექსანდროვი სტოვებს თბილისს და ფიზიოლოგიის კათედრასაც. ანატომია-ფიზიოლოგიის წამკითხველი უკვე თბილისში არავინაა და უნივერსიტეტის გამგეობა ამ კურსის წაკითხვასაც ბოტანიკის კათედრის გამგეს პროფ. ზ. ყანჩაველს ანდობს, ხოლო ანატომია-ფიზიოლოგიის ასისტენტობა ენდობა ქს. ცხაკაიას.

1925/27 წლებში კათედრის მუშაობის გაშლასთან ერთად საჭირო გახდა ახალ თანამშრომელთა მოწვევა და კათედრასთან ამ ხანებში იწყებს მუშაობას ასისტენტის თანამდებობაზე ლ. კემულარია-ნათაძისა, თ. სულაკაძე, ქ. აბესაძე (ეს უკანასკნელი მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგიაში) და აგრეთვე ასისტენტობა ეკისრება ნ. კეცხოველსაც.

პირველად 1927 წელს იქნა შემოღებული ბუნებისმეტყველთათვის განსაკუთრებული კურსი „ბოტანიკის რჩეული თავები“, რომელსაც ზ. ყანჩაველი ხელმძღვანელობდა. ამ კურსს ისმენდნენ მხოლოდ ბუნებისმეტყველები (ბიოლოგები, ქიმიკოსები, გეოგრაფები, გეოლოგები). ამით ეყრება საფუძველი ბოტანიკის დარგში დასპეციალებას. დანარჩენ ფაკულტეტთათვის თითქმის ერთნაირი კურსი იკითხება და დიფერენცირება არ არის.

ეს კურსი ამგვარად ჩამოყალიბდა: სალექციო—მც. მორფოლოგია (უმთავრესად ორგანოგრაფია), მც. სისტემატიკა (ტიპები: წყალმცენარენი, სოკოები, მღიერები, ხავსები, შიშველ თესლიანები და კაუსოთესლიანები). ლექციებზე ხდებოდა უმთავრესად ტაბულებისა და დიაგრამების დემონსტრაცია.

ამავე ხნის განმავლობაში კათედრამ ჩაატარა, რამდენიმე საგამოკვლევო მუშაობა.

1. ელ. ქიქოძე 1925—27 წლებში აგრძელებდა ატენის ხეობის მცენარეულობის შესწავლას.

2. ზ. ყანჩაველმა ჩაატარა კახეთის და კერძოდ შირაქის გამოკვლევა.

3. ნ. კეცხოველმა მოახდინა რამდენიმე ექსკურსია კავკასიონის ქედზე და დოღლაურის (ზემო ქართლი) ველზე.

ამ კვლევათა შედეგად პროფ. ზ. ყანჩაველმა გამოაქვეყნა „ზოგიერთი ახალი მცენარენი საქართველოს ფლორისათვის“, რომელშიაც აღწერა მეცნიერებისათვის სრულიად ახალი მცენარენი და შეადგინა წყალთა მეურნეობისათვის „შირაქის ველის მცენარეულობა“ და გეობოტანიკური რუკა.

ნ. კეცხოველმა ცალკე წიგნებად გამოაქვეყნა: 1. მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე 1928 წ., 2. სარეველა მცენა-

რენი 1924 წ. და დასწერა წყალოა მეურნეობის სამმართველოს დავალებით მათივე დავალებული კვლევის შედეგები: 1. დოღლაურის ველის მცენარეულობა გეობოტანიკური რუკით, 2. ტირიფონის ველის მცენარეულობა გეობოტანიკური რუკით და სხვანი (სულ 5 აღწერილობა).

ვინაიდან ზემოდასახელებული შრომანი მოითხოვდნენ ადგილობრივ კვლევათა ჩატარებას, ამიტომ ჩატარებულ იქნა ექსპედიციები უნივერსიტეტის კათედრის ხაზით: დოღლაურზე, ტირიფონზე, კახეთში და სხვაგან. ტირიფონის ექსპედიციაში 1928 წელს მონაწილეობას იღებდა აგრ. ფაკულტეტის სტუდენტი შ. ნახუცრიშვილი, ამჟამად დოცენტი და ბოტ. ინსტიტუტის უფროსი მეცნ. მუშაკი და საბუნებისმეტყველო ფაკ. სტუდენტი გიორგი ხარატიშვილი, ამჟამად დოცენტი, გეოლოგი.

1929—30 წლებში ცალკე ინსტიტუტად გამოიყო აგრ. ფაკულტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი და უნივერსიტეტი კი გადაკეთდა პედაგოგიურ ინსტიტუტად, სადაც ბოტანიკის კათედრებს განაგებდა პროფ. ზ. ყანჩაველი (სას.-სამ. ინსტიტუტში ფაქტიურად მუშაობდა ნ. კეცხოველი).

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების დღიდან 1932 წლამდე კათედრას განაგებდა პროფ. ზაქ. ყანჩაველი, ხოლო ლექციებს კითხულობდა და მუშაობას ხელმძღვანელობდა ნ. კეცხოველი, რომელიც სას.-სამ. ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრის გამგედ დაინიშნა 1932 წ. თებერვლიდან. თბილისის სუბტროპიკული ინსტიტუტის (კათედრის გამგე პროფ. დ. სოსნოვსკი) და ახალი სართავი კულტურების ინსტიტუტის (კათედრის გამგე ნ. კეცხოველი) გაუქმების შემდეგ ამ ინსტიტუტთა კათედრები შეუერთდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრას (გამგე ნ. კეცხოველი). კათედრას შემოემატნენ ახალი თანამშრომლები პროფ. დ. სოსნოვსკი, თუმაჯანოვი და სხვ. 1934 წელს დაიხურა ოზურგეთის ჩაის ინსტიტუტი და მისი ბოტანიკის კათედრაც (გამგე ნ. კეცხოველი) შეუერთდა სას.-სამ. ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრას. 1938 წელს დაიხურა რა თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი, მისი ბოტანიკის კათედრაც (გამგე პროფ. დ. სოსნოვსკი) და დენდროლოგიის კათედრა (გამგე დოც. ი. აბაშიძე) შეუერთდა სას.-სამ. ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრას. ამგვარად, სას.-სამ. ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრას შეუერთდა 4—5 კათედრა თავის დროზე მისგანვე გამოყოფილი. ამჟამად ბოტანიკის კათედრა აერთიანებს ბოტანიკის ძირითად კურსს, ბოტანიკის კურსს ტექნოლოგებისათვის და დენდროლოგიას. კათედრის შემადგენლობაში არიან აკად. ნ. კეცხოველი (ძირითადი კურსი), დოც., ბიოლოგიურ მეცნ. კანდიდატი ალ. ლორთქიფანიძე (ძირითადი კურსი) დოც., სოფლის მეურნეობის მეც. კანდიდატი ი. აბაშიძე (დენდროლოგია, ძირითადი კურსი), ასისტენტები—ელ. ვეზირიშვილი, იოსებ ბარნაბიშვილი, ქს. ახმეტელი, ელ. ავალიანი, ლაბორანტები—ეკატ. მანველოვა, რ. დემეტრაშვილი და სხვ.

კათედრამ თავისი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა მრავალი შრომა და დიდი დახმარება გაუწია მრავალ სხვადასხვა ორგანიზაციას კონსულტაციების და მითითებათა სახით.

ამჟამად კათედრა აგრძელებს რა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას აკადემიკოს ნ. ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით, მუშაობს ერთ ძირითად პრობლემაზე— „საქართველოს მცენარეულობის შესწავლა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრის ყველა წევრი ჩაბმულია ამ მუშაობაში:

დოც. ა. ლორთქიფანიძე მუშაობს „საქართველოს დაბლობის ტყეები“-ს შესწავლაზე.

დოც. ი. აბაშიძე—„საქართველოს ხეხილნარების და ძვირფასი მარდ მოზარდი ეგზოტური ჯიშების შესწავლა“.

ასისტ. ი. ბარნაბიშვილი—„მცენარეული საფარის ცვალებადობა აღმოსავლეთ საქართველოს ფიჭვნარებში“.

ასისტ. ე. ვეზირიშვილი—„აღმოსავლეთ საქართველოს ზღმარტლები“.

ასისტ. ქ. ახმეტელი—„საქართველოს ხურმები“.

ასისტ. ე. ავალიანი—„საქართველოს ტყემლები“.

მთელი კათედრა ეწევა აგრეთვე ინტენსიურ პედაგოგიურ-მეთოდურ მუშაობას. კათედრასთან არსებობს დენდროლოგიური მუზეუმი, რომელიც ყოველწლიურად მდიდრდება და ამ ხრივ განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწევიან დოც. ი. აბაშიძე და ასისტ. ე. ავალიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრა

სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის ჩამოყალიბება აგრონომიული ფაკულტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის—მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფ. გ. ნ. გეხტმანის სახელთან არის დაკავშირებული. სრული, დოკუმენტალური მონაცემები, განსაკუთრებით პირველ წლებში კათედრის მუშაობის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებული ცნობები მიღებული როგორც პირველადი წყაროს, ისე კათედრაზე იმთავითვე მომუშავე პირთა საშუალებით საკმაოდ დამაჯერებელ სურათს გვაძლევს კათედრის მიერ ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე განვლილი გზის შესახებ.

თავდაპირველად კათედრა „სოფლის მეურნეობის ეკონომიის" სახელწოდებით, დაარსებულ იქნა 1920 წელს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აგრონომიულ განყოფილებასთან და ამ ხნიდან იწყება იმავე სახელწოდების კურსის კითხვა. საგანს ხელმძღვანელობს ლექტორად მოწვეული გ. ნ. გეხტმანი. შემდგომ პერიოდში კათედრის მუშაობაში მრავალ ცვლილებას აქვს ადგილი, როგორც პირადი შემადგენლობის და კათედრაში შემავალ დისციპლინათა რიცხვის, ისე მუშაობის შინაარსის მხრივ, რაც გამოწვეული იყო ჩვენი სოფლის მეურნეობაში მომხდარი ცვლილებებით. პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა მუშაობამ სოფლის მეურნეობის სოციალური და ტექნიკური რეკონსტრუქციის დარგში ახალი ამოცანები დააყენა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის წინაშე და მის მუშაობას ახალი შინაარსი მისცა. დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული გამოსვლა აგრარიკოს-მარქსისტთა საკავშირო კონფერენციაზე და მის მიერ შემდგომ სოციალისტურ სას.-სამეურნეო წამოწყებათა შესახებ მოცემული მითითებანი საფუძვლად დაედო ამ მიმართულებით წარმოებულ თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას.

როგორც ცნობებიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კურსში პირველ ხანებში შედიოდა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაც. ეს დასტურდება იმ გარემოებით, რომ 1921 წელს გ. გეხტმანი აყენებს საკითხს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის საბჭოს წინაშე სოფლის მეურნეობის ეკონომიის კურსიდან სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გამოყოფის შესახებ, ისე როგორც ეს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის უმაღლეს სას.-სამეურნეო სასწავლებლებში იყო. აღნიშნული წინადადება საბჭოს მიერ მიღებულ იქნა; ამ დისციპლინის წაკითხვა დაევალა აგრონომიული ფაკულტეტის ლექტორს ი. ლომოურს, მაგრამ აღნიშნული გადაწყვე-

ტილება ცხოვრებაში არ გატარებულა. 1924 წლამდე ეს კურსი არ იკითხებოდა. 1924 წელს აგრონომიული ფაკულტეტის საბჭომ მისი წაკითხვა დაავალა ჰალეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, ფილოსოფიის დოქტორს ნ. იოსელიანს, რომელიც ხელმძღვანელობდა მას 1928 წლამდე.

1922 წლიდან იკითხებოდა აგრეთვე სტატისტიკის კურსი (გ. გეხტმანი). მეცნიერული კადრების სიმცირის გამო უნივერსიტეტი აწარმოებდა ახალგაზრდა მუშაკების დატოვებას კათედრებზე. 1925 წელს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრაზე დატოვებული იყო ი. ჯაში; მასვე 1926 წლიდან დაევალა ასისტენტის მოვალეობის შესრულება. 1925—1929 წლამდე მომზადებულ იქნა სამი მეცნიერული მუშაკი, მათ შორის ი. ლ. ჯაში და ნ. ს. იაშვილი.

აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე სას.-სამ. ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნილება მეცნიერული მუშაკების მიმართ სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში; 1930—32 წ.წ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში ასპირანტად დატოვებულ იქნა 6 კურსდამთავრებული.—მათ შორის: პ. მ. ჟღენტი, ს. პ. ნიკოლაიშვილი, ა. მ. ბუჩუკური, გ. ვ. მეუნარგია და სხვ. შემდგომ წლებში ასისტენტებად მუშაობდნენ გ. კუპრეიშვილი და ი. ორაგველიძე.

ამავე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან დარგობრივი ინსტიტუტების გამოყოფასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრები არსდება: სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტში (თბილისში), ჩაის საკავშირო ინსტიტუტში (მახარაძეში), სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტში (სოხუმში) და მც. დაცვის ინსტიტუტში (თბილისში). ამ კათედრებს აღნიშნულ ინსტიტუტებში ხელმძღვანელობდნენ სას.-სამ. ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის წევრები. 1929—1931 წლებში დასახელებული კათედრები ითვლიდა 20 წევრს (მათ შორის იყვნენ პროფ. გეხტმანი, პროფ. ტიმოფეევი, დოც. ჯაში, დოც. იაშვილი და სხვ.).

1929—30 წელს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კათედრას პროფ. ს. ტიმოფეევი ხელმძღვანელობდა. 1931—1934 წლამდე სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრას ი. ჯაში ხელმძღვანელობდა. 1934 წლიდან სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კურსები გაერთიანებულ იქნა და ამრიგად შეიქმნა ერთი კათედრა „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ სახელწოდებით. 1937 წლიდან კათედრის გამგედ დოც. შ. მეგრელიძე დაინიშნა, ხოლო 1942 წლიდან დოც. ი. ჯიში.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ციკლის საგნებიდან სხვადასხვა დროს იკითხებოდა შემდეგი: 1. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2. სოც. სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 3. საორგანიზაციო გეგმის შედგენის მეთოდიკა, 4. სას.-სამეურენო კოოპერაცია, 5. საზოგადოებრივი აგრონომია, 6. საკოლმეურნეო მშენებლობა და აგროპოლიტიკა (შემდეგში აგროპოლიტიკის ნაცვლად შემოღებულ იქნა აგროტექპროპაგანდა), 7. სას.-სამეურნეო დარაიონება, 8. საკოლმეურნეო მშენებლობა, 9. აღრიცხვა-ანგარიშიანობა (1933 წლიდან), 10. სას.-

სამეურნეო სტატისტიკა, 11. სახალხო მეურნეობის დაგეგმვა (აგროეკონომიური ფაკულტეტის არსებობის დროს).

1937 წლიდან კათედრაში გაერთიანებულია შემდეგი დისციპლინები: 1. სოც. სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ეკონომიკის საფუძვლებით, 2. აღრიცხვა-ანგარიშწარმოება, 3. სას.-სამ. სტატისტიკა, 4. საქარხნო-საფაბრიკო წარმოების ორგანიზაცია და ეკონომიკა. ამჟამად დგას საკითხი სოფლის მეურნეობის ეკონომიის ცალკე დისციპლინად გამოყოფის შესახებ.

კათედრა ამჟამად ემსახურება შემდეგ ფაკულტეტებს: სოც. სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის დისციპლინაში: სუბტროპიკულ, მებაღეობის (ი. ჯაში), აგრონომიულ, მც. დაცვის და მექანიზაციის (პ. ჟღენტი), მეაბრეშუმეობის (ნ. იაშვილი), სას.-სამ. სტატისტიკასა და ანგარიშწარმოების საგანში ყველა ფაკულტეტს (ნ. ლაჭყეპიანი), მრეწველობის ეკონომიკასა და წარმოების ორგანიზაციაში ტექნოლოგიურ ფაკულტეტს (მ. ასათიანი). ასისტენტებად სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში მუშაობენ: გ. მეუნარგია, გ. კუპრეიშვილი და ს. აბრამიანი, ანგარიშწარმოებაში—გ. სალუქვაძე.

კათედრის დღევანდელი შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1. დოც. ივანე ლეონტის-ძე ჯაში, კათედრის გამგე, 2. დოც. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ლაჭყეპიანი, 3. დოც. ნიკოლოზ სოლომონის-ძე იაშვილი, 4. დოც. პეტრე მაქსიმეს-ძე ჟღენტი, 5. დოც. მიხეილ ალექსანდრეს-ძე ასათიანი, 6. ასისტ. გრიგოლ ვლადიმერის-ძე მეუნარგია, 7. ასისტ. სუსანა შამირის-ას. აბრამიანი, 8. ასისტ. გიორგი კუპრეიშვილი, 8. ასისტ. გერონტი პლატონის-ძე სალუქვაძე, 10. უფრ. ლაბორ. შუშანიკ ჩხიკვიშვილი.

სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის საკითხს იმთავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა კათედრა, რის შემდეგ ამაღლდა კათედრის წევრთა სამეცნიერო-პედაგოგიური კვალიფიკაცია. 1930 წელს დოცენტებად დამტკიცებულ იყვნენ: ი. ჯაში და ნ. იაშვილი, 1932 წელს—ნ. ლაჭყეპიანი, 1937 წელს—პ. ჟღენტი, 1938 წელს—შ. მეგრელიძე, ხოლო 1946 წელს მ. ასათიანი და შ. ჭელიძე.

დისერტაცია დაიცვეს და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭათ: დოც. პ. ჟღენტს (1937 წ.), დოც. შ. მეგრელიძეს (1939 წ.), დოც. ნ. ლაჭყეპიანს, დოც. ი. ჯაშს და დოც. ნ. იაშვილს (1940 წ.), დოც. შ. ჭელიძეს (1941 წ.) და დოც. მ. ასათიანს (1942 წ.). 1946 წელს დოქტორის სამეცნიერო ხარისხზე დისერტაცია დაიცვა ი. ჯაშმა, რომელსაც ინსტიტუტის საბჭომ მიანიჭა ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის სამეცნიერო წოდება. ამჟამად მუშაობენ საკანდიდატო თემებზე ასისტენტები გ. მეუნარგია, გ. კუპრეიშვილი და ს. აბრამიანი; სადოქტორო თემებზე დოცენტები: ნ. იაშვილი, ნ. ლაჭყეპიანი და პ. ჟღენტი.

კათედრა სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას თავიდანვე აწარმოებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ 1936 წლის შემდგომი პერიოდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში კათედრის წევრებს დამუშავებული აქვთ 85-ზე მეტი სამეცნიერო თემა, რომელთაგან 52 გამოქვეყნებულია.

კათედრის ¹ ერ დამუშავებული თემებიდან აღვნიშნავთ შემდეგს:

1. წამოწყებათა სიდიდის საკითხი სოფლის მეურნეობაში (დოცენტი ი. ჯაში), 1926 წ.

2. თესლბრუნვების ორგანიზაციის საკითხისათვის (დოცენტი ნ. იაშვილი), 1932 წ.

3. საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისათვის (დოცენტი ნ. იაშვილი), 1933 წ.

4. ხაშურის რაიონის თესლბრუნვების აგროეკონომიური შეფასება, სადისერტაციო შრომა (დოც. პ. ჟღენტი), 1937 წ.

5. სას.-სამეურნეო წამოწყებათა ისტორიისათვის საქართველოში. სადისერტაციო შრომა (დოც. ნ. ლაჭყეპიანი), 1940 წ.

6. საბჭოთა მეურნეობანი საქართველოს სსრ-ში (დოცენტი ნ. ლაჭყეპიანი), 1945 წ.

7. დამხმარე დარგების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში (დოცენტი შ. მეგრელიძე).

8. მოწინავე კოლმეურნეობა (შ. მეგრელიძე).

9. მმართველობის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში (შ. მეგრელიძე).

10. სწორი თესლბრუნვის შემოღების ზოგიერთი საკითხი საქართველოს კოლმეურნეობებში (დოც. პ. ჟღენტი და აგრ. ნ. ავალიშვილი), 1940 წ.

11. ტერიტორიის ორგანიზაციის საკითხისათვის მრავალწლოვან ნარგავთა პირობებში. სადისერტაციო შრომა (ი. ჯაში), 1940 წ.

12. შრომის ორგანიზაცია მევენახეობის კოლმეურნეობებში. სადისერტაციო შრომა (შ. ჭელიძე), 1941 წ.

13. სავარგულო მიწების დახასიათებისათვის საქართველოში (დოცენტი ნ. იაშვილი), 1945 წ.

14. საქართველოს ჩაის მზა პროდუქციაზე ნედლეულის არსებული კონდიციის გავლენის ეკონომიური ანალიზისათვის (დოც. მ. ასათიანი), 1946 წ.

15. შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის ჩაის კრეფაზე (დოცენტი მ. ასათიანი), 1943 წ.

16. საქართველოს სსრ-ის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები. სადისერტაციო შრომა (დოც. ი. ჯაში), 1946 წ.

17. მუხრანის საბჭოთა მეურნეობის საწარმოო-საორგანიზაციო გეგმა (დოც. ი. ჯაში და დოც. პ. ჟღენტი), 1941 წ.

აღნიშნულ შრომებს თეორიულ ინტერესთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ. მეცნიერულ-მეთოდიკური თვალსაზრისით უფრო მეტ ინტერესს დასახელებული სადისერტაციო შრომები იწვევენ. თესლბრუნვების პროექტირებასთან დაკავშირებით გამოყენებულია ზემოაღნიშნული ორი შრომა. კათედრის წევრთა მიერ შედგენილი მრავალი საორგანიზაციო გეგმის საფუძვე-

ლზე მოხდა კულტურების გაადგილება და მთლიანი ტერიტორიის და წარმოების ორგანიზაცია. ამჟამად კათედრა მონაწილეობას იღებს აგრონომიულ-ფაკულტეტის კომპლექსური თემის: „აღმოს. საქართველოში ბალახმინდვრების თესლბრუნვის მაღალმოსავლიანი აგროკომპლექსის შესწავლასა“ და „მთიანეთის მიწათმოქმედების პრობლემის“ დამუშავებაში.

სახელმძღვანელოს უქონლობა განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა სოც. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დისციპლინაში. აქამდე რუსულ ენაზე და მით უფრო ქართულ ენაზე არ მოიპოვება სტაბილური სახელმძღვანელო. ამ მდგომარეობის შემსუბუქებისა და სტუდენტთათვის დახმარების გაწევის მიზნით კათედრამ: 1. გადათარგმნა რუსული ენიდან დამხმარე სახელმძღვანელო, დოც. ლოზას წიგნი—„Организация социалистических сельскохозяйственных предприятий“, პრაქტიკული მეცადინეობისათვის; 2. დაამუშავა ხელნაწერის სახით სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის რამდენიმე თავი 14 თაბახის მოცულობით (დოცენტები: ჯაში, ჟღენტი, ლაჭყეპიანი, მეგრელიძე); 3. დაამუშავა დამხმარე სახელმძღვანელო სოც. სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში, 30 თაბახის მოცულობით (ი. ჯაში).

კათედრის საქმიანობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინსტიტუტს გარეთ მუშაობას. მას თავიდანვე ცოცხალი კავშირი ჰქონდა დამყარებული სამეურნეო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და სოციალისტურ სას.-სამ. წამოწყებებთან. ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში, როგორც სამეურნეო-საწარმოო, ისე სასწავლო-პედაგოგიურ სფეროში, რომელშიაც უახლოესი მონაწილეობა არ მიეღოს კათედრის წევრებს.

კათედრა სისტემატურ დახმარებას უწევდა და უწევს სამეურნეო ორგანიზაციებს ცენტრსა და რაიონებში (მიწათმოქმედების და კვების სამინისტროებს, სამტრესტს, ლიმმანტრესტს, შამპანკომბინატს, „საქართველოს ჩაის“ და სხვ.). სადირექტივო ორგანოების დავალების შესაბამისად კათედრის წევრები მეტად საპასუხისმგებლო მუშაობას აწარმოებენ მელიორაციის დარგში (კოლხიდის პრობლემა, სამგორი და სხვ.), საორგანიზაციო გეგმების შედგენის დარგში სოც. სას.-სამ. წამოწყებათათვის და მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის საკითხებში. კონსულტაციას უწევდა აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებს, მაგ., ჩაის და სუბტროპ. კულტურათა ინსტიტუტს, მევენახეობის ინსტიტუტს—სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში, აგრეთვე აჯამეთის საცდელ სადგურს (გენგეგმის შედგენა), ცენტრალურ რესპუბლიკურ სელექციურ სადგურს (საორგანიზაციო გეგმის შედგენა), სას.-სამეურნეო ტექნიკუმებს—სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სწავლების დაყენების დარგში (მეთოდიკური მითითებანი, კაბინეტის მოწყობა, კურსის ცალკე თავების წერილობით დამუშავება და სხვ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვებასთან დაკავშირებით პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წ. 14 ნოემბრის დადგენილების თანახმად 1939—40 სასწავლო წლის დამდეგს ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამეურნეო ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა. კათედრის გამგედ დამტკიცებულ იქნა დოც. ა. ქუთელია, მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორად—დოც. გ. მეგრელიშვილი, უფრ. მასწავლებლებად—ვ. ობოლაძე, გ. პატარაია, აპ. დოჭვირი, კ. ქავთარაძე და ს. ბერაძე. კათედრის წევრებმა 1939—40 სასწ. წელს მოამზადეს მეცნიერული მოხსენებები შემდეგ თემებზე:

1. დოც. ალ. ქუთელია—„მარქსიზმის ფილოსოფიური წინამორბედნი".
2. „ „ „პლეხანოვის ბრძოლა ქართველი ანარქისტების წინააღმდეგ" (დაიბეჭდა ჟურ. „ბოლშევიკის" № 2-ში 1940 წ.)
3. „ „ „ლენინის წიგნი—მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".
4. „ „ „მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი ნიშნები".
5. დოც. გ. მეგრელიშვილი—„სტალინის ბრძოლა ლეგალურ მარქსისტების წინააღმდეგ საქართველოში და ამიერ-კავკასიაში".
6. „ „ „ალ. წულუკიძე, როგორც ეკონომისტი".
7. „ „ „მარქსი და კლასიკური პოლიტიკური ეკონომია".
8. „ „ „ალ. წულუკიძე კაპიტალიზმის დროს მუშათა კლასის გაღატაკების შესახებ".
9. უფრ. მასწ. ვ. ობოლაძე—„ლენინის შრომა—მეორე ინტერნაციონალის კრახი".
10. „ „ „პარტიის X ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა".
11. უფრ. მასწ. გ. პატარაია—„ლენინის შრომა—სახელმწიფო და რევოლუცია".

1939—40 სასწავლო წელს კათედრამ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა მარქსიზმ-ლენინიზმის სასწავლო კაბინეტი. კაბინეტთან მოეწყო ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების გამოფენა. კაბინეტისათვის შეძენილ იქნა სასწავლო დამხმარე მასალები (წიგნები, ალბომები, დიაგრამები, რუკები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა).

1939—40 სასწ. წლის განმავლობაში კათედრა დიდ მუშაობას ეწეოდა სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. ამ მიზნით აწყობდა საჯაროლექციებს, მოხსენებებს, თემატიკურ გამოფენებს და ექსკურსიებს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში.

კათედრა სერიოზულ დახმარებას უწევდა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის საქმეში. მათთვის სისტემატურად აწყობდა ლექციებს, თემატიკურ კონსულტაციებს და თეორიულ კონფერენციებს. აგრეთვე დიდი დახმარება გაუწია ინსტიტუტის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის გაშლაში. 1940—41 სასწავლო წლის დასაწყისში დოც. ალ. ქუთელიას სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო კათედრის გამგედ დამტკიცებულ იქნა უფრ. მასწ. ვ. ობოლაძე, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორებად—მ. მაჩაიძე, ნ. ღარიბაშვილი, დ. ჩიკვაიძე, კ. ქავთარაძე, გ. პატარაია, აპ. დოჭვირი და კ. აქბარდია (კაბინეტის გამგე).

1940—41 სასწ. წელს კათედრის წევრები მუშაობდნენ სამეცნიერო (სადისერტაციო) თემებზე: 1. მ. მაჩაიძე—ამხანაგ სტალინის მოძღვრება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. მ. მაჩაიძემ ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა კათედრის საჯარო სხდომაზე; 2. ნ. ღარიბაშვილი—ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში; 3. დ. ჩიკვაიძე—ლენინისა და სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ; 4. კ. ქავთარაძე—ლენინისა და სტალინის მოძღვრება კომუნიზმის შესახებ; 5. ვ. ობოლაძე—ლენინისა და სტალინის მოძღვრება ომებისა და არმიების შესახებ; 6. გ. პატარაია—ლენინის შრომა—მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა; 7. ა. დოჭვირი—1929—1933 წ.წ. პირველი მსოფლიო ეკონომიური კრიზისი.

1940—41 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკურ პრესაში (ჟურ. „პარტიული მშენებლობა" და „ბოლშევიკი") გამოქვეყნებულ იქნა კათედრის წევრთა სამი სტატია. კათედრის წევრები სისტემატურად კითხულობდენ ინსტიტუტში, აგრეთვე ინსტიტუტს გარეთ, საჯარო ლექციებს და მოხსენებებს. ასე, მაგალითად, წაკითხულ იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: 1. მარქსიზმის ფილოსოფიური წინამორბედნი, 2. მატერიალიზმი და იდეალიზმი, 3. მარქსისტული დიალექტიკის ძირითადი ნიშნები, 4. ლენინისა და სტალინის მოძღვრება ახალი ტიპის პარტიის შესახებ, 5. ლენინის შრომა—სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში, 6. ბურჟუაზიული და კომუნისტური მორალი, 7. ენგელსის ცხოვრება და მოღვაწეობა და სხვა.

კათედრამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა ინსტიტუტის სტუდენტთა შორის. ინსტიტუტის მოწინავე, სწავლის ფრიადოსანი სტუდენტები მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორთა დახმარებით, ლენინისა და სტალინის შრომების ღრმად შესწავლის საფუძველზე, ამზადებდნენ რეფერატებს, რომელთა წაკითხვა ხდებოდა საჯაროდ სტუდენტებთან. სტუდენტთა მიერ მომზადებულ იქნა 7 რეფერატი შემდეგ თემებზე: 1. ლენინი ფილოსოფიის პარტიულობის შესახებ—სტ. დ. ჭანტურია; 2. სოციალიზმი და კომუნიზმი—სტ. ნ. კვირკველია; 3. ლენინისა და სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ—

სტ. ლ. კვარაცხელია; 4. ლენინი და სტალინი ახალი ეკ. პოლიტიკის შესახებ — სტ. ნ. ფილაშვილი; 5. ლენინიზმის ისტორიული ფესვები—სტ. პ. ქორიძე; 6. ამხანაგ სტალინის შრომა—მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი—თ. გოგ[illegible]ძე; 7. რას გვასწავლის საკ. კ. პ. (ბ) ისტორია—ნ. გაიმარჯვაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტი სასწავლო წლის განმავლობაში დიდ დახმარებას უწევდა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლის საქმეში. კაბინეტი სისტემატურად აწყობდა ლექციებს, მოხსენებებს, თეორიულ კონფერენციებს, ჯგუფურ კონსულტაციებს და თემატიკურ ექსკურსიებს.

1941—42 სასწ. წლის დასაწყისში ამხ. ვ. ობოლაძის წითელი არმიის რიგებში გაწვევის გამო კათედრის გამგედ დამტკიცებულ იქნა გ. მეგრელიშვილი. ამავე სასწავლო წელს ინსტიტუტში მარქსიზმ-ლენიზმის ლექტორებად მუშაობენ: მ. მაჩაიძე, ნ. ღარიბაშვილი, კ. ქავთარაძე, კათედრის ასისტენტად— გ. შუშანაშვილი, კაბინეტის გამგედ—კ. აქბარდია.

1941—42 სასწავლო წელს კათედრამ თავისი მუშაობა გარდაქმნა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მოთხოვნებთან დაკავშირებით. კათედრის წევრებმა მოამზადეს მეცნიერული მოხსენებები თემებზე: 1. კ. ქავთარაძემ— ლენინისა და სტალინის მოძღვრება სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ; 2. დოც. გ. მეგრელიშვილმა—გერმანელი ფაშისტები მშრომელი გლეხების უბოროტესი მტრებია (შრომა გამოქვეყნდა ჟურ. „ბოლშევიკში"); 3. მანვე—ფაშიზმი და მუშათა კლასი; 4. ასისტ. კ. აქბარდიამ—ფაშიზმის „იდეოლოგია".

1941—42 სასწავლო წელს კათედრამ მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირა სამამულო ომის მოთხოვნებს. კათედრის წევრები როგორც ინსტიტუტში, ისე ინსტიტუტს გარეთ—წარმოება-დაწესებულებებში, წითელი არმიის ნაწილებსა და ჰოსპიტლებში სისტემატურად კითხულობდნენ ლექციებს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისა და თეორიის, საერთაშორისო მდგომარეობის და მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

1942—43 სასწ. წლის დასაწყისში დოც. გ. მეგრელიშვილი მოსკოვში პოლიტიკური ეკონომიის დოქტორანტურაში ჩარიცხვის გამო განთავისუფლდა კათედრის გამგის თანამდებობიდან და კათედრის გამგედ კვლავ დამტკიცებულ იქნა დოც. ა. ქუთელია. 1942—43 სასწ. წელს ინსტიტუტში მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორებად მუშაობდნენ ამხანაგები:—მ. მაჩაიძე, ნ. ღარიბაშვილი, კ. ქავთარაძე, ასისტენტად გ. შუშანაშვილი.

კათედრის გამგემ დოც. ა. ქუთელიამ დასწერა სტატია თემაზე—შემეცნების მარქსისტული თეორიის ზოგიერთი საკითხი. სტატია დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში" № 3, 1943 წ. მანვე მოამზადა და ცალკე წიგნად გამოსცა პლეხანოვის შრომა „როგორც ქუხს, ისე არ წვიმს", რომელსაც წარუმძღვარა წინასიტყვაობა და შენიშვნები.

კათედრის წევრები მუშაობდნენ სამამულო ომის თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, „ვინ არიან ნაციონალ სოციალისტები", „საბჭოთა ხალხის პარტიზანული

მოძრაობა ფაშისტ დამყრობთა წინააღმდეგ“, „საბჭოთა ქალი სამამულო ომის პერიოდში“, „ამხანაგ სტალინი სამოქალაქო ომის ფრონტებზე“, „გერმანელ დამპყრობთა ჯარების განადგურება სტალინგრადთან“, „ფაშიზმის რასიული თეორია“, „ფაშიზმი კულტურის და ცივილიზაციის მტერია“ და სხვა. კათედრის წევრები მუშაობდნენ სადისერტაციო თემებზე. მაგ., კ. ქავთარაძე—„ლენინის ბრძოლა ეკონომიზმის წინააღმდეგ“, ასისტენტი გ. შუშანაშვილი—„დიალექტიკის შემეცნების თეორიის და ლოგიკის ერთიანობის შესახებ“.

კათედრამ დიდი მუშაობა ჩაატარა მარქსიზმ-ლენინიზმის ლექციებისა და სემინარების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მოაწყო 4 ლექტორის ლექციისა და სემინარის სტენოგრაფიული ჩაწერა. წინასწარ გამოიყო რეცენზენტები და კათედრის სხდომაზე მოაწყო ჩაწერილი ლექციებისა და სემინარების გარჩევა. კათედრა დიდ დახმარებას უწევდა სტუდენტებს მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საქმეში. ამ მიზნით ხშირად ეწყობოდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, თემატიკური ექსკურსიები. ჩამორჩენილ სტუდენტებს კათედრა სისტემატურად უწევდა საჭირო დახმარებას. კათედრა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლების მიზნით სისტემატურად აწყობდა საჯარო ლექციებს, მოხსენებებს, თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს.

კათედრა თავისი წევრების საშუალებით მომსახურებას უწევდა წითელი არმიის ნაწილებს და ჰოსპიტლებს ლექციების და მოხსენებების სისტემატურად ჩატარებით.

1943—44 სასწავლო წლის დასაწყისში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის გამგედ დოც. ალ. ქუთელიას გადაყვანის გამო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ დამტკიცებულ იქნა უფრ. მასწ. ვლ. მგალობლიშვილი. ამავე სასწავლო წელს ლექტორებად მუშაობდნენ: მ. მაჩაიძე, ნ. ღარიბაშვილი, კ. ქავთარაძე, ასისტენტებად: დ. ლაშქარაძე და პ. ახალაძე. 1944—45 და 1945—46 სასწავლო წლებში კათედრას კვლავ ვლ. მგალობლიშვილი ხელმძღვანელობდა. 1944—45 სასწ. წელს კათედრის ლექტორად მუშაობა დაიწყო შ. ადამიამ და ასისტენტად დ. ქათამიძემ, ხოლო 1945—46 სასწ. წ. მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორებად დანიშნეს ილ. ჩხარტიშვილი და ერ. ახობაძე.

1943—1946 სასწავლო წლებში კათედრის წევრები მუშაობდნენ შემდეგ სამეცნიერო თემებზე: 1. ვლ. მგალობლიშვილი—„ამხანაგ სტალინის ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“; 2. მ. მაჩაიძე—„გერცენის მოძღვრება უტოპიური სოციალიზმის შესახებ“. მ. მაჩაიძემ ამ თემაზე წაიკითხა მოხსენება კათედრის საჯარო სხდომაზე“; 3. ნ. ღარიბაშვილი—„ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება დიდ სამამულო ომში“.

კათედრა თავისი ძალებით სისტემატურად ატარებდა ინსტიტუტში ლექციებს, მოხსენებებს, თეორიულ კონფერენციებს, თემატიკურ კონსულტაციებს და ექსკურსიებს.

ამხანაგ სტალინის 1946 წ. 9 თებერვლის ისტორიული სიტყვისა და მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის კანონის ღრმად შესწავლის მიზნით ინსტიტუტში ჩატარდა ლექციებისა და მოხსენებების ციკლი. კათედრამ მოაწყო ლექციების სტენოგრაფიული ჩაწერა და მათი გარჩევა კათედრის სხდომაზე. 1944 წლის ივნისში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ბიურომ მოისმინა მოხსენება საქ. სასოფ-სამეურნეო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის მუშაობის შესახებ და კათედრის მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის დასახა ვრცელი კონკრეტული ღონისძიებანი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ღონისძიებათა გასატარებლად კათედრამ საფუძვლიანად გარდაქმნა თავისი მუშაობა. კათედრა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლექციებისა და სემინარების მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩატარებას და ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლებას. 1946 წ. ივნისში კათედრის წევრი მ. მაჩაიძე გაიგზავნა სამეცნიერო მივლინებით ქ. მოსკოვში. 1946 წ. კათედრის საჯარო სხდომაზე მ. მაჩაიძემ წაიკითხა მოხსენება—ამხანაგ სტალინის შრომა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".

1946—47 სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის გამგედ დამტკიცებულ იქნა დოც. ს. სიმონგულოვი. მარქსიზმ-ლენინიზმის მასწავლებლებად: მ. მაჩაიძე, შ. სიამაშვილი, შ. კალანდარიშვილი, ილ. ჩხარტიშვილი, თ. კოსტანაშვილი, დ. ჩიკვაიძე, ი. შარაშენიძე. ასისტენტებად პ. ახალაძე და დ. ქათამიძე.

კათედრის წევრები ამჟამად მუშაობენ შემდეგ სამეცნიერო-საკვლევ თემებზე: 1. ს. სიმონგულოვი—ამხანაგ სტალინის მიერ ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკური პრინციპების დაცვა და განვითარება 1901—1907 წლების შრომებში. 2. უფრ. მასწ. მ. მაჩაიძე—გერცენის რუსული უტოპიური თეორია; 3. ი. შარაშენიძე—ჭეშმარიტების კონკრეტულობის საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმში; 4. შ. კალანდარიშვილი—რევოლუციური მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში 1902—07 წლებში; 5. თ. კოსტანაშვილი—ილ. ჭავჭავაძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებანი მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა დღიდან ჩამოყალიბებისა თავის ძირითად მიზნად ისახავდა და ისახავს ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით და კათედრის წევრთა იდეურ-თეორიული დონის და მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრა

1919 წელს სახ. უნივერსიტეტში აგრონომიული განყოფილების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საბჭომ დოცენტის მოვ. ამსრულებლის თანამდებობაზე მოიწვია ინჟენერ-აგრონომი კ. მ. ამირაჯიბი, რომელსაც დაევალა სას.-სამ. მექანიკის კურსის კითხვა. ასისტენტის თანამდებობაზე 1920 წ. მოწვეული იყო ი. ნ. ლომოური, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი იმუშავა ამ თანამდებობაზე. 1923 წელს ასისტენტად სას.-სამ. მანქანათმცოდნეობაში მოწვეული იყო ა. კიზირია, ხოლო 1924 წლიდან ვ. დ. ხოფერია.

საგნის ხელმძღვანელებს, კურსის ჩატარებასთან ერთად, დიდი მუშაობა მოუხდათ სას.-სამ. მანქანა-იარაღების შესაგროვებლად. ამ მხრივ დიდი დახმარება გაუწია აგრონომიულ განყოფილებას საკავშირო სას.-სამ. გამოფენამ, რომელიც შესდგა 1923 წელს ქ. მოსკოვში. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა სახის მანქანა-იარაღები. გამოფენის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტმა გამოფენიდან მიიღო სას.-სამ. მანქანების დიდი რაოდენობა და ამით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა სას.-სამ. მანქანა-იარაღების კათედრას.

1930 წელს მექანიზაციის ფაკულტეტთან დაარსდა მანქანა-იარაღების კათედრა, რომლის გამგედ არჩეულ იქნა პროფ. კ. მ. ამირაჯიბი. იმავე წელს კათედრის ასისტენტი ვ. დ. ხოფერია დამტკიცებულ იქნა დოცენტის წოდებაში.

1932 წელს სას.-სამ. მანქანა-იარაღების კათედრა გამოყოფილ იქნა ცალკე კათედრად და ამ კათედრის გამგედ არჩეულ იქნა დოც. ვ. დ. ხოფერია, რომელიც კათედრას განაგებდა და სას.-სამ. მანქანა-იარაღების კურსს კითხულობდა 1938 წლამდე.

1938 წ. სას.-სამ. მანქანა-იარაღების კათედრას გამოეყო მანქანა-ტრაქტორების პარკის ექსპლოატაციის კათედრა. სას.-სამ. მანქანა-იარაღების კათედრის გამგედ დანიშნულ იქნა დოც. მ. ბ. თედორაძე, რომელიც ამ კათედრას განაგებდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე—1944 წლამდე. 1944 წლიდან კათედრას განაგებს დოცენტი დ. დ. ციციშვილი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრის გაფართოებისა და კათედრის წევრების აღზრდის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, შრომის გმირს, პროფ. კ. მ. ამირაჯიბს. იგი აგრონომიული განყოფილების დაარსების პირველი დღეებიდანვე განუყრელად იყო დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუთან და განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა კადრების აღზრდის საქმეს.

კათედრის შემადგენლობაში ამჟამად შედის: კათედრის გამგე, დოცენტი დ. ციციშვილი, წევრები: დოც. ს. ჩოჩია, დოც. გ. შხვაცაბაია, დოც. კ. ლეჟავა, დოც. ა. აფხაიძე, დოც. ვ. მანველიძე, უფროსი მასწავლებელი ბ. ...რაშვილი, ასისტ. შ. ოსიტაშვილი, ასისტ. ს. ვაჩეიშვილი, ასისტ. ირ. კაკულიძე, ასისტ. ზ. ხანთაძე, უფროსი ლაბორანტი მ. აბდუშელიშვილი, ლაბორანტი, ს. ნიორაძე, პრეპარატორი ე. ვასილიევა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრის წევრების მიერ დამუშავებულია 80-ზე მეტი შრომა და სახელმძღვანელო. მათ შორის აღსანიშნავია:

1. პროფ. კ. მ. ამირაჯიბის—სას.-სამ. მექანიკა, გამოცემული 1920 წ.
2. „ „ —სას.-სამ. მანქანების დარაიონება.
3. დოც. მ. თედორაძის—თვითმკვრელი სამკალი.
4. დოც. კ. ლეჟავას—სას.-სამ. მანქანები.
5. დოც. მ. თედორაძის—სალეწები.
6. დოც. ს. ჩოჩიას მანქანა-იარაღები ტექნიკური კულტურებისათვის.
7. დოც. ს. ჩოჩიას—სათესი მანქანები.
8. დოც. დ. ციციშვილის—კომბაინ „კომუნარის“ კონსტრ. ცვლილებები.
9. დოც. ა. კიზირიას—დამხარისხებელი მანქანები.
10. დოც. ვ. ხოფერიას—ტრიერები.
11. დოც. დ. ციციშვილის—სას.-სამ. მანქანების მუშაობის გამოკვლევა მთაგორიან ადგილებში.
12. დოც. გ. შხვაცაბაიას—სათიბის გადაკეთება პურეულის ასაღებად.
13. დოც. გ. შხვაცაბაიას—ახალი კონსტრუქციის სილოსის მჭრელი.

კათედრის წევრები დიდ მუშაობას ეწევიან არსებული მანქანა-იარაღების გაუმჯობესებისა და ახალი კონსტრუქციების შექმნის საქმეში. გარდა იმისა, რომ კათედრა მონაწილეობას იღებს იმ ახალი მანქანების გამოცდაში, რომლებიც ჩვენი სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში პირველად შემოდის და აძლევს თავის დასკვნებს მათი გამოყენების შესახებ საქართველოში, კათედრის წევრების მიერ დამუშავებულია მთელი რიგი ახალი კონსტრუქციები და შეტანილი გაუმჯობესებანი უკვე არსებულ მანქანებში.

კათედრამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მთაგორიანი ადგილებისათვის სას.-სამ. მანქანა-იარაღების ტიპების შერჩევა-დამუშავებას.

დოც. ს. ჩოჩიას მიერ შესწავლილია კომბაინის მუშაობა ფერდობ ადგილებზე (დაქანებით 8°-მდე) და ამის საფუძველზე მის 1 წმენდაში შეტანილ იქნა კონსტრუქციული ცვლილებანი.

დოც. დ. ციციშვილის მიერ შესწავლილია მოდერნიზებული კომბაინის მუშაობა საქართველოს პირობებში და შეტანილია მასში სათანადო ცვლილებანი.

დოც. მ. თედორაძის და დოც. ვ. მანველიძის მიერ დამუშავებულია ციტრუსების კულტივატორი მთაგორიან ადგილებში გამოსაყენებლად.

დოც. კ. ლეჟავას და დოც. ა. ოსეფაიშვილის მიერ კონსტრუირებულია ტუნგოს ნაყოფის გამწმენდი მანქანა, რომელიც დანერგილია მეურნეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოც. გ. შხვაცაბაიას მიერ სათიბი მანქანა გადაკეთებულია პუტალოს ასაღებად.

იმავე ავტორის მიერ დამუშავებულია და დამზადებული ახალი კონსტრუქციის კალიბრატორი ზამბარების საზომად და ხელსაწყო დანადგარი მანქანების გამოსაცდელად.

დოც. მ. თედორაძის და დოც. ა. აფხაიძის მიერ დამუშავებულია ცხენის წევის მარტივი კულტივატორი ხის ჩარჩოთი.

ომის პერიოდში, როდესაც საქ. მტს-ები დიდ საჭიროებას განიცდიდნენ ტრაქტორის ნაწილების რემონტის საქმეში, კათედრამ იკისრა სარადიატორო საამქროს ამუშავება და ხელმძღვანელობა, რის შედეგად ჩვენი მტს-ები თითქმის შეუფერხებლივ მარაგდებოდნენ შეკეთებული რადიატორებით (ხელმძღვ. დოც. ს. ჩოჩია).

კათედრის წევრების უმეტესობა, მუყაითი და აქტიური მონაწილეობისათვის ზურგში, დიდი სამამულო ომის პერიოდში, დაჯილდოებულია მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის დიდ სამამულო ომში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კათედრა

ელექტრიფიკაციის კათედრა დაარსდა 1938 წლის დასაწყისში და მისი პირველი წევრები იყვნენ: 1. კათედრის გამგე პროფ. ა. ი. დიდებულიძე, დოც. მოვ. შემსრულებელი ნ. ი. ზირაქაძე, ასისტ. გ. მურუსიძე, ლაბორანტი დ. ბ. ლოლუა.

კათედრამ იმთავითვე მოაწყო: ელექტრომზომლობის ლაბორატორია, მაღალი ძაბვის დანადგარის კაბინეტი, ელექტრომანქანების ლაბორატორია, საკუთარი სახელოსნო, სალექციო აუდიტორია, სამუშაო კაბინეტი და სხვა.

სამამულო ომის დაწყებამდე კათედრაზე შემდეგი დისციპლინები იკითხებოდა: 1. ზოგადი ელექტროტექნიკის კურსი, 2. ელექტროაძვრა სოფლის მეურნეობაში, 3. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია.

1946 წლის იანვრიდან აკად. ა. ი. დიდებულიძე განთავისუფლდა კათედრის გამგის მოვალეობიდან პირადი თხოვნით.

კათედრის შემადგენლობა 1946/47 სასწავლო წელს ასეთია: 1. კათედრის გამგის მ/ა. ნ. ი. ზირაქაძე, 2. ასისტენტი ალ. მ. ისაკაძე, 3. ლაბორანტი პ. ქურციკიძე. მექანიზაციისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტების გარდა, კათედრა ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის კურსს ატარებს რაიმიწგანების გამგეების, სამანქ.-სატრაქტორო სადგურების დირექტორების და მთავარი მექანიკოსების კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიან კურსებზე. კათედრის წევრები ჩაბმული არიან სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში. დამუშავებულია სულ 16 თემა. მათ შორის აღსანიშნავია:

1. აკად. ა. ი. დიდებულიძე—ელექტრომექანიკური მოწვიმების თეორია და პრაქტიკა, რაზედაც მან დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე.

2. აკად. ა. ი. დიდებულიძე—ელექტრო-ტრაქტორი. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შრომები“, ტომი XIV, 1941 წ.

3. აკად. ა. ი. დიდებულიძე—შორჭავლიანი მომწვიმებელი. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, ტომი XIV, 1941 წ.

4. ნ. ი. ზირაქაძე—მცირე ჰიდროელექტროსადგურების ავტომატიზირება.

5. ნ. ი. ზირაქაძე—ფაზურ-როტორიანი 3 ფაზა ასინქრონული ძრავის ავტომატური მართვა საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, ტ. XIV, 1941 წ.

6. „ელექტრო განათების ტელემართვა“ დაიბეჭდა ცალკე პარაგრაფად აკად. ა. ი. დიდებულიძის წიგნში—„შუქშენიღბვა“, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1943 წ.

7. ნ. ი. ზირაქაძე—მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების ტურბინის რეგულატორის შეცვლა სამფაზა ინდუქციური რეგულატორით. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, XXIII—XXIV, 1945 წ.

8. ა. მ. ისაკაძე—რელსების პირისპირების წინააღმდეგობის გაზომვის ელექტრო ხელსაწყო. დანერგილია წარმოებაში.

9. ა. მ. ისაკაძე—მუდმივი დენის ხარჯის გასაზომი აპარატი. გამოქვეყნებულია საკავშირო გამომგონებელთა ცენტრალურ ბიუროში და მიღებულია საავტორო მოწმობა.

ელექტროფიკაციის კათედრა წარმოებასაც უწევდა დახმარებას, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. კათედრაზე ორგანიზებული იყო ჯიბის ფანრების ბატარეის წარმოება, რაზედაც დიდი მოთხოვნილება არსებობდა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებიდან.

2. სასწრაფოდ იქნა აღდგენილი წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალსაქაჩის მაღალი ძაბვის ელექტროძრავა, რომელმაც სერიოზული ავარია განიცადა მეტად კრიტიკულ მომენტში. საჩქარო ზომების მიღებით გადაწვას გადარჩა რამდენიმე ათეული ჰექტარი ნათესი და გამწვანების ტრესტის ნარგავები.

3. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა სოფ. დიღომის ორ ელექტროტუმბოს და ახლად დამონტაჟდა ერთი აგრეგატი 45 კვტ. სიმძლავრისა.

ზემომოყვანილ სამუშაოთა უმეტესი ნაწილი შესრულებულია დიდი სამამულო ომის პერიოდში, კათედრის ზოგიერთმა წევრმა მიიღო სათანადო ორგანიზაციებიდან წერილობითი მადლობა.

აკად. ა. ი. დიდებულიძე დაჯილდოებულია წითელი დროშის ორი ორდენით და ნ. ი. ზირაქაძე მედლით—შრომითი მამაცობისათვის 1941—1945 წ. დიდ სამამულო ომში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლითონის, ხის და სათბობ-საპოხ მასალათა ტექნოლოგიის კათედრა

კათედრის ჩამოყალიბების თარიღად ითვლება 1938 წ. სექტემბერი, როდესაც იგი გამოიყო წინათ არსებული სარემონტო საქმის და ტექნოლოგიის კომპლექსური კათედრიდან.

ამ კათედრის ისტორია, ისე როგორც მთელი მექანიზაციის ფაკულტეტის ისტორია, მისი მრავალი კათედრითა და ლაბორატორიით, დაკავშირებულია სას.-სამ. ინსტიტუტის ერთი დამაარსებელთაგანის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, შრომის გმირის პროფესორ კონსტანტინე მიხეილის-ძე ამირაჯიბის სახელთან, რომელიც ამჟამადაც სათავეში უდგია კათედრას.

კათედრის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: 1. პროფ. კ. მ. ამირაჯიბი — კათედრის გამგე, 2. დოც. მ/ა. ს. უხურგუნაშვილი, 3. ასპირანტი კ. ი. ჯუღელი, 4. ასპირანტი ვ. მაღალაშვილი, 5. ლაბორანტი ვ. გოგიჩაიშვილი, 6. ლაბორანტი ა. დვალი, 7. ლაბორანტი მ. წერეთელი.

1946 წლის 1 სექტემბრისათვის კათედრის შემადგენლობაში ირიცხებიან: 1. პროფ. კ. მ. ამირაჯიბი—კათედრის გამგე, 2. დოც. კ. ი. ჯუღელი—ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 3. დოც. ა. ა. ოსეფაიშვილი—ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 4. დოც. ვ. თ. მანველიძე, 5. ასისტ. ნ. ამაღლობელი, 6. ასისტ. მ. წერეთელი, 7. უფ. ლაბორანტი პ. მხეიძე, 8. ლაბ. გ. კახნიაშვილი.

კათედრის არსებობის პერიოდში ა. ოსეფაიშვილმა და კ. ჯუღელმა დაიცვეს დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე.

კათედრის დამოუკიდებლად გამოყოფისას მას გადაეცა ლითონების ცივად დამუშავების სასწ. სახელოსნო სამი სახარატო ჩარხით, ერთი შეპინგით და ერთი მღარავი ჩარხით, აგრეთვე სათბობ-საპოხ მასალათა ლაბორატორია. ამჟამად კათედრას, გარდა ამისა, აქვს ერთი საოპერაციო ჩარხი, სამჭედლო ლაბორატორია თერმოქიმიური დამუშავების ღუმელით და ლითონმცოდნეობის ლაბორატორია.

კვლევითი მუშაობის დარგში ჩატარებულია შემდეგი:

1. მცირედ ნახშირბადიანი ფოლადის ფასონური სხმული დეტალების სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობაში გამოყენებისა და ამ ფოლადისათვის თერმიული დამუშავების ოპტიმალური რეჟიმის შერჩევის საკითხისათვის, რაც შესრულებულ იქნა კ. ჯუღელის მიერ პროფ. კ. ამირაჯიბის ხელმძღვანელობით.

2. ა. ოსეფაიშვილის მიერ დამუშავებულ იქნა საკითხი „ა/კ. მევენახეობის რაიონებისათვის ღრმად ხვნის (საპლანტაჟო) გუთნების შერჩევისათვის“,

რის შედეგადაც მიღებული მასალები გამოყენებულ იქნა ოდესის „ოქტობრის" რევ. სახ. ქარხნის მიერ საკუთარი წარმოების საპლანტაჟე გუთნის პირველი სერიული გამოშვების დროს (სადისერტაციო შრომა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ა. ოსეფაიშვილის და კ. ლეჟავას (სას.-სამ. მანქანების კათედრა) მიერ გამოგონებულ, დამუშავებულ და გამოცდილ იქნა ტუნგოს ნაყოფის გასარჩევი მანქანა, რომელიც გადაცემულია წარმოებაში ფართოდ დასანერგავად.

გარდა სასწავლო პროცესისა და კვლევითი მუშაობისა, კათედრა დახმარებას უწევს საქ. მტს-ებს შიდაწვის ძრავების მუხლა ლილვების გათრაშვისა და რადიატორების შეკეთების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათა ნაწილების კათედრა

გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათა ნაწილების კათედრა არსებობს 1938 წლის დეკემბრიდან. აღნიშნული კათედრა გამოყოფილი იყო წინათ არსებული სარემონტო და ავტოსატრაქტორო საქმის კათედრიდან, რომლის გამგედ იყო პროფ. კ. მ. ამირაჯიბი.

ამჟამად კათედრა შესდგება 7 წევრისაგან: 1. კათედრის გამგე დოც. ი. ს. ვაწაძე, 2. ტექ. მეც. კანდიდატი, დოც. გ. კ. ცქიფურიშვილი, 3. ასისტ. ნ. კ. კეზელი, 5. ასისტ. ა. ვ. სიხარულიძე, 5. ასისტ. გ. ა. სვანიძე, 6. ლაბორანტი ი. ბ. იუზბაშევა, 7. ლაბორანტი ტ. ვ. კაკულიძე.

1938—39 სას. წლიდან კათედრაში გაერთიანებულია შემდეგი დისციპლინები:

1. „მანქანათა ნაწილები", ხელმძღვანელი გ. ცქიფურიშვილი და გ. სვანიძე.

2. „მექანიზმთა კინემატიკა და მანქანათა თეორია"—ხელმძღვანელი ნ. კეზელი.

3. „მასალათა გამძლეობა", ხელმძღვანელი მექანიზაციის ფაკულტეტზე ა. სიხარულიძე, ხოლო ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე გ. ცქიფურიშვილი.

4. „ჰიდრავლიკა და ჰიდრავლიკური ძრავები" ხელმძღვანელი ი. ვაწაძე.

5. „მანქანათა ნაწილების გეგმარი"—სრულდება, როგორც საკურსო პროექტი მანქანათა ნაწილების კურსის შესწავლასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელმძღვანელობენ: გ. ცქიფურიშვილი, ნ. კეზელი და გ. სვანიძე.

1939 წ. კათედრის წევრმა დოცენტმა გ. კ. ცქიფურიშვილმა დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე.

კათედრის დაარსებიდან დამუშავებულია შემდეგი სამეცნიერო თემები:

1. ჰიდრო-ქურო—ი. ვაწაძე.

2. სატუმბო სადგურები გამთანაბრებელი მილით—ი. ვაწაძე.

3. შემწოვი მილის გავლენა ძრავის ნორმალურ მუშაობაზე—გ. ცქიფურიშვილი.

4. ავტო—№ 18-ის გამოცდა საველე პირობებში—ი. ვაწაძე.

5. სარემონტო ნორმების დადგენა—ტრაქტორ СТЗ—ХТЗ და კომბაინ კომუნარისათვის—გ. ცქიფურიშვილი.

კათედრას დამზადებული აქვს დასაბეჭდად შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. აკად. ე. ა. ჩუდაკოვი—კბილანების ანგარიშის ახალი მეთოდი, თარგმნილი რუსულიდან გ. ცქიფურიშვილის მიერ.

2. ნ. კეზელი—მექანიზმთა კინემატიკის და მანქანათა თეორიის ამოცანათა კრებული.

3. ი. ვაწაძე—სატუმბო სადგურები გამთანაბრებელი მილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა სასწავლო და საკვლევი მუშაობისა, კათედრის წევრები დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა ორგანიზაციასა და წარმოებას პროექტების შედგენა-განხილვაში, კონსულტაციის და ექსპერტიზის ჩატარებით და სხ.

სამამულო ომის პერიოდში კათედრის წევრებმა დახმარება გაუწიეს საქართველოს მტს-ებს ტრაქტორისტთა და კომბაინერთა კადრების მომზადებით, მანქანების შექმნა-შეკეთებით და უშუალოდ მოსავლის აღების პერიოდში კომბაინზე მუშაობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრა

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრა ჩამოყალიბდა 1938 წლის თებერვალში. კათედრის დაარსებაში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული განსვენებულ დოც. ვ. დ. ხოფერიას; იგი კათედრას განაგებდა დღიდან დაარსებისა 1941 წლის დამლევამდე. ვ. დ. ხოფერიამ თავისი ენერგიული მუშაობით მიაღწია იმას, რომ მოკლე დროში მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრა დაკომპლექტებულ იქნა საჭირო კადრებით, სასწავლო და სამეცნიერო მოწყობილობანით.

ამჟამად კათედრის შტატში შედის კათედრის გამგე დოც. ი. მ. ხოხლოვი, კათედრის ლექტორი გ. ნ. ცაგარელი, უფროსი ლაბორანტი ინჟ. ვ. ს. კოხრეიძე.

კათედრა აერთიანებს შემდეგ დისციპლინებს:

1. „მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციას"—კითხულობს დოც. ი. მ. ხოხლოვი; პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობას ატარებს გ. ცაგარელი.

2. „სახანძრო საქმეს"—კითხულობს ლექტორი გ. ცაგარელი.

3. „ტყის ხანძრებს"—კითხულობს ლექტორი გ. ცაგარელი.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრას აქვს სპეციალური კაბინეტი, რომელიც მოწყობილია სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი აპარატურით, ხელსაწყოებით, კინოფილმებით, დიაპოზიტივებით, სტერეოგრამებით, კარტოგრამებითა და ნომოგრამებით. კათედრასთან არსებობს ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის ფილიალი, რომელიც მომარაგებულია სპეციალური ხასიათის წიგნებითა და სამეცნიერო შრომებით.

დიაგრამები და სტერეოგრამები დამუშავებულია კათედრის მიერ და ასახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ ბაზას მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახით.

კათედრის წევრები ჩაბმული არიან სამეცნიერო-საკვლევ მუშაობაში. მიუხედავად კათედრის არსებობის ხანმოკლე ისტორიისა, სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები საგრძნობი მოცულობითაა ჩატარებული და წარმოებას გადაეცა დასანერგავად მრავალი გადაწყვეტილი საკითხი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის ხარისხი. განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები ჩაატარა განსვენებულმა ვ. დ. ხოფერიამ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნა როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობის საკვლევი სამუშაოები; მისი მუშაობიდან მოგვყავს მხოლოდ ის ძირითადი საკითხები,

რომლებიც დოც. ვ. დ. ხოფერიამ დაამუშავა 1938—1941 წლების განმავლობაში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც ის ასრულებდა კათედრის გამგის მოვალეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „ტყის კულტურის მექანიზაცია მთიან ფერდობებზე"—დოც. ვ. დ. ხოფერიას მიერ კონსტრუირებულ იქნა ცხენწევის ორი კულტივატორი, რომლებიც გამოცდის შედეგად მოწონებულ იქნა ახალდაბის სატყეო საცდელი სადგურისა და სპეციალური საექსპერტო კომისიის მიერ. 1939 წელს კულტივატორების გამოცდა ჩატარებულ იქნა სურამში, რის შემდეგაც დოც. ვ. დ. ხოფერიას ხელმძღვანელობით დამზადებულ იქნა აღნიშნული კულტივატორების პირველი სერია და ასეთები გადაეცა წარმოებას.

ამ საკითხზე საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომებში", ტომი XIV, 1941 წელი, დოც. ვ. დ. ხოფერიას მიერ გამოქვეყნებულ იქნა სტატია „ახალი კულტივატორები სატყეო-საკულტურო სამუშაოთა მექანიზაციისათვის".

2. „წინსახნისიანი გუთნის ენერგეტიკის საკითხი". ამ საკითხზე საქ. სას.-სამ. ინსტ-ის მექანიზაციის ფაკულტეტის პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე 1940 წლის აპრილში დოც. ვ. დ. ხოფერიას მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება.

3. „სატრაქტორო აგრეგატების საწარმოო მაჩვენებლები ახალსოფლის მტს-ის მომსახურების რაიონში" (გორის რაიონი).

4. „სატრაქტორო აგრეგატების საწარმოო მაჩვენებლები ოსიაურის (ხაშურის რ.) მტს-ის სამოქმედო რაიონისათვის".

5. „ოდესის და როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების მიერ დამზადებულ ექსპერიმენტალურ სატრაქტორო გუთნების გამოცდის შედეგები"—მასალები ამ საკითხზე გაეგზავნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს მოსკოვში, რის შედეგადაც გუთნების კონსტრუქციებში შეტანილ იქნა სათანადო ცვლილებები.

6. „ხორბლის ვიწრო მწკრივთა თესვის აგრეგატი"—ხორბლის ვიწრო მწკრივად თესვის მიზნით დოც. ვ. დ. ხოფერიამ შეადგინა აგრეგატი ორი 24 მწკრივიანი სათესის ურთიერთ მიბმით; ამ საკითხზე მან შეადგინა ინსტრუქცია, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა სსრ კავშირის მიწსახკომის პერიოდულ ჟურნალში „სელსო".

7. „ნიადაგების კუთრი წინააღმდეგობის განსაზღვრის მეთოდის გამარტივების საკითხისათვის". საქ. სას.-სამ ინსტ-ის „შრომები", ტომი XVI, 1941 წელი. საკითხის გადაწყვეტის მიზნით დოც. ვ. დ. ხოფერიას მიერ კონსტრუირებულ იქნა სპეციალური დინამომეტრი, რომლის გამოცდის შედეგებიც მოყვანილია ზემოხსენებულ შრომაში.

8. „მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კურსი"—სახელმძღვანელო ხელნაწერის უფლებით (ინახება კათედრაზე), რომლითაც სარგებლობენ მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტები.

ზემოაღნიშნულის გარდა კათედრის წევრთა მიერ შესრულებულია შემდეგი თემები.

1. დოც. ი. ხოხლოვი—„რევერსიულ ბულდოზერის გამოცდის შედეგები" საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე", 1939 წ. გამოცდის შედეგად ბულდოზე-

რი რეკომენდირებულ იქნა სუბტროპიკული მეურნეობებისათვის ტერასების მოსაწყობად.

2. დოც. ი. ხოხლოვი—„საქართველოს მტს-ებში ტრაქტორების მუშაობის საწარმოო პირობების შესწავლისათვის". საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები", ტომი XII, 1940 წ.

3. დოც. ი. ხოხლოვი—„კიბურა ტერასების მოწყობის მექანიზაცია სუბტროპიკულ ტენიან რაიონებში". საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები", ტომი XV, 1941 წ.

4. დოც. ი. ხოხლოვი—„ამოსაძირკვ სამუშაოთა და ტერასების მოწყობის მექანიზაცია". საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები", ტომი XVII, 1942 წ.

5. დოც. ი. ხოხლოვი—„სუბტროპიკულ კულტურათა მექანიზაცია"—სახელმძღვანელო. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა," 1939 წ.

დოც. ი. ხოხლოვის მიერ, გარდა ზემოხსენებულისა სხვადასხვა დროს დამუშავებულია სხვა სამეცნიერო ხასიათის თემები.

კათედრის წევრის გ. ცაგარლის მიერ კათედრაზე მუშაობის პერიოდში შესრულებულია შემდეგი თემები:

1. „გურჯაანის მტს-ის პირობებში ტრაქტორ „სტზ-ნატის" მწარმოებლობისა და საწვავი მასალის ხარჯვის ნორმები". ხელნაწერი, 1939 წ. მასალები გადაეცა საქმიწსახკომს.

2. „ამოსაძირკვ სამუშაოთა მექანიზაცია". ხელნაწერი, 1941 წ.

3. „წულუკიძის მტს-ის სამოქმედო რაიონში სატრაქტორო აგრეგატის საექსპლოატაციო მაჩვენებლები". ხელნაწერი, 1942 წ. მასალები გადაეცა საქმიწსახკომს.

4. „დოც. ვ. დ. ხოფერიას სისტემის დინამომეტრის გამოცდის შედეგები". ხელნაწერი, 1943 წ.

5. „სალეწ მანქანა „მკ—1100" საექსპლოატაციო მაჩვენებლები დოლისპურის ლეწვაზე". ხელნაწერი, 1945 წ.

აღნიშნულ თემაზე ამჟ. ცაგარელი მუშაობს ამჟამადაც და აფორმებს მას როგორც სადისერტაციო შრომას.

6. „მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კურსის ამოცანათა კრებული". ხელნაწერი.

გარდა ჩამოთვლილი სამუშაოებისა, კათედრის წევრების მიერ სხვა კათედრებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად შესრულებულია აქტუალური მნიშვნელობის კომპლექსური თემებიც.

დახმარება წარმოებას. მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრა დიდ დახმარებას უწევს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებს. იმ სამუშაოებიდან, რომლებიც ამ მხრივ აქვს ჩატარებული კათედრას, მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთი.

დოც. ვ. დ. ხოფერიას და ლექტორ გ. ცაგარლის მიერ დამზადებულ იქნა ფეტვის საწმენდი მანქანა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა „ზაგოტზერნოს" სამხრეთის კანტორას.

სამამულო ომის პერიოდში, ბენზინის ეკონომიის მიზნით, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დავალებით დოც. ი. ხოხლოვის და ლექტორ გ. ცაგარლის მიერ საქართველოს მტს-ებში კომბაინ „კომუნარის“ 15 ძრავა გადაკეთებულ იქნა ნავთზე სამუშაოდ.

დოც. ვ. ხოფერიას, დოც. ი. ხოხლოვის და ლექტორ გ. ცაგარლის მიერ ასურეთის, ულიანოვკის, კასპის, ხაშურის და ზოგიერთ სხვა მტს-ს გაეწია დახმარება ტრაქტორთა ტექნიკური მოვლის დანერგვის საქმეში.

დოც. ი. ხოხლოვის მიერ 1946 წელს იონჯის სალეწი მანქანა გადაკეთებულ იქნა ბალახის—კაპუეტას გასალეწად.

კათედრამ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს გაუწია დახმარება მტს-ებისათვის საწვავი მასალის ხარჯვის დიფერენცირებული ნორმების დამუშავების საქმეში.

კათედრის წევრები აქტიურად ეხმარებიან წარმოებას მექანიზაციის დარგში მომუშავე კადრების მომზადების საქმეში. ასე, მაგ., გ. ცაგარელმა 1941 წელს წითელქალაქის მტს-ში მოამზადა 55 ტრაქტორისტი, 1943 წელს კი ულიანოვკის მტს-ში 42 ტრაქტორისტი და კომბაინერი.

1943—1944 წლებში კათედრის წევრები მონაწილეობას იღებდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეების გადამზადების კურსებზე. 1945—1946 წლებში დოც. ი. ხოხლოვი და ლექტორი გ. ცაგარელი მონაწილეობენ მტს-ების დირექტორებისა და მექანიკოსების და რაიმიწგანის გამგეების ერთწლიან გადასამზადებულ კურსებზე, სადაც კითხულობენ მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კურსს.

კათედრას კავშირი აქვს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების და ტექნიკურ კულტურათა სამინისტროების მექანიზაციის სამმართველოებთან და უწევს მათ კონსულტაციებს. გარდა ამისა კათედრას კავშირი აქვს დამყარებული მოსკოვის, ლენინგრადის, ჩელიაბინსკის და სხვა ცენტრების სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებთან.

კათედრა სისტემატურად სწავლობს საქართველოს მტს-ების მოწინავე ტრაქტორისტებისა და კომბაინერების გამოცდილებებს; ზოგიერთ მათგანთან კათედრის წევრებს აქვთ ცოცხალი კავშირი.

კათედრის წევრები ფართო პოპულარიზაციას აწარმოებენ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონისას სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე. ამ ხაზით დოც. ი. ხოხლოვმა, დოც. დ. ციციშვილთან ერთად, 1946 წლის პირველ ივნისს გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ გამოაქვეყნა სტატია „რა მანქანები ესაჭიროება საქართველოს სოფლის მეურნეობას მე-4 ხუთწლედში“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარემონტო საქმის კათედრა

1938 წლის დეკემბერში სარემონტო საქმის კათედრა გამოეყო ლითონთა ტექნოლოგიის კათედრას; კათედრის გამგედ დამტკიცებულ იქნა დოც. გიორგი ირაკლის-ძე უშვერიძე. 1938 წლისათვის კათედრა შედგებოდა შემდეგი პირებისაგან: 1. კათედრის გამგე დოც. გიორგი ირაკლის-ძე უშვერიძე, 2. ასისტ. ალექსი გიორგის-ძე ბერიძე, 3. ასისტ. მ/ა გიორგი ივანეს-ძე მეძმარიაშვილი, 4. უფროსი ლაბორანტი გრიგოლ გერასიმეს-ძე შალამბერიძე, 5. ლაბორანტი ლევან ვასილის-ძე ქურდოვანიძე, 6. პრეპარატორი სამსონ ღვთისოს-ძე მამამთავრიშვილი და 7. ლაბორანტი ლევან ლუარსაბის-ძე ჯანდიერი.

1941 წლიდან კათედრის ზოგიერთი თანამშრომლის წითელ არმიაში გაწვევისა და საათობრივი დატვირთვის შემცირებასთან დაკავშირებით, კათედრის შემადგენლობაში დარჩნენ შემდეგი პირები: 1. კათედრის გამგე დოც. გ. ი. უშვერიძე, 2. ასისტენტი ი. ი. თუშიშვილი, 3. უფროსი ლაბორანტი ლ. ლ. ჯანდიერი.

ამჟამად კათედრის შტატი შედგება შემდეგი პირებისაგან: 1. კათედრის გამგე დოც. გ. ი. უშვერიძე, 2. დოც. მ/ა ი. ი. თუშიშვილი, 3. უფრ. ლაბორ. ვ. ა. ოქროპირიძე და 4. უფრ. პრეპ. გ. ვ. ნარსია.

სარემონტო საქმის კათედრას აქვს შემდეგი ლაბორატორიები:

1. მექანიკური განყოფილება (საზეინკლოთი)—ნაწილების შეკეთებისა და ცივად დამუშავების პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

2. ცხელი დამუშავების საამქროს განყოფილება (სამჭედლო და თერმიული)—გამოყენებულია სტუდენტთა ლაბორატორიული მეცადინეობისათვის როგორც ტექნოლოგიის კათედრის, ისე სარემონტო საქმის კათედრის მიერ.

3. რადიატორების შემკეთებელი საამქრო—რომელიც გარდა სასწავლო პროცესისა, ემსახურება წარმოებებს, უმთავრესად მტს-ებს.

4. დაშლა-აწყობის საამქრო—რომელშიაც სტუდენტები აწარმოებენ სხვადასხვა ტრაქტორისა და ავტომობილის კვანძებისა და ნაწილების დაშლა-აწყობასა და შეკეთებას.

5. ავტო-სატრაქტორო ელექტრომოწყობილობათა განყოფილება—მოწყობილია 1938 წელს. ლაბორატორიაში ტარდება ავტო-სატრაქტორო ელექტრომოწყობილობათა შესწავლა სტუდენტების მიერ.

6. ძრავების გამოცდის განყოფილება ჰიდრავლიკური სტენდით. აღნიშნულ განყოფილებაში წარმოებს ტრაქტორებისა და ავტომობილების ძრავების გამოცდა.

7. სას.-სამ. მანქანა-იარაღების კვანძისა და ნაწილების რემონტის განყოფილება—ემსახურება მხოლოდ სარემონტო საქმის კათედრას.

8. ცვეთის კაბინეტი—სადაც წარმოებს საზომი იარაღების შესწავლა და სხვადასხვა გაცვეთილი ნაწილების მიკრომეტრაჟი.

კათედრამ დღიდან დაარსებისა მოამზადა ორი ასპირანტი: 1. ი. ი. თუშიშვილი, რომელმაც დაიცვა დისერტაცია 1943 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე და ამჟამად ასრულებს დოცენტის მოვალეობას; 2. ა. გ. კეჩხუაშვილი, რომელმაც დაიცვა დისერტაცია 1946 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე.

სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის ხაზით კათედრას შესრულებული აქვს შემდეგი თემები:

1. ტრაქტორ სტზ-ს მუხლანა ლილვების აღდგენა დალითონებით—გ. ი. უშვერიძე, 1946 წ. (ხელნაწერი).

2. ბურთულოვანი საკისრების ცვეთის პირობების შესწავლა და მათი აღდგენის წესი დაქრომებით—გ. ი. უშვერიძე, 1945 წ. (ხელნაწერი).

3. ტრაქტორ „სტზ"-ს ბლოკის სახურავისა და საერთოდ თუჯის რთული სხმულების (ბლოკის, ჩარჩოსი, სიჩქარის ყუთის გარცმისა და სხვ.) შეკეთების წესი—ი. თუშიშვილი, 1945 წ. (ხელნაწერი).

4. ახალი ზეთების („ОМ", „ВП", „К-К") გამოცდა—პროფ. კ. ამირაჯიბი, დოცენტი ი. ვაწაძე და ი. თუშიშვილი. თემა სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობისაა.

5. ტრაქტორ „СТЗ"-ს სარქველების გადაწვის გამომწვევი მიზეზები—ი. თუშიშვილი, 1946 წ. (ხელნაწერი).

კათედრის წევრების მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი სამეცნიერო წერილები.

1. გაცვეთილი ნაწილების აღდგენის ახალი მეთოდი ქრომირებით—გ. უშვერიძე, ჟურნალი „ტექნიკა და შრომა", №8, 1939 წ.

2. „სტზ—ხტზ"-ს ლილვის ბურთულოვანი საკისარის მუშაობის საანგარიშო და ფაქტიური სიხანგრძლივე—გ. უშვერიძე, საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის სამეც. სესიის თეზისები, 1945 წ.

3. დიფუზია, როგორც ლითონთა შეკავშირების ძირითადი არსი და შესაკავშირებელ ზედაპირთა, მომზადების ხასიათი—ი. თუშიშვილი, საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", ტ. XVIII, 1943 წ.

ამასთან ერთად, სარემონტო საქმის კათედრის მიერ დამზადებულია დასაბეჭდად სახელმძღვანელოები: დაშვებები და მორგებანი—გ. უშვერიძის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება—ი. თუშიშვილის.

სარემონტო საქმის კათედრა დიდ დახმარებას უწევდა და უწევს წარმოებებს ტრაქტორების მუხლანა ლილვის შეკეთებით, კომბაინის ძრავების შეკეთებით და მათი გადაყვანით ბენზინზე მუშაობიდან ნავთზე, რამდენიმე ათასი დგუშის თითის აღდგენით სხვადასხვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის, მრავალი გუთნისა და სას.-სამ. მანქანა-იარაღის შეკეთებით და სხვ.

კათედრის ოთხი წევრიდან სამი (უშვერიძე, თუშიშვილი, ოქროპირიძე) დეჯილდოებული არიან მედლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრა

ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრა ჩამოყალიბდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლების საქმეთა კომიტეტის ბრძანების საფუძველზე 1938 წლის 5 იანვარს. იგი გამოყოფილ იქნა წინათ არსებული სარემონტო და ავტოსატრაქტორო საქმის კათედრიდან, რომელსაც პროფ. კ. მ. ამირაჯიბი ხელმძღვანელობდა. კათედრის გამგის მოვალეობის აღმასრულებლად დაინიშნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოც. ვახტანგ ვასილის-ძე მახალდიანი.

კათედრის შემადგენლობაში შედიოდნენ: დოცენტი. რ. რ. დვალი, სოფლის მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი ე. ა. დოვლადბეგოვი, ასისტ. გ. ა. ხანთაძე, ასისტ. ვ. კ. ბელეცკი, ასისტ. ა. ა. თუმანიანი, უფროსი ლაბორანტი ლ. კოპალიანი, ლაბორანტი მ. კოლესნიკოვი, უფროსი პრეპარატორი ს. კილაძე.

1946 წლის 1 სექტემბრისათვის კათედრის შტატი წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1. დოც. ვ. მახალდიანი—კათედრის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი; დოც. რ. დვალი, სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. გ. ხანთაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი; დოც. ვ. ბელეცკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი; დოც. შ. სამადაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი; დოც. შ. კერესელიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი; დოც. მ/ა. ე. დოვლადბეგოვი, ასისტენტი ა. თუმანიანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტენტი ა. ხომასურიძე, ასისტენტი დ. პეტრიაშვილი, ასისტენტი ლ. კოპალიანი, უფრ. ლაბორანტი მ. ბაზიკიანი, უფრ. ლაბორანტი ნ. ბიჭაშვილი, ლაბორანტი ვ. ცქიტიშვილი, ინსტრუქტორი დ. ჭანტურიძე, პრეპარატორი შ. შაროიანი, ტრაქტორისტი ე. კაზაროვი, ტრაქტორისტი ვ. კობაიძე, ტრაქტორისტი მ. მაისურაძე.

დაარსების დროს კათედრას გადაეცა მხოლოდ გარაჟი 9 ტრაქტორით; კაბინეტები და ლაბორატორიები კათედრას ამ დროისათვის არ მოეპოვებოდა. ამჟამად კათედრას ძრავების გამოცდისათვის აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტები და ლაბორატორია, სადაც წარმოებს როგორც ძრავების სამუხრუჭო გამოცდა, ისე მათი ინდიცირება.

დიდი მუშაობა ჩაატარა კათედრამ სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში; დღემდე გამოცემულია.

1. დოც. ვ. მახალდიანის მიერ წაკითხული ლექციების კონსპექტი 5 წიგნად, დაბეჭდილია საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის ლითოგრაფიაში.

2. ძირითადი ორტომიანი სახელმძღვანელო „ტრაქტორების და ავტომობილების კოსტრუქცია და ანგარიში“; ეს სახელმძღვანელო შედგენილია კა-

თედრის კოლექტივის მიერ დოც. ვ. მახალდიანის რედაქციით, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1939 წ.

3. დოც. რ. დვალი—„ავტო-სატრაქტორო ძრავების და ტრაქტორების გამოცდა“, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1945 წ.

4. დოც. რ. დვალი—„ავტომობილის თეორია და გამოცდა“, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1944 წ.

5. დოც. რ. დვალი—„ტრაქტორის თეორია“, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1946 წ.

ღიდან კათედრის გახსნისა დამუშავებულია 22 სამეცნიერო თემა, მათ შორის აღსანიშნავია:

1. ვ. მახალდიანი, რ. დვალი და გ. ხანთაძე—„ტრაქტორ. „სტზ-ნატის“ ძრავის გამოცდის შედეგები“, 1939 წ.

2. ვ. მახალდიანი—„ტრაქტორ „სტზ-ნატის“ გამოცდის შედეგები“. 1940 წ.

3. ვ. მახალდიანი—„ზოგიერთი საკითხი ტრაქტორის დინამიკიდან“. 1940 წ.

4. ვ. მახალდიანი—„ხელსაწყოები და მოწყობილობანი ფერდობებზე ტრაქტორის გამოცდისათვის“. საქ. სას.-სამ. ინსტ-ის „შრომები“, ტ. XIV, 1941 წ.

5. ვ. მახალდიანი—„ტრაქტორის მუშაობა ფერდობებზე და ირიბგორებზე“. საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, ტ. XVI, 1942 წ.

6. რ. დვალი—„ფერდობებზე მუხლუხა ტრაქტორის მუშაობის გამოკვლევა“. საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, ტ. XIV, 1941 წ.

7. რ. დვალი—„ტრაქტორის მობრუნების თეორიის საკითხისათვის“. 1946 წ.

8. რ. დვალი—„ტრაქტორის თეორიის ზოგიერთი საკითხი“. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“. ტ. XVI, 1942 წ.

9. რ. დვალი—„მოტომავლის წევის ანგარიშის მეთოდი“. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე“, № 4, 1936 წ.

10. რ. დვალი—„ავტომობილის გორვის წინააღმდეგობის კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდი“. საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე“, № 2, 1939 წ.

11. გ. ხანთაძე—„ტრაქტორის გორვის წინააღმდეგობის კოეფიციენტი“. 1940 წ.

12. ვ. ბელეცკი—„ტრაქტორის მობრუნების წინააღმდეგობის კოეფიციენტი“. 1946 წ.

1939—40 წლებში კათედრამ ჩაატარა დუშეთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში ტრაქტორ „სტზ-ნატის“ გამოცდა. გამოცდის საფუძველზე დაწესებული იყო საწვავის ხარჯვის ნორმები, რითაც ამჟამად სარგებლობს საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტრო.

კათედრის შემადგენლობის 80% სამამულო ომის მონაწილეა და დაჯილდოებული მთავრობის ჯილდოებით, მათგან 5 კაცი ორდენებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიზიკის კათედრა

1930 წლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებს მომსახურებას უწევდა უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრა, რომლის გამგედ ითვლებოდა პროფესორი ა. ი. დიდებულიძე. პრაქტიკულ მეცადინეობას სტუდენტებთან ატარებდნენ ასისტენტები: მ. ს. კუკავაძე და ვ. გ. ყიფშიძე.

1930 წელს აგრონომიული ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გარდაქმნასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ფიზიკის და თეორიული მექანიკის კათედრა. ამ კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ა. ი. დიდებულიძე. კათედრა აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: 1. ფიზიკას, 2. მეტეოროლოგიას და 3. თეორიულ მექანიკას.

კათედრის შტატი ასეთი იყო: პროფ. ა. ი. დიდებულიძე (კათედრის გამგე), დოც. ი. ე. გაჩეჩილაძე (ფიზიკა, მეტეოროლოგია), დოც. ა. ბეგიაშვილი (თეორიული მექანიკა), ე. ბ. ჯიქია და ა. ქვირია (მეტეოროლოგიური სადგურის დამკვირვებლები).

1930 წლის აგვისტოში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციის დადგენილებით ფიზიკისა და თეორიული მექანიკის კათედრის ნაცვლად შეიქმნა ფიზიკისა და სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის კათედრა. 1930—31 სასწავლო წლის ბოლოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციის დადგენილებით ფიზიკის კათედრას შეუერთდა მათემატიკის კათედრა. ეს კათედრა, ფიზიკისა და მათემატიკის კათედრის სახელწოდებით, აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: 1. მათემატიკას, 2. ფიზიკას, 3. სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიას, 4. მხაზველობით გეომეტრიას და 5. თეორიულ მექანიკას.

მაგრამ ასეთი შემადგენლობით კათედრას დიდხანს არ უარსებნია, ვინაიდან 1931 წლის სექტემბერში კათედრა ისევ გაიყო ორ დამოუკიდებელ კათედრად; ფიზიკის კათედრად (კათედრის გამგე დოც. ი. ე. გაჩეჩილაძე) და მათემატიკის კათედრად (კათედრის გამგე დოც. ა. ბეგიაშვილი).

ერთი წლის შემდეგ ეს კათედრები ისევ გაერთიანდნენ და ფიზიკისა და მათემატიკის კათედრის სახელწოდებით იარსებეს 1935 წლამდე. 1934—35 სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრთა შემადგენლობა ასეთი იყო: კათედრის გამგე პროფ. ი. ე. გაჩეჩილაძე (ფიზიკა, მეტეოროლოგია), დოც. დ. ქუთათელაძე (ფიზიკა), დოც. მ. კორძახია (თეორიული მექანიკა, თერმოდინამიკა), ლექ. ი. გვარაშვილი (მხაზველობითი გეომეტრია), დოც. კ. კელენჯერიძე (მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია), ასის. ა. ქვირია (მეტეოროლოგია), ლექ. დ.

ციციშვილი (მხაზველობითი გეომეტრია, ხაზვა), ლექ. რ. დვალი (მხაზველობითი გეომეტრია, ხაზვა) და დოც. ა. დევიძე (მათემატიკა).

1935 წელს ფიზიკისა და მათემატიკის კათედრას გამოეყო მათემატიკის კათედრა დისციპლინებით: მათემატიკა, თეორიული მექანიკა, მხაზველობითი გეომეტრია და ხაზვა. დანარჩენი დისციპლინები (ფიზიკა, მეტეოროლოგია და თერმოდინამიკა) დარჩა ფიზიკის და მეტეოროლოგიის კათედრის შემადგენლობაში.

1937 წელს ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრას გამოეყო თერმოდინამიკა.

1938 წელს ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრის გამგე პროფ. ი. ე. გაჩეჩილაძე უეცრად გარდაიცვალა გულის დამბლით. 1938 წლის აპრილიდან კათედრის გამგედ მუშაობს დოც. ა. ი. გაჩეჩილაძე.

1939 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შეუერთდა სატყეო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამ წლიდან ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრაზე მუშაობა დაიწყეს სატყეო ინსტიტუტის თანამშრომლებმა დოც. ვ. ი. მამასახლისოვმა (შეთავსებით) და დოცენტის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ღლონტმა. დოც. ვ. მამასახლისოვი კათედრაზე მუშაობდა 1943 წლამდე, გ. ღლონტი კი — 1942 წლამდე.

1941 წელს ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრას გამოეყო სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის კათედრა (კათედრის გამგე დოც. კ. კელენჯერიძე).

ამჟამად ფიზიკის კათედრის შემადგენლობა ასეთია:

1.	დოც. ა. ი. გაჩეჩილაძე	მუშაობს	1930	წლიდან, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
2.	დოც. ა. ა. მიქაძე	„	1942	„ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
3.	ასის. რ. ციტაიშვილი	„	1941	„
4.	ასის. გ. ასლანიდი	„	1942	„
5.	ასის. გ. შენგელია	„	1943	„
6.	ასის. ი. საკაშვილი	„	1945	„
7.	ასის. გ. დოცენკო	„	1946	„
8.	უფ. ლაბ. ა. ვეისი	„	1939	„
9.	უფ. ლაბ. ბ. ვეისი	„	1939	„
10.	ლაბ. რ. თარხნიშვილი	„	1939	„
11.	ლაბ. ქ. აბაშიძე	„	1943	„
12.	ლაბ. ი. თხინვალელი	„	1945	„
13.	პრეპ. დ. ბრუევა	„	1945	„

თავისი არსებობის მანძილზე ფიზიკის კათედრამ ჩამოაყალიბა: 1. მეტეოროლოგიური კაბინეტი 1926 წ., 2. მეტეოროლოგიური სადგური 1927 წ., 3. ფიზიკის კაბინეტი 1933 წ., 4. ფიზიკის სასწავლო ლაბორატორია 1933 წ., 5. ფიზიკის საკვლევი ლაბორატორია 1939 წ. და 6. ზუსტ ხელსაწყოთა სახელოსნო 1940 წ.

1927 წ. მეტეოროლოგიურ სადგურთან გამოყოფილ იქნა მიწის ნაკვეთი აგრო-მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მოსაწყობად. გამოყოფილი ნაკვეთის

სიმცირემ ხელი შეუშალა მუშაობის ნორმალურ მსვლელობას. ამიტომ დაისვა საკითხი აგრო-მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა გადატანის შესახებ ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობაში მდინარე ვერეს რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წელს სასწავლო მეურნეობაში გამოყვეს ნაკვეთი აგრო-მეტეოროლოგიურ დაკვირვებათათვის და ამ ნაკვეთზე ჩამოყალიბდა მეორე მეტეოროლოგიური სადგური.

მეტეოროლოგიური კაბინეტი, დღიდან მისი დაარსებისა, თანდათანობით შეივსო სხვადასხვა მოწყობილობით და მეტეოროლოგიის კათედრის გამოყოფის მომენტში იგი მთლიანად იყო დაკომპლექტებული აუცილებელი ხელსაწყოებითა და ინსტრუმენტებით.

ფიზიკის კაბინეტის ორგანიზაცია დაიწყო 1933 წელს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ფიზიკის კაბინეტი არ მიუღია. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან აგრონომიულ ფაკულტეტს უნივერსიტეტში თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ფიზიკის კაბინეტი არ ჰქონია. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს მოუხდა ფიზიკის კაბინეტის მოწყობა. ამ კაბინეტის მოწყობა დავალებული ჰქონდა ასის. ა. გაჩეჩილაძეს. ამჟამად ფიზიკის კათედრას აქვს სპეციალურად მოწყობილი აუდიტორია და საკმარისად მდიდარი სადემონსტრაციო კაბინეტი. სადემონსტრაციო კაბინეტი დაკომპლექტებულია Max Kohl-ის ფირმის იარაღებით.

სასწავლო ლაბორატორიაში გამართულია 50 ამოცანა. ყველა ამოცანისათვის შედგენილია ინსტრუქცია ქართულსა და რუსულ ენებზე.

ფიზიკის სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიაში მუშავდებოდა რამდენიმე თემა დიელექტრიკებში შინაგანი ფოტოეფექტის შესახებ. ერთი თემა დასრულდა. დანარჩენები ვერ იქნა დასრულებული, ვინაიდან, სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ლაბორატორიის დაბეჭდვა და იარაღების გადატანა სხვა შენობაში. ამჟამად ლაბორატორია ისევ ეწყობა და უახლოეს დროში აღადგენს თავის მუშაობას.

ზუსტ ხელსაწყოთა სახელოსნო სადემონსტრაციო კაბინეტის, ლაბორატორიის და იარაღების მიმდინარე შეკეთების გარდა, ამზადებს ახალ ზუსტ იარაღებს, რომელთა გამოყენება შეიძლება კვლევით ლაბორატორიაშიაც. ამჟამად სახელოსნოში მუშაობს ორი მექანიკოსი და ერთი მინათმბერი.

კათედრამ თავისი არსებობის მანძილზე გამოსცა სხვადასხვა სახელწოდების 9 სახელმძღვანელო, 20 სამეცნიერო შრომა, 28 სამეცნიერო-პოპულარული სტატია, ჩაატარა 29 ღია სხდომა და წაკითხულ იქნა 30 მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული მოხსენება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათემატიკის კათედრა

1929 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მექანიზაციის ფაკულტეტი და მასთან მექანიზაციის კათედრა. კათედრის გამგედ იყო პროფ. კონსტანტინე მიხეილის-ძე ამირაჯიბი. მექანიზაციის კათედრაში სხვა დისციპლინებთან ერთად შედიოდა უმაღლესი მათემატიკა, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოცენტი ალექსანდრე დავითის-ძე დევიძე.

1930/31 სასწავლო წლის ბოლოს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციის დადგენილებით, ინსტიტუტში შეიქმნა ფიზიკა-მათემატიკის კათედრა. ეს კათედრა აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: მათემატიკას, ფიზიკას, მეტეოროლოგიას, მხაზველობით გეომეტრიას და თეორიულ მექანიკას.

1931 წლის სექტემბერში ფიზიკა-მათემატიკის კათედრა გაიყო ფიზიკისა და მათემატიკის კათედრებად. მათემატიკის კათედრის გამგედ დაინიშნა დოცენტი ანდრია ვასილის-ძე ბეგიაშვილი.

ერთი წლის შემდეგ დირექციის დადგენილებით ეს კათედრები ისევ გაერთიანდნენ და გაერთიანებული ფიზიკა-მათემატიკის კათედრა არსებობდა 1934 წლის სექტემბრამდე.

1934 წლის სექტემბერში ფიზიკა-მათემატიკის კათედრიდან კვლავ გამოიყო მათემატიკის კათედრა. ამ დროს კათედრა აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: მათემატიკას, თეორიულ მექანიკას, მხაზველობით გეომეტრიას, ტექნიკურ ხაზვას, ტექნიკურ მექანიკას და მასალათა გამძლეობას. კათედრის შემადგენლობა შემდეგი იყო: 1. კათედრის გამგე, პროფ. ლ. პ. გოკიელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, 2. დოც. ა. დ. დევიძე, 3. დოც. ნ. ე. კვინიკაძე, 4. დოც. მ/ა. ა. ვ. სიხარულიძე, 5. დოც. მ. კორძახია, 6. დოც. მ. ი. თაქთაქიშვილი, 7. დოც. ი. პ. გვარაშვილი, 8. ლექ. დ. დ. ციციშვილი, 9. ლექ. ვ. თ. მანველიძე, 10. ასისტ. მ. ხუნდაძე.

ამის შემდეგ მათემატიკის კათედრიდან გამოიყო საგნები: მხაზველობითი გეომეტრია და ხაზვა, რომლებიც ახლა შედის გრაფიკის კათედრაში. მასალათა გამძლეობა და ტექნიკური მექანიკა შეუერთდა გამოყენებითი მექანიკის კათედრას.

1939 წელს საგრძნობი ცვლილება განიცადა კათედრის პირადმა შემადგენლობამ. ამ დროისათვის კათედრის გამგედ (პროფ. ლ. გოკიელის ინსტიტუტიდან წასვლის გამო) დაინიშნა დოცენტი დავით იაგორის-ძე დოლიძე, რომელიც ხელმძღვანელობს კათედრას დღევანდლამდე.

1940 წლისათვის კათედრის პირად შემადგენლობაში შედიოდნენ: 1. დოც. ა. დ. დევიძე, 2. დოც. გ. ი. პაპიტაშვილი, 3. დოც. ნ. ე. კვინიკაძე, 4. დოც.

მ/ა. ა. ვ. სიხარულიძე, 5. ასისტ. ე. პ. გელაშვილი, 6. ასისტ. მ. მ. კეკელია, 7. ასისტ. ბ. ვ. ხვედელიძე, 8. ასისტ. ი. ი. კერესელიძე და ასისტ. ვ. ნ. მელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1941 წლიდან აგრონომიულ ფაკულტეტზე მათემატიკის კურსის გაუქმების გამო მათემატიკის კათედრის შტატი შემცირდა.

1946 წლისათვის კათედრაში გაერთიანებულია მათემატიკა და თეორიული მექანიკა. კათედრა მომსახურებას უწევს მექანიზაციის ფაკულტეტს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტსა და სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტს.

კათედრის პირადი შემადგენლობა შემდეგია: 1. კათედრის გამგე პროფ. დ. ი. დოლიძე, 2. დოც. გ. ი. პაპიტაშვილი, 3. დოც. ნ. ე. კვინიკაძე, 4. დოც. მ/ა. ა. ვ. სიხარულიძე, 5. ასისტ. ი. ი. კერესელიძე, 6. ასისტ. ა. თ. შარანგია და ასისტ. ე. პ. გელაშვილი.

1938 წელს კათედრასთან ჩამოყალიბდა მათემატიკისა და თეორიული მექანიკის კაბინეტი, რომელსაც აქვს ზოგიერთი სასწავლო იარაღი.

1939 წლამდე კათედრას სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა არ უწარმოებია. 1939 წლის იანვრიდან 1946 წლის იანვრამდე კათედრამ დაამუშავა 7 თემა. მათ შორის ერთი თემა კოშის ტიპის ინტეგრალების თეორიიდან (შემსრულებელი ასისტ. ბ. ხვედელიძე); სამი თემა—მათემატიკური ანალიზის შემოკლებული ხერხების დამუშავების ხაზით (შემსრულებელი დოც. გ. პაპიტაშვილი); ორი თემა—ბლანტი სითხის დინამიკიდან (შემსრულებელი პროფ. დ. დოლიძე); ერთი თემა—დრეკადი რხევის თეორიიდან (შემსრულებელი დოც. მ/ა. ა. სიხარულიძე). დამუშავებული თემებიდან გამოქვეყნებულია ორი ნაშრომი.

დოცენტმა ნიკოლოზ კვინიკაძემ შეადგინა უმაღლესი მათემატიკის კურსის სახელმძღვანელო.

კათედრის ერთმა წევრმა—პროფ. დ. დოლიძემ—დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1939—46 წლების პერიოდში კათედრის წევრმა პროფ. დ. დოლიძემ დაბეჭდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ჟურნალში ინსტიტუტის გარეთ შესრულებული 12 შრომა ჰიდროდინამიკის სასაზღვრო ამოცანების თეორიიდან. 1939 წლის იანვრიდან 1946 წლის ივლისამდე კათედრას ჰქონდა 14 ღია სხდომა, რომლებზედაც მოსმენილ იქნა კათედრის წევრთა მოხსენებები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხაზველობითი გეომეტრიისა და გრაფიკის კათედრა

მხაზველობითი გეომეტრიისა და გრაფიკის კათედრაში შემავალი დისციპლინები (მხაზველობითი გეომეტრია, ხაზვა, ხატვა) 1939 წლამდე შედიოდა სხვა კათედრებში, უმთავრესად გამოყენებითი მექანიკის ან ტექ. მექ. კათედრაში. ასე იყო ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშიაც. 1939 წლიდან უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის დადგენილებით ყველა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, მათ შორის ჩვენს ინსტიტუტშიაც, ეს დისციპლინები გამოყოფილია ცალკე კათედრად სახელწოდებით: „მხაზველობითი გეომეტრიისა და გრაფიკის კათედრა", რომელსაც ჩვეულებრივ შემოკლებულად „გრაფიკის კათედრას" უწოდებენ. ამ კათედრის გამგედ დანიშნულ იქნა პროფესორი არჩილ ალექსის-ძე გულისაშვილი, რომელიც მანამდე ტექნიკური მექანიკის კათედრას განაგებდა. კათედრის გამგის გარდა, კათედრაზე ირიცხებოდა ოთხი ასისტენტი: მ. ლაფერაშვილი, ე. მჭედლიშვილი, კ. ყიფშიძე და ბ. ახვლედიანი.

კათედრაში შედიოდა შემდეგი დისციპლინები: მხაზველობითი გეომეტრია, ტექნიკური ხაზვა და ტექნიკური მექანიკა. 1942 წ. ტექნიკური მექანიკა გამოიყო გრაფიკის კათედრიდან და გადაეცა გამოყენებითი მექანიკის კათედრას.

დღიდან დაარსებისა კათედრის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო მეთოდური საკითხების დამუშავებისაკენ. რამდენიმე წელიწადს კათედრა მუშაობდა მის მიერვე დამუშავებული პროგრამებით. შემდეგში ეს პროგრამები მოდიოდა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტიდან.

კათედრის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს თავიდანვე წარმოადგენდა სტუდენტების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით ქართულ ენაზე. დაწერილ იქნა და სამჯერ გამოიცა კათედრის გამგის პროფ. გულისაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო—„მხაზველობითი გეომეტრია". ამ წიგნის ყოველი შემდეგი გამოცემა იყო გადამუშავებული და შევსებული. კათედრაზე მიღებული მეორე სახელმძღვანელო— დოც. ჭელიძის „ტექნიკური ხაზვა"—გამოცემულია კათედრის გამგის რედაქციით.

კათედრის ორგანიზაციულ პერიოდში ერთ-ერთ ძნელ საქმეს წარმოადგენდა მისი მატერიალური ბაზის შექმნა. ამ მხრივ საგრძნობი მუშაობა იქნა ჩატარებული: სამხაზველო და კაბინეტი მომარაგებულ იქნა სახაზავი იარაღებით, თვალსაჩინო ხელსაწყობით, მოდელებით, დაფებით, შესაფერი განათების მოწყობილობით და სხვა. ომის პერიოდში ვერ ხერხდებოდა გაუვარგისებული

მოწყობილობის შეცვლა-შეკეთება, რის გამოც კათედრის მატერიალური ბაზა ძალიან დაბალ დონემდე დავიდა. ამჟამად მდგომარეობა ამ მხრივ გამოსწორებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრა მუდამ ზრუნავდა თავისი წევრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით კათედრის ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას მეთოდური საკითხების დამუშავებაში. კათედრის ორმა წევრმა ე. მჭედლიშვილმა და კ. ყიფშიძემ დაიცვეს დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

გრაფიკის კათედრის შემადგენლობა ამჟამად ასეთია: კათედრის გამგე, მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ა. გულისაშვილი, დოც., ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ე. მჭედლიშვილი, ასისტენტები: მ. ლაფერაშვილი, თ. გულისაშვილი, თ. იოსელიანი, ნ. ყიფიანი და უფროსი ლაბორანტი თ. ბოკერია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეღვინეობის კათედრა

მეღვინეობა, როგორც საგანი, სას.-სამ. ტექნოლოგიასთან ერთად შეტანილ იქნა სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან არსებულ აგრონომიულ განყოფილებაზე 1920—21 სამოსწავლო წლიდან. აღნიშნული წლის 1 ნოემბრიდან მეღვინეობის და სას.-სამ. ტექნოლოგიის კურსის წასაკითხავად მოწვეული იყო ლექტორი სილვესტრ სიმონის-ძე ფილატოვი.

პრაქტიკული ვარჯიშობა მეღვინეობაში ტარდებოდა მუხრანის მეურნეობის სარდაფში, ხოლო ლაბორატორიული მეცადინეობა ღვინის ანალიზებზე წარმოებდა 1920 წლიდან 1925 წლამდე პროფ. პ. მელიქიშვილის ლაბორატორიაში პროფ. პ. მელიქიშვილის და ასისტ. მ. ბექაიას, მ. შალამბერიძის და ნ. ციციშვილის ხელმძღვანელობით.

1924 წლამდე საგნის ხელმძღვანელობაში (მარტო ლექტ. ს. ფილატოვი) არავითარი ცვლილება არ ყოფილა შეტანილი, ხოლო 1924 სასწავლო წლიდან ღვინის ქიმიის კურსის წასაკითხავად მოწვეულ იქნა ლექტორი კონსტანტინე ბესარიონის-ძე მოდებაძე.

1925 წელს ლექტორი ს. ფილატოვი განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან და მეღვინეობის, სარდაფის მეურნეობის და ღვინის ქიმია-ფიზიოლოგიის კურსის წაკითხვა მიენდო ლექტ. კ. მოდებაძეს.

1925 წელს ჩამოყალიბდა მეღვინეობის კათედრა და კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. კ. მოდებაძე. ამავე წელს კათედრის შემადგენლობა შევსებულ იქნა ერთი ასისტენტით და ერთი პრეპარატორით. ასისტენტად ენოქიმიაში არჩეულ იქნა აგრონომი ვარლამ ზაქარიას-ძე ღვალაძე, პრეპარატორად—აგრონომი ოლღა ვეფხვაძე.

1930 წელს კათედრის შტატში ითვლებოდნენ: პროფ. კ. მოდებაძე—კათედრის გამგე, დოც. ვ. ღვალაძე (ენოქიმიის კურსი), ასისტ. მეღვინეობაში ალექსანდრე ლაზარეს-ძე სესიაშვილი, დანიშნული პირველად პრეპარატორად, მარიამ გიორგის-ასული კობახიძე, დანიშნული პირველად ლაბორანტად 1927 წელს, ასისტენტი ენოქიმიაში მარიამ დიმიტრის-ასული ხოფერია, დანიშნული პირველად პრეპარატორად 1927 წელს და პრეპარატორი ენოქიმიაში ბორის ვლადიმერის-ძე ივანოვი.

1935 წელს ასისტენტის თანამდებობაზე მოწვეულ იქნა ნიკოლოზ ტარასის-ძე გელაშვილი.

1940 წელს მეღვინეობის კათედრაზე მუშაობდნენ შემდეგი პირები: პროფ. კ. მოდებაძე, პროფ. ვ. ღვალაძე, დოც. ნ. გელაშვილი, ასისტ. მ. კობახიძე, ასისტ. ენოქიმიაში ანდრია დიმიტრის-ძე ლაშხი, დანიშნული აღნიშნულ თანამ-

დებობაზე 1937 წელს უფროსი ლაბორანტი მეღვინეობაში გიორგი ივანეს-ძე ბერიძე, დანიშნული ამ თანამდებობაზე 1938 წელს და ლაბორანტი მ. ხოფერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათედრის სახელწოდებამ, დღიდან მისი დაარსებისა, შემდეგი ცვლილებები განიცადა: აგრონომიული ფაკ-ტის 1929 წლ. 27—28 იანვრის დადგენილებით მეღვინეობა შეტანილ იქნა ტექნოლოგიის კათედრაში, რომელიც შეიცავდა შემდეგ დისციპლინებს—მეღვინეობას, მინდვრის პროდუქტთა ტექნოლოგიას, მებაღეობა-მებოსტნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიას, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ტექნოლოგიას, მესაქონლეობის პროდუქტთა ტექნოლოგიას და ტყის ქიმიურ ტექნოლოგიას. 1931 წლიდან მეღვინეობის კათედრა ისევ იქნა აღდგენილი, როგორც ცალკე კათედრა.



კონიაკის დაძველება ელექტროდენით (ხელმძღვანელი პროფ. კ. მოდებაძე)

1938 წლ. 16 თებერვალს ჩამოყალიბდა ტექნოლოგიური კათედრა, რომელიც მეღვინეობის გარდა (ენოქიმიით და ღვინის წარმოების კონტროლით) შეიცავდა აგრეთვე სას.-სამ. ტექნოლოგიას და ხილბოსტნეულის გადამუშავებას. 1939—40 სასწავლო წლიდან მეღვინეობის კათედრა ხელმეორედ იქნა აღდგენილი, როგორც ცალკე დამოუკიდებელი კათედრა მასში შემავალი დისციპლინებით: 1. მეღვინეობა (ყურძნის გადამუშავება, სარდაფის მეურნეობა და ნარჩენთა გადამუშავება)—ხელმძღვანელი პროფ. კ. მოდებაძე, 2. ენოქიმია—ხელმძღვანელი პროფ. ვ. ღვალაძე და 3. ღვინის წარმოების კონტროლი—ხელმძღვანელი დოც. ნ. გელაშვილი.

მეღვინეობის კათედრის ენოქიმიური ლაბორატორიით უზრუნველყოფის შესახებ პირველად დაისვა საკითხი 1924 წლ. 18 ოქტომბერს. 1925 წლის დასაწყისში ყოფილ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ლაბორატორიაში გამოყოფილ იქნა ორი ოთახი ღვინის მიკრობიოლოგიასა და ენოქიმიაში ლაბორატორიული მეცადინეობისათვის.

1930 წლის დასაწყისში სტუდენტთა სამეცადინოდ ენოქიმიაში და ღვინის მიკრობიოლოგიაში მოეწყო სპეციალური ლაბორატორია სას.-სამ. ინსტიტუტის საკუთარ შენობაში, რომელიც ამავე დროს მეღვინეობის კაბინეტადაც იყო გამოყენებული. ამავე 1930 წელს ღვინის მიკრობიოლოგიაში საკვლევი მუშაობის წარმოებისათვის ინსტიტუტის კომპლექსურ ლაბორატორიაში გამოყოფილ იქნა ერთი ოთახი. ზემოხსენებული ლაბორატორიები საკმაოდ უზრუნველყოფილი არიან ავეჯით, აპარატებით, ხელსაწყოებით, ჭურჭლით და რეაქტივებით.

1945 წლიდან პროფ. ვ. ღვალაძის გარდაცვალების შემდეგ ენოქიმიის კურსს ხელმძღვანელობს დოც. ს. დურმიშიძე, რომელიც ამავე დროს ირიცხება ბიოქიმიის ხელმძღვანელად ბიო-ორგანული ქიმიის კათედრაზე.

დღიდან დაარსებისა მეღვინეობის კათედრაზე გამოიზარდა სამი ასპირანტი: 1. ნიკოლოზ ტარასის-ძე გელაშვილი, რომელმაც 1937 წლ. 18 მაისს დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ღვინის აშრობის ნორმები საქართველოს სარდაფებში“, 2. ანდრია დიმიტრის-ძე ლაშხი, რომელმაც დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე 18 მაისს 1937 წელს თემაზე: „საფუვრების სხვადასხვა სახის მიერ გამოწვეული ალკოჰოლური დუღილის შედარებითი ბალანსი“ და 3. გიორგი ივანეს-ძე ბერიძე, რომელმაც დაიცვა დისერტაცია 19 აპრილს 1940 წელს თემაზე: „შიგნით კახეთის მიკროარაიონების აბორიგენული და უცხო ქვეყნების ყურძნის ჯიშების შესწავლა შამპანური მასალის მიღების თვალსაზრისით“.

1939 წელს ასპირანტურაში მეღვინეობის კათედრაზე მიღებულ იქნენ ხოსრო ხოსროშვილი და შოთა იაქაშვილი, რომელიც სამამულო ომის დაწყებისთანავე გაწვეულ იქნა წით. არმ. რიგებში და ომში დაიღუპა, ხოსროშვილმა კი ოჯახური პირობების გამო თავი დაანება ასპირანტურას და გადავიდა უმცრ. მეც. მუშაკად მევენ.-მეღვ. სამეცნ.-საკვ. ინსტიტუტში.

კათედრის წევრთა შორის პროფ. ვარლამ ზაქარიას-ძე ღვალაძემ დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე 1936 წლის 4 სექტემბერს, თემაზე: „კორელაცია ალკოჰოლური დუღილის პროდუქტთა შორის“.

1938 წლ. 23 თებერვალს მეღვინეობის კათედრის გამგეს პროფ. კონსტანტინე ბესარიონის-ძე მოდებაძეს უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი დისერტაციის დაუცველად.

1940 წ. კათედრაზე დანიშნულ იქნა ასისტენტად ლაბორანტი გ. ბერიძე, რომელსაც 1944 წ. მიენიჭა დოცენტის წოდება და მიენდო მეღვინეობის კურსის წაკითხვა მებაღეობა-მევენახეობის ფაკ-ტზე.

1941 წ. კათედრის ასისტენტი ა. ლაშხი გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

1943 წ. 9 იანვარს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პროფ. კ. მოდებაძეს და პროფ. ვ. ღვალაძეს მიენიჭათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1944 წლის 7 იანვრის სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პროფ. ვ. ღვალაძე და პროფ. კ. მოდებაძე დაჯილდოებულ იქნენ პირველი—„წითელი დროშისა“ და მეორე—„საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

1944 წლის 16 დეკემბერს გარდაიცალა მეცნიერების დამსახურებული მოღ. ვაწე პროფ. ვ. ზ. ღვალაძე.

1946 წლის 1 სექტემბრისათვის კათედრის შტატში ირიცხება: პროფ. კ. მოდებაძე, დოც. გ. ბერიძე, დოც. ნ. გელაშვილი და ასისტ. მ. კობახიძე.

დღიდან დაარსებისა კათედრამ დაამუშავა 24 სამეცნიერო-საკვლევი თემა. მათ შორის:

1. პროფ. კ. მოდებაძე—„შამპანური მასალების რაიონები და შამპანური წარმოების განვითარების უახლოესი პერსპექტივები საქართველოში“. საქ. სოციალისტური მეურნეობა, 1939 წ.

2. პროფ. კ. მოდებაძე და ასისტ. გ. ბერიძე.—„რკინის დაგროვების წყაროები ღვინოში“. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, 1940 წ.

3. პროფ. ვ. ღვალაძე აკად. კოსტიჩევთან და ელიასბერგთან ერთად—„პიროყურძნის მჟავას წარმოქმნა რძისმჟავა დუღილის დროს“. Zeitschr. für Physiologische schemie, 1930, B. 188, 127.

4. პროფ. ვ. ღვალაძე—„კორელაცია ალკოჰოლური დუღილის პროდუქტთა შორის“. ა/კ. მევენახ.-მეღვინეობის სამეცნ.-საკვლევი ინსტიტუტის ცალკე გამოცემა, 1936 წ.

5. პროფ. ვ. ღვალაძე—„ქარვის მჟავას როლი ალკოჰოლური დუღილის ბალანსში“. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე“, 1937.

6. ასისტ. ა. ლაშხი—„ღვინოში გლიცერინის განსაზღვრის მოცულობითი მეთოდი“. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე“, №4, 1937 წ.

7. ასისტ. ა. ლაშხი—„აცეტალი და მისი როლი კონიაკის დამწიფების საქმეში“. ხელნაწერი, 1940 წ.

8. ასისტ. გ. ბერიძე—„შიგნით კახეთის მიკრო-რაიონების აბორიგენული და უცხოეთის ყურძნის ჯიშების პროდუქციის შესწავლა შამპანური მასალისათვის“ (სადისერტაციო შრომა), ხელნაწერი, 1940 წ.

9. პროფ. კ. მოდებაძე.—„ღვინო ხვანჭკარა და მისი ტიპის ჩამოყალიბება-გაუმჯობესების შესაძლებლობანი“. ლ. პ. ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტიტ. „შრომები“, ტ. XXV, 1946 წ.

10. პროფ. კ. მოდებაძე და დოც. გ. ბერიძე—„კლერტის გავლენა ღვინის ხარისხზე“. ხელნაწერი, 1944 წ.

კათედრის წევრთა მიერ დაწზადებულ იქნა შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. პროფ. კ. მოდებაძე—მეღვინეობა. სახელმწიფო გამომცემლობა, 1931 წ.

2. პროფ. კ. მოდებაძე—ყურძნის წვნიდან უალკოჰოლო პროდუქტთა დამზადება და მეღვინეობის ნარჩენთა გადამუშავება. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის გამოცემა, 1933 წ.

3. იგივე. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის ლითოგრაფიული გამოცემა, 1939 წ.

4. პროფ. კ. მოდებაძე და ასისტ. მ. კობახიძე—ტკბილის და ღვინის მიკრობიოლოგია. პრაქტიკული სახელმძღვანელო. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის ლითოგრაფიული გამოცემა, 1939 წ.

5. პროფ. ვ. ღვალაძე—ენოქიმიის სახელმძღვანელო. პირველი ნაწ. სას.-სამ. ინსტიტუტის ლითოგრაფიული გამოცემა, 1933 წ.

6. ასისტ. ა. ლაშხი—ენოქიმიის და ღვინის წარმოების კონტროლის პრაქტიკუმი. 1940 წ.

7. პროფ. კ. მოდებაძე—„მეღვინეობა". გამოცემა II, 1943 წ.

8. პროფ. ვ. ღვალაძე—„ტკბილსა და ღვინოში არსებული ორგანული მჟავები". ლ. პ. ბერიას სახელ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის გამომცემლობა, 1946 წ.

ხსენებული სახელმძღვანელოების გარდა სას.-სამ. ინსტიტუტის მიერ გამოცემულ იქნა დამხმარე წიგნი მეღვინეობაში.

1. ჟ. ვანტრი—რეალური მჟავიანობის როლი ღვინის დაყენებასა და მოვლა-შენახვაში. თარგმანი ფრანგულიდან, 1939 წ.

2. საქართველოს მეღვინეობის რაიონების რუკა. შედგენილი პროფ. კ. მოდებაძისა და პროფ. ს. ჩოლოყაშვილის მიერ, 1939 წ.

კათედრის დახმარება წარმოებისადმი გამოიხატება შემდეგში: 1. განიხილა წინანდლის სარდაფის გაფართოებისა და გურჯაანში ასაგები ახალი სარდაფის პროექტები და მისცა მათ შესახებ დასკვნა; 2. დაამუშავა ბოლნისის სარდაფის პროექტი; 3. მისცა დასკვნა ყვარელში, ყულარსა და ხირსაში ასაგები სარდაფების პროექტების შესახებ; 4. გამოიკვლია მრავალჯერ ღვინოების და შამპანური ღვინო მასალების დაავადების მიზეზები ხირსაში, ანაგაში, გურჯაანში, წინანდალში, ქუთაისსა და ზესტაფონში და დაუსახა წარმოებას ღონისძიებანი მათი გამოჯანსაღებისა ან გამოყენების შესახებ; 5. შეისწავლა რკინის დაგროვების წყაროები სამტრესტის ღვინოებში და დასახა ღონისძიებანი აღნიშნული ნაკლის ლიკვიდაციისათვის; 6. შეამოწმა მრავალჯერ სამტრესტის ღვინო-მასალების და მზა პროდუქციის ხარისხი როგორც ქიმიური ანალიზების წარმოებით, ისე დეგუსტაციით; 7. არაერთხელ შეამოწმა შამპანკომბინატის პუნქტების მზადყოფნა ყურძნის მისაღებად და გადასამუშავებლად დასავლეთ საქართველოში; 8. ჩაატარა შამპანკომბინატის და სამტრესტის მეღვინე-სპეციალისტთა გადამზადება ღვინის წარმოების კონტროლში; 9. დაამუშავა დიღომის სასწავლო სარდაფის პროექტი; 10. გამოარკვია შამპანურის ამღვრევის მიზეზები ავჭალის ქარხანაში და დაუსახა წარმოებას სათანადო ღონისძიებანი.

კათედრის მიერ წარმოებულ გამოკვლევათა შორის სამტრესტს გადაეცა წარმოებაში დასანერგავად ნაშრომები:

1. „სოდის შემცვლელი საღვინე ჭურჭლის დასარეცხად". სამტრესტის ზოგიერთი ქარხნის მიერ სოდის მაგიერ ომის პერიოდში გამოყენებულ იქნა კირის რძე.

2. „რკინის დაგროვების წყაროები ღვინოში". სამტრესტმა მიიღო ზომები და რკინა-ბეტონის ცისტერნების შესალესად იხმარა მაღალი ხარისხის ცემენტი.

საქართველოს შამპანკომბინატს გადაეცა:

1. გამოკვლევა შამპანური ღვინოების ამღვრევის მიზეზების შესახებ. მიცემული მითითებების საფუძველზე ავჭალის ქარხანამ შამპანური ღვინის ხარისხი გააუმჯობესა.

2. ნაშრომი—„ბექმეზის გასანეიტრალებლად ხმარებული ცარცის შემცვლელი ადგილობრივი მასალა". ბექმეზის გასანეიტრალებლად ამჟამად წარმოებაში ცარცის მაგიერ იხმარება საჩხერის კალციტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრა

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრა ჩამოყალიბებულ იქნა ჩაისა და სუბტროპიკულ ტექ. კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრის საფუძველზე, რომელიც დაარსდა 1930—31 წ. სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. კათედრის ჩამოყალიბების საჭიროება გამოიწვია იმ დიდმა მუშაობამ, რომელსაც ატარებდა და ატარებს პარტია და ხელისუფლება საქართველოში სუბტროპიკული კულტურების გაშენებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარების საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1931 წ. 31/X დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, კერძოდ—შავი ზღვის სანაპიროზე ძვირფასი სუბტროპიკული ტექ. კულტურების განვითარების შესახებ, დიდ და საპასუხისმგებლო ამოცანებს სახავდა კათედრის წინაშე სუბტროპიკულ მცენარეთა პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაშლის საქმეში. კათედრა მაშინ ორ დისციპლინას აერთიანებდა: ჩაის ტექნოლოგიას და სხვა სუბტროპიკულ ტექ. კულტურათა პროდუქტების ტექნოლოგიას. კათედრის შემადგენლობაში შედიოდნენ: კათედრის პირველი გამგე პროფ. ვ. ე. ვორონცოვი, დოც. ი. ა. ხოჭოლავა და დოც. ლ. ი. ლიაძე.

1933 წლის სექტემბრიდან კათედრის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე დისციპლინები: ახალ სართავ მცენარეთა ტექნოლოგია, სატიტესტერო საქმე და სუბტროპიკული ხილისა და ერერზეთოვანთა ტექნოლოგია.

1938/39 სასწავლო წელს კათედრაში შედიოდა დისციპლინები: მარცვლეულის პროდუქტთა ტექნოლოგია და ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგია, რომლებიც მანამდე მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტთან არსებულ ღვინის ტექნოლოგიის კათედრაში შედიოდნენ.

ამჟამად სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრაში გაერთიანებულია 6 დისციპლინა:

1. ჩაის ტექნოლოგია, ხელმძღვანელი ტექ. მეც. კანდიდატი, დოც. ი. ა. ხოჭოლავა.

2. ჩაის ქიმია—ხელმძღვანელი ტექ. მეც. კანდიდატი დოც. ქ. პ. კიზირია.

3. სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგია—ხელმძღვანელი სოფ. მეურნეობის მეც. კანდიდატი, დოც. ხ. ბ. შალამბერიძე.

4. ხილ-ბოსტნეულის ტექნოლოგია, ხელმძღვანელი დოც. ლ. ლიაძე.

5. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა და გადამუშავება — ხელმძღვანელები დოც. ხ. ბ. შალამბერიძე და ლ. ი. ლიაძე.

6. სატიტესტერო საქმე — ხელმძღვანელი დოც. მ/ა შ. ბულეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1935 წელს საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის დირექციის ბრძანებით კათედრის გამგედ დაინიშნა დოც. ხ. ბ. შალამბერიძე, რომელიც კათედრას განაგებდა 1941 წლის ივნისამდე. 1941 წ. ივნისში იგი გაწვეულ იქნა წითელ არმიაში და 1946 წლის მაისამდე კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებდა დოცენტი ლ. ლიაძე. 1946 წლის მაისში დოც. ხ. შალამბერიძე დემობილიზებულ იქნა და ისევ შეუდგა კათედრის გამგის მოვალეობის შესრულებას.

ამჟამად კათედრის შემადგენლობაში შედიან: კათ. გამგე დოც. ხ. ბ. შალამბერიძე, დოც. ი. ა. ხოჭოლავა, დოც. ლ. ლიაძე, დოც. ქ. კიზირია. დოც. მ. გვარამია, ასისტენტები: შ. ბულეიშვილი, მ. წერეთელი, ნ. გეურქოვა, უფ. ლაბ. თ. გაბესკირია, ვ. ჯიბლაძე, ლაბორანტი ე. რობაქიძე, პრეპარატორი ა. ფრუიძე.



ლაბორატორიული მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიაში

1939 წელს სუბტროპიკულ ფაკულტეტთან არსებული ჩაის ტექნოლოგიის განყოფილება ცალკე გამოიყო და დაარსდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტი, სადაც ძირითად წამყვან კათედრას ს/მ. პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრა წარმოადგენს. კათედრამ 1937/38 სასწავლო წლიდან საგრძნობლად გაშალა თავისი მუშაობა. ამჟამად კათედრას აქვს კარგად მოწყობილი კაბინეტი, სატიტესტერო საქმის ლაბორატორია და სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის ლაბორატორია.

კათედრა საკმაოდ დიდ ნაკლოვანებას განიცდიდა კადრების მხრივ, ვინაიდან კათედრის წევრთა დიდი ნაწილი შეთავსებით მუშაობდა სხვა სამეცნ. და სამეც.-საკვლევ დაწესებულებებში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად 1937 წლიდან კათედრასთან შეიქმნა ასპირანტურა. კათედრის პირველი ასპირანტი იყო ქ. პ. კიზირია. კათედრის ჩამოყალიბებიდან დღემდე კათედრის მიერ მომზადებულია 4 ასპირანტი, რომელთაგან სამმა: ქ. კიზირიამ, ნ. იაკობაშვილმა და ნ. გეურქოვამ დაიცვეს დისერტაცია ტექ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე. ასპირანტი ტ. ჩარგაზია, სამამულო ომთან დაკავშირებით გაწვეულ იქნა წითელი არმიის რიგებში და დაიღუპა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში 1944 წელს.

კათედრამ საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარა კათედრის წევრთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მეც. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მინიჭებული აქვს კათედრის 5 წევრს და ორი მუშაობს სადისერტაციო თემაზე. სოფლის მეურნეობის მეც. კანდიდატის ხარისხი მინიჭებული აქვს დოც. ხ. შალამბერიძეს 1937 წ., რომელმაც დისერტაცია დაიცვა თემაზე: „რამის ბოჭკოს ტექნოლოგიური მაჩვენებლები ღეროს განვითარების სხვადასხვა ფაზებში“.

ტექ. მეცნიერებათა კანდიდატის სამეც. ხარისხი 1939 წ. მიენიჭა კათედრის წევრს ი. ა. ხოჭოლავას, რომელმაც დისერტაცია დაიცვა თემაზე: „ხანმოკლე ჭკნობის გავლენა ჩაის ხარისხზე“.

კათედრის მიერ დღემდე დამუშავებულია სამეცნიერო-საგამოკვლევო ხასიათის შემდეგი თემები:

1. „რამის ღეროს ტექნოლოგიური მაჩვენებლები ღეროს განვითარების სხვადასხვა ფაზაში“—დოც. ხ. ბ. შალამბერიძე, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „მოამბე“, №1, 1940 წ.

2. „ახალი ზელანდიის სელის ბოჭკოს ტექნოლოგიური დახასიათება მცენარის ფორმებისა და ფოთლის ხნოვანების მიხედვით“—დოც. ხ. შალამბერიძე და დოც. ქ. კიზირია, ბერიას სახ. საქ. სას-სამ. ინსტ. „მოამბე“, №2, 1939 წ.

3. „დრაცენას ბოჭკო როგორც საფეიქრო მასალა“—დოც. ხ. ბ. შალამბერიძე, ბერიას სახ. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები“, №12, 1940 წ.

4. „აღმოსავლეთ საქართველოს გერანის ზეთის ქიმიური შემადგენლობა“—დოც. ლ. ლიაძე, ხელნაწერი.

5. „ხანმოკლე ჭკნობის გავლენა ჩაის ხარისხზე“—დოც. ი. ა. ხოჭოლავა, ხელნაწერი.

6. „ცილოვან ნივთიერებათა და მისი დაშლის პროდუქტების ცვალებადობა ჩაიში გადამუშავების სხვადასხვა სტადიაში“—ქ. პ. კიზირია, ჟურ. „Биохимия чая и тунга“, вып. №2, 1946 г.

7. „სინესტის ცვალებადობა ჩაიში თბილისის ჩაის საწონ ქარხანაში შენახვის დროს—დოც. ქ. პ. კიზირია, ხელნაწერი.

8. „იაპონური ხურმის ნაყოფის ქიმიურ ნივთიერებათა ცვალებადობა ცივად შენახვის დროს და მისი ტექნიკური გადამუშავების პროდუქტები“—დოც. ნ. იაკობაშვილი, 1943 წ., ხელნაწერი.

9. „საქართველოს მანდარინის ეთერზეთი“—ნ. მ. გეურქოვა, 1944წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს კათედრაზე მუშავდება 3 სამეცნიერო-საკვლევი თემა:

1. „მანდარინის ეთერ-ზეთის გაწმენდა ტერპენებისაგან“.

2. „ჩაის ეთერ-ზეთის განსაზღვრის კოლორიმეტრიული მეთოდის დადგენა“.

3. „საქართველოს ადგილობრივი ვაშლის ჯიშების ბიოქიმიური შესწავლა“.

კათედრის წევრების მიერ შედგენილია სახელმძღვანელო:

„ჩაის ტექნოლოგია“ დოც. ი. ა. ხოჭოლავას მიერ 1946 წ.

დამხმარე კონსპექტი: „ახალ სართავ მცენარეთა ტექნოლოგია“ დოც. ხ. ბ. შალამბერიძის მიერ 1936 წ.

კათედრის წევრების მიერ 1947 წლის ბოლოსათვის მზადდება დასაბეჭდად სუბ. ტექნ. კულტურათა ტექნოლოგიის სახელმძღვანელო და ლაბორატორიული პრაქტიკუმი ჩაის ქიმიაში.

კათედრის მიერ დღემდე ჩატარებულია 16 საჯარო სხდომა. საჯარო სხდომებზე წაკითხული მოხსენებებიდან განსაკუთრებით აღინიშნება:

1. „ჩაის საჭკნობი აგრეგატების შედარებითი დახასიათება“—დოც. მ. გვარამია, 1938 წ.

2. „დრაცენას ბოჭკოს ტექნოლოგიური თვისებების ცვლა ფოთლის ხნოვანების მიხედვით“—დოც. ხ. შალამბერიძე, 1939 წ.

3. „ახალი ზელანდიის სელის ბოჭკოს ტექნოლოგიური თვისებები ფოთლის ხნოვანებისა და მცენარის ფორმების მიხედვით“— ქ. პ. კიზირია, 1940 წ.

4. „ტუნგოს ზეთი და მისი მნიშვნელობა მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის“—დოც. ლ. ი. ლიაძე, 1939 წ.

5. „ჩაის ფოთლის ხარისხისა და სეზონურობის გავლენა ფოთლის და მზა პროდუქციის ქიმიურ შემადგენლობაზე“—დოც. ი. ა. ხოჭოლავა, 1940 წ.

6. „დრაცენას ბოჭკო, როგორც საფეიქრო მასალა“—დოც. ხ. შალამბერიძე, 1940 წ.

7. ქიმიურ ნივთიერებათა ცვალებადობა იაპონური ხურმის ნაყოფის დაბალ ტემპერატურაზე შენახვის პირობებში“—ასპ. ნ. იაკობაშვილი, 1940 წ.

8. „ჩაის ფოთლიდან ცილის გამოყოფის მეთოდები“—ასპირანტი ქ. კიზირია, 1940 წ.

9. „ჩაის მწვანე ფოთლის დაკონსერვება“—დოც. გვარამია, 1946 წ.

კათედრამ საკმაოდ დიდი დახმარება გაუწია და უწევს ამჟამადაც წარმოებებს კონსულტაციებით, კვ. ამაღლების კურსების მოწყობით, მეთოდიკისა და პროგრამების შედგენით და სხვ. მაგ., 1938, 1939 წ. წ. კათედრის წევრების ხელმძღვანელობით მოეწყო რამის პირველადი გადამუშავების ქარხნების ტექნოლოგთა ერთთვიანი კურსები; 2. მიწსახკომის საგამოფენო კომიტეტს და საქართველოს მუზეუმს გამოფენის მოსაწყობად დაუმზადა სუბტროპიკულ კულტურათა გადამუშავების პროდუქტების ექსპონატები; 3. კათედრამ გადაამზადა საკონტროლო სადგურის მუშაკები ტუნგოს ნაყოფის მიღების საქმეში. 4. მონაწილეობა მიიღო ჩაის სინესტის დადგენის მეთოდიკაში „საქ. ჩაი“-ს ფაბრიკებისათვის. 5. ტრესტ „საქ. ჩაი„-ს დავალებით შეისწავლა ჩაის სინესტის დინამიკის ცვალებადობის საკითხი თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში; 6. ტუნგოს

ქარხნის ლაბორატორიას შეუდგინა მუშაობის მეთოდიკა; 7. მთელ რიგ ტრა-სტებს „საქ. ეთერზეთს“, „საქართველოს ტუნგოს“ „საქართველოს ჩაის“ და სხვებს ჩაუტარა ანალიზები სხვადასხვა მასალაზე. 8. კათედრამ დახმარება გაწია როგორც სუბტროპიკული, ისე კონტინენტური მეხილეობის კათედრებს. გააკეთა სხვადასხვა ჯიშის ნუშების, მანდარინის, ფორთოხლის და ქლიავების ქიმიური ანალიზები; 9. შედგენილი არის მიწსახკომის ტექნიკუმებისათვის პროგრამები ჩაის ტექნოლოგიაში, სუბტროპიკულ ხილეულის და ეთერ-ზეთოვან კულტურათა ტექნოლოგიაში.

კონსულტაცია გაეწია საქ. მიწსახკომს ციტრუსოვანთა ნაყოფების ცივად შენახვის საკითხში.

საქ. ცენტრალურ გლეხთა სახლში და ბუკნარაში ამხ. მ. ი. კალინინის სახ. კოლმეურნეობაში ჩატარდა სხვადასხვა სახის მოხსენებები ევკალიპტების, ტუნგოს და სხვა ტექ. კულტურების მნიშვნელობის და გადამუშავების საკითხებზე.

კათედრის ლაბორატორიაში კათედრის წევრების ხელმძღვანელობით მოეწყო „საქ. ჩაის“ ტიტესტერთა გადასამზადებელი 4 თვიანი კურსები და სხვა.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმა საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანთა კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების უდიდეს გეგმებს სახავს. კათედრის ამოცანაა: სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობის გაშლით და კადრების მაღალხარისხოვნად მომზადებით თავისი წვლილი შეიტანოს სტალინური მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიო-ორგანული ქიმიის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აგრონომიული ფაკულტეტის ჩამოყალიბების პერიოდში (1919—1920 წ.წ.) ორგანული ქიმიის კათედრას ხელმძღვანელობდა დამსახურებული პროფესორი პ. გ. მელიქიშვილი, ხოლო არაორგანული ქიმიის კათედრას პროფ. ი. პ. მოსეშვილი.

იმ დროს ეს კათედრები ემსახურებოდნენ საერთოდ უნივერსიტეტს, ყველა იმ ფაკულტეტს, სადაც კი ისწავლებოდა აღნიშნული საგნები.

მის შემდეგ, რაც სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის საფუძველზე ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ამ უკანასკნელში დაარსდა ქიმიის კათედრა და მის გამგედ დაინიშნა პროფ. ა. პ. ცაგარელი. კათედრაში გაერთიანებული იყო: არაორგანული, ანალიზური და ორგანული ქიმია, რომელსაც შემდეგ (1931—1932 წ.) დაემატა ბიოქიმია მეაბრეშუმეობის ფაკულტეტისათვის.

1931—32 სასწ. წლის დასაწყისში კათედრა ორად გაიყო. ერთში მოექცა არაორგანული და ანალიზური, მეორეში—ორგანული, ფიზიკური, კოლოიდური და ბიოლოგიური ქიმია, მაგრამ 1934—35 წ. ეს კათედრები ისევ გაერთიანდა, თუმცა არა დიდი ხნით, რადგან მომდევნო 1935—36 წ. კვლავ მოხდა მათი ხელმეორედ გაყოფა—ზოგადი ქიმიისა და ბიო-ორგანული ქიმიის კათედრების სახელწოდებით. ბიო-ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ბ. ს. კანდელაკი.

ამრიგად, თუმცა ორგანული ქიმიის კათედრის ცალკე ერთეულად გამოყოფა სას.-სამ. ინსტიტუტის ფარგლებში პირველად 1931—32 წ. დასაწყისში მოხდა, მაგრამ სავსებით ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი კათედრის სახეს იგი მხოლოდ 1935—36 წლიდან ღებულობს და აერთიანებს: ორგანულ, ფიზიკურ, კოლოიდურ და ბიოლოგიურ ქიმიას.

ამ დროისათვის კათედრის შტატი განისაზღვრებოდა შემდეგი შემადგენლობით: პროფ. ბ. კანდელაკი (კათედრის გამგე), დოც. ვ. ღვალაძე, დოც. დ. ერისთავი, ლექტორი თ. ჯაყელი, ასისტენტები: ს. დურმიშიძე, ნ. მაზანაშვილი, ეკ. გიორგაძე, ი. სეთაშვილი, სანაძე, ლაბორანტი დემეტრაშვილი.

მომდევნო ხუთი წლის მანძილზე კათედრის შემადგენლობამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და 1941 წლისათვის იგი წარმოდგენილი იყო 15 საშტატო ერთეულით, რომელშიაც იყო 1 პროფესორი (კათედრის გამგე ვ. ღვალაძე), 4 დოცენტი, 5 ასისტენტი, 2 უფრ. ლაბორანტი, 1 ლაბორანტი და 2 პრეპარატორი.

საომარ ომის პერიოდში წითელი არმიის რიგებში გაწვევის გამო კა-
თედრას დროებით ჩამოშორდნენ დოცენტები: ბ. ივანოვი, ნ. ფირცხლავა,
ფ. ცისკარიშვილი და უფრ. ლაბორანტი ი. სინაურიძე. 1944 წლის დასა-
რულს გარდაიცვალა კათედრის გამგე პროფ. ვ. ზ. ღვალაძე და მის ადგილზე
დროებით დაინიშნა დოც. ს. დურმიშიძე, ხოლო 1946 წელს—ჯარიდან დემო-
ბილიზებული დოც. ბ. ივანოვი.

სადღეისოდ (1946 წ.) კათედრის შემადგენლობა წარმოდგენილია შემ-
დეგი პირებით: 1. კათედრის გამგე, დოცენტი ბ. ივანოვი (ორგანული ქიმია),
2. პროფ. მ. შალამბერიძე (ზოგადი და ორგანული ქიმია), 3. დოც. ს. დურ-
მიშიძე (ბიოქიმია), 4. დოც. ა. კახნიაშვილი (ორგანული ქიმია), 5. დოც. მ/ა.
ნ. ფირცხლავა (ფიზიკური და კოლოიდური ქიმია), 6. დოც. მ/ა. ვ. ნაცვლი-
შვილი, 7. ასისტ. ო. აბდუშელიშვილი, 8. ასისტ. ი. სინაურიძე, 9. ასისტ.
ა. ჰაჯიბეილი, 10. ასისტ. ე. მაჭარაშვილი, 11. ასისტ. ქ. დგებუაძე, 12. უფრ.
ლაბორანტი ნ. ილაშვილი, 13. უფრ. ლაბორანტი ი. ქორიძე, 14. უფრ.
ლაბორანტი თ. უთურაშვილი, 15. ლაბორანტი კ. ცისკარიშვილი და 16. ლა-
ბორანტი ქ. მიქაძე.



სტუდენტები ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში
პრაქტიკულ მეცადინეობაზე

1941 წლამდე კათედრის განკარგულებაში იყო საკმაოდ ფართო და თა-
ვისი მიზნებისათვის შედარებით კარგად მოწყობილი სასწავლო ლაბორატო-
რია. გარდა ამისა, 1937 წელს ბიო-ორგანული ქიმიის კათედრას გადაეცა
ინსტიტუტის კომპლექსური ქიმიური ლაბორატორია მთელი თავისი შტატით
და მისი სახით კათედრას გაუჩნდა უკვე მკვიდრი და საუცხოოდ მოწყობილი

ბ აზა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის. 1939 წ. აღნიშნული ლაბორატორია გადაკეთდა ბიოქიმიურ სადგურად, მაგრამ კვლავ დარჩა კათედრის გამგებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამამულო ომის პერიოდში კათედრის მუშაობა უაღრესად შეფერხდა— ინსტიტუტის მთავარ კორპუსში ჰოსპიტლის მოთავსების გამო დროებით გაუქმდა კათედრის სასწავლო ლაბორატორია. ამას ზედ დაერთო კათედრის ძირითად მომუშავეთა მობილიზაციით ჯარში გაწვევა, რის გამო აუცილებელი გახდა საკვლევი ლაბორატორიის (ბიოქიმიური სადგურის) მუშაობის შეწყვეტა და ამ დაწესებულების კონსერვაცია. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ სამამულო ომის პერიოდში კათედრას არ გააჩნდა საკუთარი არც სასწავლო და არც საგამოკვლევო ბაზა.

ომის დამთავრების ხნიდან კათედრა ენერგიულად შეუდგა ამ ზიანის გამოსწორებას და 1946 წ. დასაწყისისათვის მან შესძლო სამი სასწავლო ლაბორატორიის მოწყობა ორგანული, ფიზიკური და კოლოიდური ქიმიისათვის. ამავე დროისათვის მუშაობა განაახლა და ნორმალურ კალაპოტში ჩადგა აგრეთვე ბიოქიმიის საკვლევი ლაბორატორია (ყოფ. კომპლექსური ლაბორატორია და ბიოქიმიური სადგური).

საგამოკვლევო მუშაობა. იმის გამო, რომ კათედრის წევრთა უმეტესობა ამა თუ იმ სახით დაკავშირებული იყო სას.-სამ. ინსტიტუტის კომპლექსურ ლაბორატორიასთან, კვლევითი მუშაობა კათედრაზე თითქმის მუდამ სწარმოებდა, მაგრამ მას უფრო ფართო და სისტემატური ხასიათი მიეცა მის შემდეგ, რაც აღნიშნული ლაბორატორია გადავიდა კათედრის განკარგულებაში.

ამ მუშაობის შედეგად კათედრის წევრთა მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და გამოქვეყნებული იყო შემდეგი შრომები:

1. პ. ა. ქომეთიანი და თ. ე. წულაძე—„თუთის ფოთლის ქიმიური შემადგენლობისა და მისი ცვალებადობის დინამიკის მასალები". საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე", № 2, 1933 წ.

2. ბ. კანდელაკი—„ახალი ხელსაწყო მთქირავ და არამთქირავ ნივთიერებათა მიერ შესრუტული სითხეების ოდენობრივი განსაზღვრისათვის", საქ. სასოფ.-სამ. ინსტ-ის „მოამბე", №2, 1933 წ.

3. С. В. Дурмишидзе—„Генезис молочной кислоты при естественном алкогольном брожении. Биохимия, 3 т., вып. 3, 1938 г.

4. ბ. გერასიმოვი—„აზოტის განსაზღვრა ნიადაგში ქრომმჟავა მეთოდით". საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის „მოამბე", № 1 (5), 1938 წ.

5. ბ. გერასიმოვი—„ნიადაგის ჰუმუსის განსაზღვრა მოცულობითი მეთოდით". საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „მოამბე", № 3, 1939 წ.

6. ბ. გერასიმოვი—„მცენარეულ ობიექტებში აზოტის სწრაფი განსაზღვრის მეთოდი". საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „შრომები", 1940 წ.

7. დოც. ბ. ივანოვი—„აზოტის განსაზღვრა ღვინოში მიკროკოლორიმეტრული მეთოდით". საქ. სასოფ.-სამ. ინსტ. „შრომები", 1942 წ.

8. ს. ვ. დურმიშიძე—„კოწახური როგორც ვაშლის მჟავას წყარო. საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", 1944 წ.

გადაცემულია დასაბეჭდად:

1. დოც. ს. ვ. დურმიშიძე—„ქარვის მჟავას გენეზისი და კორელაციური დამოკიდებულება ალკოჰოლური დულილის პროდუქტთა შორის“.

2. Доц. Б. В. Иванов—„Растворимость винного камня в водно-спиртовых растворах“, 1946. Виноделие и виноградарство.

3. Доц. Б. В. Иванов—„Константы дисоциации некоторых органических кислот в водно-спиртовых растворах“, 1946. Виноделие и виноградарство.

გარდა ამისა, კათედრის განკარგულებაშია ხელნაწერის სახით ს. დურმიშიძის, ბ. ივანოვის, ბ. გერასიმოვის, ვ. ნაცვლიშვილის, ფ. ცისკარიშვილის, ნ. ფირცხალავას და ა. ჰაჯიბეილის მიერ შესრულებული 11 შრომა.

აღნიშნული სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის საფუძველზე კათედრის რამდენიმე წევრს შესაძლებლობა მიეცა თავისი გამოკვლევის შედეგი გაეფორმებია სადისერტაციო შრომად და დაეცვა იგი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ასე, 1937 წ. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე—„რძის მჟავას გენეზისი ბუნებრივ-ალკოჰოლური დულილის დროს“, დისერტაცია დაიცვა ს. ვ. დურმიშიძემ. სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატის ხარისხზე 1938 წ. დაიცვა დისერტაცია თემაზე—„აზოტის სწრაფი რკვევის მეთოდი ნიადაგში და მცენარეულ ობიექტებში“ კომპლექსური ქიმიური ლაბორატორიის უფროსმა სპეციალისტმა ბ. ა. გერასიმოვმა, ხოლო 1941 წ. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე ბ. ვ. ივანოვმა თემაზე—„Условия выпадения винного камня из водно-спиртовых растворов“.

1940 წლიდან სადისერტაციო თემაზე მუშაობას აწარმოებენ კათედრის წევრები ნ. ფირცხალავა და ვ. ნაცვლიშვილი, რომლებიც იძულებული იყვნენ ომით გამოწვეული ვითარების გამო დროებით შეეწყვიტათ ეს მუშაობა. ამჟამად მუშაობა კვლავ განახლებულია და მათი სადისერტაციო შრომები იმყოფება უკვე საბოლოო გაფორმების სტადიაში. ახლო ხანში დამთავრდება კათედრის ასპირანტის (ბიოქიმიის დარგში) ქ. დგებუაძის სადისერტაციო შრომაც.

კათედრაზე მიმდინარეობდა აგრეთვე მუშაობა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შედგენისა და თარგმნის მხრივაც. უკანასკნელ დრომდე დაბეჭდილია ან გადაცემულია დასაბეჭდად:

1. პროფ. ბ. ს. კანდელაკი—ორგანული ქიმია. დილს-ოპენჰაიმერის სახელმძღვანელოთა მიხედვით, 1932 წ.

2. პროფ. ბ. ს. კანდელაკის რედაქციით თარგმანი ნ. ზ. ანდრეევის ორგანული ქიმიის პრაქტიკუმისა, 1932 წ.

3. დოც. პ. ქომეთიანი—ბიოქიმიის მოკლე კურსი, 1932 წ.

4. ასისტ. ბ. ვ. ივანოვი—ენოქიმიის პრაქტიკუმის კონსპექტი, 1935 წ.

5. დოც. ს. ვ. დურმიშიძე და ფ. მ. ცისკარიშვილი—ბიოქიმიის პრაქტიკუმი, 1938 წ.

6. ბიო-ორგანული ქიმიის კათედრა, ორგანული ქიმიის მცირე პრაქტიკუმი, 1940 წ.

7. ბ. ვ. ივანოვი—ორგანული ქიმიის პრაქტიკუმი, 1941 წ.

8. პროფ. ვ. ზ. ღვალაძე—ტკბილსა და ღვინოში არსებული ორგანული მჟავები—დოც. დურმიშიძის რედაქციით, 1946 წ.

9. პროფ. ს. ა. ბალეზინი—ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის პრაქტიკუმი, თარგმანი ა. ჰაჯიბეილისა, რედაქტორი დოც. ნ. ფირცხალავა, 1946 წ.

კათედრა დროგამოშვებით აწყობდა საჯარო სხდომებს, რომლებზედაც კათედრის წევრები აკეთებდნენ მოხსენებებს, როგორც საკუთარი გამოკვლევების, ისე მსოფლიო ლიტერატურის მიღწევათა შესახებ.

დღიდან თავისი დაარსებისა კათედრას მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა წარმოებასთან. ამ კავშირს იგი ანხორციელებდა როგორც სხვადასხვა ორგანიზაციის ან მათ მიერ მოვლინებულ პირთა მიმართ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებით, ისე წარმოების წინაშე წამოჭრილი კონკრეტული საკითხების გადაჭრაში უშუალო მონაწილეობით და საჭირო ღონისძიებათა დამუშავებით.

ამგვარი საქმიანობის აუარებელი მაგალითიდან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს:

1. სამტრესტის მომართვის თანახმად კათედრის წევრთა მიერ შედგენილია სხვადასხვა არეომეტრის ჩვენებათა ერთ მაჩვენებელზე მისაყვანი ცხრილი.

2. კათედრის გამგემ პროფ. ღვალაძემ (პროფ. კ. მოდებაძესთან ერთად) შეისწავლა წინანდლისა და ხირსის საბჭოთა მეურნეობებში ღვინის მასობრივად დაავადების მიზეზები და დაამუშავა ამგვარი ღვინის მოვლის წესები და სათანადო ღონისძიებანი.

3. იგივე პირები და კათედრის დანარჩენი წევრებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში შამპანურის წარმოების განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხებისადმი მიძღვნილ სპეციალურ თათბირებში და კომისიების მუშაობაში.

4. კათედრის წევრები და კერძოდ მისი გამგე პროფ. ღვალაძე მონაწილეობდნენ მთელ რიგ სპეციალურ ინსტრუქციებისა და სხ. მითითებათა და ღონისძიებათა გამომუშავებაში მეღვინეობისა და საკონიაკო ნაწარმოების დარგში, მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და სხვადასხვა დარგობლივ ორგანიზაციათა მუშაობის გამოკვლევებში, რესპუბლიკურ და რაიონულ ყრილობებსა და თათბირებზე და სხვა.

5. სამამულო ომის პერიოდში კათედრის გამგე პროფ. ვ. ღვალაძე ხელმძღვანელობდა სას.-სამ. ინსტიტუტის ქიმიკოსთა კოლექტივს, რომელიც ასრულებდა ამიერ-კავკასიის ფრონტის სარდლობის სპეციალურ დავალებებს და სხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგადი ქიმიის კათედრა

საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ განყოფილებაზე და შემდეგ აგრონომიულ ფაკულტეტზე 1921 წ. ქიმიის დისციპლინებს ხელმძღვანელობას უწევდნენ უნივერსიტეტში გაერთიანებული კათედრები. არაორგანული ქიმიის და თვისებითი ანალიზის კურსი შედიოდა არაორგანული ქიმიის კათედრაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ი. პ. მოსეშვილი; ორგანული ქიმია, ოდენობითი ანალიზი და აგრონომიული ქიმია გაერთიანებული იყო ორგანული ქიმიის კათედრაში დამსახურებული პროფესორის პ. გ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით.

ასეთივე მდომარეობა იყო იმ პერიოდშიაც, როდესაც 1928 წ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს შეუერთდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სას.-სამ. ფაკულტეტი. ცვლილება მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ აგრონომიული ფაკულტეტის დეკანატის დადგენილებით არაორგანული ქიმიის პასუხისმგებლად რუსულ სექტორზე დანიშნულ იქნა პროფ. დ. ე. ზავრიევი, ხოლო ორგანული ქიმიის პასუხისმგებლად იმავე სექტორზე პროფ. ა. ა. ნახაპეტიანი.

1930 წ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის საფუძველზე საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ ქიმიის დარგი გაერთიანდა ერთ კათედრაში და კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ა. პ. ცაგარელი. ეს კათედრა აერთიანებდა არაორგანულ, ანალიზურ და ორგანულ ქიმიას, შემდეგში კი ბიოქიმიასაც. კათედრის თანამშრომლებად ითვლებოდნენ: ასისტ. ვ. ახვლედიანი, კ. ბაკუნოვი, კეკელია, ყავრიშვილი, ს. ნამორაძე და თ. წერეთელი.

1931—32 წ. ქიმიის კათედრა გაიყო არაორგანული და ორგანული ქიმიის კათედრებად. არაორგანული ქიმიის კათედრის გამგედ დარჩა პროფ. ა. პ. ცაგარელი, ხოლო ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ბ. კანდელაკი. ამ დროს, გარდა ზემოჩამოთვლილი პირებისა, კათედრაზე მუშაობდნენ პროფ. მ. შალამბერიძე და ასისტენტები: ე. გოკიელი და ვარშამოვა.

1934—35 სას. წ. აღნიშნული კათედრები ხელახლა გაერთიანდნენ პროფ. ა. ცაგარლის ხელმძღვანელობით. მაგრამ 1935—36 სასწ. წ. იგი ისევ გაყოფილ იქნა ზოგადი ქიმიისა და ბიოქიმიის კათედრებად.

პროფ. ა. ცაგარელი განუწყვეტლივ განაგებდა ზოგადი ქიმიის კათედრას 1940 წლამდე, მის გარდაცვალებამდე.

1940-41 წლიდან კათედრის გამგებლობა დაევალა დოც. მ/ა. ე. პ. გოკიელს. ამ პერიოდში კათედრაზე თანამშრომლობდნენ: პროფ. ა. ნახაპეტიანი, დოცენტი ბ. გერასიმოვი, დოც. მ/ა-ნი: ვ. ახვლედიანი, თ. ჯაყელი, 5 ასისტენტი 3 ლაბორანტი და 2 პრეპარატორი. 1941—1946 წ. წ. მანძილზე ამ შემადგენლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებები: 1941 წ. ივნისში დოც. ბ. გერასიმოვი გაწვეულ იქნა წითელ არმიაში და დაბრუნდა კათედრაზე 1946 წ. თებერვალში დემობილიზაციის შემდეგ; პროფ. ა. ნახაპეტიანი 1942/43 წლიდან გადავიდა სამუშაოდ სხვა ინსტიტუტში. საკვლევი მუშაობის გაძლიერების მიზნით 1944 წელს მოწვეულ იქნა კათედრის კანსულტანტად ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვ. ი. კოკოჩაშვილი, რომლის საერთო ხელმძღვანელობით 1944, 45 და 46 წლებში დამუშავებული იყო მთელი რიგი სამეცნიერო თემები. 1939 წ. ე. გოკიელი მივლინებულ იქნა მოსკოვში თემის:—„ნიობიუმის და ტანტალის ქლორიდების შესწავლა"—დასამუშავებლად.

1946 წლისათვის ზოგადი ქიმიის კათედრის შტატი განისაზღვრება შემდეგი პირებით: 1. კათედრის გამგე დოც. ბ. გერასიმოვი, 2. დოც. მ/ა. ე. გოკიელი, 3. დოც. მ/ა. ვ. ახვლედიანი, 4. დოც. მ/ა. თ. ჯაყელი, დოც. 5. მ/ა. თ. წერეთელი, ასისტენტები: 6. ო. შომახია, 7. ლ. ნახაპეტიანი, 8. ეკ. გიორგაძე, 9. ა. ჭითაშვილი, 10. ე. მელქაძე, 11. უფროსი ლაბორანტი მ. ინწკირველი, 12. უფრ. ლაბორანტი ქ. პარკაძე, 13. ლაბ. თ. ჩილინგარიშვილი, 14. უფრ. პრეპარატორი ნ. მაისურაძე და კათედრის კონსულტანტი პროფ ვ. ი. კოკოჩაშვილი.

1941 წ. კათედრის წევრებს აღებული ჰქონდათ დასამუშავებლად თემები, მაგრამ სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით დაისახა ახალი, თავდაცვითი ხასიათის თემები, რომელთა დამუშავებაზე მთლიანად გადავიდა კათედრა. მაგალ., ე. გოკიელმა და თ. წერეთელმა დაამუშავეს თემა: „ხელოვნური განათების შუქშენიღბვა", რომელიც დამთავრების შემდეგ გადაეცა სამხედრო უწყებას. თ. ჯაყელი, ვ. ახვლედიანი, ო. შომახია, ე. მელქაძე, ო. ეჯიბია, ქ. პარკაძე და სხვ. დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ სამხედრო უწყების დავალებით სპეცპრეპარატის (ქრომილის) დამზადებაზე. მთელი რიგი თანამშრომლები ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყვნენ მედლებით: „თავდადებული შრომისთვის დიდ სამამულო ომის პერიოდში".

ზოგადი ქიმიის კათედრა დახმარებას უწევდა სხვადასხვა წარმოებას ანალიზების ჩატარებით, კონსულტაციების გაწევით და სხვ. მაგ., პროფ ა. ცაგარელი კონსულტაციას უწევდა საქ. სამტრესტს ღვინის ექსპერტიზაში; პროფ. ა. ნახაპეტიანმა წარუდგინა სსსრ გემოკვების კომისარიატს მასალები აბრეშუმის ჭუპრიდან ზეთის მიღების შესახებ მისგან საპნის და სასუქების დასამზადებლად. პროფ. ნახაპეტიანის ავტორობა ამ საკითხში სცნო საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა ბიურომ. მიწათმოქმედების კომისარიატის დავალებით სისტემატურად სწარმოებდა შაბიამნის, ღვინისა და სხვა მასალების ქიმიური ანალიზი. მოწესრიგდა ასანთის დამამზადებელი ქარხნის მუშაობა ჯაყელისა და ახვლედიანის კონსულტაციების და ხელმძღვანელობის შედეგად. მოეწყო გოგირდის დაფქვის საქმე ჯაყელის უშუალო დახმარებით და სხვ.

კათედრამ დაბეჭდა შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. არაორგანული ქიმია, შედგენილი პროფ. ა. ცაგარლის მიერ. გამოიცა სამჯერ—1931 წ., 1933 წ. და 1936 წ.

2. ოდენობითი ანალიზის პრაქტიკუმის სახელმძღვანელო შედგენილი—პროფ. ა. ცაგარლის, ასისტ. თ. წერეთლისა და ნამორაძის მიერ. გამოიცა 1934 წ.

3. თვისებითი ანალიზი, შედგენილი პროფ. ა. ცაგარლისა და ვ. მოსეშვილის მიერ. გამოიცა 1932 წ.

1941 წლიდან დღემდე კათედრაზე შესრულებული იყო შემდეგი სამეცნიერო-საკვლევი თემები:

1. „ხელოვნური განათების შუქშენიღბვა"—ე. გოკიელი, თ. წერეთელი.

2. „აბრეშუმის ჭუპრისაგან გამოხარშვის მეთოდით ზეთის მიღება"—ასისტ. ლ. ნახაპეტიანი და ეკ. გიორგაძე, პროფ. ა. ნახაპეტიანის ხელმძღვანელობით. ორივე თემა დამუშავებულია, გაფორმებული და კადაცემულია პირველი სამხედრო უწყებისათვის, მეორე—წარმოებისათვის (ნატანების ქარხანა).

3. „ტუნგოს კოპტონის ცხიმიანობის განსაზღვრისათვის მიკრომეთოდის გამოყენება"—ასისტ. ა. ჭითაშვილი.

4. „სიმინდის ღეროს ნაცრის გამოყენება ტექნიკური პოტასიუმის მისაღებად"—ეკ. გიორგაძე.

5. „ბროწეულის წვნის შესწავლა მისი ინდიკატორად გამოყენების მიზნით"—ე. გოკიელი.

6. „სოდის მიღება ნატრიუმის სულფატიდან ინგლისური პატენტით"—ო. შომახია.

7. „ოთხქლორიანი ნახშირბადის მიღება ადგილობრივი ნედლეულიდან"—თ. ჯაყელი და ვ. ახვლედიანი.

8. „ალკოჰოლატების რიგის რეაქციის სიჩქარე იოდმეთილთან"—თ. წერეთელი. თემა სადისერტაციოდაა გაფორმებული. 1946 წ.

9. „ნიკელის განსაზღვრა ნიადაგში ოქსიქინოლინის მეთოდით"—ვ. ახვლედიანი.

10. „სპილენძის განსაზღვრა ნიადაგში ოქსიქინოლინით"—ა. ჭითაშვილი.

11. „მანგანუმის განსაზღვრა ნიადაგში ოქსიქინოლინის მეთოდით"—ეკ. გიორგაძე.

12. „ჭიათურის მადნებში მანგანუმის განსაზღვრისათვის ოქსიქინოლინის გამოყენება"—თ. ჯაყელი.

კათედრამ თავისი არსებობის პერიოდში ჩაატარა 11 ღია სხდომა, რომლებზედაც მოსმენილი იყო კათედრის წევრთა მოხსენებები ქიმიის დარგში სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, მაგალითად: 1. პროფ. ა. ცაგარელი — „კომპლექსური ნაერთების ბუნება"; 2. პროფ. მ. შალამბერიძე — „მენდელეევის საზოგადოების ყრილობის მუშაობის შედეგები"; 3. ე. გოკიელი—„მძიმე წყალი".; 4. პროფ. ა. ნახაპეტიანი—„კავკასიური სოჭის ბალზამი და მისი სამრეწველო გამოყენება".; 5. ვ. ახვლედიანი—„ლომონოსოვი როგორც მეცნიერი და მოქალაქე"; 6. თ. ჯაყელი—„ნივთიერების მარადისობის კანონი და ლომონოსოვი" 7. პროფ. ვ. კოკოჩაშვილი—„ატომური ენერგია" და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანქანათმცოდნეობის და სპეც. მანქანების კათედრა

1938 წელს სუბტროპიკულ ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა მანქანათმცოდნეობის კათედრა. კათედრის ჩამოყალიბების საჭიროება გამოწვეული იყო საქართველოში სუბტროპიკული კულტურების გაშენებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებით.

დაარსებისას კათედრის შემადგენლობაში შევიდა შემდეგი დისციპლინები: ტექ. თერმოდინამიკა, თბოტექნიკა, სპეცმანქანები და მოწყობილობანი, საამშენებლო საქმის საფუძვლები, ქარხნის სანიტარია და ჰიგიენა.

1938 წელს კათედრას განაგებდა დოც. ლ. მაცაბერიძე და მასვე ჰქონდა დაკისრებული ტექნიკ. თერმოდინამიკისა და თბოტექნიკის კურსების ხელმძღვანელობა. ქარხნის სანიტარიასა და ჰიგიენას ხელმძღვანელობდა პროფ. ხმალაძე, სპეც-მანქანების მოწყობილობას დოც. მ/ა. შ. იოსელიანი, საამშენებლო საქმის საფუძვლებს დოც. მ/ა. ბ. გოქაძე.

1939 წლის აპრილში უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის ბრძანებით სუბტროპიკულ ფაკულტეტთან არსებული ჩაის ტექნოლოგიის განყოფილება ცალკე გამოიყო და დაარსდა სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა მანქანათმცოდნეობის კათედრა.

1940/41 სასწ. წლიდან კათედრის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე დისციპლინები: ღვინისა და საკონსერვო წარმოების მანქანა-იარაღები და აპარატები.

1940 წლიდან კათედრაზე მუშაობდნენ კათედრის გამგედ: ლ. მაცაბერიძე დოც., მეც. კანდიდატი შ. ლომინაძე, პროფ. ხმალაძე, დოც. მ/ა. შ. იოსელიანი, დოც. მ/ა. ბ. გოქაძე.

1941 წლის ივლისში წითელი არმიის რიგებში იყვნენ გაწვეული კათედრის წევრები დოც. შ. ლომინაძე და დოც. მ/ა. შ. იოსელიანი. კათედრაზე სპეც. მანქანა-იარაღების კურსის წასაკითხავად მოწვეულ იქნა ინჟ. ნ. მეტონიძე.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ წითელი არმიის რიგებიდან კათედრას მხოლოდ ერთი წევრი— დოც. მ/ა. შ. იოსელიანი დაბრუნდა, რომელიც აღდგენილ იქნა თავის თანამდებობაზე.

1946 წლამდე კათედრას არ გააჩნდა საჭირო მანქანა-იარაღები და აპარატურა. ამჟამად სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამოყოფილია კათედრისათვის სათანადო მანქანა-იარაღები.

უკანასკნელ ხანებამდე კათედრას, სათანადო მოწყობილობის სიმცირის გამო, არ ჰქონდა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის წარმოების შესაძლებლობა

1946 წლიდან კათედრის წევრთა მიერ მუშავდება შემდეგი საკითხები:

1. თბოგაცემის კოეფიციენტის გამოკვლევა მოხრილ მილებში. შემსრულებელი ლ. მაცაბერიძე.

2. შარკოვსკის სისტემის საჭკნობ აგრეგატში ჩაის ფოთლის ჭკნობის რეჟიმის დადგენა. შემსრულებელი შ. იოსელიანი.

3. ჩაის ფოთლის ჭკნობის პროცესის გამოკვლევა აწონილ მდგომარეობაში. შემსრულებელი ნ. მეტონიძე.

კათედრის მიერ დღემდე ჩატარებულია შემდეგი მოხსენებები კათედრის საჯარო სხდომებზე:

1939 წელს—ხელოვნური ჭკნობის აგრეგატი (მარდალეიშვილის კამერა), დოც. მ/ა. შ. იოსელიანი.

1940 წელს—ორთქლის ქვაბის წყალმილების ცვეთა წარტაცებული ნაცრით, დოც. შ. ლომინაძე.

1941 წელს—ჰაერი როგორც მუშა სხეული საშრობებში, დოც. ლ. მაცაბერიძე.

კათედრას კავშირი აქვს მთელ რიგ წარმოებებთან და ორგანიზაციებთან საქკვებპროექტთან, საქ. ჩაის ტრესტთან, ანასეულის ჩაის საცდელ ფაბრიკასთან და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეოდეზიის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან ჩამოყალიბებულ აგრონომიულ განყოფილებაზე 1919 წლის 1 სექტემბრიდან გეოდეზიის კურსის წაკითხვა და კათედრის ხელმძღვანელობა დაევალა დამსახურებულ პროფ. ანდრია მიხეილის-ძე ბენაშვილს, რომელიც ამავე დროს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე იყო ასტრონომიის და სფერული ტრიგონომეტრიის პროფესორად. ასისტენტებად 1920 წელს მოიწვიეს სერგო გიორგის-ძე ცხაკაია და გორგი მიხეილის-ძე ქავთარაძე.

გეოდეზიის კათედრა დასახელებული მეცნიერ-მუშაკებით იმავე დროს ხელმძღვანელობას უწევდა უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ყველა კურსის სტუდენტებსაც ამ ფაკულტეტის დაარსების დღიდან.

1923 წელს გეოდეზიის კურსის ასისტენტად მოწვეულ იქნა ინჟენერი იასონ ბახვას-ძე გიგინეიშვილი. ამ შემადგენლობით კათედრა მუშაობდა 1929 წლის ბოლომდე, ე. ი. იმ დრომდე, სანამ აგრონომიული ფაკულტეტი არ გამოეყო უნივერსიტეტს, როგორც ცალკე ინსტიტუტი. ამ დროიდან გეოდეზიის კათედრის გამგედ დანიშნულ იქნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე განი.

1930 წლის დასაწყისში სატყეო ფაკულტეტი გამოეყო საქ. სას.-სამ. ინსტიტუტს და რეორგანიზებულ იქნა სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტად. ამის შემდეგ საქ. სას.-სამ. ინსტიტუტთან გეოდეზიის კათედრა გაუქმებულ იქნა და იგი შევიდა როგორც დისციპლინა ფიზიკის კათედრაში.

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გეოდეზიის კურსი, როგორც დამოუკიდებელი საგანი, იკითხებოდა 1936 წლამდე სახელწოდებით „გეოდეზია მიწათმოწყობის საფუძვლებით"; ასე, რომ თვით გეოდეზიის გარდა მოკლედ მიწათმოწყობის საქმეც ისწავლებოდა. აღნიშნული დროის განმავლობაში ამ დისციპლინების ხელმძღვანელად და ლექტორად იყო დოც. გრიგოლ ლევანის-ძე აბაშიძე, ხოლო პრაქტიკუმებს აწარმოებდა ინჟ. გიორგი ეპიფანეს-ძე კალანდარიშვილი, როგორც გეოდეზიის ასისტენტი.

გეოდეზია კვლავ იქნა გამოყოფილი ცალკე კათედრად 1939 წლის 1 იანვრიდან, როდესაც სასოფ.-სამეურნეო ინსტიტუტს შეუერთდა სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი.

კათედრის გამგეობა დაეკისრა იმავე დოც. გ. ლ. აბაშიძეს. 1943 წლის 1 სექტემბრიდან დღევანდლამდე კათედრის ასისტენტად მუშაობს ინჟენერი ვერა დავითის-ასული ნადირაძე.

1946 წლის 1 სექტემბრიდან კათედრაზე უფროს ლაბორანტად მუშაობს ინჟენერი მარიამ ივანეს-ასული ვაშაკიძე.

ამჟამად კათედრაში შემავალი დისციპლინებია: გეოდეზია, ტოპოგრაფიული ხაზვა და ჰაეროფოტოაგეგმვა. დასახელებულ საგნებში ლექციებს კითხულობს დოც. გ. ლ. აბაშიძე, პრაქტიკულებსა და ხაზვას ხელმძღვანელობენ ასისტენტი ვ. დ. ნადირაძე და უფრ. ლაბორანტი მ. ი. ვაშაკიძე.

კათედრის მიერ მოწყობილ იქნა გეოდეზიური კაბინეტი, რომელიც თავისი მოწყობილობით, იარაღ-ხელსაწყოთა რაოდენობისა და ხარისხოვნების მხრივ საუკეთესო გეოდეზიურ კაბინეტად ითვლება საქართველოში.

გეოდეზიის კათედრამ დაამუშავა სამეცნიერო შინაარსის თემები შემდეგ საკითხებზე:

1. გეოდეზიური მომზადება ტყეთა მოსაწყობად—დოც. ვ. განი, დაიბეჭდა რუსულ ენაზე 1929 წ.

2. გზებზე სერპანტინების განწყობა—დოც. ვ. განი, დაიბეჭდა 1933 წ.

3. მანძილმზომების ახალი სისტემის კონსტრუქციები—დოც. გ. აბაშიძე, 1937 წ.

4. კუთხეების უზუსტესად გასაზომი ხელსაწყოები—ასისტ. გ. კალანდარიშვილი, 1939 წ.

5. დედამიწის წერტილების სიმაღლეთა საწყისი—დოც. გ. აბაშიძე, ჟურნალი „ტექნიკა", № 3, 1941 წ.

6. გეოდეზიისა და მიწათმოწყობის საფუძვლები—დოც. გ. აბაშიძე, 1937—1939 წლები, დაიბეჭდა 3 განაკვეთის სახით, როგორც სასწავლო სახელმძღვანელო დაუსწრებელი სექტორის სტუდენტებისათვის.

7. ნიველობა და სამენზულო აგეგმვა—დოც. გ. აბაშიძე, სასწავლო სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, დაიბეჭდა 1940 წ.

8. გეოდეზიის კურსის I ნაწილი—დოც. გ. აბაშიძე, რომელიც 1940 წლის დასაწყისში გადაეცა ინსტიტუტის სასწავლო ნაწილს დასაბეჭდად.

9. ტაბულა დაქანებულ ზედაპირზე გაზომილ მანძილში შესწორების სიდიდის გამოსათვლელად—დოც. გ. აბაშიძე, დაიბეჭდა 1939 წ.

10. რუსულ-ქართული ტერმინოლოგია გეოდეზიაში, მიწათმოწყობასა და რუკათმცოდნეობაში (3000-ზე მეტი სიტყვა)—დოც. გ. აბაშიძე.

დოც. გ. აბაშიძემ თარგმნა აგრეთვე ქართულ ენაზე პროფ. ივერონოვის უმაღლესი გეოდეზიის სასწავლო კურსი.

კათედრის წევრებს გეოდეზიისა და მიწათმოწყობის საკითხებში ჩატარებული აქვთ მრავალი დახმარება და კონსულტაცია სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში.

კათედრის წევრებმა შეფობის სახით შეასრულეს აგეგმვები და ნახაზები ქვემო-სკრის კოლმეურნეობის ტერიტორიის მოსაწყობად. ეს ნამუშევარი გადაეცა გორის რაიმიწგანს. ამავე დროს კათედრამ ჩაატარა აგეგმვა და შეადგინა საჭირო ნახაზი სკრის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიისა.

1943 წლის გაზაფხულზე კათედრამ შეასრულა აგეგმვები დიღომის ველზე სასწავლო-საცდელი მეურნეობის მოსაწყობად.

1944 წლის ზაფხულში სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის სასწავლო პრაქტიკის ჩატარებასთან ერთად, ზემდგომი ორგანოების დავალებით, კათედრამ შეასრულა სტუდენტების უშუალო მუშაობით ზუსტი აგეგმვა სტუდქალაქის გვერდზე მდებარე ვერის ხევის ტერიტორიისა 1 კილომეტრის სიგრძით მასში წყლის საგუბარის მოსაწყობად.

გარდა ამისა კათედრამ შეასრულა მრავალი სხვა სამუშაო როგორც საერთო ინსტიტუტის საჭიროებისათვის, ისე ცალკეული კათედრებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატყეო ტაქსაციის და სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიულ ფაკულტეტთან 1921 წელს გაიხსნა სატყეო განყოფილება, რომელიც ორ კათედრას აერთიანებდა. ერთი ამ კათედრათაგანი იწოდებოდა მეტყეობის, ხოლო მეორე ტყის მეურნეობის კათედრად. გარდა ამისა, დამოუკიდებელი კურსის სახით იკითხებოდა ხის ტექნოლოგია.

ტყის მეურნეობის კათედრა ანხორციელებდა იმ საქმიანობას და ატარებდა იმ დისციპლინათა სწავლებას, რაც დღეს სატყეო ტაქსაციისა და სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრას აქვს დაკისრებული.

ტყის მეურნეობის კათედრა მაშინ და შემდეგ წლებშიაც, სატყეო ინსტიტუტის გახსნამდე, აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: სატყეო ტაქსაციას, ტყის მოწყობას, ტყის მართვა-გამგეობას და ტყის ექსპლოატაციას.

1921-დან 1923 წლამდე კათედრაზე მხოლოდ ერთი მომუშავე—კათედრის გამგე ითვლებოდა. 1923 წელს კათედრას მიეცა ერთი პრეპარატორი და ამ შტატით მან იმუშავა 1926 წლამდე. 1926 წლიდან კათედრას მიემატა ერთი ასისტენტი, ხოლო 1927 წელს—მეორე ასისტენტი და ასეთი შემადგენლობით მან იარსება სატყეო ინსტიტუტის გახსნამდე.

კათედრის ძირითად მიზანს როგორც პედაგოგიური, ისე საგამოკვლევო ხაზით, შეადგენდა და შეადგენს საქართველოს მთიანი ტყეებისა და ამ ტყეების მდიდარი მერქნიანი ასორტიმენტის შესწავლა მათი სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

საქ. სას-სამ. ინსტიტუტში სატყეო ფაკულტეტის რუსული სექტორის ჩამოყალიბების შემდეგ სატყეო ტაქსაციისა და ტყის მეურნეობის ორგანიზაციის კათედრას განაგებდა პროფ. როსტოვცევი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ—1939 წლამდე დოც. ი. ნადირაშვილი. 1939 წლიდან 1943 წლამდე კათედრას განაგებდა დოც. კ. თარგამაძე, ხოლო 1943 წლიდან კათედრის გამგედ დანიშნულ იქნა დოც. ვ. ი. მირზაშვილი, რომელიც ადრე, სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სატყეო განყოფილებაზე მუშაობდა ჯერ პრეპარატორად (1923—1927) და შემდეგ ასისტენტად (1927—1930).

ამჟამად კათედრა აერთიანებს შემდეგ დისციპლინებს: ტყის ტაქსაციას, სატყეო აეროფოტოგეგმვას, ტყის მეურნეობის ეკონომიკას და ტყის მეურნეობის ორგანიზაცია-დაგეგმარებას.

სატყეო ტაქსაციისა და ტყის მეურნეობის ეკონომიკის კათედრაზე ამჟამად მუშაობენ შემდეგი მეცნიერი მუშაკები: კათედრის გამგე დოც. ვ. ი. მირზა-

შვილი, სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი, დოც. ნ. ს. მარგველაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი, დოც. კ. თარგამაძე, ასპირანტი ი. ჯმუხაძე და უფრ. ლაბორანტი ნ. ტიდემანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი არსებობის მანძილზე კათედრამ საკმაო რაოდენობის კადრები გამოზარდა, რომელნიც შემდეგში სამეცნიერო-საკვლევ, პედაგოგიურ და აგრეთვე სამეურნეო ასპარეზზე გავიდნენ სამუშაოდ. თვით დღევანდელი და წარსული ხნის კათედრის გამგეები და კათედრის თანამშრომლები—დოც. ვ. მირზაშვილი, დოც. ი. ნადირაშვილი, დოც. კ. თარგამაძე, დოც. ყიფიანი და სხვანი ამ კათედრის გამოზრდილები არიან.

კათედრის თანამშრომელმა დოც. ვ. ი. მირზაშვილმა ქართულ ენაზე სთარგმნა პროფ. მ. მ. ორლოვის ტაქსაციის სახელმძღვანელო. ეს სახელმძღვანელო ერთად ერთია ქართულ ენაზე, რომლითაც ხელმძღვანელობენ დღევანდელი სტუდენტებიც და სამეურნეო ხაზით მომუშავე მეტყევე სპეციალისტებიც. სხვა დისციპლინებში კათედრას ჯერ კიდევ არ გააჩნია საკუთარი სახელმძღვანელოები.

კათედრა დაარსების დღიდანვე შეუდგა კვლევითს მუშაობას. უკვე 1925 წ დამუშავებული და თბ. სახ. უნივერსიტეტის მოამბეში გამოქვეყნებული იყო შრომა: „ზოგიერთი ჩვენებური ტყის ჯიშების ზრდის მსვლელობა“.

1924 წლიდან კათედრისა და მის მიერ გამოშვებული სპეციალისტების მიერ დაიწყო საქართველოს ტყეების ცნობაში მოყვანა და ქართულ ენაზე ტყის მოწყობის ანგარიშების შედგენა. ამ ჯგუფმა ზედიზედ მოაწყო ბორჯომის (1924 წ.), აბასთუმნისა და თელავ-ახმეტის (1925 წ.), სვანეთის (1926 წ.), გურიისა (1927 წ.), სამეგრელოს (1927 წ.), ახალციხის (1928 წ.) და სხვა სატყეოები. დაგროვდა, აუარებელი ნედლი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო 1923 წ. „მასობრივი და საასორტიმენტო ტაბულების“ გამოცემას საქართველოს ჯიშებისათვის (წიფლის, მუხის, რცხილის, იფნის, თხმელის, სოჭის, ნაძვისა და ფიჭვისათვის).

1939 წელს საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომებში“ გამოქვეყნდა „ქერქის ტაქსაცია“, რომელიც კათედრის თანამშრომელს დოცენტ გ. ყიფიანს ეკუთვნის.

კათედრის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია აგრეთვე ნაშრომები, რომელნიც ზოგიერთ შემთხვევაში კათედრის დისციპლინების ფარგლებს სცილდება. ასე, მაგ., დოც. ვ. მირზაშვილის მიერ გამოქვეყნებულია 1. 1933 წელს „მერქნიანი ეგზოტები საქ. პარკებში“, ცალკე წიგნად; 2. 1934 წელს—„სატყეო ტერმინოლოგიის მასალები“, ინსტიტუტის საკვლევი სექტორის კრებულში; 3. 1936 წელს—„მარად მწვანე კვიპაროსის წარმოშობის საკითხისათვის“, სახ. უნივ. „მოამბეში“; 4. 1938 წელს—„მერქნიანი ეგზოტები თბილისის გამწვანებულ ფართობებზე“, თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის „შრომებში“; 5. იმავე წელს—„სამი ბუნების ძეგლი“ და „მარიამჯვრის სატყეო აგარაკი, როგორც ბუნების ძეგლი“; 6. 1939 წელს—„დენდროლოგია“.

1946 წელს დოც. ვ. მირზაშვილმა დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე ნაშრომით: „კონცენტრირებული ჭრები მთიანი რელიეფის პირობებში“.

ამასთანავე შესრულებული, მაგრამ დაუბეჭდავი აქვს ნაშრომები: 1. „ჩვენებური ბუჩქები, როგორც დეკორაციული ბაღთმშენებლობის მასალა“, 2. „ბალი სიმაღლმზომი“ (გამოგონება), 3. „ჩვენებური სოჭის ბიოლოგიური თავისებურების შესახებ“.

დოცენტ ნ. მარგველაშვილის მიერ გამოქვეყნებული და დაწერილია შემდეგი შრომები: 1. „მეურნეობა საქართველოს ფიჭვნარ ტყეებში“, 1946 წ.; 2. „საქართველოს ტყეებში საწარმოო პროცესების შესახებ“, 1925 (ხელნაწერი); 3. „სატყეო მეურნეობის რაციონალურად წარმოების შესახებ საერთოდ და კერძოდ საქართველოს საკურორტო ტყეებში“, 1927 წ. (ხელნაწერი); 4. „რა უნდა იცოდეს სოფლის მუშამ ჩვენი ტყეების შესახებ“, 1936 წ.; 5. „ჩვენი ტყეების წარმადობის გადიდების საკითხისათვის“, 1932 წ. (ხელნაწერი); 6. „ჭრების გამოკვლევა აღმოსავლეთ საქართველოს წიფლნარებში“, 1943 წ. (ხელნაწერი); 7. „საცდელ-სანიმუშო ჭრები აღმოსავლეთ საქართველოს წიფლნარებში, 1934 წ. და 8. „ჭრები კახეთის წიფლნარებში“ (სადისერტაციო), 1940 წ. (ხელნაწერი).

მრავალი მათგანი წარმოებაში ყოველდღიურ გამოყენებას პოულობს. ამჟამად კათედრა მუშაობს შემდეგ საკითხებზე:

1. დოც. ვ. ი. მირზაშვილი ამუშავებს თემას: ა) „წიფლის ბუნებრივი განახლება ჭრაჩატარებულ კორომებში“; ბ) „ჩვენებური ნაძვისა და სოჭის ზრდის ბიპოტენციალური ენერგიის შენახვის შესახებ“.

2. დოც. ნ. ს. მარგველაშვილი—სახელმძღვანელო „ტყის მოწყობის საფუძვლები“.

კათედრა თავისი ძალებით სისტემატურ დახმარებას უწევს სამეურნეო ორგანიზაციებს—სატყეო სამინისტროს, მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი და საკურორტო მშენებლობის ტყეების სამმართველოს, ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს, საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს, წყალთამეურნეობის სამინისტროს და მათში შემავალ ორგანიზაციებს კონსულტაციებითა და სამეურნეო ტექნიკური საკითხების პრაქტიკულად გადაჭრით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგადი მეტყეოგბის კათედრა

მეტყეობის კათედრა დაარსებულია 1921 წლის ნოემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან. დაარსების წელს კათედრის წევრთა რაოდენობა სულ მცირე იყო და განისაზღვრებოდა კათედრის გამგით და პრეპარატორით.

1929 წელს, ჩამოყალიბდა რა საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტი, მეტყეობის კათედრა გაიყო ორ კათედრად (ზოგადი და კერძო მეტყეობის კათედრები), რომლებიც შეივიდნენ იმავე ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტში.

1929 წ. ზოგადი მეტყეობის კათედრას განაგებდა პროფ. პ. ზ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი.

1930 წელს დაარსდა ამიერ-კავკასიის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი სადაც ზოგადი მეტყეობის კათედრა არსებობდა სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტთან. კათედრას განაგებდა პროფ. პ. ზ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი. 1931 წელს ზოგადი მეტყეობის კათედრის გამგედ დაინიშნა პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი. ამ პერიოდში ზოგადი მეტყეობის კათედრა აერთიანებდა შემდეგ დისციპლინებს: ზოგად მეტყეობას, მეტყეობის საფუძვლებს (სატყეო ეკონ. ფაკულტეტზე) და ტყისმცოდნეობის ენციკლოპედიას (ხის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე).

1938 წელს თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ლიკვიდაციასთან ერთად მოხდა სატყეო-სამ. ფაკულტეტის დაარსება ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფ-სამ. ინსტიტუტთან, რომელთანაც ზოგადი მეტყეობის კათედრა განაგრძობს მუშაობას. 1940 წელს კათედრა აერთიანებს შემდეგ დისციპლინებს: ზოგად მეტყეობას, რომელიც იკითხება სატყეო-სამ. ფაკულტეტზე და მეტყეობას (ენციკლოპედ. კურსი), რომელიც იკითხება აგრონომიულ, სუბტროპიკულ, მებაღეობა-მევენახეობის და მცენარეთა დაცვის ფაკულტეტებზე. ამ პერიოდში კათედრის შემადგენლობა შემდეგია: კათედრის გამგე—პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი, დოც. ნ. ს. მარგველაშვილი, დოც. ვ. ი. მირზაშვილი, დოც. ლ. ი. ჩიბურდანიძე, ასისტ. ლ. ს. აზმაიფარაშვილი, ასისტ. გ. ვ. ტატიშვილი, ლაბორანტი თ. კვინიხიძე. სამამულო ომის დროს რამდენიმე წევრი კათედრისა, სახელდობრ, ასისტ. აზმაიფარაშვილი და ასპირანტი ჩიტაიშვილი გაწვეულ იყვნენ წითელი არმიის რიგებში.

კათედრას აქვს სპეციალური კაბინეტი და ლაბორატორია. ლაბორატორია აწარმოებს უმთავრესად ნიადაგების ანალიზს. ერთიც და მეორეც საკმაოდ მდიდარია საჭირო იარაღებითა და ხელსაწყოებით.

გარდა იმისა, რომ კათედრა უშუალო მონაწილეა ყოველწლიურად 50—75 მეტყევე სპეციალისტის გამოშვებისა, იგი აწარმოებს მუშაობას სამეცნიერო კადრების აღზრდის დარგშიაც.

ასპირანტების აღზრდა კათედრასთან სწარმოებდა არა თანაბრივ. 1932 წ. კათედრასთან იყო ორი ასპირანტი—ლ. ჩიბურდანიძე და ლ. აზმაიფარაშვილი, მაგრამ შემდეგ, როდესაც ასპირანტების მომზადება სატყეო კომისარიატის ხაზით მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში დაეკისრა ლენინგრადის სატყეო აკადემიას, ზოგადი მეტყეობის კათედრასთან შეწყდა ასპირანტების მიღება და მხოლოდ 1938 წელს, როდესაც მოხდა სატყეო სამეურნეო ფაკულტეტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან დაარსება, კათედრას კვლავ მიეცა ორი ასპირანტი: ვ. დარახველიძე და ი. ჩიტაშვილი.

კათედრის წევრების ნაწილმა დაიცვა დისერტაცია სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. კათედრის წევრმა დოც. ლ. ი. ჩიბურდანიძემ დაიცვა დისერტაცია 1935 წელს სოფლის მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე ლენინგრადის სატყეო აკადემიაში. კათედრის გამგემ პროფ. ვ. ზ. გულისაშვილმა დაიცვა დისერტაცია სოფ. მეურ. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხზე ლენინგრადის სატყეო აკადემიაში 1936 წელს თემაზე: „ალპური, სუბალპური და ტყის ზონის ნიადაგების ფიზიკური თვისებები და მათი ჰიდროლოგიური მნიშვნელობა მთიანი ქვეყნებისათვის“.

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტში სოფ. მეურ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე დაიცვა დისერტაცია 1939 წ. ასისტ. ლ. ს. აზმაიფარაშვილმა თემაზე: „ტყეკაფების გაწმენდის მეთოდები საქართველოს მთიან ტყეებში“. 1941 წელს თბილისში იმავე ინსტიტუტში კათედრის წევრმა ნიკოლოზ მარგველაშვილმა დაიცვა დისერტაცია სოფ. მეურ. მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე, თემაზე: „ჭრები კახეთის წიფლნარებში“. 1944 წელს დაიცვა დისერტაცია სოფ. მეურ. მეცნ. კანდიდატის ხარისხზე ასპ. ვ. თ. დარახველიძემ თემაზე: „ზოგიერთი მერქნიანი ეგზოტის დამოკიდებულება კირთან“.

კათედრაზე სამეცნიერო-საკვლევი ხასიათის მუშაობას თავდაპირველად სპორადული ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ 1932 წლიდან ატარებს იგი უკვე სისტემატურ ხასიათს. კათედრა ამუშავებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ-სამეურნეო მნიშვნელობის სამეცნიერო თემებს. სამეურნეო ორგანიზაციების (საქ. საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამმართველო, გამწვანების ტრესტი, სატყეო კომისარიატი) დავალებით კათედრის მიერ დამუშავებულია შემდეგი თემები.

1. პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—„ტყეების კურორტოლოგიური და ბალნეოლოგიური მნიშვნელობა“ 1933—4 წ. გამოქვეყნებულია თბილისის სატყეო-ტექნიკ. ინსტიტუტის კრებულში, №1, 1934 წ.

2. ასპ. ჩიბურდანიძე და მათიკაშვილი—„ბაკურიანის სატყეოს ბუნებრივი განახლება“ 1933—4 წ., იგივე კრებული, №1, 1934 წ.

3. დოც. გ. ს. ბრეგვაძე—„მასალები სატყეო ტერმინოლოგიისათვის“, 1933—4 წ. იგივე კრებული, №1, 1934 წ.

4. პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—„ალპური, სუბალპური ტყის ზონის ნიადაგების ფიზიკური თვისებები და მათი წყალდაცვითი მნიშვნელობა“, 1935 წ. ჟ-ლი „Почвоведение“, №5, 1940 წ.

5. პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—„ტყის ნიადაგების წყალდაცვითი თვისებების ცვალებადობა სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან და პირაღებით ჭრებთან დაკავშირებით“, ლ. პ. ბერიას სახელობის საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის „შრომები“, ტომი XIII, 1941 წ.

6. ასისტ. ლ. აზმაიფარაშვილი—„ნიადაგის ფიზიკური თვისებების ცვალებადობა ხანძრებთან დაკავშირებით“, თბილისის სატყეო-ტექ. ინსტიტუტის კრებული, №2, 1936 წ.

7. დოც. ლ. ჩიბურდანიძე—„ტყისპირების მიკროკლიმატი“, 1938 წ.

8. პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—„ბახმაროს ტყეების ბუნებრივი განახლება და მეურნეობის წესები“, საქარ. კურორტოლოგიის ინსტ-ის ბიულეტენი, №7—8, 1938 წ.

9. პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—„ტყე-სტეპების საკითხი აღმოსავლეთ საქართველოში“, საქ. მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, №4, 1942 წ.

10. პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი—„მთის ზედა სარტყელის ტყის ნიადაგების პროგრადაცია“, ჟ-ლი „Почвоведение“, №2, 1942 წ.

ზოგადი მეტყეობის კათედრამ თავის არსებობის განმავლობაში ჩაატარა სათანადო მუშაობა მეტყეობის სახელმძღვანელოს შედგენისათვის. პირველად 1938 წ. გამოსცა ლითოგრაფიულად მეტყეობის კურსის ორი ნაწილი: 1. ტყეთამცოდნეობა“ და 2. „მთავარი და შუალედი სარგებლობის ჭრები“.

1945 წ. უკვე გამოიცა პროფ. ვ. ზ. გულისაშვილის მიერ შედგენილი მთლიანი კურსი—„მეტყეობა მცენარეთა ეკოლოგიისა და გეოგრაფიის საფუძვლებით“, I—II ტომი.

ამავე დროს კათედრამ დიდი მუშაობა ჩაატარა ქართულ ენაზე დამხმარე ლიტერატურის შექმნაში. კათედრის მიერ თარგმნილია და მანქანაზე დაბეჭდილი 50 სხვადასხვა სახის დამხმარე ლიტერატურა მეტყეობაში, რომელშიაც შედის არა მარტო ცალკე სტატიები თარგმნილი რუსული და უცხო ენებიდან, არამედ სახელმძღვანელოებიც, მაგალ., პროფ. რუბნერის—„მეტყეობა მცენარეთა გეოგრაფიის საფუძვლებზე“, პროფ. გ. ნ. ვისოცკის—„ტყის პერცინენცია“ და სხ.

კათედრა თავისი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შედეგებს აქვეყნებდა აგრეთვე მოხსენებების სახით კათედრის ღია სხდომებზე. 1931 წლიდან ჩატარებულია კათედრის 28-მდე ღია სხდომა, რომლებზედაც კათედრის წევრებს გაკეთებული აქვთ მოხსენებები საკუთარი კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგებისა და აგრეთვე მეტყეობის დარგში მეცნიერების მიღწევათა შესახებ.

ამასთან ერთად კათედრის წევრების მიერ ჩატარებულია ლექციები გლეხთა სახლში, ბორჯომის სატყეოში თანამშრომლებისათვის და სატყეო სამინისტროს თანამშრომლებისათვის მთელი რიგი სპეციალური ხასიათის საკითხებზე.

კათედრა დახმარებას უწევს ცალკეულ სამეურნეო ორგანიზაციებს მუდმივი კონსულტაციებით და საცდელ-საჩვენებელი სამუშაოების ორგანიზაციით. სახელდობრ, საქ. საკურორტო ტყეების სამმართველოს დავალებით კათედრის მიერ ჩატარებულია საკურორტო მნიშვნელობის ტყეებში მთავარი სარგებლო-

ბისა და შუალედი სარგებლობის სანიმუშო ჭრები, როგორც, მაგ., ჯგუფურ-ამორჩევითი, განათებითი და სხვ. თბილისის გამწვანების ტრესტის დავალებით 1934—5 წელს კათედრის მიერ გამოკვლეულია და ამის საფუძველზე გამოყენებულ-ვებული თბილისის მიდამოების გატყევების მეთოდები. კათედრამ გამოიკვლია და ამის შედეგად გამოიმუშავა ტყეკაფების გაწმენდის მეთოდები საქართველოს მთიანი ტყეებისათვის, რის საფუძველზედაც შეადგინა აგრეთვე ტყეკაფების გაწმენდის ინსტრუქცია, რომელიც დანერგილია წარმოებაში. კათედრა დახმარებას უწევს საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროს დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული კულტურებისათვის ქარსაფარი ზოლების ტიპების გამომუშავებაში. მან მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ბამბუკის და ევკალიპტების აგროწესების გამომუშავებაში და სხვ. კათედრა კონსულტაციის სახით დახმარებას უწევს როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკების საცდელ სადგურებს, მაგალითად, ატენის საცდელ სატყეოს, ნუხის და კიროვაკანის საცდელ სადგურს და სხვ.

კათედრის წევრები უშუალო მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს ნაკრძალების გამოკვლევებში, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა გამომუშავებაში. მთავრობის დავალებით მთელი რიგი სპეციალური კომისიების მუშაობაში, მაგალითად საქართველოს ტყეების დაცვითი და და წყალშემნახავ კატეგორიებად დაყოფის საკითხებზე და სხვ.

კათედრას მრავალწლიანი გამოკვლევები აქვს ჩატარებული თბილისის მიდამოების გატყევების პირობათა შესასწავლად და სათანადო ღონისძიებანი გადაცემული აქვს ქ. თბილისის საბჭოს გამწვანების ტრესტს. კათედრის წევრებმა ამ გამოკვლევების საფუძველზე ჩაატარეს საცდელ-საჩვენებელი გატყევება 5 ჰექტ. ფართობზე დავითის მთაზე სოლოლაკის ხევის დასავლეთით. ამ სამუშაოებმა საუკეთესო შედეგები მოგვცა და მის მიხედვით ტარდება ამავე მთის სხვა ადგილების გატყევება. კათედრამ თავისი კვლევითი მუშაობის შედეგად გამოიმუშავა ჯგუფურ ამორჩევითი, თანდათანობითი და მოვლითი ჭრების ჩატარების წესები საქართველოს მთავარ სამეურნეო ჯიშების კორომებში. მისივე ხელმძღვანელობით ეს სამუშაო დანერგილია წარმოებაში.

საქართველოს საკურორტო მნიშვნელობის სატყეოებში, სახელდობრ წაღვერის, ბორჯომის, ახალდაბის და აბასთუმნის სატყეოებში, ჩატარებულია ამ სახის ჭრები რამდენიმე ასეულ ჰექტარზე. აქტიურ მონაწილეობას იღებს კათედრა აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რაიონში ქარსაფარი ზოლების ორგანიზაციაში, გზების გასწვრივ ხის ზოლების მოწყობაში და სხვ.

სამამულო ომის პერიოდში კათედრის წევრები ეწეოდნენ მუშაობას ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების საქმეში.

კათედრის წევრები დაჯილდოებული არიან მთავრობის ჯილდოებით: პროფ. ვ. ზ. გულისაშვილი „შრომის წითელი დროშის" ორდენით, მედლით „კავკასიის დაცვისათვის", მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის 1941—45 წ. წ.", ნიშნით „სოფლის მეურნეობის წარჩინებული"; დოც. ვ. ი. მათიკაშვილი—მედლით „კავკასიის დაცვისათვის", მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის 1941—45 წ.წ."; ასისტ. ვ. თ. დარახველიძე—მედლით „კავკასიის დაცვისათვის", მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის 1941—1945 წ.წ.".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხის ტექნოლოგიის კათედრა

ხის ტექნოლოგიის კათედრა პირველად დაარსდა 1927 წ. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. კათედრის გამგედ დანიშნულ იქნა ვ. ლ. ავალიანი. 1929 წელს ამ ინსტიტუტის მექანიკურ ფაკულტეტზე გაიხსნა განხრა ხე-ტყის დამუშავების დარგში და მის ფარგლებში შევიდა აღნიშნული კათედრაც.

1930 წელს დაარსდა თბილისში სატყეო ტექნიკური ინსტიტუტი, რომელმაც შეიერთა სას.-სამ. ინსტიტუტიდან სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი. ამის შემდეგ სატყეო ინსტიტუტში გადავიდა ხის მექანიკური ტექნოლოგიის კათედრა მთელი შტატით.

ამ პერიოდში კათედრაზე გაერთიანებული იყო შემდეგი დისციპლინები: 1. ხის მექანიკურად დამმუშავებელი მანქანა-იარაღები, 2. ხის ტექნოლოგია, 3. სახერხი წარმოება, 4. საფანერო წარმოება, 5. ხის მექანიკურად დამუშავების წარმოებანი (საავეჯო, საკასრე, საბარგულე, მუსიკალური და სხვ.), 6. ხის შრობა, 7. ქარხნის შიდა ტრანსპორტი და 8. ხის დამმუშავებელ ნაგებობათა მონტაჟი და რემონტი.

ზემოაღნიშნული საგნები იკითხებოდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზედაც.

დღიდან სას.-სამ. ინსტიტუტთან შეერთებისა (1938 წლიდან), სატყეო დარგთა გამაერთიანებელი ფაკულტეტის მიზნობრივ ამოცანათა ცვლილებასთან დაკავშირებით, შეიცვალა თვით კათედრის სტრუქტურაც და ამ პერიოდიდან კათედრაში შედის შემდეგი საგნები: 1. ხის მექანიკური ტექნოლოგია, 2. ხის ქიმიური ტექნოლოგია და 3. მერქანთმცოდნეობა. ხოლო შტატში იმყოფება სამი კაცი: 1. პროფ. ვ. ლ. ავალიანი, 2. დოც. გ. რაზმაძე და 3. უფრ. ლაბორ. ე. ტატიშვილი.

კათედრასთან არსებულ კაბინეტსა და ლაბორატორიას პირველად საფუძველი ჩაეყარა 1928 წელს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1938 წლის ბოლოს სატყეო ინსტიტუტის ლიკვიდირებასთან დაკავშირებით მთელი ხის ტექნოლოგიის კაბინეტი და ლაბორატორია გადაეცა სატყეო კომისარიატს, რომელმაც მიღებული ბინისა და დაზგების საფუძველზე დააარსა საავეჯო ფაბრიკა. ამ დროიდან კათედრის განკარგულებაში დარჩა მხოლოდ ნაწილი მერქანთმცოდნეობის კაბინეტისა, რის გამო მერქნის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა კვლევისათვის კათედრა იძულებულია ისარგებლოს იმ მოწყობილობით, რომელიც ეკუთვნის მეზობლად მდებარე საამშენებლო-ჰიდროტექნიკურ საკვლევ ინსტიტუტს, ხოლო ხის ტექნოლოგიის საკითხებზე მუშაობა სრულდება სხვადასხვა წარმოებაში.

სამამულო ომის დასაწყისში კათედრის წევრი რაზმაძე გაწვეული იყო ჯარში და კათედრაზე დარჩა ორი კაცი.

ომის პერიოდში კათედრა, მიუხედავად მეტად შევიწროებული მდგომარეობისა, განაგრძობდა მუშაობას როგორც სამეცნიერო-საკვლევ დარგში, ისე წარმოებების ყოველმხრივ დასახმარებლად. მაგალითად, კონსულტაციები ეწეოდა სატყეო მრეწველობის მრავალ წარმოებას და აგრეთვე „Каввоенпроект"-ს, „Кавтранспроект"-ს, „Грузпищепроект"-ს, „Тнисгэи"-ს, „Гипроавиопром"-ს და სხვებს, როგორც წარმოების სხვადასხვა საკითხზე, ისე დაგეგმარების დროს, მერქნის გამოყენების სხვადასხვა შემთხვევაზე.

გაგრძელებულ იქნა ომის წინა წლებში დაწყებული საკვლევი სამუშაონი. სხვადასხვა სახის ბამბუკის და ევკალიპტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევაზე. ამ გამოკვლევათა მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოს პირობებისათვის ბამბუკისა და ევკალიპტების ტექნიკურად მაღალხარისხოვანი სახეების შერჩევა და, მეორე მხრივ, ამ სახეებისათვის საქართველოს სხვადასხვა დარგის მრეწველობაში შესაფერი ადგილის გამონახვა.

კერძოდ კვლევითმა მუშაობამ შესაძლებლობა მისცა კათედრას წამოეყენებია შემდეგი საკითხები: ა) ენგურ-ქალალდის კომბინატის საჭიროებისათვის ახალი ნედლეულის ბაზის შექმნა სწრაფ მოზარდ სუბტროპიკული ჯიშებისაგან ქარხნის ახლოს, ნაცვლად სვანეთის სოჭისა; ბ) სამთამადნო წარმოებაში მაღაროს დგარებად შესაფერისი სახის ბამბუკების გამოყენება, ნაცვლად შორეული ჩრდილოეთიდან შემოზიდული წიწვიანი ჯიშებისა. ორივე წინადადება მიღებულია და ინერგება მეოთხე სტალინურ ხუთწლედში.

სხვადასხვა დროს კათედრის წევრების მიერ დამუშავებულია შემდეგი სასწავლო სახელმძღვანელოები.

1. „ხის შრობა"—დოც. ი. დ. ბეთანელი, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა", 1932 წ.

2, „Расчет сушил для дерева"—დოც. ი. დ. ბეთანელი, გამომც. „ტექნიკა და შრომა", 1932 წ.

3. „Мебельное производство"—პროფ. ვ. ლ. ავალიანი, Гослестехизд., Москва, 1937 წ.

4. „საფანერო წარმოება"—ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი, სატყ. ინსტიტუტის გამოც., 1938 წ.

5. „მერქანთმცოდნეობა"—ს. ი. ვანინი, თარგმანი რუსულიდან, გამომც. „ტექნიკა და შრომა", 1938 წ.

გამოქვეყნებულია აგრეთვე კათედრის მიერ ჩატარებული შემდეგი სამეცნიერო-საკვლევი სამუშაონი:

1. „Исследование физико-механических свойств бука Багдадского района"—проф. В. Авалиани, инж. А. Аветисов. „Бук Восточный", гл. VI, ЗакГиз, 1936 г.

2. Исследование влияния пропитки водными и маслянными антисептиками на физико-механические свойства бука—проф. В. Авалиани, инж. А. Аветисов. „Бук Восточный", гл. VI, ЗакГиз, 1936 г.

3. Исследование режимов проварки и пропарки бука для гнутого производства—проф. Авалиани. Сборник трудов Тбилисского лесотехнического Института, выпуск второй, 1936 г.

4. „გაორთქლვის გავლენის გამოკვლევა წიფლის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე"—პროფ. ვ. ავალიანი. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის „შრომები", №1 (XI), 1940 წ.

5. „ევკალიპტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები"—ვ. ავალიანი, გ. რაზმაძე, ე. ტატიშვილი. საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები", №1, 1940 წ.

6. „ბამბუკი როგორც მაღაროს სამაგრი"—პროფ. ვ. ავალიანი საქ. სას.-სამ. ინსტ. „შრომები„ ტ. XXIII—XXIV, 1945 წ.

7. „ვერხვის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები"—პროფ. ვ. ავალიანი, საქ სამ.-სამ. ინსტ. „შრომები", ტ. XXV, 1946 წ.

ასპირანტურა კათედრასთან არსებობდა 1929 წლიდან 1933 წლამდე. აღნიშნული დროის განმავლობაში ასპირანტებად ირიცხებოდნენ: გ. ა. ჯაბუა, გ. ს. რაზმაძე, შ. პ. ლომინაძე და ა. მ. ცაგარეიშვილი. მათ შორის გ. ა. ჯაბუამ და შ. პ. ლომინაძემ დაიცვეს დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა ხარისხზე რუსეთში.

ამჟამად კათედრასთან მომაგრებულია ერთი ასპირანტი, გ. ტ. გორგაძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხაზით, ხოლო სამი მეცნიერი მუშაკი საკონსულტაციოდ სადისერტაციო შრომების დასამუშავებლად—აზერბაიჯანის სას.-სამ. ინსტიტუტიდან და მეცნიერებათა აკადემიიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის კულტურისა და სატყეო მელიორაციის კათედრა

ტყის კულტურისა და სატყეო მელიორაციის კათედრა კერძო მეტყეობის კათედრის სახელწოდებით დაარსდა 1929 წელს, მანამდე კი იგი გაერთიანებული იყო მეტყეობის კათედრაში ზოგად მეტყეობასთან ერთად საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის ფარგლებში.

დაარსებისას კათედრას ყავდა 2 წევრი და ამ სახით არსებობდა იგი 1930 წლამდე.

1930 წ. როდესაც დაარსდა თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი, კათედრა გადავიდა იქ, მაგრამ 1938 წელს, ამ ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, კათედრა კვლავ დაუბრუნდა სას.-სამ. ინსტიტუტს და შევიდა სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის შემადგენლობაში.

1930 წლამდე კათედრაში შედიოდა ორი დისციპლინა: კერძო მეტყეობა და ტყის დაცვა, ხოლო 1930 წლიდან იგი აერთიანებდა სამ დისციპლინას: ტყის კულტურებს, ტყის დაცვასა და სატყეო მელიორაციას. ამავე დისციპლინებით არის წარმოდგენილი კათედრა დღესაც (1946 წ.) გარდა ტყის დაცვისა, რომელიც გადაეცა სპეციალურ კათედრებს.

ტყის კულტურების დარგს ხელმძღვანელობს დოც. გ. ს. ბრეგვაძე, ხოლო სატყეო მელიორაციას—სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი დოც. ლ. კ. ფარჯანაძე.

კათედრის დაარსების დროიდან მისმა პირადმა შემადგენლობამ ბევრნაირი ცვლილება განიცადა და სადღეისოდ მისი შტატი განისაზღვრება 6 თანამშრომლით, სახელდობრ: 1. კათედრის გამგე—დოც. გ. ს. ბრეგვაძე. 2. დოც. ლ. კ. ფარჯანაძე, 3. ასისტ. გ. ა. ლობჟანიძე, 4. ასისტ. შ. ნ. ჟორჟოლაძე, 5. უფრ. ლაბორანტი ინჟენერ-მეტყევე ა. ს. კალატოზიშვილი, 6. ლაბორანტი ინჟენერ-მეტყევე ლ. გ. ახალბედაშვილი. ამათ გარდა, 1939 წლიდან კათედრას ჰყავდა 2 ასპირანტი, მაგრამ მათ, სამამულო ომის პერიოდში ჯარში გაწვევის გამო, დისერტაცია ჯერჯერობით არ დაუცავათ.

კათედრის ასისტენტმა მიხეილ ტარასის-ძე კამკამიძემ 1942 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხზე დაიცვა დისერტაცია თემაზე „ტყის ნერგთა გადარგვის დროს გაჭკნობა, მისი ზეგავლენა გახარებაზე და გაჭკნობის ასაცდენი ღონისძიებანი“.

კათედრაზე სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა დაიწყო 1929 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში კათედრას დამუშავებული აქვს შემდეგი სამეცნიერო თემები.

1. ძვირფასი და სწრაფი მოზარდი ტყის ჯიშების გაშენების მეთოდიკა 1934—1936 წ. წ. (დოც. გ. ს. ბრეგვაძე).

2. ხავერდის ხის დანერგვა საქართველოს სსრ გასატყევებელ ფართობებზე. 1935—1939 წ. წ. (დოც. გ. ს. ბრეგვაძე).

3. მინერალური და ორგანული სასუქების გავლენა კორპის მუხის ნაყოფიერებაზე და კორპის განვითარებაზე. 1938—1939 წ. წ. (პროფ. ი. ი. როშჩინი და დოც. გ. ტარასაშვილი).

4. ქარსაცავი ზოლების პროექტი საქართველოს საბჭოთა მეურნეობის ტრესტის ხეხილისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისათვის. 1939 წ. (პროფ. ი. ი. როშჩინი და დოც. ლ. კ. ფარჯანაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. თეთრი აკაციის სასარე მეურნეობის პროექტი საქართველოს საბჭოთა მეურნეობის ტრესტის ხეხილისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისათვის. 1939 წ. (დოც. გ. ს. ბრეგვაძე).

6. კაკლის გაშენების მეთოდები დუშეთის სატყეო მეურნეობის პირობებისათვის. 1940 წ. (დოც. გ. ს. ბრეგვაძე).

7. თბილისის მიდამოების სამთო-სატყეო-სამელიორაციო სამუშაოთა ისტორია. 1942—43 წ. წ. (პროფ. ი. ი. როშჩინი და დოც. ლ. კ. ფარჯანაძე).

8. საქართველოს ძვირფასი ენდემური და რელიქტური ტყის ჯიშთა თესლის შესწავლა. დამუშავებულია მხოლოდ ნაწილი—ელდარისა და ბიჭვინთის ფიჭვი, 1944—1946 წ. წ. (დოც. გ. ს. ბრეგვაძე).

კათედრის მიერ შედგენილი და გამოშვებულია შემდეგი შრომები და სახელმძღვანელოები:

1. ისტორიული ცნობები ტყის შესახებ საქართველოში—გ. ბრეგვაძე. ჟურნ. „ტყის დღე", 1926 წ.

2. ტყის მოვლა-გაშენება—გ. ბრეგვაძე, სახელგამი, 1930 წ.

3. აგრო-სატყეო მელიორაცია—ლ. ფარჯანაძე, გამომც. „ტექნიკა და შრომა", 1935 წ.

4. სამთო სატყეო მელიორაცია. სახელმძღვანელო (რუსულ ენაზე)—ი. ი. როშჩინი, მზადაა დასაბეჭდად.

5. ელდარისა და ბიჭვინთის ფიჭვი საქართველოში—ი. ი. როშჩინი, ლენინგრადი, 1929 წ.

6. წყლის ეროზიული მოქმედება და მასთან ბრძოლა—ი. ი. როშჩინი, ლენინგრადი, 1935 წ.

გარდა ამისა, კათედრის წევრთა მიერ, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, დამზადებულია „ტყის თესლმცოდნეობისა და მეთესლეობის მოკლე კურსი" გ. ბრეგვაძისა და იმავე ავტორის—„ტყის ჯიშთა თესლეულის სარკვევი".

კათედრამ საქართველოს სატყეო მეურნეობებს შეუდგინა თეთრი აკაციის ტყეთ გაშენების წესები, საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტს დაუმზადა ქარსაცავი ზოლების პროექტი ხეხილის ბაღებისა და ვენახებისათვის, თეთრი აკაციის სასარე მეურნეობის მოწყობის პროექტი. კონსულტაციას უწევდა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას საკალათე ტირიფის პლანტაციის მოწყობაში ლანჩხუთის მიდამოებში, ატენის სამთო-სამელიორაციო სადგურს ფერდობებზე ნიადაგის დასაცავრებლად გამოსადეგ ხისა და ბუჩქის ჯიშების შერჩევაში და სხვ.

კათედრამ, ცდებისა და გამოკვლევების საფუძველზე, დაამუშავა ძვირფასი სწრაფ მოზარდი ჯიშების (ევკალიპტის, კრიპტომერიის, კანადის ვერხვის, კაკლის, წაბლის, თეთრი აკაციისა და სხვ.) ტყეთ გაშენების მეთოდიკა და გადასცა იგი საქართველოს სსრ ტყის მრეწველობის სამინისტროს და სხვა სატყეო ორგანიზაციებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიზიკური კულტურის კათედრა

ფიზიკური კულტურის კათედრის ისტორია იწყება 1929 წლიდან, როდესაც საქ. სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსებულ იქნა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების დროს მას არ ჰქონდა ბაზა ფიზ. კულტურის მეცადინეობის ჩასატარებლად, რის გამო ეს მეცადინეობა ტარდებოდა უმთავრესად ეზოში, ნაწილობრივ კი დერეფნებში. ამ დროს ფიზ. კულტურის მეცადინეობის მთავარი სახეობანი იყო: დაჭურვითი ვარჯიშები, სპორტ-მასობრივი თამაშობანი (ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი და სხვ.)

1930 წ., იმასთან დაკავშირებით, რომ ინსტიტუტი გასამხედროებულ იქნა, ხოლო თავდაცვის სახალხო კომისარიატი გასამხედროებული სტუდენტებისაგან მოითხოვდა იმ ნორმატივების შესრულებას, რომლებიც სავალდებულო იყო წითელ არმიაში და რომლისათვის საჭირო იყო შენობა და იარაღი ტანვარჯიშისათვის, სამხედრო და ფიზკულტურის ხელმძღვანელობამ თავისი ინიციატივით გაათავისუფლა და სათანადოდ გადააკეთა ზოოლოგიის ერთ-ერთი კაბინეტი, რომელიც უფრო მეტად უპასუხებდა ფიზკულტურის მიზნებს. აღნიშნული პერიოდი ხასიათდებოდა სამხედრო და ფიზკულტურის მუშაობათა მნიშვნელოვანი დაახლოებით.

გასამხედროებულ სტუდენტებს უნდა აეთვისებინათ ის ნორმატივები, რომლებიც წითელ არმიაში სავალდებულოდ იყო მიღებული. ამ მიზნით სამხედრო ხელმძღვანელობის ბანაკად გასვლისას, მასთან ერთად გადიოდა ბანაკად ფიზკულტურის ხელმძღვანელობაც.

ფიზკულტურის ხელმძღვანელობის ბანაკად გასვლა დადებითი მოვლენა იყო არა მხოლოდ ინსტიტუტის სტუდენტობისათვის, არამედ ბანაკად მდგომი ჯარების ნაწილებისათვისაც. ფიზკულტურის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედიოდნენ სპორტის ოსტატები, გამოცდილი პედაგოგები, რომელნიც ფიზკულტურის მუშაობაში გამოცდილებას უზიარებდნენ სამხედრო ნაწილების ფიზკულტურელებს, ხოლო ამ ოსტატების პირადი მუშაობა—ფიზკულტ. გამოსვლები—მაგალითი იყო ჯარის ნაწილების ფიზკულტურელთა აქტივისათვის.

1931 წ. ლენინური კომკავშირის ინიციატივით შემოღებულ იქნა ფიზ. აღზრდის ერთიანი სისტემა, რაც ნიშან „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ კომპლექსში იყო გამოსახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ დადგენილებას ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი სტუდენტობა; იგი სტიმული გახდა ფიზკულტურის უფრო დიდი და სწრაფი ზრდისათვის. ინსტიტუტის სტუდენტთა შორის თავი იჩინა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში ჩაებარებიათ კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გაძლიერებას და ნორმების მასობრივ ჩაბარებას.

1932 წ. ბოლოს შემოღებულ იქნა ნიშან „მშთ“-ის მე-2 საფეხურის კომპლექსი, როგორც საბჭოთა ფიზკულტურის ერთიანი სასტემის შექმნისა და დაგვირგვინების უკანასკნელი საფეხური.

ამ დროისათვის სტუდენტთა შორის უკვე იყო ფიზიკურად კარგად მომზადებულთა დიდი რიცხვი, რომელთაც უკვე ჩაბარებული ჰქონდათ 1-ლი საფეხურის ნორმები და რომელნიც 1938 წლიდან უკვე შეუდგნენ „მშთ“-ს მე-2 საფეხურის კომპლექსის ცალკეული სახეობების ჩაბარებას.

სტუდენტთა შორის ფიზკულტურული მუშაობის უფრო გაფართოებისა და გაძლიერებისათვის და იმ სტუდენტებისათვის დახმარების გასაწევად, რომელთაც სურდათ „მშთ“-ს კომპლექსის 1-ლი და მე-2 საფეხურის ნორმების ჩაბარება, ჩამოყალიბებული იყო სექციები: 1. ტანვარჯიშის—სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. რცხილაძის ხელმძღვანელობით, 2. მძლეოსნობის—შუბის ტყორცნაში ამიერ-კავკასიის ჩემპიონის ბ. გერასიმოვის ხელმძღვანელობით.

ერთი მხრივ, წითელ არმიაში სავალდებულოდ მიჩნეულ ნორმატივებში მეცადინეობას, მეორე მხრივ კი „მშთ“-ს 1-ლი და მე-2 საფეხურის კომპლექსების მომზადებას და სექციებში მუშაობას არ შეიძლებოდა დადებითად არ ემოქმედნა ინსტიტუტის სტუდენტების ფიზ. მომზადებაზე. 1935 წ. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი მონაწილეობას ღებულობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის მოწყობილ მძლეოსნურ და ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში. ეს იყო ინსტიტუტის პირველი მასობრივი ფიზკულტურული გამოსვლები, რომლებმაც ინსტიტუტი პირველ რიგებში გამოიყვანა. ამავე წლის ზაფხულში ინსტიტუტი მონაწილეობას ღებულობს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ უმაღლეს სასწავლებელთა სპარტაკიადაში, რომელშიაც ინსტიტუტმა შესძლო ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში ყველაზე მაღალი კლასის ჩვენება. ფიზკულტურაში ინსტიტუტის ზემოჩამოთვლილი მიღწევები აღნიშნული იყო საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, რომელმაც ინსტიტუტის ფიზიკური მომზადების ხელმძღვანელობა დააჯილდოვა მსუბუქი ავტომანქანით, ხოლო ზოგიერთი ფიზკულტურელი ძვირფასი საჩუქრებით.

სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ აღნიშნულმა მიღწევებმა ძალებისა და ენერგიის კიდევ უფრო მეტი დაძაბვა გამოიწვია როგორც ფიზკულტურის ხელმძღვანელობაში, ისე სტუდენტთა მასაშიაც.

გაფართოვდა სექციებში მუშაობა, ჩამოყალიბდა ფეხბურთის, ფრენბურთის, ფრანგული ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის სექციები.

ამასთან ერთად, ფიზკულტურის ხელმძღვანელობამ დიდი მუშაობა ჩაატარა სტუდენტთა შორის „მშთ“-ს კომპლექსის 1-ლი და მე-2 საფეხურის

მომზადების მხრივ. 1936 წლის დასაწყისისათვის აღნიშნული კომპლექსის ნორმები ჩაბარებული ჰქონდა 700 კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ტანვარჯიშულ შეჯიბრებებში ინსტიტუტი იკავებს პირველ ადგილს. ამავე წლის ზაფხულში ჩვენი ინსტიტუტი მონაწილეობას იღებს მიწათმოქმედების სისტემის უმაღლეს სასწავლებელთა ფიზკულტურულ შეჯიბრებაში და პირველ ადგილზე გამოდის (იხ. საკავშირო მიწსახკომის უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების მთავარ სამართველოს 1937 წ. 17 ივლისის ბრძანება).

ფიზკულტურის ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი სექციები თანდათანობით ისე გაძლიერდნენ, რომ მათ უკვე შეეძლოთ დამოუკიდებელი მონაწილეობის მიღება ყველა იმ სპორტულ ღონისძიებაში, რომლებიც თბილისის და საქართველოს მასშტაბით ტარდებოდნენ.

1938 წ. ცენტრალური ორგანოების დადგენილებით ცალკე იქნა გამოყოფილი ფიზკულტურის კათედრა.

ამასთან დაკავშირებით ფიზკულტურის კათედრამ უფრო დიდი მუშაობა ჩაატარა „მშთ"-ს კომპლექსის ჩაბარებისა და ამ კომპლექსის მე-2 საფეხურის ნიშნოსნების სპორტ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგი იყო ის, რომ 1939 წელს საკავშირო მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სისტემის უმაღლეს სასწავლებელთა შორის მოწყობილ სპორტ-შეჯიბრებაში ინსტიტუტმა პირველი ადგილი დაიკავა და პირველ ადგილზე გამოვიდა „მშთ"-ს I და II საფეხურის კომპლექსის ხაზით მოცემული სახელმწიფო დავალების შესრულებაში. ამავე ღონისძიებათა შედეგად ფრენბურთის და ფეხბურთის გუნდებმა საკავშირო პირველი კატეგორია მოიპოვეს.

ფიზკულტურის კათედრამ საკმაოდ ძლიერი კადრები მოამზადა; მათ შორის: სერგო ბურჯანაძე, საკავშირო კატეგორიის I თანრიგის ტანმოვარჯიშე, 2. პეტრე მიქელაძე, 3. ილია საგინაშვილი—ფიზკულტურის ერთ-ერთი აქტივისტი და ინსტიტუტში ნებაყოფლობითი სპორტ-საზოგადოების „უროჟაი"-ს ორგანიზატორი, 4. ნიკოლოზ ბეგიშვილი—სწავლის ფრიადოსანი, რომელიც ნებაყოფლობითი სპორტ-საზოგადოების „უროჟაი"-ს ხაზით კავშირის მასშტაბით სამჯერ გამოვიდა I ადგილზე ტანვარჯიშულ შეჯიბრებებში და სხვა მრავალი.

ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა სპორტის ოსტატი გ. მაისურაძე, რომელსაც მრავალი ასეთი კადრი ჰყავს გამოზრდილი.

ფიზკულტურის კათედრა თავის მუშაობაში ყოველწლიურად აბამს ახალგაზრდა ძალებს, რომელნიც თვალსაჩინო სპორტ-ტექნიკურ შედეგებს გვიჩვენებენ. ამ ახალგაზრდათა შორის შეიძლება დასახელდეს ფრენბურთელები: გიორგი ხანთაძე და ზურაბ ხანთაძე, ორივე დიდი სამამულო ომის მონაწილე; ფეხბურთელი გ. ანთაძე, რომელიც გამოჩენილი ფეხბურთელია და ამჟამად თბილისის „დინამოს" გუნდში თამაშობს; ფარღალავა და შურღაია, დიდი სამამულო ომის მონაწილენი; ამასთანავე ამხ. შურღაია საბჭოთა კავშირის გმირია.

1934 წლიდან ინსტიტუტი მონაწილეობას ღებულობს ფიზკულტურის ყველა აღლუმში და საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურის კათედრის ეს მიღწევები არაერთხელ იყო აღნიშნული საქ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ. ინსტიტუტი დაჯილდოებულია მრავალი სიგელით, ხოლო ფიზკულტურის კათედრის ცალკეული მუშაკები ძვირფასი ნივთებით.

1933—1939 წ. წ. განმავლობაში ფიზკულტურის კათედრამ მოამზადა „მშთ"-ს 1-ლი საფეხურის 1749 ნიშნოსანი, ხოლო მე-2 საფეხურის—48 ნიშნოსანი.

1938 წლიდან 1939 წლამდე ფიზკულტურის კათედრის მიერ მომზადებულია 32 ტანმოვარჯიშე, რომლებმაც საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშის კვალიფიკაცია მიიღეს.

1939—40 წ.წ. ფიზკულტურის კათედრა მიზნად ისახავს მოამზადოს უფრო მაგარი და ამტანიანი კადრები. ამ მიზნით იგი აბამს ფიზკულტურის მომზადებაში სტუდენტთა უფრო მრავალრიცხვს და ამტანიანობის განმტკიცებისათვის ატარებს ფიზ. მომზადების ისეთ სახეობებს, როგორიცაა ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ხელჩართული ბრძოლა და სპორტის სხვა სახეები.

1941 წლიდან 1946 წლამდე ფიზკულტურის კათედრა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. აღნიშნული დროის განმავლობაში მომზადებულ იქნა „მშთ"-ს პირველი საფეხურის 649 ნიშნოსანი, მე-2 საფეხურის—94 ნიშნოსანი და ხელჩართულ ბრძოლაში—460 კაცი.

ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ინსტიტუტის სტუდენტები—ვაჟები თითქმის მთლიანად წავიდნენ სამშობლოს დასაცავად და სწორედ ამის გამო ნიშნოსანთა ზემომოყვანილი რიცხვი იმ დროისათვის საკმაოდ დიდად უნდა ჩაითვალოს.

1945 წელს სამამულო ომში ჩვენი ბრწყინვალე გამარჯვება უკვე აძლევს ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდობის ნაწილს ინსტიტუტში დაბრუნების საშუალებას. ამრიგად, შეიქმნა შესაძლებლობა მუშაობის გამოცოცხლებისათვის და მასშტაბის გადიდებისათვის, იმ სექციების აღდგენისათვის, რომელთაც სამამულო ომის პერიოდში შეაჩერეს მუშაობა.

1945 წ. ფიზკულტურის კათედრისათვის იყო გარდამავალი წელი და ხასიათდებოდა ფიზკულტურის მუშაობის გამოცოცხლებით და მისი რადიუსის გადიდებით.

1945 წელს ფიზკულტურის კათედრა უკვე იღებს მონაწილეობას უმაღლესი სკოლების სპარტაკიადაში, სადაც იკავებს პირველ ადგილს მე-2 ჯგუფში. აღნიშნული თვალსაჩინო მიღწევებისათვის ფიზკულტურის კათედრა დაჯილდოებულ იქნა „ვიმპელ"-ით და 5 სიგელით.

ამავე წელს ინსტიტუტის ფეხბურთის გუნდი მონაწილეობას იღებს შეჯიბრებაში უმაღლესი სკოლების ქ. თბილისის და საქალაქთშორისო ფეხბურთელთა გუნდებთან. ამ შეჯიბრებებში, ჩვენი ფეხბურთელები ყოველთვის მოწინავეთა რიგებში გამოდიოდნენ.

1945—47 წ. წ. ფიზ. მომზადება უფრო მაღალ დონეზე იქნა აყვანილი. ტანვარჯიშის სექციაში მუდმივად მუშაობს 50 კაცი. ფეხბურთი წარმოდგენილია ორი გუნდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრენბურთის 3 გუნდი (ერთი ქალთა და ორი ვაჟთა) იცავდნენ ინსტიტუტის სახელს, იცავდნენ ღირსეულად და ოსტატურად. ეს გუნდები თამაშის ტექნიკის მხრივ სამართლიანად ითვლებიან საშუ გუნდებად მოწინააღმდეგე ჯგუფებისათვის.

უმაღლეს სასწავლებელთა კალათბურთის გუნდებს შორის შეჯიბრებაში ინსტიტუტის ვაჟთა ჯგუფმა დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ქალაქის მასშტაბით ჩატარებულ უფრო საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში იმავე გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

ფიზკულტურის კათედრაზე საპატიო ადგილი უკავია ფრენბურთს, რომელიც წარმოდგენილია ორი ქალთა და ერთი ვაჟთა გუნდით. ეს უკანასკნელი უმაღლესი სასწავლებლების ფრენბურთის ჯგუფებს შორის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს წარმოადგენს და 1946 წლის შეჯიბრებაში მან პირველი ადგილი დაიკავა.

ფიზკულტურის კათედრასთან არსებობს ქართული ჭიდაობის სექცია. ქართული ჭიდაობის გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი ჯგუფია ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა გუნდებს შორის. იგი ყოველთვის პირველ ადგილზე გამოდის.

ფიზკულტურის კათედრასთან მუშაობენ ახლახან დაარსებული მძლეოსნობის, ფარიკაობის, ფრანგული ჭიდაობის და ჭადრაკის სექციები. ზემოხსენებული გუნდების ირგვლივ ფიზკულტურის კათედრა რაზმავს ახალგაზრდობას, ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს მათთან, ზრდის მაგარ ამტანიან კადრებს.

ინსტიტუტის დირექციისა და პარტორგანიზაციის მუდმივი ზრუნველობისა და აქტიური დახმარების შედეგად ფიზკულტურის კათედრა გახდა ერთ-ერთ მოწინავე კათედრად, რომლის მიერ გამოზრდილია ძლიერი, გამოწრთობილი და მამაცი ახალგაზრდობა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დიდ სამამულო ომში და რომელთა შორის ითვლებიან საბჭოთა კავშირის გმირები შურლაია და ტაბატაძე.

ტექნიკური რედაქტორი ნინო გიორგაძე. გამომშვები ვ. გოგიაშვილი.

ტირაჟი 400. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI—46 წ. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 14,5. შეკვეთის № 485. უე 11275. ლ. პ. ბერიას სახ. ლობის საქ. სასოფ.-სამ. ინსტიტუტის სტამბა-ლითოგრაფია. თბილისი, მარის ქ. № 33.

Труды т. XXVI Груз. СХИ им. Л. П. Берия, изд. на грузинском языке. Типо-литография Груз. СХИ им. Л. П. Берия, ул. Марра, № 33.